

# დიალექტოლოგიური კრებული

37-ე

დიალექტოლოგიური სამეცნიერო  
სესიის მასალები

2017

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## დიალექტოლოგიური კრებული

37-ე

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ექვეყნება პროფესორ თედო უთურგაიძეს  
დაბადებიდან 90 წლისთავზე

თბილისი  
2017

იბეჭდება თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით

რედაქტორი – **გიორგი გოგოლაშვილი**

სარედაქციო ჯგუფი: **თეა ბურჭულაძე, მაკა ლაბარტყავა,  
ხათუნა ყანდაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

## ავთანდილ არაბული

### ფხოვური ლირიკის ზოგიერთი ენობრივ-პროსოდიკული ნიშნისათვის

ხევსურულ პოეტურ ფოლკლორში არის ერთი უნიკალური ფრაგმენტი, რომელშიც ავი ტაროსისაგან შეშინებული, მაგრამ იშვიათი თვითირონიით „ამაღლებული“ მწყემსი წარმოგვიდგენს საკუთარ განსაცდელს:

*დაიელნის, დახკრისაო,  
დახკრის, დაანათისაო,  
დაიელნის, დახკრისაო,  
მე ქვე ვერა მნახისაო;  
ბეჟის ძირში ვეკრიდიდი,  
ტომრის ძველა მეკრისაო!*

ლექსი, რომელიც თ. რაზიკაშვილის ფონდიდან შეუტანია „ხევსურულ პოეზიაში“ 731-ე ნომრით აკაკი შანიძეს და შესაფერისი ირონიული სახელი „გულადობა“ დაურქმევია, მთლიანად მეორე ხოლმეობითის ფორმებით არის გაწყობილი; შინაარსით კი შემდეგს გვეუბნება: „*გაიელვებდა ხოლმე და დაარტყამდა ხოლმე [მეხი], და-არტყამდა და დაანათებდა ხოლმე, გაიელვებდა, დაარტყამდა, მე კი ვერ დამინახვებდა ხოლმე; [რადგან] ბეჟობის ძირას ვიყავი მიკრული (ხოლმე), ზურგზე ძველი ტომარა მეონდა ხოლმე მოკრული (//მოფარებული)*“.

ამ ხალხურ ლექსში (პირველ რიგში) ყურადღებას იქცევს თამამი ენობრივი ექსპერიმენტი, როდესაც ამბის დინამიკა მთლიანად ხოლმეობითობაზეა აგებული (მინიშნება იმაზე, რომ ასეთი ამბავი არაერთგზის ხდება) და, რაც მთავარია, ჩნდება ხალხური ენობრივი ოკაზია, როდესაც მთქმელი პირველი პირის ხოლმეობითს ორმაგი სუფიქსაციით აწარმოებს (ვ-ე-კრ-ი-დ-ი-დ-ი).

საქმე ის არის, რომ ე. წ. ფხოვურ კილოებს შენარჩუნებული აქვთ ხოლმეობითის არქაული ზმნური კატეგორია, ოღონდ ფშაურსა და ხევსურულს შესაბამისი მწკრივის ფუძე პირველ-მეორე პირებში გართულებული აქვთ უწყვეტლის სავრცობით: ფშაურს **-ოდ**, ხოლო ხევსურულს **-დ** სუფიქსით. მე-3 პირი კი არქაული ფორმით არის შენახული:

ხევსურული ფშაური

*I ხოლომ.*

და-ვ-ანათებ-დ-ი-დ-ი      და-ვ-ანათებ-დ-ოდ-ი

და-ა-ნათებ-დ-ი-დ-ი      და-ა-ნათებ-დ-ოდ-ი

და-ა-ნათებ-დ-ი-ს      და-ა-ნათებ-დ-ი-ს

*II ხოლომ.*

და-ვ-ანათ-ი-დ-ი      და-ვ-ანათ-ოდ-ი

და-ა-ნათ-ი-დ-ი      და-ა-ნათ-ოდ-ი

და-ა-ნათ-ი-ს      და-ა-ნათ-ი-ს

შესაბამისად, ლექსში თავისებურად გამოყენებული ზმნა მე-2 ხოლომობითის ხევსურული წარმოების მიხედვით უნდა ყოფილიყო:

*ვ-ე-კრ-ი-დ-ი*

*ე-კრ-ი-დ-ი*

*ე-კრ-ი-ს*

რეალურად კი გვაქვს "გაორმაგებული" ხოლომობითი: ვ-ე-კრ-ი-დ-ი-დ-ი!

მოხმობილი ლექსის მეორე თავისებურება ის არის, რომ ის წარმოგვიდგენს 16-მარცვლიან შაირის შედარებით იშვიათ ვერსიას – მაღალ შაირს, რომელიც გულისხმობს მუხლებისა და ტერფების სრულ სიმეტრიას (ჰარმონიას): 4/4/4/4; შდრ.:

*დაიელნის / დახკრისაო / დახკრის, დაა / ნათისაო,*

*დაიელნის / დახკრისაო / მე ქვე ვერა / მნახისაო;*

*ბეეს ძირში / ვეკრიდიდი / ტომრის ძველა / მეკრისაო!*

უკვე გვქონდა შესაძლებლობა აღგვენიშნა, რომ შაირის ეს ვერსია უპირატესად სახუმარო-სათრეველი ჟანრის ლირიკისათვის არის ნიშანდობლივი. ამავე დროს, სწორედ ამგვარი თემატიკის ლექსებში ეძლევა ასპარეზი არა მხოლოდ დიალექტიზმებს, არამედ დიალექტური ყაიდის ლიცენციებსაც კი. ამდენად, ეს ჟანრი რამდენიმე ნიშნით არღვევს ხალხური პოეტური კოინეს მოთხოვნებსაც კი. ასეთი ყაიდის მასალა მაინცდამაინც ხშირი არ არის და თითქმის ყოველთვის მითითებული ნიშნით არის აღბეჭდილი. ორიოდე ხევსურული მაგალითიც:

*"თითო-თითო დედაკაცი დაიდება ძელივითა,*

*დედამთილსა, მამამთილსა წამოუშქენს გველივითა,*

*რახან ქმარი მოუვიდას, კუდს მოუქნევს მელივითა".*

*"არხოტჩიგი წამავედით, ეშმაკჩიგი, ქაჯჩივითა,*

*ჭიმლით ლუდი ჩამაგვართვეს, ერთა თასა ჯვარჩივითა,  
მა ბოსელათ ადიასა ფეხნ დახყინნა ჯღანჩივითა".*

ამ შემთხვევაშიც პირდაპირ აქცენტირებულია სიტუაციის კუთხურობა-დიალექტურობა (არხოტჩიგი და მისთ).

ადნიშნულის ფონზე ფრიად საინტერესო მოვლენაა ის, რომ ფშაურ კავიაში, რომელიც თემატურად თითქოს ზედმიწევნით ესადაგება მაღალი შაირის მონიშნულ თავისებურებას, ფაქტობრივ მთლიანად დაბალი შაირია გაბატონებული. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი იმპროვიზაციისათვის ბევრად უფრო თავისუფალია: არასიმეტრიული ვარიაციები: 5/3 3/5 სიტყვათა შერჩევის გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა.

სამაგიეროდ, ფშაურ სახუმარო და ირონიულ "სხარტულებშიც" ჩვეულებრივია შესაფერისი საზომისა და "თავისუფალი მეტყველების" გამოყენება. რამდენიმე ნიმუში (ფრაგმენტი) აკაკი შანიძის გასული საუკუნის დასაწყისის (1911, 1913) ჩანაწერებიდან:

*"მოკლე საფლავ მოგვივიდა, არ ჩავიდა ჩორხაული,  
გამიჭირდა, დამზრეს ფეხნი, ჩავდვით ორად მოკაული!"*

*"ავეკიდე ხუშხველებსა, ჩავაცივდი ჭირივითა,  
ავაქოთენ ბერუანი ჭიას ნაჭამ კბილივითა".*

*"საყინულეს ვუჭკერვიარ, თუ ერთ გავთბი, გავიმლოები.*

*დუქნებ იქაცა-ოთ არი, იქაც კი-ოთ დავითვრები.*

*ფულეებ ჩამამაყოლოდით, ნისიით ავივსები".*

აკაკი შანიძე შენიშნავს: *"ყორანა ტვირთაშვილის ნათქვამს ამბობენ თავის თავზე. ყორანა არტნით ჭიჩოს წასულა და მთაზე დამრჩალა თოვლში".*

საოცარი თვითირონიაა: კაცი იყინება, სიკვდილს უყურებს თვალეზში და, თანაც, საიქიოში არსებული დუქნებისთვის იჭერს თადარიგს და ამას ხაზგასმულად ფშაურ ფორმაში აქცევს...

ალბათ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სალექსო პრაქტიკა სიახლე კი არ უნდა იყოს, არამედ საკმაოდ ძველი მემკვიდრეობა ჩანს. კერძოდ, "ვეფხისტყაოსნის" მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობაში ჩანს ანალოგიური ნიშნები: მაღალი შაირი აქაც ნაკლებად გამოიყენება და – უპირატესად "სალაღობო" სტილისტიკაში. მაგალითად, შევადაროთ იმ დიალოგის შესავალი და თვით ტექსტი, რომლითაც ასმათის მოთვინიერებით გახარებული ავთანდილი მას სალაღობოს ეუბნება:

ასმათი:

"აწ რაცა გითხრა, / თუ ამა / საქმესა / დამმორჩილდები,  
რასაცა ეძებ, / მიხვდები, / უცილოდ / არ ასცილდები..."

ავთანდილი:

"ყმამან უთხრა: / "ეგე საქმე / ამა ჰგავსო, / არა სხვასა:  
ორნი კაცნი / მივიდოდეს / სადაურნი / სადმე გზასა,  
უკანამან / წინა ნახა / ჩავარდნილი / შიგან ჭასა..." და მისთ.

აღნიშნულის მიხედვით ვვარაუდობთ, რომ ხალხურ პოეზიაში გამოვლენილი ენობრივ-პროსოდიკული თავისებურება არა შემთხვევითი, არამედ კანონზომიერი მოვლენაა – ისტორიული პოეტური კულტურის ნაწილი.

### გამოყენებული ლიტერატურა

**არაბული, 2013** – ა. არაბული, უწყვეტობა პოეზიის ენისა – ენა ჩვენი არსობისა, თბ., 2013.

**შანიძე, 1984** – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1984.

**შანიძე, 1984** – ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I. ხეცსურული, თბ., 1931.

**ჭინჭარაული, 1960** – ალ. ჭინჭარაული, ხეცსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

## ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### რამდენიმე ტოპონიმის განმარტებისათვის სამხრულ დიალექტებში

სამხრული დიალექტების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე მას ყურადღება მიაქცია აკად. ნ. მარმა (1911 წ.), რომელმაც გამოაქვეყნა შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიური. აქედან მოყოლებული სამხრულ მეტყველებას იკვლევდნენ ა. შანიძე, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე. შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი, ი. სიხარულიძე, გ. ცოცანიძე, ბ. ჯორბენაძე, თ. უთურგაძე, შ. ფუტყარაძე, ნ. ნორაკიძე, მ. ცინცაძე, მ. ფალავა, ნ. ცეცხლაძე და სხვები.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე შემოსაზღვრავდა შავშეთს: აღმოსავლეთით – „მთა არსიანი“, სამხრეთით – „კლდე არტანუჯსა და შავშეთს შორისი“, დასავლეთით – „მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი“, ჩრდილოეთით – „მთა არსიანიდამ ჩამოსული დასავლეთ ჭოროხამდე“ (ქ.ც. 1973: 679-680). ამ ისტორიულმა მხარემ არაერთი არქაული სიტყვა შემოგვინახა.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ ტოპონიმზე, რომლებიც შავშეთში დავაფიქსირეთ. ესენია: „სათლელი“, „ჩაქველთა“, „წეფთა“.

სათლელი – ციხე და ეკლესია შავშეთში, ადრე ხიმშიაშვილების რეზიდენცია იყო (ფუტკარაძე, 1993: 184, 190). შავშეთის მკვიდრი 71 წლის შამსედინ ყადირის ძე გუნეში იხსენებს: „აქ ადრე სახლები არ ყოფილა. სტუმარი მოსულა და მასპინძელს უთქვამს: ვინცხამ სათლელი მეიტაითო, ვერ გუგნიან და დანა მეიტაით გავთალოთო, მერე ამას დუშუმახეს სათლელიო“. აქვე მოვიყვანთ აჭარაში დაფიქსირებულ ჰიდრონიმ „ოთოლთა ღელეს“. იგი მდებარეობს შუახევის რაიონში სოფელ ცივაძეებსა და ტაკიძეებს შორის. ადგილობრივი ინფორმატორების, მიქაელ ბერიძისა და ალექსანდრე ცივაძის, ზეპირი გადმოცემით, რასაც სოფელ ჭვანის მკვიდრი 94 წლის ვალერიან ქარცივაძეც გვიდასტურებდა, ადრე სოფელ ტაკიძეებს „ოთოლთა“ ერქვა, ძველი სახელწოდება დღეს უკვე დავიწყებულია და ახლანდელი მოსახლეობა სოფელს ძველი სახელით ადარ მოიხსენიებს (ახვლედიანი, 2001: 98).

ჰიდრონიმი „ოთოლთა“, ჩვენი ვარაუდით, კომპოზიტური აგებულების უნდა იყოს. მისი ძირია „თოლ“: მეგრ.: თოლ-უა – თლა, „ოთოლარი“ – სათლელს ნიშნავს (ჭარაია; 1997:107). კომპოზიტის მეორე ნაწილი: ქართული მთა → თა უნდა იყოს. (შდრ.: აჭარულში ხშირია ისეთი ორენოვანი გაფორმების ტოპონიმები, როგორებიცაა: ჩამური ღელე, ონტოროთის ღელე, ოჭყვადურის წყარო, ღურჭაღელე და სხვა).

გომის მთაზე ერთ-ერთმა ინფორმატორმა, ენვერ ბერიძემ, ასეთი ლეგენდაც გვიამბო: „ძველად, თამარის მეფობის დროს, დანდალოს ხიდს აშენებდნენ და ხიდის ასაშენებლად იმ არემარეში შესაფერისი ქვა ვერ იპოვეს. ბოლოს სოფელ ოთოლთადან (ახლანდელი სოფ. ტაკიძეები) ხელიდან ხელში ჩამოუჭიდავთ ქვები, რომლებიც ბუნებრივად თლილი ყოფილა“. ამ მიდამოებში აშენებული (ნაგები) ხიდების თავისებურებაც სწორედ ის



არის, რომ ისინი ბუნებრივად თლილი ქვებით არის აგებული, რაც დღესაც მნახველთა დიდ ყურადღებას იქცევს. ზემოთ მოყვანილი ლეგენდა გვიამბებს შავშეთშიც, სათლელის ციხის ტერიტორიაზე ექსპედიციის დროს. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ შავშეთშიც დაფიქსირებულია „სათლელის ციხე“, აქვე აღნიშნულია, რომ მდინარე იმერხევს, ანუ მდინარე ფაფარათს შერთვის „სათლელის წყალი“ (ამ ადგილს ჯერ კიდევ „შერთულ“-ს უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა) და წარმოიქმნება მოზრდილი მდინარე – შავშეთის წყარო. ისტორიულ შავშეთში დღეს სათლელის ციხის გრანდიოზული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სათლელის ციხეც სწორედ თლილი ქვებით არის ნაგები. ისტორიული შავშეთი ადრე სათლელი უნდა ყოფილიყო, ხოლო რაც შეეხება შავშეთში დაფიქსირებულ სათლელის ციხეს და სათლელის წყალს, იგი აჭარაში დაფიქსირებული ზანური „ოთოლთა“-ს ქართული „სათლელი“ ვარიანტი უნდა იყოს.

გ. ყაზბეგი თავის ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, საუბრობს რა ტბეთის სახელგანთქმული ტაძრის გრანდიოზულობასა და მის აშენებაში გამოყენებულ მასალაზე, წერს: „სოფლის გარეუბნებში ამ ჯიშის ქვა არ მოიპოვება. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მთელი სამშენებლო მასალა დაამზადეს ამ სოფლიდან ოცი ვერსის დაშორებით. ქვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ აუარებელი მშენებლები, რომლებიც ერთ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ქვის სამტეხლოდან სამშენებლო მოედნამდე. მსგავსი იგავები თურქეთის საქართველოს სხვა დიდი ტაძრების შესახებაც გავიგონე“ (გ. ყაზბეგი, 1995: 79). სამშენებლო მასალის ხელიდან ხელში მიწოდების ამგვარ ხერხს თამარის ეპოქის მშენებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ქართული თქმულება-გადმოცემა იცნობს, აღნიშნავს მკვლევარი თინა შიოშვილი. ერთ-ერთი მათგანია აჭარაში გავრცელებული ხირხათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა, რომლის დასასრულსაც მთქმელი სიამაყით აღნიშნავს: „...ღელიდან ხირხათის ჭიშკრამდინ ხელიდან-ხელში აქვან ატანილი ქვები. იმდენი ხალხი ჰყავდა თამარ მეფეს. იმფერი ძალა ჰქონდა თამარ მეფეს“ (შავშეთი, 2011: 211). ამ ციკლის გადმოცემა დააფიქსირა მკვლევარმა რამაზ ხალვაშმა სოფელ უსტამისში 2005 წელს

(მთქმელი ეუბ ალთუნი): „ამბობენ ქი კელიდან კელზე ქვიები ამუტანიან ყალეზე...“ (შავშეთი, 2011, იქვე).

საინტერესოა კიდევ ერთი ტოპონიმის ისტორია, რომელიც შავშეთში დავაფიქსირეთ. ეს გახლავთ „ჩაქველთა“. ახლა თურქეთში მას „Şenojax“ ჰქვია. იქაური მცხოვრებლები ადგილის სახელწოდებას აჭარიდან წადებულად მიიჩნევენ. ყოველი ენობრივი კოლექტივი გარკვეულ ტერიტორიაზეა განლაგებული. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგჯერ გადასახლებულთ თან მიაქვთ ძველი საცხოვრისი ადგილების სახელები და არქმევენ ახალ სამოსახლოს ცალკეულ უბნებს. ასე მაგალითად, საქართველოდან ფერიდანში გადასახლებულ მოსახლეობას ახალი საცხოვრისათვის მშობლიური ქალაქისა თუ სოფლის სახელი დაურქმევია (მარტყოფი, ვაშლოვანი, რუისპირი, ნინოწმინდა...) (ქართული ენა, 2008: 477).

ჩაქვი – მდინარე და დაბაა ქობულეთის რაიონში. აზ. ახვლედიანის ზეპირი ინფორმაციით, აჭარაში ჩაქვი-ტანსაცმლის ნაირსახეობა იყო, ფერდებზე შეჭრილი. ჩაქურა – „აჭარლების... ძველებური ტანსაცმელი იყო-მოკლე წელზევითა ჩოხა და ვიწრო ტოტებიანი, თავგანიერი შარვლით“ (ნიჟარაძე, 1971: 397). ჩაქვის თავდაპირველ ფორმად ჩვენ „ჭაკვი“ მიგვაჩნია. „ჭაკვი“ გამოიყენება დანის სინონიმად აჭარულში: ჩაქი დანა // ჭაკვი დანა – ჯიბით სატარებელი პატარა დანა, ჯაყვა (ნიჟარაძე, იქვე). რაც შეეხება „ჩაქვი“-ს ეტიმოლოგიას, ეს ადგილი, გახსნილი ჯაყვის ფორმას თუ წარმოვიდგენთ, მართლაც ასეთი ფორმითაა შეჭრილი შავ ზღვაში. აქ არაა მდინარის იმდენი ნაშალი, როგორც მდინარე ყოროლისწყალში. აჭარაში ტოპონიმ „ჩაქვი“-ს ეტიმოლოგია სწორედ მისი მდებარეობით იხსნება.

ინტერესს იწვევს ერთი მთის სახელწოდებაც: წეფთა//წიფთა, რომელიც საუცხოო სანახავია და შორიდან უნაგირის ფორმა აქვს. შავშეთის მკვიდრი 71 წლის შამსედინ ყადირის ძე გუნეში იხსენებს: „...წეფთაზეც დუჟუპატიჟნია კაცი და რა გურიაო? – უკითხავს – მოგწონდათ? – ფენა ლამაზია, ფენა კაია, მარა წეფთავსო მაღლა და შეგცივდებაო.“ წეფთაში იქაური მკვიდრი 72 წლის ჯებრაილ მუსტაფის ძე ბექიროღლი (ბარა) გვესაუბრება: “ეს ჩვენი უსტამისია, ძველი სახელი ესკი კალეა, ახლა წეფთას ვეტყვით. წეფთა მაღალია, თოვლი გათოვდა წეფთავს და ასე დიერქვა წეფთა“.

სვანურ ლექსიკონში: წიფხა (იმ-არ,ზს. ლნტ., -არ,ლშხ) – წვეთს ნიშნავს. „ამ ზაუ წიფხ დეს მეშყედ“ (ბზ) – წელს წვეთი (წვიმა) არ ჩამოვარდნილა. წიფხარა (- რაშ, - ბზ. ლშხ. წიფხარა - რაშ, - ბქ., - რაიშ, ლნტ.) – ცრა (წვიმისა), ჟინჟვლა (ქალდანი, თოფურია, 2000: 854). ლეჩხუმურ ლექსიკონში მ. ალავიძე წიფხას ასე განმარტავს: ხის ქერქისგან გაკეთებული სასმისი, ჭურჭელი (ალავიძე, 1938: 161). რაც შეეხება წევთა // წიფთას ეტიმოლოგიას, ეს მთა თითქოს მართლაც ერთგვარ ჭურჭელს მოგვაგონებს უნაგირის ფორმით, ხოლო კომპოზიციის მეორე ნაწილი წევთა // წიფთა → სავარაუდოდ, წევ → მთა უნდა იყოს, ანუ წევთის მთა (შდრ; ოთოლთა).

### გამოყენებული ლიტერატურა

**ალავიძე, 1938** – მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, თბ., 1938.

**ახვლედიანი, 2001** – ნ. ახვლედიანი, ზანიზმები აჭარის ტოპონიმიში, ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, თბ., 2001.

**ნიჟარაძე, 1971** – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, (ლექსიკა), ბათ., 1971.

**ფუტკარაძე, 1999** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1999.

**ქართლის ცხოვრება, 1973** – ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ტექსტები დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), თბ., 1973.

**ქართული ენა, 2008** – ქართული ენა, ენციკლოპედია, შემდგენელი: ი. ქობალავა, თბ., 2008.

**ქალდანი, თოფურია 2000** – მ. ქალდანი, ვ. თოფურია, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000

**ყაზბეგი, 1995** – გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთი საქართველოში, თბ., 1995.

**შავშეთი, 2011** – შოთა რუთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი “შავშეთი”, თბ., 2011.

**ჭარაია, 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

## ს ა ლ ო მ ე ბ ე რ ი ძ ე

### თანხმოვანთა დაკარგვა დაბა ასპინძის მცხოვრებთა მეტყველებაში

სტატია ეხება ბერის დაკარგვის პროცესს დაბა ასპინძის მცხოვრებთა მეტყველებაში.

მისი მიზანია, გამოავლინოს ბერის დაკარგვის პროცესები დაბის მცხოვრებთა მეტყველებაში, აგერეთვე გამოავლინოს ის მსგავსებები და განსხვავებები, რაც მცხოვრებთა მეტყველებას ახასიათებს ბერის დაკარგვის დროს.

ფაქტის შესწავლის მიზნისათვის ავირჩიეთ დაბა ასპინძის სამი უბანი, ესენია: **ერკოტელთა უბანი, ხიზაბავრელთა უბანი და იმერელთა უბანი**. თითოეული უბნიდან შევარჩიეთ სამოცდათხუთმეტი წლიდან ოთხმოც წლამდე ასაკის ინფორმატორები და ჩავიწერეთ მათი მეტყველება, სულ ცხრამეტი ინფორმატორია. შესაბამისად, ბერის დაკარგვის პროცესი ამ სამ უბანში ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით არის შესწავლილი.

როგორც ცნობილია, დაბა ასპინძაში ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსახლეობა. მაგალითად, ერკოტელები ერუშეთიდან, ხოლო იმერლები იმერეთიდან დაბაში მას შემდეგ ჩამოსახლეს, როდესაც 1944 წელს ასპინძიდან გაასახლეს მაჰმადიანი მესხები. რაც შეეხება ხიზაბავრელებს, ისინი დაბაში საკუთარი ნებასურვილით არიან ჩამოსულები სოფელი ხიზაბავრიდან.

ასპინძა მდებარეობს ოთის წყლის და არტანის მტკვრის შესართავს შორის. ოდითგანვე იგი გაშენებული იყო ციცაბო კლდის ფერდობებზე აღმართული ციხის გარშემო. მას დასცქეროდა კოხტის ციხე, რომელსაც ჩაუდიოდა კოხტის ხევი, საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ბერი ასპინძა უნდა ყოფილიყო საქართველოში, რადგან იგი გზების პირას აგებულ სასტუმრო – დამის გასათევს ერქვა, მხოლოდ აქ, სამცხის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე შემოგვრჩა ადგილის სახელად. ასპინძასთან არის დაკავშირებული მასპინძელიც, სიტყვა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქართველი კაცის ყოფა (ბერიძე, 2000: 5).

ასპინძის ეტიმოლოგიაზე შემდეგი მოსაზრება არსებობს: „გეორგაფიული სახელი *ასპინძა*, შესაძლოა დაუკავშირდეს სიტყვას მასპინძელი. მაშინ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო *სადგური, თავშესაფარი*. დადასტურებული ფალაური *ასპანჯ, ისპინგ*, რომელსაც ეყრდნობა ქართულიც. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა სპარსულ *asp* უკავშირდება, მაგრამ არამეული ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულია *usping* ან *ispij* (ანდრონიკაშვილი, 1966: 287).

ასპინძა პირველად იხსენიება ჩვენს საისტორიო მწერლობაში მე-9 საუკუნეში, კერძოდ, 888 წელს.

ომები და სისიხლისღვრა თავიდანვე დაებედა ასპინძას, რადგან იგი იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი. აქ გადიოდა ისტორიული გზები, იყრებოდა ორი მდინარე, საზღვარი ედო სამცხესა და ჯავახეთს.

ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარავს ასპინძის რაიონს. მისი სოფლების ნაწილი ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზეა, ხოლო ნასოფლარები ერუშეთის სოფლები იყო. სამცხის ნაწილი ასპინძიდან ვარძიამდე სოლოვით შეჭრილი იყო მტკვრის ხეობაში, დანარჩენი ნაწილი სოფლებისა კი ისტორიულადაც და დღესაც სამცხის შემადგენლობაში შედიოდა და შედის. ასპინძა დასახლებულ პუნქტთა გარკვეული ნაწილის ცენტრი იყო უძველესი დროიდან, ალბათ მას შემდეგ, როდესაც იგი მოიხსენიება სოფლად. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ მე-16 საუკუნის ოსმალური დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (ბერიძე, 2000: 5-6).

ასპინძის რაიონში დღეს ცხოვრობენ ჯავახები, იმერლები, მთიულები და აჭარლები, რომლებიც, მართალია საქართველოს იმ კუთხეების ეთნომემკვიდრეები არიან, საიდანაც ჩამოვიდნენ, მაგრამ ყველა ერთად არის მესხი, საქართველოს უძველესი ქვეყნის – მესხეთის კულტურისა და ისტორიის მემკვიდრე. ასპინძის რაიონის სოფელ ტამალაში ცხოვრობენ არზრუმიდან ჩამოსახლებული სომხები (ბერიძე, 2000: 5-6).

ასპინძის რაიონი შედის სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ მხარეში. მას ადმოსავლეთით ახალქალაქის, ჩრდილოეთით ბორჯომის, დასავლეთით ახალციხის რაიონები ესაზღვრება. სამხრეთის საზღვარი კი მთლიანად ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

რაიონის ტერიტორია 822,4 კვადრატული კილომეტრია, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 1,5% შეადგენს. მოსახლეობა 14,0 ათას კაცს აღწევს, ანუ ქვეყნის მოსახლეობის (4,8 მილიონი) 0,03 პროცენტია (ბერიძე, 2000: 294).

მუნიციპალიტეტის თანამედროვე ცენტრი ასპინძა ისტორიის გარდა, თანამედროვეობითაც არის საინტერესო ენათმეცნიერი დიალექტოლოგებისათვის. აქ თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მოსახლეობამ, რის გამოც ხდება ზოგიერთი ენობრივი პროცესის შენარჩუნება, ან შერევა, ან ადგილობრივი დიალექტის გააქტიურება.

ბერათა დაკარგვის მეტი წილი შემთხვევები დაკავშირებულია უმთავრესად თავკიდურ, აგრეთვე ბოლოკიდურ მარცვალში თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივებასთან, რაც ხშირი მოვლენაა სხვა დიალექტებშიც და, საერთოდ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში. ჯავახურში იკარგება უმთავრესად **რ, ლ, მ**, მჟღერი ხშული **გ, დ**, ყრუ ფშვინვიერი სპირანტი **ხ**. რაც შეეხება ვ-ს, მისი გაუჩინარების ბუნებრივი ადგილია ლაზილური ხმოვნების წინა პოზიცია (მარტიროსოვი, 1984: 38).

**ვინი** იკარგვის არა მარტო მაშინ, როცა იგი პირის ნიშანია და პირის ნიშნად მოსალოდნელია სასხვისო ქცევის **უ** ხმოვნით დაწყებულ ზმნებში, არამედ **ო, უ** და **ე** ხმოვნებთან მეზობლობასა და რიცხვა შემთხვევაშიც (ბერიძე, 1988: 40-41).

ვინის დაკარგვის შემთხვევები დაფიქსირდა ასპინძის რაიონში მცხოვრებ ერკოტელთა მეტყველებაში: „**ზეით**“; „**ზეიდან** მიწურზე მალლიდან გვქონდა გაკეთებული ისა, ერდოებს ვემახდით“; „**ზეიდანაც** თავისნაირი არი დამხობილი“; „ცეცხლს **ქვეიდან** მივცენდით“; „იქვე **ქვეით** ცხოვრობდა მეზობელი, სათუთ ბაბოს ვემახდით“; „**თითონ** ფორმა ისეთი ქონდა, რა ვიცი...“.

**ვ** არ ჩანს აგრეთვე თანხმოვნებს შორის, უმთავრესად სონორებთან მეზობლობაში: „**დამკრელები** უკრავენ“; „რაც **შემხდებოდა**, ვაკეთენდი სჭმელს“.

ვინის დაკარგვის მსგავსი შემთხვევები გვხვდება აგრეთვე დაბა ასპინძაში მცხოვრებ **ხიზაზაგრელთა მეტყველებაში**, მაგალითად: „მე **თითონ** ვქსოვდი“; „ხოდა, მაგითი **ვადვიებდით** ლამაზად და ერთი რო ამოვიდოდა, კიდე მეორეთ **ჩაურევდით**, რო უფრო უკეთესი ნაზუქი გამოსულიყო“; „ლამაზათ, **ფქილსა მოუკითენდით** ცოტა სქელი მოსულიყო, რო ჩურჩხელა დაეკავებინა“; „ხო გადმოვიღებ-

დით იმას, **გავაციებდით** ლამაზათ, იმის წვენი ხო ქვონდა შენახული“;

ვინის დაკარგვის მსგავსი მაგალითები დადასტურდა აგრეთვე დაბა ასპინძაში მცხოვრებ გადმოსახლებულ **იმერელთა მეტყველებაშიც**: „ბავშვობა ყველა კარგია, **გაჭირებაც** და გოლჭირებება“; „ბაზარში **მაგზანიდა** ხოლმე“; „სუყველას ვეუბნევი, გოგო, არ იცი **გაჭირებაში** ძროხა რა არი“; „თუ **ვიმუშაებდი** ერთი წელი, საექიმოზე უნდა ჩამებარებინა“; „ნახევარ სახში **თითონ** და თვისი მუნჯი მოჯამაგარე იყო“; „ზევიდან ღომს ჩამოკიდებდა, **ქვეიდან** ამ კეცებს“.

გავრცელებულია **მანის** დაკარგვა. მანი იკარგვის განსაკუთრებით სიტყვის თავში: არსებითსა და ზედსართავს სახელებში, ზოგჯერ ზმნიზედებშიც. ხშირია მიმღეობის მანის დაკარგვის შემთხვევებიც სახელებსა და ზმნიზედებში.

**მ-ს** დაკარგვის პროცესი დაფიქსირდა **ერკოტელთა მეტყველებაში**: „როგორც ძაფი დაიხვიო, აესე **სხვილი**“; „**სუქანი** კაცი იყო“; „თეთრი იყო, **ტრედას** ვეძახდით“; „სულ ისევე დარჩა, **თავრობას** დარჩა, **თავრობამ** ისაქნა“; „წიგნებიც რა **სუბუქი** იყო, ეხლა რო არი ძიმე ტყვიასავით“; „**დიდრები** ყოფილა დედაჩემის ოჯახი“; „ასე **რგვალი** პურები, გახვრეტილი პურები“; „კი, **ზითები** მოქონდა, აბა?“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „რავიცი ესეთ რაღაცეებს აკეთბდა ხოლმე და **თელი** რაიონი მერე მაგაზე ლაპარაკობნენ, იცინოდნენ ხოლმე“; „შუაშიგახვრეტილივითიყო, ასეპატარა**რგვალივითიყო**“; „მატყლსა? მატყლი ზოგი **თავრობასა**ბარებდა, ზოგი ესოვდნენ“; „**ჭადი** შეიძლებდა გამომცხვარიყო“; „დავდიოდა **წყემსათ**, მე კრავში დავდიოდი, მამაჩემი ცხვარში“.

მსგავსი მოვლენა დასტურდება **იმერელთა მეტყველებაშიც**: „**ჭადი** და ღომი უაცილებელი, პური, პური ისე იყო, რო ომის დროს პურს მარტო ჩხეიძეები **ჭამდენი**“; „**თელი** ცხოვრება არ დამავიწყდება“; „წინგს იცი როგორ იმაშრობოდნენ? ვიწერდით **დიდრებისაგან**“; „მერე ყურძნის ჩაბარება იყო **თავრობაში**“; „ჩვენი ხალხი არავინ არ დაგვიძახნია, რო არ გეიგოს **თავრობამ**“;

**მ** არ გვაქვს სიტყვის ფუძეში. იგი ხშირად მოკვეცილია აგრეთვე კავშირებსა და ნაწილაკებში (მარტიროსოვი 1984: 40). **ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „**იმიტო** უძახდნენ“; „მერე ამას **რო**„იყო, სუფთათ იყო **იმიტო რო**“; „მერე ის დამკრელები მეტს ახდევინდნენ ქორწილის პატრონს, **ი** ფულ თუ არ მიცემდნენ, პატარძალი რო ცეკვავდა“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „იმიტომაც **რო** შებრალევა არ ქონდათ ბავშვების და ქალებისო, **რო** ყველაზე ერთნაირად ნადირობდნენო“; „**რატო** მოდიოდნენ იქ სამხედროები, **რატო** იყვნენ ეხლაც ვეღარ ვიგონებ“.

მსგავსი პროცესი დასტურდება **იმერელთა მეტყველებაშიც**: „დარი **რო** გამოვიდოდა, მეორე დღეს წვიმდა სახში კიდე“; „აქ პარკში **რო** წურავენ ისე კი არა“; „**იმიტო** **რო** ზეთოვანია“; „აი, საშუალოს **რო** დაამთავრებდი“.

მანის დაკარგვის შესახებ ვ. თოფურია შენიშნავს, რომ **-ელ, -ალ, -ავ და -არ-**ზე დაბოლოებულ სახელებთან მოსალოდნელია **მანის** დაკარგვასთან კი არ გვქონდეს საქმე, არამედ ქართველური ენების გაყოფამდელი ვითარება შეიძლება იყოს შენარჩუნებული დიალექტებში. ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: მკლავი, მხალი, მგელი... მიმღობათა მანის ანალოგიით ჯერ გასჩენიათ და მერე დაუკარგავთ (ბერიძე, 1988: 40)

**სანის დაკარგვა.** ამ ბერის დაკარგვა დასტურდება სხვა კილოებშიც (კერძოდ, ქართლურში, მესხურსა და კახურში). სანი იკარგება **სტ** კომპლექსში: ტამბოლი, ტაფილო, ტალინი... მარტივდება **სწ** კომპლექსშიც: წორეთ, წრაფად, წავლაში... მარტივდება **სპ**: პილენძი, პილო, პეცია... სანი იკარგება მაშინაც, როცა მსაზღველი მართულია (ნათ. ბრუნვაშია) და წინ უსწრებს საზღვრულს, მაგრამ განსაკუთრებით არ ჩანს იგი მაშინ, როცა მსაზღვრელ-საზღვრული კომპოზიტი და სწრაფვა აქვს კომპოზიტობისკენ (ბერიძე, 1988: 38).

მოყვანილი მაგალითები და პროცესები არ დასტურდება დღევანდელი ჩვენი მასალის მიხედვით.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-ს** ელემენტი არ ახლავს პრეპოზიციულ მსაზღვრელს, იქნება ის თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი (ფუძეკვცვცადი). ასეთ პირობებში, განსაკუთრებით ფუძეთანხმოვნიან სახელებთან, იქმნება ერთგვარი წინაპირობა მსაზღვრელ-საზღვრულის გაკომპოზიტებისა (მარტიროსოვი 1984: 41).

**ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „**ფერმი** გამგე იყო“; „**სკოლი** ყანებში“; „**მერცხლი** ბუდურები იყო მაღალი“; „საშუალო **სკოლი** დირექტორი“; „ისიც იყო **განათლები განყოფილები** გამგის მოადგილე“; „ოღონთ **ღორი** ერბოს“; „**სომხი** ეკლესიას ვუძახით“; „**ჯორისაკიდ** ვეძახით“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „**ცომი** პურებს შევიანახებდით და იმაში ჩაურევდით“; „**ქერი** პურს



მაგარი ხდებოდა, ესე იგი ორი დღის მერეც მაგრდებოდა და კარტო-ფილში ურევდით ცომს“; „**გასვენები** დროს ყოფნიდათ ხოლმე“; „ერ-ბო არა, **ღორი** ქონით უფრო მეტათა“; „**ბატი ხინკალს** ძვლიანად ვჭირდით, ვაკეთებდით იმას ცომში, რაგორც ჩვეულებროვ ხინკალს, ისე ვაკეთებდით“; „**ცხვრიყველში** უფრო ბევრი ცხიმი აქ, ვიდერ საქონლისაში“;

### **იმერულში არ დადასტურდა მსგავსი პროცესი.**

ასეთივე ვითარება გვაქვს ჩვენებით, უკუქცევით ნაცვალსახელებთან და ნათესაობითში დასმულ საზოგადო სახელებთან, რომელთაც დაერთვის სათანადო თანდებული. **ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „**იმი ქვეშ** ერე ჩაინგრა“; „**თავი** გოგოს უძახის“; „ბაღშია **ამი** გოგო წასული“; „**ამი** გულისთვის გააუქმეს“.

**ხიზაზავრის მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „რა ვიცი **მაგი** ტექნოლოგიას ვერ გეტყვით“; „ავდექი და **მაგი** კურსებზე შევიტანე **თბილიში**“; „**თბილიში** წავიდნენ და გავყიდეთ ეს ყველაფერი გაყიდეს“;

**იმერელთა მაგალითები:** „ამ ორს რო **მიცა** სამსახური და გაუშვა კაბინეტიდან შენ დარჩიო; მითხრა ახლა მეორე **დაკირდება**, ახლა მესამეს და ასე“.

უფრო ხშირია შემთხვევები მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის მოკვეცისა. იგი იკარგება ბოლოთანხმოვნიან სახელებთან განურჩევლად იმისა, თუ წინადადების რომელი წევრია (პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, ადგილის გარემოება და სხვ.). ასეთი სახელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს შემასმენელს, მაგრამ იშვიათად მის შემდგომაც შეიძლება შეგვხვდეს (მარტიროსოვი, 1984: 41). **ერკოტელთა მეტყველებაში** დადასტურებული მაგალითები: „იქაც ალაგებდა დედაჩემი **ლოგინ** აქეთაც“; „**პურებ** გამოაცხობდნენ“; „**წინდებ** ვქსოვდი ეხლაც ვქსოვ“; „**მჭად** რამეს ვაცხობდით“; „**ხუშტულებ** არ უძახით ეხლა?“, „**ლულა ქაბაბ** აკეთებდნენ“; „იმ **გვირაბებ** კი მოვესწარი“; „**ხახვ** მოუწვენდნენ“.

**ხიზაზავრელთა მაგალითები:** „მარანს ეძახდნენ, ეხლა **პურ** რამეს გამოაცხობდნენ ხოლმე“; „**პურიც** იქ ქონდათ, **ხორბალ** რამე რაც მიიღებდნენ კოლმეურნეობიდანა, ამბარი ქონდა, ამბარში ჩაყრიდნენ“; „შემოდგომითა, აი, **ბატკნებ** გაპარსავდნენ ხოლმე, გაიგე?“, „ყიდულობდნენ **ბრინჯ** რამესა და გვიკეთებდნენ, კაცო“; „შეშა დიეწყოთ, ცეცხლი მიეცა და **ქალ** პურიგემიეცხო“; **იმერელთა მეტყველებაშიც** დასტურდე-

ბა რამდენიმე მსგავსი მაგალითი: „იმ კვებებზე ვაკეთებდით **ხაჭპურ**“; „ჯაჭვი **საქონელ** რო **ამზავენ** რამეს, იმაზე მერე ჩამოვიდებდი“; „სიმღერა ასეთ **რადიკებ** რომ პირველ კლასში რო მივიდოდენ, მომზადილი ყოფილიყო“; „მე **სამსახურ** ხო არ დავკარგავდი“.

**სანი** გაუჩინარებულია ხმოვანზე გათავებულ მსაზღვრელებთან, უფრო მეტად საკუთარსა და ტოპონიმიკურ სახელებში. საკუთარ სახელებში: **ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: ზოირად უძახდნენ ი ავთანდილა** მამას; **სტალინი** მერე დაიწია, დაიწია აღარ უპატრონეს; იმის თავზე ეძახდნენ **ინასათიბ**.

**ს** სუფიქსი იკარგვის მიცემით ბრუნვაში ბოლოთანხმოვნიან სახელებთან, იქნება ეს მიცემითი შემასმენლის წინ თუ უკან. მაგალითები: ჩვენებითი ნაცვალსახელი **ეს, ის** გამარტივებულია ე, ი-დ: ერკოტელთა მაგალითები: „**ი ბერიძე** პავლეი იყო“.

**ხიზაზავრელთა მაგალითები: „ი პური** ყოფნიდათ ხოლმე ერთ კვირას, კვირას, გააჩნია ახლა ოჯახსა“.

სუბიექტური მესამე პირის სუფიქსი **-ს** ზოგჯერ არა ჩანს ისეთ ერთპირიან და ორპირიან ზმნებში, როგორებიცაა: არის, დგას, აგებს; ერკოტელთა მაგალითები: „აქ ხო ბალახი **არი** ამ იმ მიწაზე“; „ვარნეთში ეკლესია **არი**“; „ერკოტის ქვემოთ **არი** სოფელი“; „ეგ რა **არი,სიმიინდი** ფქვილსა...“.

**ხიზაზავრის მაგალითი:** „ისეთი ორნამენტებით **არი** მოქსოვილი“.

**ზრდ** კომპლექსი მარტივდება როგორც **რ-ს**, ისე **ზ-ს** დაკარგვით.

ერთი მაგალითი დასტურდება ხიზავრელთა მეტყველებაში: „კარგი, ჭკვიანი, გაგებული, **ზდილობიანი** ადამიანი, როგორი იქნებოდა სიმპატიური კაცი, ჰო“.

**რ-ს** მსგავსად, **ლ-ს** დაკარგვაც ზოგჯერ თავმოყრილ თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივებით არის გამოწვეული, ოღონდ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში. ასეთი შემთხვევები გვაქვს, მაგალითად, მაშინ, როცა არსებითი სახელი (და ზოგი სხვა) **-ში** თანდებულს დაირთავს, ან კომპოზიტის ნაწილია; ერთი მაგალითი დადასტურდა **ერკოტელთა მეტყველებაში:** „მივიდნენ და უთხრეს შენ **სახში** რა დაგრჩა“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში:** „ჩვენ **სახში** დანარჩენი იყო ძველი სახლი; როგორ მიწურ **სახში**, სიცოცხლე, მიწურ **სახში** ვცხოვრობდი“.

**ერთი მაგალითი დასტურდება აგრეთვე იმერელთა მეტყველებაში:** „ოჯახის დიასახლისი იყო,სახში პატრონობდა ოჯახს ჩვენ ვიყავით სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახი, ვიყავით, დედაჩემი იყო სახში“.

ბოლოკიდური **-ლ** იკარგება სიტყვაში „სულ“; ერკოტელთა მეტყველებაში დადასტურებული მაგალითები: „ეხლა **სუუ** უმუშავრები ერცახელა საქართველო, დაქუცმაცებული“; „**სუ** შრომადღეზე იღებდნენ ფულს“; საჭმელები **სუ** ნატურალური“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში:** „**სუ** საზღვარგარეთის ის იყო; ჩემი ქმარიც ხო წერდა ლექსებსა და **სუ** ვკითხულობ ხოლმე“.

მამინ იკარგვის **ლასი**, როცა თანხმობით დაწყებული სუფიქსი, ან თანდებული ერთვის მათ. მაგრამ რატომ არ იკარგება სხვა რომელიმე თანხმობანი და მხოლოდ ლასი? შესაძლებელია იმიტომ, რომ მისი დაკარგვით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ბუნდოვანდება (ბერიძე, 1988:41).

**„უნდა“** მეშველი ზმნა ისე მარტივდება, რომ ერწყმის წინა სიტყვას (მეტყველების ყველა ნაწილს). **ერკოტელთა მაგალითები:** „**ხელში’ნა** მოხვდეს, ის ზემოთ იყო“; „თავი **გემოზენა** ყოფილიყო“; „მაფი დამახოს, რო **რადაც’ნა** მოქსოვოს“; „რომელ ოჯახშიც ჩასახლდებოდა იმის **გვარი’ნა მიელო**, მარა მამაჩემს არ მიუღია“; „რა **ვეში’ნა** გვექონოდა,რო“; „მესამე დღეს **ბიში’ნა** გამომცხვარიყო“; „**ერბო’ნა**ზევიდან მოასხა“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში:** „**უნა** ებანებინათ და გეეპარსათ“; „რო **უნა** გავსულიყავი სანახავად“. „**ჩაასხა’ნა** წყალი, რამდენი ის იქნება გუნდა ცომი, იმდენი კრუმკა წყალი უნდა ჩაასხა“; „ყველის ხინკალი უნდა ის გვექნა, **ერბო’ნა** მოგვეწვა,მოგვეშუშა ლამაზათ წმინდა ერობში“; „**მოხარშო’ნა**, შეწვა და ჭამო ლამაზათ“; „ხო, ცხრა კლასი დავამთავრე, შემოგვევლე, **მეთათეში’ნა** მივსულიყავი და არ მიველი“.

**იმერლების მეტყველებაში:** „**უნა** მოწველო, რძე თბილი უნდა იყოს, რძე“; „მოგეთხოვებოდა, **უნა** გემუშავა კოლმეურნეობაში დღე და ღამე“; „კინო კამერა ერქვა, სადაც აპარატი უნდა დამდგარიყო, იქიდან **უნა** ეჩვენებინა კინო“; „ერთი მესამედი**უნა** გაურიო სიმინდის ფქვილიში“.

**ნ-ს დაკარგვის პროცესი ერკოტელთა მეტყველებაში:** „საბადურში ცოტა ბოლოს და ბოლოს დათვები **გამრავლდენ**“. „ბევრი **ვიდამ** დაახრჩო თოვლმა, ბუქმა ისეთი ბუქები იყო იქ ერკოტაში“.

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში:** „განსაკუთრებით მტკიცენულად მახსოვს ხიზაზავრაში, რო თათრები **შემოესივენ**“; „იმ ბუხარს იქ **გავაყოფიებდით** თავსა ლამაზათ და ვთბებოდით“; „ყველაფერი იცოდნენ სტუმრად რო მოდიოდნენ **ვათენებიებდითო** ღამესო“; „**გა-იყარენ** დაწავიდნენ, გადასახლდნენ“.

**იმერელთა მეტყველებაში:** „ვინ **შეგანახვიებდა** უნდა შეგეჭამა ან გაგყეიდა“; „ქალის მოვალეობა იყო ოჯახი **დაესუფთავებია**“; „ოჯახის რჩენა ძირითადათ ყველა შემოსავალი კაცს უნდა **გაეკეთე-ბია**“; „ის უზუმჩაირი რო **დაგაწერიე**, შენ მე ვიყავი თავჯდომარე იქა“; „მიცვალებული უნდა **გაესვენებიათ** და მერე დაჯდებოდა პუ-რის საჭმელათ“; „სკოლაში სასწავლო-სააღმზღველო მუშაობა უნა **მოგწესრიგებია**“; „სადაც კინოს **უყურებდენ** იმავე კლუბში“; „ომის დროს პურს მარტო ჩხეიძეები **ჭამდენ**“; „ასე ბალკონი ქონდათ, ფარ-დებს **გაფენდენ**, მოკარნახე ვიყავით მე და ჩემი და“; „მოიტანთო ექვს ფუთ **სიმიდსო**“.

**დ-ს დაკარგვის პროცესი ერკოტელთა მეტყველებაში:** „**კარგა** რო შემაგრდებოდა დავახვევდით“.

„**კარგა** რო გაწითლდება“; „ესე მოუჭერდი ძირსა დავდენდი გული გვაქე გაკეთებული ერბოთი, კარგ ბლომ ერბოში უნდა“.

**ხიზაზავრელებში არ დასტურდება დ-ს დაკარგვა.**

**იმერლების მეტყველებაში:** „შეეშინდა მამაჩემს და უკან **წავე-ით**“; „იმას მერე გამოხდიან არაყი **გამოის** შიგა“; „მტკვარ გაღმა **გაით** და იქ ააშენეთ სახლებიო“.

**მ-ს დაკარგვის პროცესი ერკოტელთა მეტყველებაში:** „**შიილე-ბა** თუ სლაბია“; „თუ სითბო იყო, იმის შენახვა აღარც **შიილებოდა** სითბოში“.

**ხიზაზავრის მეტყველებაში:** „**შიილება** გამომრჩა ერთი წუთით რას ემახინა იქით“; „გააჩნდა **შიილება** უფრო გრუბი ფერებით რაღაცა“.

**იმერეთა მეტყველებაში დასტურდება ერთი მაგალითი:** „ბავ-შვი რო ვიყავი იქიდან ვმუშაობ, თოხნა, ბარვა რაც **შიილებოდა**“.

**თ-ს დაკარგვის მაგალითები იმერელთა მეტყველებაში:** „მე ვი-მუშავე ორმოზოდა **ხუთმეტი** წელი“; „ერთი ქვევით, უკნიდან და **შიგ-ნი** ოთახები იყო, კაი ოთახები ქვონდა“

**ხიზაზავრელთა მეტყველებაში დასტურდება თანხმონების – გ-სა და ტ-ს დაკარგვის თითო მაგალითი:**

„მე ნეტა რა არ მახსოვს, **მარამ** რაც ესე იგი 40 წლიდან აღარფე-რი არ გაკეთებულა“.

„აი, იქიდან ჩადიოდნენ, წყალი ამოქონდათ **მკვრიდანა**, ხოლო იქ იმალებოდნენ კიდე ეს სოფელი“.

განხილული მასალიდან გამომდინარე, ვხვდებით ბგერის დაკარგვის შემთხვევებს სამივე უბანში. სამივე უბანს ახასიათებს საკუთარი, ინდივიდუალური მეტყველება, თუმცა გვხვდება საერთო ფაქტებიც, რა შემთხვევაშიც სამივე უბანში ბგერის დაკარგვის მსგავსი პროცესი დასტურდება. მაგალითად, ბგერა ვინის დაკარგვა სამივე უბანში ერთნაირად მიმდინარეობს და იგი იკარგვის უმეტეს შემთხვევაში **ო, უ და ე** ხმოვნებთან მეზობლობაში, საერთო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სიტყვა „ქვეიდან“, რომელიც სამივე უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში დასტურდება.

ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბგერის დაკარგვის პროცესი ორ უბანში ერთნაირად მიმდინარეობს, ხოლო მესამე უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში ის საერთოდ არ გვხვდება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სანის დაკარგვა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-ს** ელემენტი არ ახლავს პრეპოზიციულ მსაზღვრელს, იქნება ის თანხმოდანფუძიანი თუ ხმოდანფუძიანი. სანის დაკარგვის ეს პროცესი ერთნაირად დადასტურდა ერკოტელთა და ხიზაბავრელთა მეტყველებაში, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა იმერელთა მეტყველებაში.

აგრეთვე გვაქვს შემთხვევები, როდესაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ უბანში, ბგერის დაკარგვის მიზეზი ურთიერთგავლენის შედეგია, რაც გამოწვეულია თანაცხოვრებით. მაგალითად, განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, ხიზაბავრელთა და ერკოტელთა უბნის მცხოვრებთა მეტყველებაში მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის მოკვეცისა, ხოლო იმერელთა მეტყველებაში – დადასტურებული, რამდენიმე მაგალითი ამ ორი უბნის გავლენის შედეგი უნდა იყოს. საპირისპიროდ შეგვიძლია ვიფიქროთ იმერელთა მეტყველების გავლენა ერკოტის უბანზე, მაგალითად, **ნ**-ის დაკარგვის პროცესი ბუნებრივია და მრავლად გვხვდება იმერელთა მეტყველებაში, ხოლო ერკოტის უბნის მეტყველებაში **ნ**-ს დაკარგვის პროცესი დადასტურდა რვა რესპოდენტიდან მხოლოდ ორში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პროცესი გავლენის შედეგია.

**ძ** თანხმოდანის დაკარგვის ერთადერთი მაგალითი „შილება“ დამახასიათებელია სამივე უბნისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ანდრონიკაშვილი, 1966** – მ. ანდრონიკაშვილი, „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

**ბერიძე, 1980** – გრ. ბერიძე, „ქართული ენის ჯავახური კილო“, თბ., 1988.

**ბერიძე, 2008** – მ. ბერიძე, „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის“, თბ., 2008.

**მარტოროსოვი, 1984** – ა. მარტოროსოვი, „ქართული ენის ჯავახური დიალექტი“, თბ., 1984.

**შანიძე, 1980** – ა. შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, ტომი III, თბ., 1980.

**ბერიძე, 2002** – შესავალი, „ჯავახეთი ისტორია და თანამედროვეობა“ I, ახალციხე, 2002.

**ბერიძე, 2000** – შესავალი, ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000.

## მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

### საქონლის ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი სიტყვები მეგრულში

მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში საინტერესოდ არის წარმოდგენილი საქონლის ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი ტერმინები. სამწუხაროდ, მათი ნაწილი დღეს აღარ გამოიყენება ცოცხალ მეტყველებაში, მეტიც, ოციოდე წლის წინ სავლელ სამუშაოებისას მოძიებული მასალა დღეს უკვე უცხოა იმ რეგიონის მცხოვრებთათვის, სადაც ეს ფორმები ჩავიწერეთ. ამიტომ მათი აღნუსხვა და განალიზება საშურ საქმედ მიგვაჩნია. გარდა ამისა, ეს ფორმები საინტერესო მასალას წარმოადგენს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონისთვის.

**მოცოროზი** „ერთი ან ორი წლის მოზვერი, სახარე ხბო“ (ქობა-ლია 2010: 483). ზოგადად, მოცოროზი აღნიშნავს ჩვილობის ასაკს გადამცდარს, მაგრამ ჯერ კიდევ პატარას, ოდნავ წამოზრდილს.

**მოზვერა // მოზვერი // მოზვერია // მოზუკია** „ერთ წელზე მეტი ხნის სახარე ხბო, მოზვერი“ (ჯავახიშვილი 1986: 212, 221). შდრ. ლაზ. **მუზარი** (მარი 1910: 144); **მოზმერი** (ასათიანი 1974: 178); **მოზარი // მოზაი // მუზარი** „მოზვერი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 213); ქართული ენის დიალექტებში წარმოდგენილია **მაზვერი** (გუდ.), **მოზი // მოზიკი** (იმერ.), **მაზვერი** (მთიულ.), **მოზვი // მოზვერი** (რაჭ.) სახით. ლაზურში ქართველური ფორმის გვერდით გვხვდება თურქულიდან ნასესხები **თოსუმი** „მოზვერი“ (სიბრძნე 1994: 246).

**ქაბულა // ქაბგლა // ქაბლა** „უშობელი“ (ყიფშიძე 1914: 341; ქაჯაია 2001: 44). „ძროხის შვილი მეორე წელს“ (ჯავახიშვილი 1986: 212). სამეცნიერო ლიტერატურაში ზანური **ქაბ-ულ-ა** სვანურ **ღაბ-ნ-ა-სა** და ქართულ **გბ-ო-ს** ლექსიკურ ფარდად მიიჩნევა და საერთო-ქართველურ ტერმინად განიხილება (ჩუხუა 2000-2003: 262). აფხაზური ენის აბჟურ დიალექტში გვხვდება **ა-ქაბლა / ა-გამლა** „ერთი წლის ხბო“ სახით. აფხაზი ენათმეცნიერი ვ. კვარჭია, რომელსაც მონოგრაფიულად აქვს გამოკვლეული აფხაზური მწყემსური ლექსიკა, შენიშნავს, რომ **ა-ქაბლა / ა-გამლა** „ერთი წლის ხბო“ მხოლოდ აბჟურ დიალექტში გვხვდება, გვაქვს აგრეთვე მეზობელ სამეგრელოში **ქაბულა / ქაბულე** „დეკეული“. ძნელია ითქვას, რომელი ენაა გამსესხებელი და რომელმა ისესხა. ჩანს, ამოსავალი სპარ. **გაბილეი** უნდა იყოს, რაც „ჯიშინანს“ ნიშნავს“ (კვარჭია 1981: 84). თუმცა ლექსიკური პარალელები სწორადაა მითითებული, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მეცნიერის თვალსაზრისს სპარსულიდან სესხების თაობაზე.

**ომაკაშე** „ორი-სამი წლის ფური საქონელი, რომელიც შეიძლება დამაკდეს, დასამაკებელი (ქაჯაია 2002: 434). ამ ლექსემის ძირი **მაკ-** იგივეა, რაც **მაკე** „ორსული საქონელი“ (ქეგლ V: 24), **მაკე** (ძვ. ქართ.) „მუცლადღებულო, ფეხმძიმე“ (აბულაძე 1973: 213), **მაკე** „ორსული პირუტყვი“ (საბა 1991: 429) და ეტიმოლოგიურად აღნიშნავს „დასამაკებელს“. **მაკე** საერთოა ქართულ-ზანურისათვის. ქართულ **მაკე**-ს მეგრულ-ლაზურში შეესატყვისება **მონკა**. მეგრულში მოხდა ერთგვარი დიფერენცირება: ჩვეულებრივ, ქალის ორსულობის აღსანიშნავად მონკა გამოიყენება: **მონკა-თ-ალ-ა** „ფეხმძიმობა“, **მონკათ ოსური** „ფეხმძიმე ქალი“, მაგრამ საქონელთან მიმართებით **მაკე** იხმარება.

**ჯაკელა // ჯაკელი // ჯაკეი** „დეკეული“ (ყიფშიძე 1914: 411); „სამი წლის დედალი ძროხა“ (ჯავახიშვილი 1986: 212); შდრ. **დეკეული** „ძროხის შვილი – საფურე ხბო ერთიდან სამ წლამდე, სქესობრივ

მომწიფებამდე“ (ქეგლ III: 1115); სვან. **დეკუტილ // დეკუულ // დეკუტილ** „დეკუული“ (თოფურია 2000: 191); იმერული და გურული **ჯაკელი / ჯაკელა** „ძროხა ორიდან სამ წლამდე, დეკუული“ (ლონტი 1984: 772) ზანიზმად უნდა იქნეს განხილული. მეგრულიდან არის ნასესხები აფხაზური **ა-ჯაკალ** (აბჟ.) „დეკუული“ (ჯანაშია 1954: 446). საგულისხმოა, რომ ბზიფურში შესაბამისი სემანტიკის საკუთრივ აფხაზური **ა-ზუწეს'** გვაქვს (ბლაჟბა 1964: 213).

**გორინელი ჩხოუ** „სამი წლის ზრდადამთავრებული ძროხა“ (წალენჯ.). მსაზღვრელად გამოყენებული მიმღება გამომდგარს, ნაწრთობს აღნიშნავს, შესაბამისად, სინტაგმა გამოსადეგ, ნაწრთობ, კარგ ძროხას გულისხმობს.

**ხაფილი** „ძროხა 3 წლამდე“; ეტიმოლოგიურად ნიშნავს „შობილს, მოგებულს“: ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი, უხაფუ დო **ხაფილს** ვა იშებჩიბებდე თეში „ჩემი საქონელი შენ ამიშენე (=გამიმრავლე), უშობელსა და შობილს (ხზოიანს) რომ ვერ ამოვიცნობდე ისე“ (მაკალათია 2006: 397).

მამრობითი სქესის მსხვილფეხა საქონლის ასაკის აღსანიშნავად გამოიყენება ზრდასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური თავისებურებები: სამ წლამდე ხზოს ჰქვია **ჟირკიბირამი** „ორკიბილიანი“, სამი წლისას – **ოთხკიბირამი** „ოთხკიბილიანი“, ოთხისას – **ამშვიკიბირამი** „ექვსკიბილიანი“ (ხობი).

არანაკლებ საინტერესოა კამეჩის ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი ტერმინები:

**მაშაყარალი // მაშაყარალა** „სამი წლის ხარ-კამეჩი“ (ჯავახიშვილი 1986: 220). **შაყარუა** მეგრულად „შეგროვება“, შესაბამისად, მიმღეობა „შემგროვებელს“ ნიშნავს. ინფორმატორის ცნობით, სამი წლის ხარ-კამეჩს შეუძლია მოსავლის შეგროვება-გადაზიდვა.

**მეჟარნეჩე** „ოთხი წლის ხარ-კამეჩი“ (ჯავახიშვილი 1986: 220). დერივატის ძირია ჟარნეჩი „ორმოცი“. მეჟარნეჩე ეტიმოლოგიურად „მეორმოცეა“. ინფორმატორის თქმით, მას ორმოცი ფუთის გადატანა შეუძლია.

**მერსულე** „კამეჩის სრული ასაკი, როდესაც მან მეწყვილესთან ერთად სამოცი ფუთი ტვირთის ზიდვა უნდა შეძლოს“ (ქაჯაია 2009: 319). ვფიქრობთ, ტერმინის ძირია მეტათეზირებული **სრული > რსული**.

**ზოკი // ძოკი** „დედალი, მამალი კამეჩი ერთი წლის“ (ჯავახიშვილი 1986: 220). სიტყვა მეგრულიდან აფხაზური ენის აბჟუურ



დიალექტში შესულა: **ა-ძაკ / ა-ძოკ** „ზაქი, კამეჩის შვილი“ (კვარჭია 1981: 86). აფხაზ მკვლევარს შესადარებლად მოჰყავს მეგრული **ძოკი**, ქართული **ზაქი**, თუმცა არ მიუთითებს სესხების მიმართულებას. აფხაზური ფორმები სესხების ორ ქრონოლოგიურ დონეზე მიგვი-თითებს, **ა-ძოკ** ადრინდელი ნასესხობა უნდა იყოს.

კამეჩის ნაშიერის აღსანიშნად მეგრულში გვხვდება **ბზანგი** „დედალი კამეჩი ორი წლის“ (ჯავახიშვილი 1986: 220); „უშობელი ფურ-კამეჩი“ (წალენჯ.), **ზანგი** „ზაქი, კამეჩის შვილი ორი წლის შემდეგ“ (ინსტ. მასალები), ასევე ქართულიდან შეთვისებული **ზაქი** „კამეჩის ნაშიერი“ (ჯვ., მარტვ., ზუგდ.).

მეგრული **ბატი** „ზაქი“ (ციფშიძე 1914: 201) **ბატკ**-ისგან არის მიღებული მეგრულ სახეობაში **კ**-ს დაკარგვით (ჯავახიშვილი 1937: 191) და ქართულ დიალექტებში ძირითადად წვრილფეხა საქონლის ასაკს აღნიშნავს: **ბატკი** „ჩვილი თიკანი“ (საბა 1991: 97), **ბატკი** (გურ.) „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი; ხბო, ბატკანი ან თიკანი“ (დლონტი 1984: 62), **ბატკი** (იმერ.) „თხა სამ წლამდე“ (ჯავახიშვილი 1986: 182), **ბატკი** (მეგრ.) „ერთი წლის თხა, დედალი“ (ჩიქობავა 1942: 15). მეგრულიდან იმავე სემანტიკით შესულა სიტყვა აფხაზურსა და უბიხურში: **ა-ბატ** „ზაქი“ (ჯანაშია 1954: 63), **ბატ** „ზაქი“ (შაგიროვი 1989: 139). იგივე ტერმინი ჩანს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში **ა-ყზატ** „მდედრობითი სქესის ზაქი“, **ა-ცზატ** „მამრობითი სქესის ზაქი“ (არშა 1980: 22, 79), **ა-ყზატფშქა** „ახალდაბადებული ფურ-ზაქი“ (კვარჭია 1981: 28).

ცალკეულ შემთხვევაში მსხვილფეხა საქონლის ასაკობრივი დიფერენციაციის წარმოსადგენად გამოყენებულია კომპოზიტები და სინტაგმები, რომლებიც ასაკისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვების შეერთებითაა მიღებული: **გინი ფუჯი** „ერთი წლის ძროხა“ (ჯავახიშვილი 1986: 220), ზედმ. „ხბო ფური“, **ხოჯი გინი // ხოჯგინი**, ერთი წლის ხბო“ (იქვე). **ხოჯი ქაბლა // ხოჯქაბლა** „მამალი ხბო ორ წლამდე“ (იქვე, 221); **ჯაკელი კამეჩი** „სამი წლის კამეჩი“ (იქვე). შდრ. აფხაზ. **ა-კამზაშჯაკალ** „დეკეული კამეჩი“ (კვარჭია 1981: 28, 86), **ბატკამბეში** „ლოლო, ზაქი, კამეჩის შვილი“ (ხობი).

**დარგა** „ორი წლის დედალი თხა“ (ჯავახიშვილი 1986: 213, 222); შდრ. სვან. **დარგ** „თხა ორ წლამდე“ (ჯავახიშვილი 1986: 205); „წალი თხა, რომელსაც თიკანი არ მოუგია“ (თოფურია 2000: 188); გურული და იმერული **დარგა** „ორი წლის დედალი თხა“ (ჯავახიშვილი 1986: 227; მოწინიძე 1974: 124); ვ. აბაევი ტერმინს განიხილავს

ოსურ **დარკ** // **დარკა** „ერთი წლის თხა“ ფორმასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ შეესატყვისება სვან. **დარგ** „თხა 6 თვიდან ერთ წლამდე“ და აქვე განიხილავს ქართ. **დეკეული** „ერთი წლის ძროხა“. ეტიმოლოგიის დადგენა ირანულის მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია“ (აბაევი 1958: 358).

**ერჯი** (ქართ. ვერძი) „ცხვარი“ (ყიფშიძე 1914: 232); „სამი წლის მამალი ცხვარი“ (ჯავახიშვილი 1986: 213, 221).

**თიცი** „ბატკანი ნახევარი წლიდან წლამდე“ (ჯვ.) იგივეა, რაც **თილი**. გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ მეგრულში აფხაზურიდანაა ნასესხები (კლიმოვი 1986: 182). შდრ. აფხაზ. **ა-თელ** „ყოჩი“ (ჯანაშია 1954: 130); არსებობს სხვა მოსაზრებაც: მეგრული **თილი** საერთოქართველური წარმოშობისა ჩანს. მას ქართულში **თიკანი-ი**, ხოლო სვანურში **ნელაშდ / ნელეშდ / ნილაშტ** „თიკანი“ შეესატყვისება. ქართველურ ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: შდრ: წიკირ, ბოთლ. წიკირ, ჭარ. წიკი < წიკირ, ტინდ. წიკარ, ბაგვ. წიკერ, კარ. წიკერ, ახვახ. ჭიკე, დიდ. ციკი, ხვარშ. ჩიკი, ბეჟ. ჩიკე, ჰუნზ. ჩიკე „თიკანი“ (ჩუხუა 2000-2003: 263).

**ქვაშიდი** // **ქვაშთი** „წლის შემდეგ თოხლი, დედალი“, „ორი წლის დედალი ცხვარი“ (ჯავახიშვილი 1986: 213, 221). იგივე სიტყვა გვხვდება აფხაზურში: **ა-ქაშთ** „ცხვრის ნაშენი 6 თვიდან წლამდე“ (ბჟანია 1962: 57). ვ. კვარჭია ვარაუდობს, რომ გამორიცხული არაა, აფხაზური ფუძე იმავე წარმოშობისა იყოს, რაც ოსური **კუისტ / კოსტ** „ერთი წლის ცხვარი“, სვან. **ნელაშთ** „6 თვემდე ბატკანი“ და დასძენს, რომ აფხაზურ ნიადაგზე შესაძლებელია გამოიყოს ელემენტი **თ** „ცხვარი“, მაგრამ აფხაზურ ფუძეს ეტიმოლოგია არ ეძებნება (კვარჭია 1981: 75). ის საკვლევ ფორმაში გამოყოფს **თ-** ელემენტს, მაგრამ ასახსნელი რჩება **ა-ქაშ** მორფემა (ბუკია 2008: 24). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მეგრული ფორმა ქართველურ **ქოსტ**-თან („ციკანი, შემოდგომობით მთიდან დაბრუნებული თიკანი“) ამჟღავნებს ერთობას და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია **\*ქუესთ** > ქართლ. **ქოსტი** (< \* **ქვესთ-ი**) : ზან. **ქვაშთ-ი** (ჩუხუა 2000-2003: 255).

**თგზნგზ** „შიშაგი“ (ჭარაია 1997: 70); **თზნზ** „ორი წლის მამალი ცხვარი“ (ჯავახიშვილი 1986: 221); **თიზინზი** „ორი წლის მამალი ცხვარი“ (ქობალია 2010: 315). სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა ქართველურ ნიადაგზე ვერ ხერხდება. მსგავსი ფორმა გვხვდება აფხაზურ ენაში: **ა-თგზნგჟ** / **ა-თგძნგჟ** „წლინახევრის ცხვარი“ (კვარჭია

1981: 76). პ. ჭარია მიუთითებს, რომ ფორმა აფხაზურიდანაა შესული მეგრულში. ვ. კვარჭია სიტყვას ჰყოფს სამ ელემენტად: **ა-თე** „ცხვარი“, (ა)**ზნ** < (ა)**ძნ** „ზამთარი“, **ჟ**(ა) „გატარებული“, ანუ ეტიმოლოგიურად „ნაზამთრალი ცხვარი“. შდრ. მეგრ. **ნაზოთუ** „ნაზამთრალი“, ზამთარგამოვლილი საქონელი.

**ვოზი // ოზი // ოზაგა** „ერთ წელზე მეტი ხნის მამალი თხა“ (ციფშიძე 1914: 295; ჯავახიშვილი 1986: 213, 221); სიტყვა საერთოქართველური წარმოშობისაა: ქართ. **ვაცი** : მეგრ. **ოზი** : ლაზ. **ბოზი** „მამალი თხა“ : სვან. **ღუაშ** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 196).

**ქაცარი** „თხის ნაშიერი, თიკანი“ (ციფშიძე 1914: 342); „ერთი წლის თხის შვილი“ (ჯავახიშვილი 1986: 213, 222). მ. ჩუხუა ფორმას უკავშირებს სვანურ **გიცარ**-ს „ვერძი“ და ქ > გ პროცესის საილუსტრაციოდ მოჰყავს სვან. **გატ** „ქატო“ : ქართ. **ქატო**; სვან. **გინდერ** „ჩაქინდრვა“ : ზან. **ქინდირი** „კისერი, ქედი“; სვან. **გიცურილ** „კვლიავი“ : ზან. **ქუნცი** „ქაცვი“ (ჩუხუა 2000-2003: 82).

ორი წლის დედალი თხა **უხაფუ/გ**-ა (ჯავახიშვილი 1986: 221), რაც ზედმიწევნით „უშობელს“ ნიშნავს, ერთი წლისას კი სხვა სიტყვებთან ერთად **წანერა**-ს, ანუ „წლისას“ ეძახიან (ჯვ.).

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბაევი, 1958** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград.

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**არშბა, 1980** – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми

**ასათიანი, 1974** – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

**ბჟანია, 1962** – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми

**ბღაჯბა, 1964** – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси

**თოფურია, 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი

**კვარკია, 1981** – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми

**კლიმოვი, 1986** – Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание, Москва

**მაკალათია, 2006** – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006.

**მარი, 1910** – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.

**საბა, 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.

**სიბრძნე, 1994** – ო. მემიშიში, რ. შეროზია, ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბ., 1994.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

**ქაჯაია, 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

**ქაჯაია, 2002-ა** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002.

**ქაჯაია, 2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV (დამატებანი), თბ., 2009.

**ქეგლ 1955-1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1955-1964.

**ქობალაია, 2010** – ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

**ღლონტი, 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

**ყიფშიძე, 1914** – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб

**შაგიროვი, 1989** – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

**ჩიქობავა, 1942** – სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

**ჩუხუა, 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

**ძოწენიძე, 1974** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული დიალექტი, თბ., 1974.

**ჭარაია, 1997** – ჰ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

**ჯავახიშვილი, 1986** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა, თბ., 1986.

**ჯანაშია, 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

## **გ ი ო რ გ ი   გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი**

### **ერთთემიან ზმნათა | სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებანი დიალექტებში**

ვიციტ: თემა ფუძის ნაირსახეობაა. – საერთო საყრდენი I სერიის ან II სერიის ფორმათათვის. | სერიის თემაა ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა I სერიის ყველა ფორმისათვის (შესაბამისად, II სერიისათვისაც). თუ I სერიის თემა სხვაობს II სერიის თემისაგან, ზმნა ორთემიანია; თემათა განსხვავებული ელემენტი თემის ნიშანია. თუ I და II სერიას ერთნაირი თემა აქვთ, ასეთი ზმნა ერთთემიანია. ჩვენი მსჯელობის საგანი ერთთემიანი ზმნებია.

ა. შანიძე წერს: „მცირეა რიცხვი ისეთი ზმნებისა, რომელთაც ერთი და იგივე თემა აქვთ ორსავე სერიაში“. ავტორი ჩამოთვლის ერთთემიან ზმნებს. ორმოცამდე მაგალითს ასახელებს: ვ-ბან, ვ-ბერტ, ვ-თელ, ვ-თეს, ვ-თიბ, ვ-თხოვ, ვ-კეც, ვ-კვეთ, ვ-კვეც და სხვ. პარაგრაფში – „მერყეობა თემის ნიშანთა ხმარების დროს“ – შენიშნავს: „ერთთემიან ზმნათა უმეტესობას დაერთო **-ავ** და ისინი ორთემიანებში გადაირიცხნენ: ვ-ბერტ-ავ, ვ-თელ-ავ, ვ-კეც-ავ, ვ-კვეც-ავ, ვ-ლეს-ავ, ვ-ლეწ-ავ, ვ-ნაყ-ავ, ვ-პენტ-ავ, ვ-რეკ-ავ, ვ-რეცხ-ავ, ვ-ქექ-ავ, ვ-ღებ-ავ, ვ-ღობ-ავ, ვ-ჩეხ-ავ, ვ-ძრახ-ავ, ვ-ხეთქ-ავ, ვ-ხვეტ-ავ და სხვ (შანიძე, 1973, 408).

ერთთემიან ზმნათა ორთემიანად გადაქცევა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი ჩანს. რთული იმდენად, რამდენადაც ამ პროცესის ცალკე განხილვა არ შეიძლება: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მანძილზე თემის ნიშანთა მონაცვლეობა (ამის თაობაზე იხ.: გ. გოგოლაშვილი, 2016, გვ. 314) და ფუძედრეკად

ზმნებზე თემის ნიშნის დართვა ერთ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული – პროცესის მიზანი და შედეგი ერთი ჩანს... მეტიც, ის სიჭრელე და მრავალფეროვნება თემის ნიშანთა გამოყენებაში, რაც დიალექტებში ხდება, იმავე კონტექსტიდანაა. ჩვენ ამჯერად ამ ტენდენციის არსზე არ ვისაუბრებთ; გვინტერესებს, როგორ განვითარდა ეს პროცესი (ერთთემიანთა გაორთემიანება) და რა სახე მიიღო მან დიალექტებში, რა ტენდენციები იკვეთება...

სანამ დიალექტების ვითარებას შევხებით, რამდენიმე საკითხს მივაქცევთ ყურადღებას: სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულთაგან რამდენიმე ზმნა ერთთემიანია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში (დიალექტების ჩათვლით): ვ-თხოვ, ვ-ქსოვ, ვ-ძოვ, ვ-წოვ, ვ-ჭამ... რამდენიმე ზმნა დიალექტებში **-ებ** თემის ნიშანს დაირთავს მხოლოდ აწმყოს III პირის მრავლობით რიცხვში:

მევი-ტან                    მევი-ტან-თ

მეი-ტან                    მეი-ტან-თ

მეი-ტან-ს                მეი-ტან-ებ-ენ

ასევე: მეი-ყვან-ს და მეი-ყვან-ებ-ენ, მეი-ხმარ-ს და მეი-ხმარ-ებ-ენ... დასტურდება ვ-მღერ-ობ ფორმაც...

სხვა შემთხვევაში ერთთემიანი ზმნები ჩვეულებრივ **-ავ** თემის ნიშანს დაირთავენ (იმ დიალექტებში, რომლებშიც სისტემურად ხდება **-ავ**-ის შეცვლა-ამ-ით – ვ-ხატ-ამ, ვ-მალ-ამ... – ერთთემიანებთანაც **-ამ** თემისნიშანი გვაქვს; ზემოთ ჩამოვთვალეთ კიდევ (ვ-ხერტყ-ავ, ვ-თეს-ავ...). ხშირია ფორმათა პარალელიზმიც სალიტერატურო ენასა თუ სასაუბრო მეტყველებაში (**კვეცავს // კვეცს, ხერტყავს // ხერტყს, ლეწავს // ლეწს...**); წესის დადგენა არ ხერხდება: რა შემთხვევაში რჩება ერთთემიანად და რა შემთხვევაში ხდება ორთემიანი. ამიტომაც ორთოგრაფიული ლექსიკონი ძირითადად თემისნიშნიან ვარიანტებს გვთავაზობს ნორმად (**ხერტყავს, თელავს, თესავს, თიხავს, კვეცავს...**); უთემისნიშნო ვარიანტებს გვთავაზობს ნორმად ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც პარალელიზმი აშკარაა: **კვეთს // კვეთავს, კვეცს // კვეცავს, ჩეჩს // ჩეჩავს, ჩეხს // ჩახავს, იხვეკს // იხვეკავს...** ამიტომაც: **ხერტყს, თესს, თიხს...** – დიალექტიზმებად გაიაზრება ისევე, როგორც – **კვეთავს, კვეცავს, ჩეჩავს, ჩეხავს...** როგორც ვთქვით,

ორთოგრაფიული ცნობარები სწორ და არასწორ ვარიანტებს გვთავაზობს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში არ არის მსჯელობა, საორჭოფო შემთხვევაში კრიტერიუმად რა შეიძლება შევარჩიოთ.

როცა სალიტერატურო ქართულში არის ასეთი პარალელური ფორმები, ცხადია, დიალექტებში უფრო რთული მდგომარეობა იქნება... იქნებ დიალექტების ანალიზმა გამოსავალი გვაპოვინოს...

ე. წ. ერთთემიან ზმნათა ვითარება არაერთგვაროვანია დიალექტებში (ძირითადად ვემყარებით: ბ. ჯორბენამე, 1989).

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ძლიერია ტენდენცია ერთთემიანთა გაორთემიანებისა. ისტორიულად უთემისნიშნო ზმნები სისტემურად **-ავ** (მონაცვლეობით **-ამ**) თემის ნიშანს დაირთავს. ქართლურსა და კახურში, ასევე ინგილოურში, თემისნიშნანია არა მარტო ის ზმნები, რომლებიც სალიტერატურო ენაში **-ავ** თემის ნიშანს დაირთავს (**თესავს, თიბავს, ბერტყავს, თელავს...**), არამედ ისინიც, რომელთა უთემისნიშნობაც ნორმადაა მიჩნეული თანამედროვე ქართულში (**კვეთავს, კვეცავს, ჩეჩავს, ხეჩავს / ჩეხავს**)... უფრო მეტიც, ამ დიალექტებში არის ტენდენცია, თემის ნიშანი დაირთოს ისეთმა ზმნებმაც, როგორებიცაა **წერ-ავ/-ამ-ს, ყეფ-ავ/-ამ-ს, უსმენ-ავ-ს, ფენ-ავ/-ამ-ს, ზან-ავ-ს** (=ზანს), **ფხან-ავ-ს**... ამ თვალსაზრისით უნიფიკაციის ტენდენცია იჩენს თავს მესხურში, თუმცა იქ თემის ნიშნის **წარიანი** ვარიანტია წარმოდგენილი (ბერიძე, 1980)...

არქაული ვითარება სისტემური სახით დაცული არის ხევსურულ დიალექტში: **თიბ-ს, ჯოც-ს, ნაყ-ს, რეცხ-ს** და სხვა...

თავდაპირველი სახით არის დაცული უთემისნიშნო ზმნები თუშურში, მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში: **ბერტყ-ს, თიბ-ს, ჯოც-ს, ჩეჩ-ს, გეგ-ს, კვეც-ს, ლეწ-ს**... თუმცა მათ უჩინდებათ პარალელური ფორმები **-ავ** თემისნიშნით (**ს-თეს-ავ-ს, ჯოც-ავ-ს, ჩეჩ-ავ-ს**...). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში ეს ფაქტი საერთო ტენდენციის ასახ-

ვაა. ამ პროცესში სალიტერატურო ენის გავლენაც არ უნდა გამოვრიცხოთ.

სხვათა შორის მოხეურში პარალელურ თემისნიშნიან ფორმათა გვერდით უთემისნიშნონი გახდნენ ისეთი ზმნებიც, როგორცაა **ს-წიელ-ს**, **ს-წონ-ს**, **ვ-ტოვ-თ**, **დაგა-სუნენ** (**// სუნენ-ობ-ს**), **ნაყ-ს**... ტექსტებში უთემისნიშნო ვარიანტები უმეტესად უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმებში გვხვდება (**ვ-ჩეჩდი**, **ვ-თეს-დი**...); აწმყო-მყოფადში ჩვეულებრივ, თემისნიშნიანია (**ვ-ჩეჩ-ავ**, **ვ-თეს-ავ**...). ფშაურში, სხვა მთის დიალექტების მსგავსად, დასტურდება ძველი ფორმები (**მო-კელ-ს**, **ვ-თიბ**...), თუმცა უპირატელობა ეძლევა **-ავ** თემისნიშნიან ფორმებს.

I თურმეობითის წარმოებაში თავჩენილი უნიფიკაციის ტენდენცია მთის დიალექტებისა შეეხო ერთთემიან ზმნებსაც. სისტემებრ ხევისურულში, ფშაურსა და თუშურში I თურმეობითში ეს ზმნები **-ავ** თემის ნიშანს დაირთავს: **დაუ-თეს-ავ (ის)**, **ჩაყ-კოც-ავ (ის)**, **მაუ-კელ-ავ (ის)**, **უ-ჭ-ამ-ავ (ის)**... მივაქციოთ ყურადღება: I სერიაში ეს ზმნები უთემისნიშნონი არიან, III-ში – **-ავ** თემისნიშნიანები! ცხადია, **-ავ** სუფიქსის დადასტურება I თურმეობითში უნიფიკაციის ტენდენციის შედეგია და არა აწმყოს ვითარების ასახვა... ანუ აქ დაირღვა ფორმოზრივი მიმართება აწმყოსა და I თურმეობითის წარმოებას შორის. ეს თავისთავად საკვლევი ფაქტია...

არქაული ვითარებაა დაცული განსახილველი ტიპის ზმნებთან რაჭულში, გურულსა და აჭარულში, თუმცა ამას არა აქვს ისეთი სისტემური ხასიათი, როგორც გვექონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. ამ დასავლურ დიალექტებში, ერთი მხრივ, გვაქვს ერთთემიანი ვარიანტები (**რეცხ-ს**, **დარეკ-ს**, **კეკ-ს**, **ლევ-ს**, **თიბ-ს**, **ნაყ-ს**, **ხოც-ს**, **ხვეტ-ს**, **ჩეხ-ს**...), მეორე მხრივ – პარალელური ორთემიანი ვარიანტები (**რეცხ-ს // რეცხ-ავ-ს**, **რეკ-ს // რეკ-ავ-ს**...). ხშირად ძნელია, რომელიმე ვარიანტისათვის უპირატესობის მიცემა. თუმცა ისეთი ინოვაციებიც დასტურდება,



მაგ., აჭარულში, როგორც არც ძველ ქართულში და არც სხვა დიალექტში არ შეგვხვდრია: უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი ვი-შოგ (მე მას), დევი-ნახ (მე მას)... და ჩვეულებრივია წერ-ავ-ს, ტებ-ავ-ს ფორმები. ასე რომ, არქაიზმები და ინოვაციები თანაარსებობს ე. წ. ერთთემიან ზმნებში. აქ კანონზომიერება დასადგენია: რა შემთხვევაში იქცევა ორთემიანი ერთთემად და პირიქით...

ფორმათა პარალელიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით რაჭულმა მიიქცია ყურადღება; და-რეკ-ს ზმნის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება უწყვეტელში: უთემისნიშნო, -ავ, -ამ, -ევ, -ემ და -ებ თემისნიშნიანები:

და-რეკ-და // და-რეკ-ავ-და // და-რეკ-ამ-და // და-რეკ-ევ-და  
// და-რეკ-ემ-და // და-რეკ-ებ-და...

აწმყოში მოსალოდნელი თემისნიშნიანი ვარიანტები არ შეგვხვდრია. ის ფაქტი, რომ ავ-ამ თემისნიშნიანები ვიდ დაბოლოებითაც იწარმოებენ უწყვეტელს რაჭულში, გვაფარაუდებინებს და-რეკ-ვიდ-ა ფორმის არსებობასაც, თუმცა ვერ დავადასტურეთ...

რთული და თავისებური ვითარებაა იმერულში. აქ, სხვა დიალექტების მსგავსად, არქაულ ფორმებსაც ვადასტურებთ და ინოვაციურსაც: ერთი მხრივ, გვაქვს წერ-ავ-ს, ტებ-ავ-ს ფორმები, მაგრამ, მეორე მხრივ, უთემისნიშნოდ გვხვდება ის ზმნები, რომლებიც სხვა დიალექტებში და სალიტერატურო ენაში თემისნიშნიანია; ოღონდ აქ ერთი არსებითი თავისებურება იჩენს თავს: ერთსა და იმავე პარადიგმაში გვაქვს უთემისნიშნო და თემისნიშნიანი საყრდენი ფუძე: აწმყოში მხოლოდითის ფორმები და მრავლობითის I და II პირის ფორმები თემისნიშნიანია; მრავლობითის III პირის ფორმები — უთემისნიშნო:

ვ-თეს-ავ	ვ-თეს-ავ-თ
თეს-ავ	თეს-ავ-თ
თეს-ავ-ს	თეს-ენ

ასეა: ხერხ-ავ-ს და ხერხ-ენ, ხარშ-ავ-ს და ხარშ-ენ, ხეთქ-ავ-ს და ხეთქ-ენ, ტებ-ავ-ს და ტებ-ენ და სხვ.

ფუძეთა ამგვარი დაპირისპირებისათვის ზოგი ზმნა **-ებ** თემის ნიშანს გამოიყენებს, ოღონდ აქ ვითარება დიამეტრალურად განსხვავებულია: თუ წინა ვარიანტში უთემისნიშნო იყო პარადიგმის ერთი წევრი — მესამე პირის მრავლობითის ფორმა, აქ პირიქითაა: თემისნიშნიანია III პირის მრავლობითის ფორმა, დანარჩენი — უთემისნიშნო:

მევი- <b>ტან</b>	მევი- <b>ტან-თ</b>
მეი- <b>ტან</b>	მეი- <b>ტან-თ</b>
მევი- <b>ტან-ს</b>	მევი- <b>ტან-ებ-ენ</b>

ასევე: წეი-**ყვან-ს** და წეი-**ყვან-ებ-ენ**, და დაა-**ხმარ-ს** და დაა-**ხმარ-ებ-ენ**, **ზან-ს** და **ზან-ებ-ენ**, **ჭამ-ს** და **ჭამ-ებ-ენ**... მსგავსი ვითარება დასტურდება მესხურ-ჯავახურში, აჭარულსა და შავშურში.

იმერული დიალექტის ბაღდადურ თქმაში ადასტურებენ რთულ თემას ყველა პირის ფორმაში: გავა-**ტან-ებ**, გაა-**ტან-ებ**, გაა-**ტან-ებ-ს**...

ზემოიმერულში თითქმის სისტემურ ხასიათს ატარებს ასეთი ფაქტები: აწმყოში განსახილველი ტიპის ზმნები რთულთემიანია, უწყვეტელსა და I კავშირებითში — უთემისნიშნო:

აწმყო: ვ- <b>კებ-ავ</b>	უწყვ.: ვ- <b>კებ-დი</b>	კავშ.: ვ- <b>კებ-დ-ე</b>
<b>კებ-ავ</b>	<b>კებ-დი</b>	<b>კებ-დ-ე</b>
<b>კებ-ავ-ს</b>	<b>კებ-და</b>	<b>კებ-დ-ეს</b>
ვ- <b>კებ-ავ-თ</b>	ვ- <b>კებ-დით</b>	ვ- <b>კებ-დ-ეთ</b>
<b>კებ-ავ-თ</b>	<b>კებ-დით</b>	<b>კებ-დ-ეთ</b>
<b>კებ-ავ-ენ...</b>	<b>კებ-დენ...</b>	<b>კებ-დ-ენ...</b>

ასევე: რეკ-**ავ-ს** და რეკ-**და**, ხარჯ-**ავ-ს** და ხარჯ-**და**, ხარშ-**ავ-ს** და ხარშ-**და**; ყლაპ-**ავ-ს** და ყლაპ-**და** (ქ. მოწინიძე).

ასეთივე ვითარებას ადასტურებენ ჯავახურში (ა. მარტიროსოვი, 1984); ქვემოიმერულსა (კ. კუბლაშვილი, 1985) და გურულშიც (პ. ჯაჯანიძე, 1956.)

ერთი ფაქტიც გავითვალისწინოთ: ჩვეულებრივ **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი ზმნები უწყვეტელს ძველი ქართულისებურად **ევდ**

სუფიქსით აწარმოებს (მოდულიზაციით — III პირშიც ეს დაბოლოებაა): ვ-ხატ-ევ-დ-ი / ხატ-ევ-დ-ი / ხატ-ევ-დ-ა...

რა გამოდის: ზემოთხსენებულში ერთთემიანმა და **-ავ/-ამ** თემისნიშნისა და ზმნებმა არქაული ვითარება შეინარჩუნეს უწყვეტელსა და I კავშირებითში; ერთთემიანმა ზმნებმა თემისნიშნისანი ფორმები აწმყოში განივითარეს...

თემის ნიშანთა სისტემაში არსებული სირთულე დამახასიათებელია მესხურ-ჯავახურისათვის ზოგადად და, კერძოდ, რთული ვითარებაა ერთთემიან ზმნებთანაც: სისტემებზე ორთემიანია, თუმცა ერთთემიანი ვარიანტებიც გვხვდება, ჩვეულებრივ უწყვეტელში: ვ-თეს-დით, ი-ნახ-დენ, ყ-ლაპ-და, დაგვ-ხოც-და, ზიდ-და, ი-ნახ-და, ტეხ-დნენ...

თუმცა ამის გვერდით გვხვდება **-ებ** თემისნიშნისანი ზმნათა უთემისნიშნო ვარიანტები: ვ-ტოვ, მოგა-თხოვ, დაგ-ტოვ, შეა-გროვ-და, მოვ-კიდ-დი...

ერთთემიან ზმნათა გაორთემიანება და პირიქით — ორთემიანთა გაერთთემიანება ცოცხალი ენობრივი პროცესია; იგი უშუალო კავშირშია თემის ნიშანთა სისტემასთან დაკავშირებულ ცვლილების ტენდენციებთან; საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს...

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბერიძე, 1980** – ბერიძე მ., თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში; კრებ. „ნარკვევები იბ.-კავკ. ენათა მორფოლოგიიდან“; თბ., 1980.

**გოგოლაშვილი, 2016** – გოგოლაშვილი გ., შარაშენიძე ნ., ცოცხანიძე გ., ჭუმბურიძე ნ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თსუ გამომცემლობა, თბ., 2016, 916 გვ.

**კუბლაშვილი, 1985** – კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოთხსენებული დიალექტი; თსუ გამომცემლობა; თბ., 1985; 208 გვ.

**მარტიროსოვი, 1984** – მარტიროსოვია., ქართული ენის ჯავახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექტები ლექსიკონითურთ); (ენათმეცნიერების ინსტიტუტი);

**შანიძე, 1973** – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბ. 1973.

**ძოწენიძე, 1973** – ძოწენიძე ქ., ზემოიმიერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები); [მეტყველების ნიმუშები]; თსუ გამომცემლობა; თბ., 1973.

**ჯაჯანიძე, 1956** – ჯაჯანიძე პ., გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები (ნაშრომი ეყრდნობა მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მონაცემებს); აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. XV, ქუთაისი, 1956.

**ჯორბენაძე, 1989** – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

## თ ა მ ა რ ვ ა ჭ ა რ ა ძ ე

### ნა- პრეფიქსიანი დერივატები დიალექტებში

წინავითარების სახელთა მაწარმოებელ კონფიქსებში საერთო ელემენტია თავსართი **ნა-**, რომლის ფუნქციასაც ჯერ კიდევ საბა ორბელიანი ამგვარად განმარტავს: „ნარი ყოველთა მყოფობიდან გარდასულთა ართრონი არს“. ამაში გვარწმუნებს ნამყო დროის ვნებითი გვარის ფორმათა ანალიზიც: ნა-მსხვევრ-ევ-ი, ნა-გლინ-ი...

წინავითარების სახელები გარდასულ ვითარებაზე მიუთითებენ: მაგ: ნა-იარ-ევ-ი - იარის კვალი – ნაჭრილობევი; ნა-თავად-არ-ი – ყოფილი თავადი; ნა-თესა-ურ-ი – ნათესავის შესაფერისი; ნა-ნასიცხ-ი; ეს ფორმები ამოსავლად უმეტესად შესაბამის ზმნურ წარმოებას გულისხმობენ.

დასახელებულ კონფიქსთაგან ყველაზე აქტიურია **ნა-არ** და **ნა-ევ**. ისინი უმთავრესად არსებით სახელებსა და სახელზმნებს დაერთვიან: ნა-კაც-არ-ი, ნა-დედოფლ-არ-ი, ნა-სათიბ-არ-ი, ნა-ბანაკ-ევ-ი ნა-ღვინ-ევ-ი... იშვიათად კი ზედსართავებსა და ზმნისართებს: ნა-გიჟ-არ-ი, ნა-გვიან-ევ-ი...

ზოგჯერ **ნა-ევ** კონფიქსისეული სუფიქსები ებ-ითაა შეცვლილი: ნა-აღდგომ-ებ-ი, ნა-აბანო-ებ-ი, ნა-იგავ-ებ-ი, ნა-ყან-ებ-ი, ნა-ჭირვ-ებ-ი...

**ნა-ევ** და **ნა-ებ** აფიქსიან ფორმათა აღრევის „ძირითადი მიზეზი უნდა იყოს ვნებითი გვარის ნამყო დროის ნა-პრეფიქსიანი მიმღეობებისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე“ ( თ. ზურაბიშვილი, 1971, 151).

წინავითარება, ყოფილობა იშვიათად **ნა-ურ** კონფიქსითაც აღინიშნება: ნა-გზა-ურ-ი, ნა-ფეხ-ურ-ი.

წინავითარების სახელები ოდენ **ნა-** პრეფიქსითაც იწარმოება: ნა-დავლ-ი, ნა-კბილ-ი, ნა-ლაქ-ი, ნა-მორ-ი, ნა-ოფლ-ი, ამგვარად ნა-წარმოებ სახელთა ერთი ნაწილი გაარსებითებულა: ნადავლი, ნაწილი, ნაერთი.

**ნა-** პრეფიქსით იწარმოება ნამყო დროის ვნებითი გვარის ფორმებიც: ნა-ცარ-ი, ნა-თეს-ი, ნა-მარხ-ი, ნა-ტკეპნ-ი...

ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება გარკვევა **ნა-** პრეფიქსიანი ფორმა წინავითარების აღმნიშვნელი სახელია თუ ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობა: ნა-ფურცლ-ი, ნა-მრავლ-ი, ნა-ბზარ-ი, ნა-ლურსმ-ი... ეს კი იმის შედეგია, რომ მიმღეობა ნაწარმოებია ნასახელარი ფუძისაგან: ფურცელი-ფურცლავს; ბუქი-ბუქავს; ლურსმანი-ლურსმავს;

**ნა-** მაწარმოებლიანი მიმღეობები გასუბსტანტივების ტენდენციას იჩენენ: ნა-კუწ-ი, ნა-სახ-ი, ნა-ხვეწ-ი, ნა-ჟურ-ი, ნა-მარხ-ი, ნა-ღებ-ი...

ჩვენი კვლევის მიზანია რამდენიმე დასავლური დიალექტის (ზემოიმერულის, გურულის, ლეჩხუმურის) მიხედვით **ნა-** პრეფიქსიანი დერივატების გამოვლენა და წარმოების თავისებურებათა წარმოჩენა..

ქართულ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლა გულისხმობს იმ ფონეტიკური და გრამატიკული ტენდენციების გამოვლენას, რომლებიც საერთოა საქართველოს რეგიონებში გავრცელებული დიალექტებისათვის.

იმერულ დიალექტში წინა ვითარების სახელები ძირითადი იწარმოება **ნა-არ** და **ნა-ევ** კონფიქსებით.

**ნა-არ/ ნა-ალ:** ნა-კუდ-არ-ი; ნა-სადილ-არ-ი; ნა-შიმშილ-არ-ი; ნა-მსახურ-ალ-ი; ნა-გერ-ალ-ა; ნა-დინჭ-აკლ-ა; ნა-ხადილ-არ-ა;

**ნა-არ-ა:** ნა-ბოჭვ-არ-ა; ნა-ბჟუტ-არ-ა; ნა-მუცლ-არ-ა;

**ნა-ევ:**ნა-მგზლ-ევ-ი; ნა-ფარახ-ევ-ი; ნა-საწნახელ-ევ-ი... და დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: ნა-სადილ-ევ-ი; აგრეთვე ზმნისართებთან: ნა-ჩუმათ-ევ-ი;

ზოგჯერ **ნა-ევ** კონფიქსისეული სუფიქსები **-ებ-ითაა** შეცვლილი: ნა-რთვლ-ებ-ი; ნა-ტყავ-ებ-ი; ნა-ქორწილ-ებ-ი; ნა-ვახშმ-ი-ებ-ი.

წინავითარება იშვიათად **ნა-ურ** კონფიქსითაც აღინიშნება: ნა-ხაშმ-ურ-ი; ნა-რწყ-ულ-ი; ნა-ბად-ურ-ი;

**ნა-არ** და **ნა-ევ** აფიქსთა კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული ნა-ყან-ვ-არ-ი [ნა-ყან-ევ-არ-ი]; ნა-ვენახ-ვ-არ-ი; ნა-ფუზ-ვ-არ-ი; ნა-ქალაქ-ვ-არ-ი; ნა-ხიდ-ვ-არ-ი;

იმერულისათვის ძალზე დამახასიათებელია ოდენ **ნა-** პრეფიქსითა ნაწარმოები ფორმები: ნა-ნიშნ-ი; ნა-ჩოვ-ი; ნა-ღადარ-ი; ნა-ხანდრ-ი; ნა-რუჯ-ი; ნა-ბელ-ი; ნა-გონგ-ი; ნა-ჟინჟღალ-ი; ნა-მორჩ-ი (ვაზისათვის გაცლილი ყლორტები და ფოთლები); ნა-ღლოკ-ი; ნა-წევკ-ი; ნა-ხეპ-ი, ნა-ბეკნ-ი; ნა-გრამ-ი; ნა-ფლეჟ-ი; ნა-ქაჩ-ი;

უჩვეულო წარმოებისაა ნა-ლოზ-იერ-ი; ნა-თ-იერ-ი.

ლექსუმურში წინა ვითარების სახელთა მაწარმოებელთაგან აღსანიშნავია **ნა-ურ** კონფიქსიან სახელთა სიმრავლე: ნა-მთ-ე-ურ-ი (ნაიალაღარი), ნა-ცხვენ-ურ-ი ( სიმინდი, რომელიც სხვენზე გაახმეს), ნა-ხემ-ურ-ი (ხელის გულში რომ კონა ჩაეტევა), ნა-კვე-ურ-ი (კვეში გამომცხვარი ჭადი), ნა-კუთნ-ო-ურ-ი (მრგვალი შავი ყურძენი).

**ნა-ევ** და **ნა-არ** აფიქსთა კონტამინაციითაა მიღებული **ნა-არ:** ნა-ფუზ-ვ-არ-ი (ნა-ფუზ-არ-ი); ნა-მოშ-ვ-არ-ი (სამი წლის გაშვებული ტყე); ნა-ბუზ-ვ-არ-ი.

**ნა-ებ:** ნა-შინშხლ-ებ-ი (ნაგლეჯები); ნა-ჩოთირ-ებ-ი (ნაკვალევი თოვლზე); ნა-ჯიკავ-ებ-ი; ნა-მკეს-ებ-ი;

**ნა:** ნა-მუჟ-ი (ნამჯა, ხელეური); ნა-პტკენ-ი (ნაკრტენი); ნა-ღუნჟ-ი (ხილის ნაყოფის ნაღჟი);

გურულ დიალექტში წინავითარების **ნა-ევ** იშვიათად გვხვდება: ნა-გვირგვინ-ევ-ი (მღვდლის მიერ ჯვრისწერისას აღებული ფული); ნა-ვასკვლ-ევ-ი (ზვავისაგან ჩავარდნილი ადგილი); ასევე იშვიათია **ნა-ებ-იანი** წარმოება: ნა-ხილ-ებ-ი (ხილის პირველად ჭამა).

**ნა-ევ** და **ნა-არ** კონტამინაციით მიღებული ფორმაა - ნა-კაც-ვ-არ-ი (ნაყმევი).

**ნა-არ** კონფიქსითაა ნაწარმოები: ნა-კოტ-არ-ა; დისიმილაციით: ნა-ცინცხ-ალ-ა (ნაპერწყალი).

**ნა-ურ:** ნა-წყლ-ურ-ი (წყლის ნადენი ადგილი)

ფონეტიკურად სახეცვლილი ნა-კტავ-ნაწყტ-ავ-ი გურულისათვის დამახასიათებელი ფორმაა ნაკვდავი და წელმოწყვეტილი ანუ ნაჯაფარი.

**ნა-ელ** მაწარმოებლიანია: ნა-ჩქიტ-ელ-ა (ნაფოტი);

ოდენ ნა- პრეფიქსითაა ნაწარმოები: ნა-ბურავ-ი (სახლის სახურავი); ნა-ხორ-ი (ღომის გარეცხვის შემდეგ დარჩენილი ქერცლი).

წინავითარების აფიქსებით ნაწარმოები სახელები ხშირად ტოპონიმების აღმნიშვნელნი არიან. ქ. მოწენიძეს ზემოიმერულის მასალაზე დაყრდნობით მოწოდებული აქვს მდინარეების, ღელეების, სოფლის უბანთა სახელები, რომლებშიც წინავითარების მაჩვენებელი თითქმის ყველა მაწარმოებლიანი ფორმაა: **ნა-ურ**: ნა-ბადურ-ი; ნა-ვანებ-ურ-ა...**ნა-ევ**: ნა-მძგლ-ევ-ი; ნა-ფარახ-ევი; **ნა-არ**: ნა-ბელ-არ-ი; ნა-ბამბ-არ-ი; **ნა-ეთ**: ნა-ვარძ-ეთ-ი...

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წინავითარების სახელებში უძველესი უნდა იყოს ის ტიპი, რომელიც მხოლოდ პრეფიქსითაა ნაწარმოები (არნ. ჩიქობავა, 1942, 184). ენის განვითარების შემდეგ საფეხურზე კი უპირატესობა უნდა მისცემოდა კონფიქსურ წარმოებას: ნა-არ, ნა-ევ, ნა-ურ. თანამედროვე ქართულში კვლავ შეინიშნება ტენდენცია, რომ ოდენ პრეფიქსმა აღნიშნოს წინავითარება. ოდენ ნა- პრეფიქსიან ფორმათა გახშირებას უთუოდ შეუწყო ხელი: 1. ვნებითი გვარის მიმღეობათა ანალოგიამ და 2. ტერმინოლოგიური საჭიროებისათვის მისმა ხშირმა ხმარებამ (მ. ტუსკია).

დიალექტებში იკვეთება ტენდენცია **ნა-** პრეფიქსიან წარმოებათა სუბსტივაცია-ტერმინიზაციისა. მაგალითად: ნა-გრამ-ი - ნამრავლი, შთამომავალი (გურული.); ნა-ძირ-ი - აბრეშუმის ჭიის ჩელტზე დაგროვილი ნაგავი: თუთის ფოთლების ნაფეცქენები, ჭიის ხორხლები და სხვ. (გურული.); ნა-ღრ-ი - ჩადრმავებული ზოლი; (გურული.); ნა-ყარ-ი - ახლამოყრილი რტოები (გურული.); ნა-ძალ-ი - მთავარი სატკივრით გამოწვეული მეორე ტკივილი (მაგ., კბილის ტკივილის დროს ყურის ატკივება (გურული); ნა-მბულ-ი - ნამიანი, დანამული (ზემოიმერ.) ნა-კუდ-ი - ხორბლეულის განიავების შედეგად დარჩენილი ბუნენარევი, ფშუტი უვარგისი მარცვლები (ზემოიმერ.); ნა-სმ-ი - ნასვამი (ზემოიმერ.); ნა-მუჭ-ი - ნამჯა, ხელეული (ლექსუმ.); ნა-წრეტ-ი - ყურძნის დაწნეხამდის საწნახელიდან გამოშვებული ღვინო, რომელსაც ჭურში ადუღებენ (ლექსუმ.).

## გამოყენებული ლიტერატურა

**ჩიქობავა, 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942.

**ჯორბენაძე, 1995** – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ. 1995.

**ტუსკია, 2010** – მ. ტუსკია, სახელური და სახელზმნური სიტყვაწარმოება ქართულში, თბ. 2010.

**გაჩეჩილაძე, 1976** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ. 1976.

**ჟღენტი, 1936** – ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ. 1936.

**ქართველურ ენათა ლექსიკა, 1936** – ქართველურ ენათა ლექსიკა (გურული, ზემოიმერული, ლეჩხუმური), თბ. 1936.

**ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1974** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, 1974.

**მოწენიძე, 1974** – ქ. მოწენიძე, ზემო იმერული ლექსიკონი, თბ. 1974.

## მ ა ი ა კ ა ჯ კ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

### დიგლოსია ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის მაგალითზე

ტერმინები „ბილინგვიზმი“ და „დიგლოსია“ შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვაგვარად. თუ მათ განვიხილავთ წმინდა ფილოლოგიური თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთი და იგივეა და ორივე აღნიშნავს ორენოვნებას. განსხვავება ის არის, რომ ერთი ლათინური წარმოშობისაა, ხოლო მეორე – ბერძნული. საინტერესოა ამ ტერმინებისადმი სოციოლინგვისტური მიდგომა. სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, ბილინგვიზმი არის ორი არამონათესავე ენის გამოყენება (მაგალითად, ქართული და სომხური), ხოლო დიგლოსია – ორი მონათესავე ენის, ან ენისა და დიალექტის, ან დიალექტების გამოყენება (ნიკოლსკი, 1976; შვეიცერი, 1977; ფერგიუსონი, 1962). „დიგლოსია – ვარიანტი ან სახესხვაობა ორენოვნებისა,



ერთი ენის ორი ტერიტორიული დიალექტის ან მისი ორი ისტორიული ვარიანტის ცოდნა (მაგალითად, ძველბერძნულისა და ახალი ბერძნულისა), ვკითხულობთ უნივერსალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში (უელ, 2006). ფერგიუსონის განმარტებით, ეს არის შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ენის პირველად დიალექტებთან ერთად (რომელიც შეიძლება შეიცავდეს სტანდარტებს, ან რეგიონალურ სტანდარტებს), არსებობს მათგან ძალიან განსხვავებული, მაღალ დონეზე კოდიფიცირებული (ხშირად, გრამატიკულად უფრო რთული) ზედდებული ვარიაცია, რომლის შეთვისება ჩვეულებრივ ხდება ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში და რომელიც გამოიყენება ფორმალურ სამეტყველო და წერილობით სფეროებში, მაგრამ არასოდეს გამოიყენება ერთობის არც ერთ ჯგუფში ყოფითი კომუნიკაციებისათვის (ფერგიუსონი, 1959). „დიგლოსიური ენები და სიტუაციები, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც სამეტყველო ერთობაში ორი ან რამდენიმე ენობრივი სახესხვაობის შემცველი. ამ დროს ეს ენობრივი სახესხვაობები ერთმანეთთან კომპლემენტარულ, ანუ შემავსებელ დამოკიდებულებაშია. ენობრივ სფეროებს შორის დიგლოსიის შემთხვევაში ერთგვარი იერარქიული ურთიერთობაა დიდად შეფასებულიდან (**H** – highly valued) მცირედ შეფასებულამდე (**L** – less valued). თუკი ეს ორი ენობრივი სახესხვაობა მიჩნეულია ნათესაურად, **H** სახესხვაობა, როგორც წესი, ენის უფრო კონსერვატიულ ფორმას წარმოადგენს, ანუ ლიტერატურულ დიალექტს (იმ შემთხვევაში, თუ ენა სამწერლობაა). ენის გამოყენების ფორმალურ სფეროებში – საჯარო მეტყველება, რელიგიური ტექსტები და პრაქტიკა, განათლება და ენის გამოყენების სხვა პრესტიჟულ მიმართულებებზე – დომინანტურია **H** ფორმა. **L** ნორმა გამოიყენება უფრო არაფორმალურ სფეროში, ყოფითი ურთიერთობის, ანეკდოტების, ქუჩაში, ბაზარში, ტელეფონზე საუბრისას და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ **L** და **H** ფორმები ერთმანეთთან გენეტიკურად არ არის დაკავშირებული უფრო ხშირად **H** ენობრივი სახესხვაობა უფრო მაღალი საერთაშორისო პრესტიჟის მქონეა, ან ადგილობრივი პოლიტიკური ელიტისა თუ დომინანტური რელიგიური ჯგუფის სალაპარაკო ენაა (ლადარია, 2007). დიგლოსიის ცნება და დიგლოსიური სიტუაციების ანალიზი საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა, სხვათა შორის, პოლიტიკური ხასიათის კვლევებისათვისაც. ხშირად, მეცნიერს, რომელმაც კარგად აითვისა შესაბამისი მეთოდოლოგია, შეუძლია საკმაოდ ზუსტი პოლიტიკური პროგნოზების

მოცემა ენობრივი სიტუაციის განვითარებისა და ენის გარშემო საყოველთაო დისკუსიის შედეგების საწინასწარმეტყველოდ.

თუმანიანის აზრით, დიგლოსიად იწოდება ინდივიდის, როგორც გარკვეული ენობრივი კოლექტივის, წევრის უნარი, სიტუაციიდან გამომდინარე ურთიერთობა დაამყაროს ერთი და იმავე ენის ორი ან მეტი ნაირსახეობის საშუალებით (თუმანიანი 1981: 78).

მხოლოდ დიგლოსიის არსებობის ფაქტები დამახასიათებელია ეთნიკურად ერთგვაროვანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანებისთვის. ჯავახეთში ასეთად შეიძლება დავასახელოთ რეგიონის ცენტრებიდან საკმაოდ შორეულ სოფლებში დასახლებული ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობა, რომელიც მხოლოდ სომხური ენის დიალექტურ ფორმას ფლობს.

ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში კომუნიკაციურ საშუალებად მეორე ენის ჩართვა იქ არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. ერთი შეხედვით, მოქმედებს ერთი ენა თავისი ენობრივი ნაირსახეობებით (ვთქვათ, ქართული ენა, თავისი სალიტერატურო, დიალექტური და სხვა ფორმები) და მეორე მხრივ, რომელიმე მეორე ენა (სომხური ან რუსული, ან ორივე ერთად).

ბილინგვიზმი, როგორც სოციოლინგვისტური მოვლენა, არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა ინტერესის საგანი მაშინ, როდესაც შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი დიგლოსია. დიგლოსიისა და ბილინგვიზმის დახასიათებისას ენობრივი ვარიანტების თანაარსებობა შედარებით ვრცლადაა აღწერილი ნიკოლსკის „სინქრონიულ სოციოლინგვისტიკაში“ (ნიკოლსკი, 1976), საინტერესოა ქართველ მეცნიერთა კვლევებიც (ბოლქვაძე, 2007).

ეთნიკურად ერთგვაროვანი და ერთენოვანი კოლექტივების ანალიზი ჩვენს ინტერესს სცილდება. ჩვენ გვაინტერესებს ის შემთხვევები, როდესაც მეორე ენას უპირისპირდება პირველი ენის ენობრივი ნაირსახეობები (სოციალური და ტერიტორიული დიალექტები, ლიტერატურული ფორმა და ა.შ.). ვინაიდან კონკრეტული კოლექტივის მაგალითზე მეორე ენას თვითონაც შეიძლება გააჩნდეს ეგზისტენციური ფორმები, პირველ ენას დაუპირისპირდება მეორე ენის ნაირსახეობა. ამავე დროს არ არის აუცილებელი, რომ ინდივიდი აღნიშნულ რთულ ენობრივ ვითარებაში კომუნიკაციისთვის ფლობდეს ყველა ენას და ენობრივ ვარი-

ანტს. ზოგადად ასე ხასიათდება ენებისა და ენობრივ ნაირსებობათა თანაარსებობა ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში.

ჩვენ შევეცდებით, განვიხილოთ სხვადასხვა ჯგუფების მაგალითზე გამოვლენილი კანონზომიერები. ამ კანონზომიერებებს უკავშირდება ენობრივი ვარიანტების თანაარსებობის კიდევ ერთი თავისებურება.

ამა თუ იმ კოლექტივში გამოყენებული ენობრივი ქვესისტემებიდან ერთ-ერთი ფუნქციურად დომინირებს (მხოლოდ ამ ენობრივი კოლექტივის დონეზე და არა საერთოდ. (ზოგადად დომინანტი ენის საკითხს ჩვენ ზემოთ შევხებით), ანუ იღებს თავზე ძირითად ფუნქციურ დატვირთვას, გამოიყენება ურთიერთობების სფეროების დიდ უმრავლესობაში. დანარჩენი ვარიაციული ფორმები კი ხშირად დამხმარენი ან სიტუაციურად შეპირობებულები არიან. მაგალითისთვის ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ სოფელ ბარალეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა. ამავე სოფელში მათ გვერდიგვერდ ცხოვრობენ სომხებიც. ქართველთა ენობრივი კოლექტივი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს ქართული ენის ჯავახურ დიალექტს, რომელიც მათთვის ფუნქციურად დომინანტი ენობრივი ნაირსახეობაა, ხოლო მეზობლებთან კონტაქტისას სომხურს, უფრო ზუსტად, სომხური ენის ჯავახურ დიალექტს, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც დამხმარე ან სიტუაციურად განპირობებული ენობრივი ვარიანტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიგლოსიის ტიპები აღწერილია ლ. ბ. ნიკოლსკის მიერ (ნიკოლსკი 1966: 103) ჩვენ მეცნიერის მიერ მოცემულ დიფერენციას მივუსადაგებთ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციას და ჯავახეთის მაგალითზე შევეცდებით, აღვწეროთ სხვადასხვა ენობრივი კოლექტივისათვის დიგლოსიის რომელი ტიპია ნიშანდობლივი. ჩვენც ენობრივ კოლექტივში მოქმედ დომინირებულ ენას აღვნიშნავთ პატარა ლათინური ასო-ნიშნით, ხოლო მათ ვარიანტულ სახესხვაობებს რიცხვთა ინდექსებით 1 – სალიტერატურო ენა; 2 – დიალექტი; 3 – ყოველდღიური სასაუბრო ენა; 4 – პროფესიული ჟარგონი და არგო. ქვემოთმოყვანილი მოდელები გამოხატავენ ერთი და იმავე ენის ქვესისტემების თანაარსებობის პრინციპებს, ქმნიან გარკვეულ ოპოზიციებს. აქვე მივუთითებთ, რომ ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში ენა, რომელსაც ქვესისტემები არ გააჩნია (ასეთ ენას დემურიევი მინიმალური

სოციალური ფუნქციის მქონე ენებს უწოდებს. დემერიევი 1976: 391) არ დასტურდება.

პირველია მოდელი, რომელიც სქემატურად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად: **a1** - - - **a2**. ეს ჯავახეთში დადასტურებული დიგლოსიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, განსაკუთრებით ეთნიკურ ქართველთა ენობრივ კოლექტივში. იგი ენის სალიტერატურო ფორმისა და დიალექტის ურთიერთობას გამოსახავს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დიგლოსია არის შედეგი იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც ფლობენ ქართული ენის ჯავახურ დიალექტს, ითვისებენ იმავდროულად სალიტერატურო ენას, რომლის სამეტყველო ფორმებიც არც თუ იშვიათად შეფერილია დიალექტის, როგორც მშობლიური ენის, მეორე სოციალური ვარიანტის ადგილობრივი თავისებურებებით. ამას დიდწილად ხელს უწყობს სკოლა, ეკლესია, ქალაქში სამსახური, წიგნები, გაზეთები, რადიო და ტელევიზია. ენის სალიტერატურო ფორმას თან ახლავს ავტორიტეტული საერთონაციონალური და სოციალური როლები საზოგადოებაში.

ჯავახეთის ენობრივ სუტუაციაში დასტურდება სომხური ენის დიალექტური ფორმისა და სალიტერატურო ფორმის თანარსებობაც. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ქართული და სომხური ენების სალიტერატურო ფორმები თანაბრად თანარსებობენ. მათ ფუნქციურ გადანაწილებებს შორის შეიმჩნევა მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

სომეხი ეროვნების ადამიანები შედარებით სუსტად ფლობენ სომხურ სალიტერატურო ენას, ვიდრე ქართველები ქართული ენის სალიტერატურო ფორმას. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა თვითონ ენობრივი თავისებურებაცაა (განსხვავება დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის), ამას ხელს სომხურ მოსახლეობაში დამკვიდრებული რუსული განათლების მიღების ტენდენციაც უწყობს. მართალია, ბოლო ხანს ეს ტენდენცია თითქოს შესუსტდა და სომხური სალიტერატურო ენისადმი ინტერესი, სკოლაში მისი სწავლისა და სწავლებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ამ ცვლილებას ჯერ რეალური შედეგები არ მოუტანია. თვალმისაცემია ისიც, რომ სასაუბრო მეტყველების ფუნქციით ორივე ენის დიალექტი შესაბამის სალიტერატურო ფორმებთან მიმართებით ძალიან მყარად ინარჩუნებს საკუთარ პოზიციებს, რის შედეგადაც

ფუნქციურ-სოციალური სტრატეფიკაცია იძენს შემდეგი ოპოზიციის სახეს: სალიტერატურო ენა წერილობითი (მხატვრული ლიტერატურა, სასწავლო ლიტერატურა, რეგიონული გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ რომელიც იბეჭდება როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე) და ზეპირი (განათლება, რადიო და ტელევიზია, სამსახური) ფორმებით / დიალექტი.

მეცნიერის მიერ გამოყოფილი დიგლოსიის მეორე ტიპი – **a1 - - a3**, ჩვენი აზრით, ჯავახეთის ენობრივ რეალობაში დასტურდება რეგიონის ცენტრალურ ქალაქებში არსებული ენობრივი კოლექტივების დონეზე. იქ, სადაც შედარებით სუსტია დიგლოსიის პირველი ტიპი, მის ადგილას სწორედ სალიტერატურო ენა და ყოველდღიური სასაუბრო ენა ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურად თანაარსებობენ. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ქალაქში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მეტყველებაში სულ უფრო მცირდება დიალექტური ფორმების გამოყენება. ასევე იმ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მეტყველებაში, რომლებმაც ათვისის ქართული, როგორც მეორე ენა, არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ფორმალურ გარემოში (სკოლაში, ენის შემსწავლელ კურსებზე, საშუალება აქვთ ქართული არხების ყურებისა).

**a1 - - a3** ოპოზიცია დამახასიათებელია ქალაქების – ახალქალაქსა და ნინოწმინდაში მცხოვრები სასკოლო და უმცროსი ასაკის ადამიანების, სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანების, იმავე საჯარო მოხელეების, სტუდენტების, ბიზნესით დაკავებული ადამიანების – მცირე მეწარმეების ენობრივი კოლექტივებისათვის.

დასკვნის სახით რომ ვთქვათ, ყველგან, სადაც სუსტდება დიალექტის მოხმარება, პირველი ტიპის დიგლოსიას ენაცვლება მეორე და ვიღებთ შემდეგ დაპირისპირებას: სალიტერატურო ენა / ქალაქური ყოველდღიური სასაუბრო ენა.

მესამე მოდელი, სადაც სალიტერატურო ენას უპირისპირდება არგო, ჯავახეთში ძალიან სუსტად არის გავრცელებული. იგი შეიძლება დავაფიქსიროთ ისეთი ძალიან მცირერიცხოვანი კოლექტივის მეტყველებაში, როგორც არის ექიმთა სოციალური ჯგუფი. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ არგოსა და უბრალო მეტყველებას შორის მკვეთრი ზღვარი არც არსებობს (ბერეგოვსკაია 1979: 9-10).

დიგლოსიის მეოთხე ტიპი გულისხმობს ერთი ენის ორი დიალექტის თანაარსებობას. დღეს ჯავახეთის რამდენიმე სო-

ფელში ცხოვრობს საქართველოს, კერძოდ, აჭარის დამეწყრილი რაიონების მოსახლეობა. ისინი ქართული ენის აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ. დღესდღეობით ნაკლებად, მაგრამ სამომავლოდ, გარკვეული თანაცხოვრების შემდეგ, არ არის გამორიცხული ჯავახეთში მცხოვრები აჭარლების მეტყველება გახდეს მეოთხე ტიპის დიგლოსიის მაგალითი, თუმცა აჭარული, რა თქმა უნდა, დარჩება დომინანტ დიალექტად.

აქ ჩამოთვლილი ყველა ტიპი ერთ-ერთ კომპონენტად შეიცავდა სალიტერატურო ენას. ოპოზიციის ცალკე სქემას ქმნის დიგლოსიის ის ტიპი, სადაც არა სალიტერატურო ენასთან, არამედ დიალექტთან თანაარსებობს პროფესიული ჟარგონი და არგო. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ის ენობრივი კოლექტივი, რომელსაც ჯავახეთში ბოშებად მოიხსენიებენ. ისინი სომეხი ეროვნების ადამიანები არიან და მათ მეტყველებას ახასიათებს სპეციფიკური გამოთქმები, ფრაზები, რაც განასხვავებს ჯავახური სომხურისაგან.

ამავე ტიპის დიგლოსიად მივიჩნევთ იმ ქართველი ან/და სომეხი ეროვნების ადამიანების ენობრივ კოლექტივებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ შესაბამისად ქართულ და სომხურ ენებს, ასევე შეუძლიათ თურქული ენის ჯავახეთში დადასტურებული დიალექტის გამოყენება. ეს უკანასკნელი ცალსახად სიტუაციურად განპირობებულია (იგი ოჯახურ ენადაა ქცეული, გასაიდუმლების ენაა. მის ფუნქციებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. შევვებით გამოყენების სფეროებსაც), ამ ენობრივი კოლექტივების დონეზე საკმაოდ ხშირად დასტურდება ოპოზიცია: დიალექტი / არგო, ანუ **a2 - - a4**. ჩვენ შევვებით დიგლოსიის ტიპებს ჯავახეთის ენობრივ სიტუაციაში რომელიმე მოქმედი ერთი ენის ფარგლებში (ცალკე ქართულის, ცალკე რუსულის). უკვე აღვნიშნეთ, რომ იქაურ ენობრივ სიტუაციას ართულებს ის, რომ დიგლოსიასთან ერთად იქ არსებულ ენობრივ კოლექტივებს ახასიათებთ ორენოვნება.

ამ სიტუაციის ზოგადი აღწერა შეიძლება შემდეგნაირად:

**A - - B**, ან **A - - C**.

ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველაზე ღირებული მოდელების ტიპობრივი ნიმუშების ჩამოსაყალიბებლად ე. თუმანიანის დებულებებია. პირველი მათგანი გულისხმობს იმას, რომ სამეტყველო ერთობა-

თა უმრავლესობაში, როგორც წესი, საურთიერთოდ გამოიყენება მის ფარგლებში მოქმედი ენის (ან ენების) რამდენიმე ეგზისტენციური ფორმა, რაც იმასაც არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელი იყოს მათი ურთიერთთანაცვლება. ამასთანავე მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კიდევ ერთ ფაქტორს (რაც, მისი აზრით, მაინცა და მაინც ხშირად არ განიხილება ბილინგვიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში); ეს არის მეორე ენის ეგზისტენციური ფორმების გათვალისწინება.


თუმანიანის მიერ განხილული მოდელების ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისთვის მისასადაგებლად არ გამოგვადგება ზემოთ მოყვანილი აღნიშვნები, სადაც ლათინურ ასოებს კონკრეტულ ენებს ვუსადაგებთ. აუცილებელია ავტორისეული აღნიშვნების შემოტანა.

A არის სიმბოლო ავტოქტონური ენისა; a1 – ავტოქტონური ენის სალიტერატურო ფორმა; a2 – დიალექტური ფორმა, a3 – ქალაქური კოინე a4 – პროფესიული ჟარგონი და არგო;

B – სიმბოლო მეორე ენისა, b 1 – სალიტერატურო ენა, b 2 დიალექტი, b 3 – ქალაქური კოინე, b 4 – პროფესიული ჟარგონი და არგო;

C არის სიმბოლო მესამე ენისა c 1 სალიტერატურო ენა c 2 – დიალექტი, c 3 – ქალაქური კოინე, c 4 – პროფესიული ჟარგონი და არგო (თუმანიანი 1981: 80).

ავტორი გამოყოფს ექვს მოდელს. ჩვენ მათ ცალ-ცალკე განხილვას არ შევუდგებით. მე-6 მოდელს იგი საქართველის ენობრივი სიტუაციას უსადაგებს. მოდელი გილისხმობს ისეთ ენობრივ სიტუაციას, სადაც ბილინგვი მშობლიურ ენასთან ერთად ორ სხვა ენასაც იყენებს. სქემატურად იგი შემდეგნაირად გამოიყურება:



თუმანიანის აზრით, ამ ენობრივ სიტუაციაში ცხოვრობენ საქართველოში და აზერბაიჯანში მცხოვრები ინტელიგენციის სომეხი წარმომადგენლები. სომხურ ენასთან ერთად (რომელიც ხშირად თბილისურ კოინესა და სომხური ენის თბილისური დიალექტით გამოიხატება) ისინი საურთიერთოდ იყენებენ ქართულს და, როგორც წესი, ფლობენ რუსულსაც, რომელსაც სიტუ-

აციიდან გამომდინარე იმავე კომუნიკაციურ სიტუაციებში ხმა-რობენ (თუმანიანი 1981: 87).

ჯავახეთის ენობრივი სიტუაციისათვის ერთი მოდელის მისადაგება გავვიჭირდება. ვფიქრობთ, ცალკე უნდა განვიხილოთ ის ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ცხოვრობენ ქართველები და ის სიტუაცია, რომელშიც ცხოვრობენ სომხები.

ქართველთა ეთნიკური ჯგუფი ჯავახეთში საურთიერთოდ იყენებს ქართული ენის ჯავახურ დიალექტს, ფლობს სალიტერატურო ენას. უმრავლესობისთვის მეორე ენა სომხურია, უფრო ზუსტად, მისი ჯავახური დიალექტი. ქართველთათვის მესამე ენა რუსულია. რაც შეეხება სომხებს, ისინი ურთიერთობენ სომხური ენის ჯავახურ დიალექტზე, სკოლაში ეუფლებიან სალიტერატურო ენას, უმრავლესობის მეორე ენა არა ქართული, არამედ რუსული. მათი მესამე ენა ქართულია (თურქულის დიალექტური ფორმა). ასე რომ, მივიღებთ შემდეგ სურათს (ა – აღნიშნავს მოდელს ქართველებისთვის, ბ – სომხებისთვის. ეს მოდელები სხვადასხვა ჯგუფის დონეზე შეიძლება შეივსოს კიდევ, მაგრამ მცირე ენობრივი კოლექტივებისთვის):

**b2, b3** (სომხური)

**a. a2, a1, ---**

**C** (რუსული)

**B** (რუსული)

**b. a2, a1 ---**

**C2, c3**, (ქართული)

იმისათვის, რომ ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის შემადგენელი სხვა ენები და მათი ნაირსახეობები ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს, აღნიშვნებს მცირედ შევცვლით და მთავრული ლათინური ასოებით კონკრეტულ ენებს აღვნიშნავთ, მათ ვარიანტულ სახესხვაობებს შესაბამისი პატარა ასოებითა და ქვემოთ მოყვანილი ინდექსებით. ქართული ენა – A, სომხური ენა – B, რუსული ენა – C, თურქული ენა – D.

ენობრივი ნაირსახეობა 1 – სალიტერატურო ენა

2 – დიალექტი

3 – ყოველდღიური სასაუბრო ენა

4 – პროფესიული ქარგონი და არგო



მივიღებთ შემდეგ შესაბამისობებს:

ენები	1	2	3	4
A	a	a	a	–
B	b	b	b	b
C	c	c	c	–
D	–	d	–	d

ეს ყოველივე ჯავახეთში არსებული სიტუაციის ზოგად სურათს შეესაბამება. თუ კონკრეტული ენობრივი ერთობის დონეზე აღვწერთ, მაშინ განსხვავებულ სურათს მივიღებთ.

ქართულ-რუსული ბილინგვური ენობრივი ერთობის დონეზე დადასტურდება: a1, a2, a3, a4, c1, c3

ქართულ-სომხური a1, a2, a3, a 4, b2, b3

სომხურ-რუსული: b1, b2, b3, b4, c1, c3

ქართულ-სომხურ-თურქული: a1, a2, a3, b2, b3, d2, d4

ბილინგვი ადამიანები, ანუ ადამიანები, რომლებიც ერთ ან რამდენიმე ენას ფლობენ, ჩვეულებრივ, ანაწილებენ მათ გამოყენებას ჯავახეთში არსებული ურთიერთობის პირობებიდან გამომდინარე.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბერეგოვსკაია 1979** – Береговская Э. М. Язык художественной литературы и социальный диалект. Москва: 1979.

**ბოლქვაძე, 2007** – ბოლქვაძე თ. ქართველური დიგლოსია, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები. ისტორია და თანამედროვეობა. თბილისი: 2007

**გამპერცი, 1975** – Гамперц Дж. Переключение кодов Хинди-Пенджаби в Дели. Новое лингвистике. Выпуск VI. Москва: 1972.

**დეშერიევი, 1976** – Дешериев Ю.Д. Теория языка и речевая практик. Теоретические проблемы социальной лингвистики. Москва: 1981.

**თუმანიანი 1981** – Туманян Э. Г. Типология языковых ситуации, Комплексные модели форм существования языка. Теоритические проблемы социальной лингвистики. Москва: 1981.

**ლადარია, 2007** – ლადარია ნოდარ, სოციოლინგვისტიკა, თბილისი, 2002, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>, ნანახია 2017 წლის 23 ივნისს.

**ნიკოლსკი 1976** – Никольский Л. Б. Синхронная социолингвистика (Теория и проблемы). Москва: 1976.

**უელ, 2006** – უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. – I-ლიგამოც. – [თბ.] : ფანტაზია, 2006. – 28სმ. [MFN: 136149] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=64507> ნანახია 2017 წლის 16 ივლისს

**ფერგიუსონი, 1959** – Ferguson, C. A., Diglossia in Word, 15, 1959, pp. 325-40

**შვეიცერი, 1977** – Швейцер А. Д., Современная Социолингвистика. Теория, проблемы и методы. М.: 1977.

## ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

### **აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის მართებული გააზრებისათვის (კამანი, ნაა, ტყაურუ, ტყვარჩელი)**

**კამანი** – კამანს ქართულ ტოპონიმად მიიჩნევს ვალერიან ზუხბაია, მაგრამ საამისო მსჯელობა სახელწოდების ეტიმოლოგიაზე მის ნაშრომში მოცემული არ არის (ზუხბაია, 2000: 61). გ. გასვიანი კამანზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ სოხუმის რაიონის სოფ. შრომაში შემორჩენილი კამანის სახელობის გვიან ხანს განახლებული ეკლესია გამოჩენილ პატრიოტ ღვთისმსახურს - იური ანუას აღუდგენია. იგი ეკლესიის სხვა მსახურებთან, მათ შორის მღვდელ ანდრია ყურაშვილთან ერთად, 1993 წელს დაუხვრეტაით აფხაზ სეპარატისტებს. მკვლევარი იზიარებს თ. მიბჩუანის თვალსაზრისს, რომ სახელწოდება კამანი/„ქანანი“ ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელ-მოციქულის – სიმონ კანანელის სახელს უკავშირდება. ვარაუდობენ, რომ X-XI სს-ში აგებული კამანის დარბაზული ტიპის

ქვის ეკლესია დანგრევის შემდეგ მორწმუნე ქველმოქმედებს მონასტრად აღუდგენიათ XIX საუკუნეში (გასვიანი, 2011: 193).

შესაძლოა სახელწოდება დაკავშირებული იყოს მცენარის სახელწოდებასთან. **კამანი** მეგრულში იგივეა, რაც ქამენია „ანაგვირილა“ (ქობალია, 2010: 353).

**ნას** სახელწოდებით ორი სოფელია აფხაზეთში: 1. გულრიფშის რაიონში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 280 მ-ზე, გულრიფშიდან 25 კმ-ის დაშორებით. გასული საუკუნის 80-იანი წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით განახლების თემში შედის; 2. ოჩამჩირის რაიონში, მდ. კოდორის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 300 მ-ზე. ოჩამჩირიდან 40 კმ-ის, ხოლო სომხური ათარიდან 5 კმ-ის დაშორებით. 1948 წლამდე ორივე სოფელს სომხური ნაა ერქვა (ქსე, VII, 1984: 279).

ა. ქობალიას განმარტებით, **ნა** იგივეა, რაც ლერწამი; სტივრი, სალამური; ლერწმის კალამი, ხოლო **ნაა** „ლერწმანია“ (ქობალია, 2010: 501). გამორიცხული არაა, რომ სოფლის სახელწოდების ამოსავალი სწორედ ნაა სიტყვის ეს მნიშვნელობა იყოს.

**ტყაურუ** – აფხაზეთის საკათალიკოსოს დოკუმენტებში მოხსენიებული ტყაურუ, პ. ინგოროყვას აზრით, ზღვისპირას მდებარე სოფელი უნდა ყოფილიყო. „ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ამ სოფლის მოსახლეობას ბეგარად ედვა მენავეობა (მეთევზეობასთან ერთად)“, – წერს მეცნიერი (ინგოროყვა, 1954: 176, სქოლიო 5). „აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი დავთარი“ გვაუწყებს: „არის ტყავრუს მეთევზე და მენავტე...“ (კაკაბაძე, 1914: 39). დასახელებულია ტყავრელი გლეხები და მათზე დაკისრებული ბეგარაც: თავაზა შამბიას, მაშუტუა შამბიას, ქუქულაია შამბიას, უჩაკოჩი ჭუჭურიას და გავაშელს დ-თიას ემართათ „მენავტობა, მეთევზობა, საპურობო“ (იქვე: 39).

პ. ინგოროყვა შეეცადა ტოპონიმ „ტყაურუს“ ეტიმოლოგიის დადგენას და სახელწოდების ფუძე-სიტყვად გამოყო მეგრული **ტყა** სიტყვა, რაც ტყეს ნიშნავს, და შესადარებლად იქვე დაიმოწმა ზუგდიდის რაიონის სოფლის სახელწოდება **ტყაია** (იქვე: 176).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტოპონიმი **ტყაური** სამეგრელოში სხვაგანაც გვხვდება. კერძოდ, ხობის რაიონის სოფ. გამოღმა შუა ხორგაში ტყესთან მდებარე სახნავს „ტყაურს“ ემახიან. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ტყაური, საერთოდ, ტყისპირა სახნავის სახელწოდებაა (ცხადაია, III, 2007: 232). **ტყაური** ეწოდება აგრეთვე მთას ხობის რაიონის სოფ. მათხოჯში (საქ. ტოპ., III, 2003: 303). ა. ფა-

ილოძე შედარებით ზუსტ ადგილმდებარეობას წარმოგვიდგენს და წერს, რომ ტყაური საღორაღას შემდეგ იწყება. ტოპონიმს ახლავს შემდეგი განმარტება: „ტყა მეგრულად ტყეა, ტყაური ტყიანს ნიშნავს“ (ფაილოძე, 2014: 55). ამასთანავე, ტყაური რქმეგია პატარა სოფელს ამ ტყეში. „შავმა ჭირმა აპყარა. სახელი ტყიანს ნიშნავს“ – წერს ა. ფაილოძე (იქვე: 141). ტყაურისყელი ვიწრო გზა-გასასვლელია მთაში, სოფ. მათხოჯში, სადაც მარხილსაც კი უჭირს გავლა (იქვე: 141).

ტოპონიმში **ნატყაურ ნა-** პრეფიქსი წინავითარებას გამოხატავს. დამოწმებულ გეოგრაფიულ სახელში დაკარგულია -უ სუფიქსი (შდრ. ნაკარგ, ნაჯიხე, ნა/ვანგ, ნაქერგ, ნაჭკიდგ, ამოსავალი ფუძე-სიტყვაა **ტყაურ**. ნატყაურ ეწოდება მინდორს ხობის რაიონის სოფ. გამოღმა ქარიატაში, ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, საწურწყმიოდ სახელდებული უზნის ჩრდილოეთ შემოგარენში. პ. ცხადაიას მიერ ჩაწერილ ტოპონიმს ახლავს ინფორმანტის შემდეგი ცნობა: „უწინ აქ ყოფილა ტყაურუ, ე. ი. სახნავი ახალნაკავზე, ან ტყისპირა ამონადირკვზე (ცხადაია, III, 2007: 187).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტოპონიმი „ტყაური“ სამეგრელოში სხვაგანაც გვხვდება. კერძოდ, ხობის რაიონის სოფ. გამოღმა შუა ხორგაში ტყესთან მდებარე სახნავს „ტყაურს“ ეძახიან. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ტყაური, საერთოდ, ტყისპირა სახნავის სახელწოდებაა (ცხადაია, III, 2007: 232). **ტყაური** ეწოდება აგრეთვე მთას ხობის რაიონის სოფ. მათხოჯში (საქ. ტოპ., III, 2003: 303). ა. ფაილოძე შედარებით ზუსტ ადგილმდებარეობას წარმოგვიდგენს და წერს, რომ ტყაური საღორაღას შემდეგ იწყება. ტოპონიმს ახლავს შემდეგი განმარტება: „ტყა მეგრულად ტყეა, **ტყაური** ტყიანს ნიშნავს“ (ფაილოძე, 2014: 55). ამასთანავე, ტყაური რქმეგია პატარა სოფელს ამ ტყეში. „შავმა ჭირმა აპყარა. სახელი ტყიანს ნიშნავს“ – წერს ა. ფაილოძე (იქვე: 141). **ტყაურისყელი** ვიწრო გზა-გასასვლელია მთაში, სოფ. მათხოჯში, სადაც მარხილსაც კი უჭირს გავლა (იქვე: 141).

ტოპონიმში **ნატყაურგ, ნა** პრეფიქსი წინავითარებას გამოხატავს. დამოწმებულ გეოგრაფიულ სახელში დაკარგულია -უ სუფიქსი (შდრ. ნაკარგ, ნაჯიხე, ნა/ვანგ, ნაქერგ, ნაჭკიდგ, ამოსავალი ფუძე-სიტყვაა **ტყაურ**. ნატყაურგ ეწოდება მინდორს ხობის რაიონის სოფ. გამოღმა ქარიატაში, ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, საწურწყმიოდ სახელდებული უზნის ჩრდილოეთ შემოგარენში. პ. ცხადაიას მიერ ჩაწერილ ტოპონიმს ახლავს ინფორმანტის შემდეგი ცნობა:

„უწინ აქ ყოფილა ტყაურუ, ე. ი. სახნავი ახალნაკავზე, ან ტყისპირა ამონამირკვზე (ცხადაია, III, 2007: 187).

**ტყაური** სიტყვას მეგრულში რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია. კერძოდ, ტყაური ეწოდება ტყიან, ბალახბულახიან ადგილს (ქობალია, 2010: 176).

თუკი ჩავთვლით, რომ ტოპონიმ ტყაურის უწინდელი ფორმა **ტყა რურუ** იყო, მაშინ სახელწოდება უნდა გავიაზროთ, როგორც „ყრუ, გაუვალი, უღრანი ტყე“. შდრ. **ტყაურუმი** – დაბურული, უღრანი ტყე; ტყაურინუ – უსიერი ტყე (ქობალია, იქვე: 606).

ტყის სახელწოდება მეტონიმის კანონის ზემოქმედებით იმ სოფლის სახელად ქცეულა, რომელიც ამ ტყის მახლობლად მდებარეობდა (შდრ. ტერმინი ტყირი – დრიმონიმი ტყირი – ოიკონიმი ტყირი).

**ტყვარჩელი** მდებარეობს ღალიძგის ხეობაში, ზ. დ. 200-600 მ-ზე. მდინარის გასწვრივ 17 კმ-ზე გაშენებული ქალაქი სოხუმიდან 80 კმ-ით არის დაშორებული. ქვემო დასახლებაში მდებარე ადმინისტრაციულ ცენტრს კვზანი // კვეზანი ეწოდება. სამურზაყანოელნი სწორედ ამ დასახლებას მიიჩნევენ უწინდელ ტყვარჩელად. კვეზანის გარდა, ტყვარჩელში მდებარე სხვა დასახლებებია აკარმარა, ჯანტუხა და კუმიზი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 296). 1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. ტყვარჩელიდან თურქეთში გადაუსახლებიათ ვინმე ზაფას აშხოა (ხორავა, 2004: 133).

1867 წელს აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლების დროს სოფ. მოქვიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა სიაში დასახელებულია შემდეგი გვარები: ჭოლოკუა, ადღეიბა, ხვარაა, კერსალ, ქუთელია, არსია, ყაზან-ოღლი, ანჩაბამე, თარბა, აშცა, ქარია(ქირია), ჩხონგურია, ჯინჯოლია, ჯინჯელ და ქუთარბა (ხორავა, 2004: 130-132). აფხაზეთში 1890-1921 წლებში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების სიაში დასახელებულია ტყვარჩელის 12 მოციქულის სახელობის ხის ეკლესია (გასვიანი, 2011: 215). კავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით, ტყვარჩელი სოფელია კოდორის ხეობაში, გუფის თემში. მ/შ 743 სული მამაკაცია, 683 – ქალი, სულ 1426 სული (Сводъ..., 1893: 14).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1925 წლის ცნობარი გვაუწყებს, რომ **ტყვარჩელი** სასოფლო საბჭოა კოდორის მაზრაში (დაყოფა, 1925: 127). ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის ცნობარიდან ირკვევა, რომ კოდორის მაზრაში არსებული ტყვარჩელის სასოფლო საბჭო ოთხ სოფელს აერთიანებდა: ათიშადუს, აკუარჩაპანს,

ამხიდას და ტკვარჩელს / აზგიგდარას. ამ უკანასკნელში 108 კომლი (507 სული) სახლობდა. მ. შ ერთი რუსი იყო, დანარჩენი – აფხაზი (დაყოფა, 1930: 163). 1961 წლის ცნობარის მიხედვით, ტკვარჩელის სასოფლო საბჭოში კვლავ ოთხი სოფელი შედის: ატიშადუ, აბლილ-დარა, ამხიდა და აყვარჩაფანი (დაყოფა, 1961: 125).

ისტორიკოსი ბ. ხორავა ფიქრობს, რომ XVII ს. იტალიელი მილიონერების – ლამბერტისა და კასტელის რუკებზე აღნიშნული **ტკვაჯა** იგივე სოფ. ტკვარჩელია. მკვლევარი იზიარებს ტოპონიმის თ. გვანცელაძისეულ განმარტებას (ხორავა, 2004: 103; იხ. აგრეთვე ბერაძე, ხორავა, „ქ. ო.“, VI, 2013: 108). რუკაზე დატანილი **Tqugia** (ტკვაჯა), ჩვენი აზრით, ტკვარჩელი არ უნდა იყოს, არამედ უწინ არსებობდა სოფელი ამ სახელწოდებით. ტკვაჯა, ვ. ზუხბაიას აზრით, ჯგერდეს სექტორში მდებარე სოფელი იყო, ასეთი სახელწოდების სოფელი კი ამჟამად არ არსებობს (ზუხბაია, 2000: 82).

ხალხური ეტიმოლოგია ოიკონიმ „ტკვარჩელისა“ ასეთია: ბზის გასატანი მასალა აქ იყო „ტკვარჩილი“ – გრძლად დაწყობილი (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 296). ტკვარჩელის ეტიმოლოგიას პირველად ი. ყიფშიძე შეეხო. მან ამოსავალ ვარიანტად მიჩნეული **ტკვარჩელი** „თეთრ კიბედ“ განმარტა. **ტკვა / ტყვა** იგივეა, რაც საფეხურებით ჩაჭრილი მორი, საცალფეხო კიბე, ხოლო **ჩე** „თეთრის“ შესატყვისია (მსჯელობისათვის იხ. ყიფშიძე, 1914: 329).

პ. ინგოროყვა **ტკვარჩელში** გამოყოფდა ორ სიტყვას: **ტკვა** „კიბე“, **რჩელი** „დაფენილი“ (ინგოროყვა, 1954: 172). ვ. ზუხბაია იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ღალიძგის ხეობაში, ქვედა მინერალურ წყაროსთან ჩასასვლელად დაგებულ-დაფენილი ყოფილა კიბე (ტკვარჩელი), რამაც სახელი მისცა დასახლებულ პუნქტს (ზუხბაია, 2000: 81). ქ. ლომთათიძემ ტოპონიმში მეორე კომპონენტად გამოყო ქართული **რეც** ფუძის ზანური შესატყვისიდან მომდინარე **ფენილის** (განფენილის) შინაარსის მქონე სიტყვა, ხოლო **ტყვა** დაუკავშირა **ტყვ(ი)ა** სიტყვას, რაც, მკვლევრის აზრით, „უნდა მიუთითებდეს ტყვიის (ე. ი. მადნის) არსებობაზე აღნიშნულ ადგილას. შესაბამისად, **ტკვარჩელი** უნდა ნიშნავდეს ტყვია (resp. მადან) – ფენილს (მოფენილს, განფენილს)“ (ლომთათიძე, 1994: 9). კ. ოკუჯავა სახელწოდებაში გამოყოფს **ტკვა** „კიბე“ სიტყვას, მაგრამ არაფერს ამბობს მეორე კომპონენტზე – **რჩელი** (ოკუჯავა, 2002: 102). ტოპონიმ „ტკვარჩელის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზი მოცემულია ენათმეცნიერ თ. გვანცელაძის ნაშრომში. მისი აზრით, სახელწოდე-

ბის ი. ყიფშიძისეული და პ. ინგოროყვასეული ეტიმოლოგია ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო მიაგავს. ქ. ლომთათიძის ვარაუდი ქ. ტყვარჩელის ტერიტორიაზე სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ქვანახშირის საბადოს არსებობას ემყარება. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბადოს სამრეწველო დამუშავება აქ მხოლოდ 1935 წელს დაიწყო და XX ს-ის 20-30-იან წლებამდე ტყვარჩელში საბადოს არსებობის შესახებ ადგილობრივმა მოსახლეობამ არაფერი იცოდა (გვანცელაძე, „არტანუჯი“, 10, 2000: 91).

თ. გვანცელაძე ტოპონიმ ტყვარჩელის სხვაგვარი ახსნა შემოგვთავაზა. მან ტოპონიმი მცენარის სახელის მხოლოდითი რიცხვის ფორმას დაუკავშირა. მკვლევრის აზრით, სახელწოდების ამოსავალია მცენარე **ყოჩივარდას** მეგრული შესატყვისი **ტყვარჩელია // ტკვარჩელია**. თვით მცენარის მეგრული სახელწოდება ტყვარჩელია // ტკვარჩელია კომპოზიტია და „ტყავგაშლილს, ტყავდაფენილს, ტყავდაგებულს“ ნიშნავს. მცენარის ბოტანიკურ-მორფოლოგიური თავისებურება – მიწაზე მცენარის ღეროს ირგვლივ ტყავივით სქელი და უხეში ფოთლების როზეტივით დაფენა მხარს უჭერს სახელწოდების ამგვარ ეტიმოლოგიას (იქვე: 91-92). თ. გვანცელაძის ზოგადი დასკვნა ასეთია: ქ. ტყვარჩელის აფხაზური სახელი **ტყვარჩალ** მიღებულია აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ნასესხები სიტყვების ადაპტაციის წესების სრული დაცვით: **ტყვ** კომპლექსი არ არის დამახასიათებელი აფხაზური წარმოშობის სიტყვებისათვის, სამაგიეროდ, გვხვდება მხოლოდ ქართველიზმებში. მოხმობილია საილუსტრაციო მასალაც: აფხაზ. **ატყვა** – ქართ. **ტყვე**, **ატყვანრა** „გასკდომა, აფეთქება“ – მეგრ. **ტყვაძი** „მეხის გავარდნა“ და ა. შ. მეგრულ მახვილიან **ე** ხმოვანს აფხაზურში კანონზომიერად ცვლის **ა** ხმოვანი. გარდა ამისა, რამდენადაც XVII-XVIII სს-მდე კოდორის მარცხენა ნაპირზე აფხაზური მოსახლეობა არ იყო, აფხაზური **ტყვარჩალ** ფორმა ამ დრომდე ვერ გაჩნდებოდა (იქვე: 92).

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა გ. გასვიანმა, რომელმაც ტოპონიმი **ტყვარჩელი – ტყვარჩვალ** სვანურ ენაზე დაყრდნობით განმარტა, როგორც „შავტალახიანი მეწყერი“ (გასვიანი, 2011: 191).

**ტყვარჩელია // ტკვარჩელია** მეგრულში „ყოჩივარდას“ შესატყვისია, ხოლო **ტკვარჩელი** აღნიშნავს ხის ფენილ კიბეს, ხეფენილს. მაგრამ ტოპონიმ „ტყვარჩელის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას საგულისხმოდ და ანგარიშგასაწევად გვეჩვენება მეგრულში დადასტურებული ამ სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა. კერძოდ, **ტკვარ-**

**ჩელი** ამასთანავე ნიშნავს „ხერგილს, დასტა-დასტა დაკეცილს, ერთმანეთზე დაწყობილ-დალაგებულს“. ტკვარჩელს ისეთ ხერგილზე, ყორეზე იტყვიან, როცა ლოდები, ქვა-ლორდი, ხის მორები, ტოტები და ძეძვი ერთმანეთზეა დახერგილ-დახვავებული.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბერაძე, ხორავა, „ქ. ო.“, VI, 2013** – თ. ბერაძე, ბ. ხორავა, ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი XVII საუკუნის 50-იანი წლების იტალიური რუკების მიხედვით. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013

**გასვიანი, 2011** – გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველო. თბ., 2011.

**გვანცელაძე, „არტანუჯი“, 10, 2000** – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში, „არტანუჯი“, 10, თბ., 2000.

**დაყოფა, 1925** – სსსრ ადმინისტრაციული დაყოფა (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა). ტფ., 1925

**დაყოფა, 1930** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1930.

**დაყოფა, 1961** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის. ცნობარი შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა ვ. ა. ქუჩუკაშვილმა. თბ., 1961.

**ზუხბაია, 2000** – ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში. თბ., 2000.

**ინგოროყვა, 1954** – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954.

**კაკაბაძე, 1914** – ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914.

**ლომთათიძე, 1994** – ქ. ლომთათიძე, ტყვარჩელის გაგებისათვის. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994.

**ოკუჯავა, 2002** – კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002.

**საქ. ტობ., III, 2003** – საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია. თბ., 2003.



**ფაილოძე, 2014** – ა. ფაილოძე, ხონის რაიონი. ტოპონიმია და გვარსახელები. ქუთ., 2014.

**ქსე, VII, 1984** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984.

**ქობალია, 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010..

**ყიფშიძე, 1914** – Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка. С.-ПБ., 1914.

**ცხადაია, ჯოჯუა, 2003** – პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი (სალექსიკონო მასალა), I, თბ., 2003.

**ცხადაია, III, 2007** – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ხობის რაიონი, ქ. ფოთი), თბ., 2007.

**ხორავა, 2004** – ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა. თბ., 2004.

**Сводь..., 1893** – Сводьстатистических данных о населении закавказского края, извлеченных из посемейных списковъ 1886 г. Тифлисъ. 1893.

## **მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ე**

### **ერთი ლექსიკური ერთეულის (ჭამა) კონოტაციები ქართულში**

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. საკვებ პროდუქტებზე განსაკუთრებული მოთხოვნილება, კვების კულტურა და გემოვნება ქართველებში გენეტიკურია.

თანამედროვე თუ ძველი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფა, სოციალური მოდელი ერთნაირი არ არის. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, რეგიონებში დღემდე ურყევადაა შემორჩენილი ძველი, ტრადიციული ყოფითი კულტურის ელემენტები. ასეთია სტუმარმასპინძლობის წესი. იგი, უპირველეს ყოვლისა, სტუმრის პატივისცემას, მისთვის საგანგებო დახვედრას, ტრადიციული კერძების მომზადებას, ჭამის კულტურას უკავშირდება.

**ჭამის** სემანტიკა ქართულში მრავალფეროვანია. **ჭამას**, გარდა კვებითი მოქმედების გამოხატვისა, დანაყრებისა, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უკავშირდება დაპატიჟება-გამასპინძლება, ცხოვრება,

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიყვარული, მეგობრობა, მოფერება, სიკეთის ქმნა, ვაჟკაცობა, შრომა, თავის რჩენა, მოხერხებულობა, მოტყუება, სიზარმაცე, შერცხვენა, ფულის ხარჯვა, გაბრაზება, დარდი, ტანჯვა, შეწუხება, სნეულება, სიკვდილი... **ჰამის** სემანტიკის მრავალფეროვნება კარგად წარმოაჩენს ადამიანის ხასიათის დადებით და უარყოფით თვისებებს. შესაბამისად, კონოტაციები ხან დადებითია, ხან – უარყოფითი. არანაკლებ საინტერესოა ქართულ ხატოვან თქმებში, წყევლისა და დალოცვის ფორმულებში, ხალხის რწმენა-წარმოდგენებში, ჟარგონიზმებში დაცული **ჰამის** სემანტიკური ველი.

როგორც საქართველოში მცხოვრებ ქართველებში, ისე მის ფარგლებს გარეთ (განსაკუთრებით, თურქეთში) დამკვიდრებულ მუჰაჯირებში, მთისა და ბარის რეგიონებში შემონახულია **ჰამასთან** დაკავშირებული უამრავი ფრაზა.

ლექსემა **ჰამას** განვიხილავთ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით. **ჰამა** პირდაპირი გაგებით საჰმლის ჰამას, კვებას გამოხატავს, გადატანითი მნიშვნელობით კი მისი სემანტიკური ველი მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც ერთსიტყვიანი ტერმინები, ისე სინტაგმები და სტრუქტურულად უფრო გრძელი ერთეულები. საინტერესოა მარტივფუძიანი და თხზული სიტყვები, განსაკუთრებით სახელზმნები. **ჰამა** კომპოზიტის ხან პირველი ნაწილია, ხან – მეორე:

**ჰამბურა** (რაჰ.) = გაუმძღარი, მსუნაგი, მარტოოდენ ჰამაზე გაერთხილებული (ბერიძე, 77).

**ჰამაკუთილი** (გურ.) = ჰამისგან კუთვა, ზედმეტი გამამძრობა: რა დაგემართა, **ჰამაკუთილა** ხომ არ გჭირს? (ღლონტი, 716).

**ჰამატაკია** (ქიზიყ.) = ტრაზახა ჰამაში. ესა და ეს ვჰამეო, რომ იძახის (ღლონტი, 716).

**ჰამაფიცილა** (ქართლ.) = კაცი, რომელიც ჰამს და ფიცავს: არ მიჰამიაო (ღლონტი, 716).

**პურუჰმელი** (ქართლ.) = დაუნაყრებელი, მშიერი (ღლონტი, 443).

**ჰამბურად მუშაკობაი** (თუშ.) = მუშაობა, რომლის ანაზღაურება ხდება მხოლოდ პურის ჰამით (ღლონტი, 716). დასახელებულ მაგალითებში **ჰამა** ადამიანს უკავშირდება და კარგად გამოხატავს მის დამოკიდებულებას ამ პროცესისადმი. საინტერესოა, რომ **ჰამა** ძირი ჩანს მცენარეთა სახელწოდებებშიც. ალ.მაყაშვილის ლექსიკონში დასახელებულია მსგავსი მაგალითები:

**ჭამჭამა** (ინგ.) = კვიდო, მცენარეა; **პურიჭამია** (რაჭ.) = საყურე, მცენარეა (მაყაშვილი). **კვიდო** დასახელებულია ქეთევან მოწენძის ზემოიძერულ ლექსიკონში: **კვიდო** ბუჩქოვანი მცენარეა, საჭმელად არ ვარგა (მოწენძე:194).

ძირითადად ორ და სამსიტყვიანია **ჭამის ფორმების** გამომხატველი ფრაზები:

ჭამის დროს ხმის გამოცემა: **ხმაურით ჭამა, წლაპუნით ჭამა.**

უკულტურო ჭამა: **მოურიდებელი ჭამა; ღორივით ჭამა; ცოხნით ჭამა / იცოხნება.**

ცოტა ჭამა: **ჩიტვიით ჭამა, კენკვა: ჩიტვიით ჭამს, იკენკება; ცოტა ჭამა, წაილუკმა.**

მადიანად ჭამა: **ორივე ყბით ჭამა. ამოუჯდება გოგრა ლობიონიან ჯამს და ორივე ყბით სჭამს** (სახოკია: 475).

ლექსემა **ჭამასთან** დაკავშირებით გამოვყოფთ შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებს:

**ჭამა / დაპატიჟება / გამასპინძლება: პურის ჭამა || პურობა || პურის გატეხვა || ლუკმის გატეხვა** ქართულში ზოგადად, საჭმლის ჭამას, გამასპინძლებას უკავშირდება. კახეთში დაპატიჟების ფორმად სწორედ „**პური ვჭამოთ**“ ითვლება. ამ ტიპისაა: *კაი პური ვჭამეთ; ლუკმა გასტეხეთ, ქეიფი გასწიეთ, ილხინეთ, იმხიარულეთ!* (სახოკია: 363).

პურის ჭამა, სტუმრის საკადრისი პატივისცემა ოდითგანვე საღვთო საქმედ ითვლებოდა საქართველოში. თურქეთში მცხოვრებ ქართველებშიც დღემდეა შემორჩენილი ისტორიული სამშობლოდან წადებული ქართული ადათ-წესები, ტრადიციები. ეს ჩანს „ჩვენებურების ქართულშიც“. მაგალითად: *პაწაი იმანიც თუკი გაქ, სტუმარიც თუ გეყვარება, შენი ნაჭმევი პურები იმ დღესა დეგეხმარება* (შ. ფუტყარაძე) = თუ შენ სტუმარი გეყვარება, თუ სტუმარს პატივს სცემ, გაუმასპინძლები, **პურს აჭმევ**, ეს პატივისცემა შენვე უკან დაგიბრუნდება, ანუ სიკეთე სიკეთით დაგიბრუნდება.

სტუმრის მიპატიჟების განსაკუთრებული ფორმაა **ბრძანეთ**: მასპინძელი სტუმარს ასე მიმართავს: **ბრძანეთ, ბატონო!** ე.ი. მიირთვიეთ, ჭამეთო! (შავშეთი, 133).

**პურის ჭამა** დაკავშირებულია ცუდი გარეგნობის, ცუდი თვისებების ადამიანთან: **კაცს პური არ ეჭმევა** = საზიზღარი, გულის ამრევი: *მე ისეთი ცოლი მყავს, რომ ქრისტიან კაცს პური არ ეჭმევა იმასთან* (თ.რაზიკ.) (სახოკია: 320).

**ჭამა, გემოს გასინჯვა: პირში ჩაგდება** = ჭამა, გემოს გასინჯვა: *თითო-თითო ხურმა დააჭამეთ, ჭამეთ, პირში ჩეიგდეთ, ასე ამოხა-პეთ!* (საღინამე, კიკვაძე). შდრ. თ. სახოკიას ლექსიკონის მიხედვით ქართულში ფრაზეოლოგიზმი **პირში ჩაგდება** ვისამე ლანძღვას, საყვედურის საგნად გახდომას ნიშნავს: *რძლეები სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე ძმების პირში ჩაეგდოთ ქვრივი...* (სახოკია: 502).

ხშირად **ჭამა/სმა** ფრაზეოლოგიზმებში, ანდაზებსა და აფორიზმებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება. მაგალითად: **ჭამა-სმა უყვარს** = ლხინის მოსურნეა; **ჭამა-სმა დიდად შესარგი დება რა სავარგულია...** (შოთა რუსთაველი); **თვალი ჭამს და თვალი სვამს** = თვალი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს იგებს, სასიამოვნოა; *რათ გინდა დუნიაში კაი სმა და ჭამა, ყველა ესენი გეიარს და წავა...* (ფუტკარაძე: 272); თურქეთელ ქართველებში და აჭარულ დიალექტშიც **ჭამა** იხმარება **სმის** მნიშვნელობით: **რძეს ჭამს**.

**ჭამა** ძირი გამოიყენება დროის აღსანიშნად. მაგალითად: **ჭამიდან ჭამამდე; ჭამათა შორის**.

აღვნიშავთ, რომ **ჭამა** ძირიანი ფორმები და ფრაზეოლოგიზმები ხშირად უარყოფითი სემანტიკის გამომხატველია. ასეთებია:

**ბევრი ჭამა, გაუმძღრობა:**

**ჭამპურა** = გაუმძღარი, ჭამია, მსუნაგი, მარტო ოდენ ჭამაზე ფიქრობს (რაჭული).

**ჭამტომარა** = ბევრის მჭამელი, *ვისაც არაფერი აძლობს* (იმერული)

**გაუთავებელი ჭამა** = დაუსრულებელი ჭამა; დაუსრულებელი დროსტარება.

**ჭამად ქცევა** = ბევრი ჭამა, დაუსრულებელი, უზომოდ ჭამა (სახოკია: 886).

**ჭამაზე ჭერა თვალებისა** = მარტოდენ ხორციელი სიამოვნებისთვის ზრუნვა, მუცელს გადაყოლა: *მაგრამ შენ სულ ჭამაზედ გიჭირამს თვალები* (სახოკია: 886).

**ყველაფრის გადაჭმა** = უზომოდ ჭამა (გურული).

**სიზარმაცე, უშრომლად ცხოვრება, მუქთახორობა:**

**მუქთაჭამია** = ზარმაცი, უქნარა: *ვის ამაგზე მისდიხართ, თქვე მუქთაჭამიემო?!* (ვაჟა).

**მუქთი პურის ჭამა** = უშრომლად ცხოვრება, მუქთახორობა: **მუქთი პურის საჭმელად** წარსულ ვიყავი (სახოკია: 431.).

**ფაფის ჭამა** = უშრომლად ცხოვრება: *შენ რა გეგონა? ეს ფაფის ჭამა კი არ არის!* (შავშური).

**ფლაგის ჭამა** = მუქთად ჭამა.

**მდიდრულად ცხოვრება:**

**ჭამის ქონებაზე დაკიდება** = ძალიან მდიდარია: **ჭამა ქონებაზე კიდია** (სახოკია).

**ყაბლუ ფლაგის ჭამა** = ფუფუნებაში, მდიდრულად ცხოვრება: *ისე შევინახამ, სულ ყაბლუ ფლაგს გაჭმევ* (სახოკია: 713). აღსანიშნავია, რომ **ფლაგის ჭამა** დიალექტებში სემანტიკურად განსხვავებულ ფრაზეოლოგიზმებს ქმნის.

**დადლილობა, სისუსტე:**

**ჭამის თავის არქონა** = დადლილობა, სისუსტე: **ჭამის თავი არ აქვს** (სახოკია).

**თხოვნა, ხვეწნა, მუდარა:**

**თავის მოჭმა / თავის წაჭმა** = არმოსვენება, ხვეწნა: **თავი მომაჭმა ხვეწნით** = ბევრი მეხვეწა, არ მომასვენა: *მანამ არ მოისვენა, სანამ თავი არ მომაჭამა ხვეწნით* (სახოკია: 227).

**პირის მოჭმა** = ხვეწნა, ვედრება. ეს ფრაზეოლოგიზმი სიკვდილის სემანტიკის გამომხატველიცაა.

**შეწუხება, დაზარალება, რისამე დაშავება:**

დასახელებულ შემთხვევებში ფრაზეოლოგიზმებში ძირითადი ლქსიკური ერთეულებია ადამიანის სხეულის ნაწილები: თავი, პირი, ფეხი:

**თავისა და ფეხების მოჭმა || თავ-პირის მოჭმა** = შეწუხება, დაზარალება, რისამე დაშავება: *...ისევ ის ცეცო იქნება, რაც იყო, თავს არავინ მოსჭამს და ფეხებსა* (ს. მგალობლიშვილი) (228). შდრ. ქართულში: **ფეხებს ვერ მომჭამს** = ვერაფერს დამაკლებს, ვერ დამაზარალებს. მაგალითებიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმი **თავის მოჭმა** ზოგჯერ დადებითი კონოტაციის გამომხატველია (თხოვნა, ხვეწნა), ზოგჯერ – უარყოფითი (შეწუხება, დაზარალება).

**გაჭირვება, სიღარიბე:**

საქართველოში ოდითგანვე ქართველი კაცის საარსებო საშუალება პური და მჭადი იყო. პურსაც და მჭადსაც საცერში გაცრილი ფქვილით აცხოზდნენ. ასე რომ, საცერი ქართული ტრადიციული ოჯახის განუყრელი ნივთია დღემდე.

სიღარიბე, გაჭირვება, ობლობა ქართულში რამდენიმე ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა, მაგალითად: **ცივკადნაჭამი; გუუცრელი**

**ჰადით გაზრდილი** = ობლობაში, სიღარიბეში გაზრდილი; **უკბილოდ ფაფის ჰამა** = ცხოვრების გართულება: *წავიდა ის დრო, როცა მუცელი უკბილოდ ფაფას სჭამდა* (დ. მაჩხ.) (სახოკია: 850).

ზოგ ფრაზეოლოგიზმში უკიდურესი გაჭირვება ჩანს. ამ ტიპისაა: **აგხე-ჰამიანი** = ხელმოკლე, ღარიბი, უქონელი, გაჭირვებული, ჰამას დანატრებული: *აგხე-ჰამიანთ ქალ ვინ მისცემს!* (ს.მენთეშაშ.) (სახოკია: 37); **სისხლის პურის ჰამის დრო** = მეტად გაჭირვებული დრო, მოუცლელობა: *რად მოუცარავს ხელი საწყალი მუშისთვის იმ სისხლის პურის ჰამის დროს...*(ს. მგალობლ.) (სახოკია: 580).

**წუხილი, დარდი, მწუხარება, ტანჯვა-წვალება:**

**თითების / ხელების დაჰმა** = დარდი, ნერვიულობა: **ხელები დაიჰმა** ნერვიულობისგან.

**შიშის ჰამა** = წუხილის განცდა რისამე სახიფათო მდგომარეობის გამო (სახოკია: 764).

**ნაღვლის ჰამა** = დიდი დარდისა, ფიქრისა და მწუხარების განცდა: *არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნაღველჰმულია* (რუსთაველი) (458). ნაღველი – ბრაზი, დარდი, სიცხარე. ნაღველის სითხეს გამოჰყოფს ადამიანისა და ცხოველის ღვიძლი (სახოკია: 458).

**კენესის ჰამა ეერზე** = გაჭირვების გაძლება, სიმწარე, ტკივილის არ შემჩნევა: *ატირდებიან გულღვიძლნი, კენესას იჰამენ ეერზედა* (შ. მღვიმელი) (სახოკია).

**სიმწარის ჰამა** = დიდი გაჭირვება: *ცხოვრებამ ბევრი სიმწარე მაჰამა* (სახოკია: 335).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფრაზეოლოგიზმი **პურის ჰამა** გამასპინძლებას, დროსტარებას, ქეიფს გამოხატავს, ანუ კონოტაცია დადებითია, მაგრამ ფრაზეოლოგიზმი **ცეცხლის პურის ჰამა** უარყოფითი კონოტაციისაა.

**ცეცხლის პურის ჰამა** = ტანჯვა, გამწარებული ცხოვრება: *...საშველი არ იყო, როდემდის უნდა ეჰამნა ცეცხლის პური* (ე. მენთეშ.); *წაიშინა მაშინ თავში: გვიჰამია ცეცხლის პური.*

**ჩხუბი, შეურაცხყოფის მიყენება – ცემა:**

**დაჰმა** (ერთმანეთისა) = მოსპობა, განადგურება: *ერთ-ერთმანეთს დაეჰამთ* (ილია) (სახოკია: 148).

**ლავაშის ჰმევა** = გარტყმა ლოყაში, ცემა: *იმ თავხედს თქვენი მოწონებული ლავაში ვაჰამე და ისიც გაჩუმიდა.* მიმსგავსებულია სიბრტყით, გაშლილად მოქნეული ხელი საჭმელ ბრტყელ ლავაშს (სახოკია: 350).

**გაბრაზება, გაგიჟება, გადარევა:**

**გულის შეჭმა** = გაბრაზება, ტანჯვა, წვალება: *იმდენი ვიტანჯე, რომ პირდაპირ გული შემეჭამა* (სახოკია: 117).

**გიჟანას ჭამა** = ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? *ნეტა ვიცოდდე, გიჟანა ხომ არ გიჭამია?* გიჟანა, იგივე ბელადონა, შხამიანი მცენარეა; ზომაზე – წამალია, მოჭარბებული – საწამლავი. მისი ჭამა კაცს თითქოს აგიჟებსო (სახოკია: 98).

**ლენცოფას ჭამა** = ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? *შენ, ჩემო ძმაო, ლენცოფა ხომ არ გიჭამია, რომ ასე აურთი ლაპარაკში?! ლენცოფა* ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეა. წამლად იხმარება. მისი ნაყოფის ჭამა ადამიანს გადარევს (სახოკია: 356).

**მორევა, დამარცხება:**

მტრის ხელში ჩავარდნილი დამარცხებული ადამიანის უმწეო მდგომარეობაა გამოხატული ფრაზეოლოგიზმში **ხორცის კბილით შეჭმა** = მორევა, საქმის გაჭირვება, მტრის ხელში ჩავარდნა: *თავის კბილით შევაჭმევ თვის ხორცსა* (ვ. ბარნ.) (სახოკია: 234). ეს ფრაზეოლოგიზმი „ალბათ იმ დროის მოსაგონებელია, როცა ადამიანის ხორცის ჭამა ჩვეულებრივ აშხად მიგვაჩნდა: დღეს რამე რომ ძალიან გვიჭირს ან მწვავედ აგვტკივდება, სიმწარისაგან კბილებითა ვვებნთ ხოლმე საკუთარ ხელებსა, თითქოს მათი შეჭმა გვინდა“ (სახოკია: 234).

**უკბილოდ შეჭმა და უხელოდ დამტვრევა** = ადვილად მორევა, განადგურება მოწინააღმდეგისა: *უკბილოდ შეგჭამ და უხელოდ დამტვრევო*, დაუძახა ვაჟმა (თ. რაზიკ.) (სახოკია: 627).

**უჭკულობა, სიბრიყვე, გასულელება:**

**ვირის ტვინის ჭმევა** = გამოსულელება, თვითონ რომ არ იცოდეს, რასა შვრება, რაც უნდათ, იმის გაკეთებინება. მგლ: *ჩემო კარგო, გეტყობა, ვირის ტვინი უჭმევიათ შენთვის, ჭკულის ნატამალი არ შეგრჩენია*. „ვირი პირუტყვებში ცნობილია როგორც ყველაზე უჭკულო, ჯიუტი ცხოველი. ხალხის ძველი რწმენით, ცხოველის სხეულის ამა თუ იმ ორგანოს შეჭმით ადამიანში გადმოდის შეჭმული ორგანოს თვისებებიც – დადებითი და უარყოფითი. მაშასადამე, ვინც ვირის ტვინს შეჭამს ან ვისაც შეაჭმევინ, იგი ითვისებს ვირის უჭკუობას, სიბრიყვეს... ასეთ ადამიანს ყველა თავის ჭკუაზე ატარებს“ (სახოკია: 204).

**მოტყუება, მოსყიდვა, ქრთამის მიცემა:**

**ჭმევა, კარგად ჭმევა** = მოტყუება: *აჭამა; კარგად აჭამა* (ყარგონი).

**ქალამნის მიცემა ანუ ჭმევა** = მოსყიდვა, ქრთამის მიცემა (სახოკია: 671).

**ძაღლის ფეხის მომჭმელი** = ავაზაკი, გაიძვერა (სახოკია: 837).

**შერცხვენა, დანაშაული, ლანძღვა, დამცირება:**

**სირცხვილშეჭმული** = ბრალეული, დამნაშავე: **სირცხვილშეჭმული მარცხდება!** (გ. ლეონიძე) (სახოკია: 578).

**სირცხვილის ჭამა** (ან ჭმევა ვისთვისმე) = თავის შერცხვენა, სასირცხვილო საქმის ჩადენა, სახელის გატეხა, თავის დამცირება: **სირცხვილის ჭამა ირჩიეს ქვეყნისთვის დავალებულთა** (ილია) (578).

**ცოდოს ჭამა / ცოდოს მჭამელი** = დანაშაულის ჩადენა: **ლევანს ძმები ცოდოს მჭამელსა და მოლაღატეს ეძახდნენ** (მელან.) (სახოკია: 814).

**სილის ჭამა** = შეურაცხყოფა, გალანძღვა, შერცხვენა, დამცირება: **მე მისი სილის ჭამითა პირი არ გამიმწარდება** (დ. გურამიშვილი) (სახოკია: 575).

**პურის არ ჭამა:** **სირცხვილით დასჭერ სუყველას თავი... შენთანა ქალთ პური აღარ ეჭმების** = უსვინდისო ხარ, შერცხვენილ (სახოკია).

**უგინებლად პურის ვერ ჭამა** = სალანძღავი სიტყვების მოყვარულია, ავსიტყვაა: **უგინებლად პური ვერ უჭამია** (სახოკია: 623).

**ნაჭამი პიტნის შეხედვა** = ცუდად მოქცევა: **მის ნაჭამ პიტნას შეხედე!** (სახოკია).

**დანანება, დასანანი საქციელი:**

**პრასის ჭამა** = სასირცხვილო, დასანანი საქციელი: **ნეტავი პრასა მეჭამა და ეს არ მექნაო!** პრასა მწარე და პირში უსიამოვნო სუნის დამტოვებელი ბოსტნეულია, ამიტომ ერიდებიან მის ჭამას (სახოკია: 465).

**ბევრი ლაპარაკი:**

ქართულში საინტერესოა ლაპარაკის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები. ზოგიერთი მათგანის კომპონენტი არის ლექსემა **ჭამა:**

**კოდალას ენის ჭამა** = ბევრს ლაპარაკობს, ენად არის გაკრეფილი: **კოდალას ენა სჭამს**. ძველი რწმენით, თუ პატარას კოდალას ენა აჭამეს, ენასაც მალე ამოიდგამს და საუცხოო მოლაპარაკვე იქნებაო (სახოკია: 340).

**კრუხის თავის ჭამა** = ბევრი, დაუსრულებელი ლაპარაკი: **კრუხის თავი უჭამია**. კრუხის თავის შეჭმა ქართველი ხალხის ცრუმორ-



წმუნეობის თანახმად, ადამიანს უვითარებს ლაპარაკის უნარს და შეუწყვეტლივ ამეტყველებს მოშლილი წისქვილივით (სახოკია: 344).

**სიტყვის ნაკლებობა, ლაპარაკის ვერშეძლება:**

ქართული ენის სამხრულ კილოებში ჭამის ერთი ფორმაა **ღეჭვა**, რაც ნელ ჭამას ნიშნავს. ქართველ მუჰაჯირებში **ღეჭვა** ლაპარაკის სემანტიკას გადმოსცემს:

**ქართულის ღეჭვა** = ნელი, გაუგებარი ლაპარაკი: *მეჰმედი გურჯიჯე ღეჭავს* = უჭირს ლაპარაკი, ძვლივს ლაპარაკობს (სადინაძე, კიკვაძე, 2015).

**უვარგისობა, გამოუსადაგერობა:**

**ტყუილად პურის ჭამა** = ტყუილად დახარჯვა, გამოუსადაგერობა: *რა ტყუილად გაჭმევ*

*პურსა (კახური).*

**ხარჯვა, გაფლანგვა ფულისა:**

**ფულის ჭამა** = ფულის უზომოდ ხარჯვა (სახოკია: 667).

**ავადმყოფობა, რაიმეს დამთავრება, ცხოვრების დასრულება, სიკვდილი:**

**კიბოსგან კაცის ჭამა** = სნეულება, სიკვდილი: *კიბო ჭამს კაცს* (სახოკია).

**დუნისი ლამაზათ მოჭმა** = ცხოვრების კარგად გატარება, ბედნიერი სიბერე: *ამ დუნისა ლამაზათ მოჭამ* (ფუტკარაძე: 273 ); შდრ.

**მოჭამა თავისი დღე** = მოხუცდა.

**ჭირის მოჭმა** = სიკვდილი: *ფეხები გაფშოკა, ჭირი მოგჭამა; ზამთარმა ჭირი მოგჭამა, ფერი ცემს გაზაფხულისა* (შ. მღვიმ.) (სახოკია: 893).

**დროის მოჭმა** = სიცოცხლის დასრულება: *იცოცხლა, რაც ხანი უნდა ეცოცხლა, სიცოცხლე გაათავა, დაასრულა: თავისი დრო მოიჭამა და მიჩუმდა...* (ილია) (232). ამავე სემანტიკისაა ფრაზეოლოგიზმი **თავისი პური მოუჭამია** = თავისი სამყოფი დრო უცხოვრია: *თავისი პური მოუჭამია, დღეიდან აღარც ავად არგია საზოგადოებას და აღარც კარგად* (აკაკი) (სახოკია: 233). მოყვანილ მაგალითებში ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს **დრო** და **პური** ქმნის.

**ჭამა** ძირიანი ფორმები დადებითი სემანტიკის გამომხატველია. ასეთებია: **სიყვარული / მეგობრობა, მოფერება:**

**პურის არ ჭამა** = ძალიან უყვარდა, დიდი მეგობარი იყო: *მათი მეგობრობა დღითიდღე იზრდებოდა და ხშირად ბერო უცეცოოდ პურსაც კი აღარ სჭამდა* (ირ. ევდ.) (სახოკია: 625).

**შესაქმელი ბავშვი** = საყვარელი, მოსაფერებელი ბავშვი;

**შესაქმელი ლოყები** = მოსაფერებელი ლოყები.

**გამოცდილება:**

**საცერის პურის ჭამა** = ბევრი რამ გამომიცდია, დიდხანს მიცხოვრია, ბევრი ავი და კარგი მინახავს: *გული შათელილი მაქ, შვილო. ბევრის საცერის პური მიჭამავ, ბევრს ვარ გადმონაყარი* (ვაჟა) (სახოკია: 52). „საცერი გამომხატველია დროისა, უმეტესწილად, ხანგრძლივობისა, რომლის განმავლობაში ის ემსახურება ოჯახს და შიგ გატარებული ფქვილისაგან გამომცხვარი პურიც ასაზრდოებს ოჯახს. მამსადადმე, **ბევრი საცერი** ხატოვნად გულისხმობს დიდხანს, წელმრავლობას...“ (სახოკია, 1979: 52). აქ კონოტაცია დადებითია, შდრ. **გუუცრელი ჭადით გაზრდილი** = ობლობაში, სიღარიბეში გაზრდილი (კონოტაცია უარყოფითია).

**მოხერხება, სიძნელის დაძლევა:**

**მახობის ჭამა** = იოლი არ გეგონოს, ძნელი გასაკეთებელია, მოხერხება და ენერგია სჭირდება: *რო იძახი, – გავაკეთებ, გავაკეთებო, მახობის ჭამა არ გეგონოს, ჩემო კარგო!* მახობი – ქატოსაგან დამზადებული, ხაშმოკიდებული, ნივრით, პიტნით, ქინძით, მარილით შენელებული შეჭამანდი, მომჟავო, სასიამოვნო გემო აქვს, დადექვა არა სჭირია. წინათ, თბილისში ჯამობით ჰყიდნენ ქუჩა-ქუჩა. მას უფრო ხელმოკლე ხალხი ყიდულობდა. ყველასათვის ხელმისაწვდომი და თან ადვილი საჭმელი იყო. აქედან, **მახობის ჭამა** გადატანილია ადამიანზე, ვინც ძნელ და პასუხსაგები საქმის გაკეთებას ჩემულობს და ამ საქმეს საჭირო სერიოზულობით არ ეკიდება. ან კიდევ ძალა არ შესწევს მის გასაკეთებლად. ამავე სემანტიკისაა ქართულში **ფლავის ჭამა ნუ გგონია ან ფაფის ჭამა ნუ გგონია**.

**მიზნის ასრულება:**

**ძაღლზე თავისი ხორცის ჭამა** = ყველაფერს მოვითმენ, ოღონდ საწადელს ვეწიო: *ძაღლს ვაჭმევ ჩემს ხორცს და შენ კი არ შეგარჩენ ჩემ დამცირებას* (სახოკია: 837).

**სამაგიეროს მიგება:**

**ჯავრის შეჭმა** = მტრისათვის სამაგიეროს მიუგებლობა: *გატენილ თოფი მაქვ. ჯავრს როგორ შეგჭამ მტრისასა?* (თუშური ლექსები) (სახოკია: 947).

საანალიზო მასალებში მწირად, მაგრამ მაინც დადასტურდა მოდიფიკაციაშეცვლილი ფრაზეოლოგიზმები: **უტკივარი ლუკმის ჭამა** შდრ. **ჰალალი ლუკმის ჭამა** = პატიოსანი, დაუყვედრებელი

შრომით თავის რჩენა: *...ვირჯეობდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდი* (ილია); შდრ. *ოჯახს აჭამე ლუკმა ჰალალი* (ფუტკარამე: 272).

**ჭამა** ძირი დასტურდება დალოცვისა და წყევლის ფორმულებში, ცრურწმენებში, ანდაზებსა და აფორიზმებში. ასეთებია:

**თვალისგან შეჭმული** = შურით ყურება, ცუდი თვალით ყურება.

**იმის მეტი ჭირმა არ შეგჭამოს!** = არაფერი გევნოს, კარგად იყო, არაფერი გაგიჭირდეს!

**შენი თავი ამოიჭამე!** = *შენ განადგურდი, მოისპე, ამოწყდი, ცოცხალი არ დარჩენილიყავ!* **შენი ხორცი შემაჭამა!** = *ცოცხალი არ გადამირჩე, შენი სიკვდილი მენახოს!*

**მართო კაცი ჭამაშიაც ზრალიაო** = ადამიანს გვერდით მდგომი სჭირდება.

**ასი ფუთი მარილის ჭამა** = გამოცდილების მიღება, ადამიანის შეცნობა.

**ბალზეა და ტყემალს ჭამს** = უვიცია, არაფერი გაეგება.

მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ ლექსიკური ერთეული **ჭამა** ქართულ ენაში, დიალექტებში ქმნის მეტად მრავალფეროვან სემანტიკურ ჯგუფებს. ამ მხრივ საინტერესოა ხატოვანი თქმანი, წყევლისა და დალოცვის ფორმულები, ანდაზები, აფორიზმები, განსაკუთრებით ფრაზეოლოგიზმები. ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმი სხვადასხვა სემანტიკას გამოხატავს. ყველგან ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ხასიათზე, თვისებებზე. ზოგჯერ კონოტაცია დადებითია, ზოგჯერ – უარყოფითი. ჭარბობს უარყოფითი კონოტაციის სემანტიკა. ზოგი ფრაზეოლოგიზმი ძალიან ძველია, დავიწყებას ეძლევა, ზოგიც მოდიფიკაციას განიცდის და ახალი სახით მკვიდრდება ენაში.

საანალიზო მასალა, ქართული ენის დიალექტებში დაცული ფორმები გვიჩვენებს, თუ რა ცვლილებები ხდება ენაში, როგორია ენისა და კულტურის მეხსიერება. ამ თვალსაზრისით კვლევის სრულყოფა მნიშვნელოვანია როგორც დიალექტოლოგიის, ისე ენისა და კულტურის საკითხების კვლევით დაიტერესებულთათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბერიძე, 1912** – ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912.

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა (შესავალი, განმარტებები, კომენტარი ნ. ნათაძისა), თბ., 2015.

**სახოკია, 1979** – სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1979.

**ფუტკარაძე, 1993** – ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993.

შავშეთი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველოლოგიის ინსტიტუტი, გამომც. „ჰოროსი XXI“, თბ., 2011.

**ღლონტი, 1984** – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომც. „განათლება“, თბ., 1984.

**მოწენიძე, 1914** – მოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, გამომც. „განათლება“, თბ., 1914.

## **ლ ა მ ზ ი რ ა კ ო ბ ა ი ძ ე**

### **გიორგაძეთა გვარსახელის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის**

ფოცხოვის ხეობა მდიდარი და მრავალფეროვანია თავისი ანთროპონიმით. განსაკუთრებით საინტერესოა ამავე ხეობის ერთ-ერთი სოფლის, კერძოდ, ვალის გვართა წარმომავლობა და ისტორია. ვალეში მცხოვრები გიორგაძეები, მათივე გადმოცემით, მოსულები არიან ჯაყისმანიდან XVII საუკუნეში. სოფელი ჯაყისმანი ყოფილა ჯაყელების საგვარეულო სამკვიდრებელი. ამ სოფლიდან დღეისათვის უკვე აღარაფერია შემორჩენილი, გარდა ტაძრისა. ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა და ამჟამად მიმდინარეობს რესტავრაცია მართლმადიდებლური ეკლესიის შემწეობით. იმ დროს მესხეთში (და არა მარტო მესხეთში) საკმაოდ რთული სიტუაცია იყო პოლიტიკური თვალსაზრისით. თურქთაგან დაწიოკებული გიორგაძეები იძულების წესით გადმოსულან ვალეში და აქვე დასახლებულან. ერთი ძმა (სიკოჭლის გამო) ვერ წამოსულა, იქვე ჯაყისმანში დარჩენილა და გამაჰმადიანებულია. გამაჰმადიანებული ძმის შთამომავლებმა XX წლის 30-იან წლებამდე იცოდნენ, რომ მათი წინაპარი ქართველი იყო და ენაც შეინარჩუნეს, მაგრამ 1944 წელს ისინი შუა აზიაში გადაასახლეს.

XVII – XVIII საუკუნეები საკმაოდ რთული პერიოდი აღმოჩნდა მესხეთისათვის. ამ დროს ახალციხეს ფაშა განაგებდა. ბევრმა მართლმადიდებელმა სარწმუნოება შეიცვალა აუტანელი პირობების გამო. თურქი დამპყრობლები გამაჰმადიანების მიღების შემთხვევაში ქართველ კაცს გადასახადისგან ათავისუფლებდნენ. ხალხი რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ, ბევრმა უარი თქვა მართლმადიდებლობაზე. ყველა სულის გადარჩენას ცდილობდა (**ინფორმატორი, გიორგაძე გალაქტიონ, 81 წლის**).

**გიორგაძეთა** გვარის წარმომავლობის შესახებ არსებობს მეორე ვერსიაც. ესენიც სამკვიდრებლად ჯაყისმანს ასახელებენ. მათი გადმოცემით, წინაპარს **გიორგი** რქმევია და გვარი სამი შტოთია წარმოდგენილი: **ივანათები, როსტომათები და პოლიბეგიენთი**.

გიორგაძეთა გვარის ფუძე საკუთარ სახელს – **გიორგის** უკავშირდება. სახელი არაქართულია, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგში გვარის წარმოშობას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ანთროპონიმისათვის.

„ჩვენში ამჟამად გავრცელებული ბევრი სახელი წარმოშობით ქართული არ არის, ნასესხებია. ბევრი მათგანი ასევე ნასესხები აქვს მსოფლიოს სხვა ენასაც. ადამიანის სახელი ასევე შეიძლება გადავიდეს ერთი ხალხიდან მეორეში, როგორც სხვა სიტყვა, მაგრამ ნასესხები სიტყვაც და სახელიც ეგუება ენას. იცვლება მისი ფონეტიკური კანონების მიხედვით და ძნელი გამოსაცნობი ხდება, რომ სხვადასხვა ხალხში გავრცელებული სახელები წარმოშობით ერთი და იგივეა.“

ასევე ერთი წარმოშობისაა ქართული **გიორგი**, სომხური **გეორქ (გეურქ)**, რუსული **ეგორ, იური**, ფრანგული **ჟორჟ**, ინგლისური **ჯორჯ**, ჩეხური **ირჟი**, პოლონური **იეი...** მნიშვნელობით გიორგი უდრის **„მიწის მუშას“**, **მიწათმოქმედს**, ნაწარმოებია ბერძნული სიტყვებიდან **გეო** – „მიწა“, **ერგონ** მუშაობა“.

საქართველოში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს სახელი **გიორგი**. ამ სახელის გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოში წმ.გიორგი მიჩნეული იყო ყველაზე დიდ წმინდანად. ამ სახელის ფართოდ გავრცელებას მოწმობს მისგან ნაწარმოები გვარები: **გიორგაძე, გიორგიძე, გორგაძე, გოგიშვილი, გოგინაშვილი, გოგატიძე, გოგატიძე, გოგატიშვილი, გოგატიშვილი, გოგინაშვილი**, და სხვა. **გოგი, გოგია, გოგიტა, გოგინა** მოფერებითი ფორმებია, მიღებული **გიორგისაგან** (მისი შემოკლებული ფორმაა

ქართულში დამოუკიდებელ სახელად ხმარებული **გიო**) (ზ. ჭუმბურძიძე, 1966, 14 – 15).

„არ ყოფილა მართებული წლების მანძილზე გაბატონებული შეხედულება, თითქოს ბერძნები **გეორგიანელებს** იმიტომ გვეძახიან, რომ ქართველები მიწის მუშები იყვნენ განსაკუთრებით. როგორც ზ. გამსახურდიამ გაარკვია, გეორგიანელებს გვიწოდებდნენ წმ. გიორგის კულტის ჩვენში განსაკუთრებული დიდი სიყვარულისა და გავრცელების გამო. ქართველებმა, როგორც მეომარმა, მხედარმა ხალხმა, მუდმივად ურჩხულ იმპერიებთან მებრძოლმა, უფრო გულთან მიიტანა დრაკონის მკვლეელი წმ. მხედარი“ (ხორნაული, 2003, 324 – 325).

ზემოთ დასახელებულ შტოგვართაგან პირველი ორი – **ივანათები** და **როსტომათები** – სახელწოდება საკუთარი სახელებისაგან უნდა მომდინარეობდეს. მეტად საინტერესოა ფორმად გვესახება – **პოლიბეგიენთი**.

**პოლიბეგიენთი**, ინფორმატორთა გადმოცემით, წინაპარს, კერძოდ, პაპას კავშირი ჰქონია მუსლიმანებთან და ნახევრად ბატონი ყოფილაო. აშკარაა, რომ მათი ამგვარი ინფორმაცია სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა, შტო-გვარის სახელწოდება „**პოლიბეგიენთი**“ კომპოზიტური წარმოშობისა ჩანს. სიტყვის მეორე ნაწილის შესახებ **ქსე-ში** ვკითხულობთ შემდეგს: **ბეგი – ბეი (თურქ. Beg, bey – მზრძანებელი, მთავარი, ბატონი, გვაროვნული და ფეოდალური დიდკაცობის ტიტული** ახლო და შუა აღმოსავლეთში, თავიდან ეწოდებოდა თურქიტომების ზედაფენის წარმომადგენლებს. X საუკუნეში, ყარახანიდების ბატონობის პერიოდში, ტერმინი გავრცელდა შუა აზიაში. ოქროს ურდოს ხანი უზბეკი, (1312 – 42) **ბეგის** წოდებას ანიჭებდა იმ მონღოლ ფეოდალებს, **ნოინებს**, რომლებიც მუსლიმანობას იღებდნენ. XI საუკუნეში ტერმინი **ბეგი** ახლო აღმოსავლეთშიც გავრცელდა. ოსმალეთში **ბეგს** უწოდებდნენ ადმინისტრაციული ერთეულების – სანჯაყების მმართველებს (**სანჯაყბეგი**), XVI საუკუნის ბოლო მეოთხედიდან გამაჰმადიანებულ მესხ ფეოდალებს (**მაგ. ზასიანის ბეგი**). ამ ტიტულს ფლობდა ზოგიერთი კატეგორიის სახელმწიფო მოხელე XIX საუკუნიდან კი არმიისა და ფლოტის უფროსი ოფიცერი. ტიტული თურქეთში 1934 წ. გაუქმდა. მუსლიმანურ აღ. ქვეყნებში **ბეგი** სოციალური შინაარსის ტერმინი იყო. ასე მიმართავდნენ „**კეთილშობილებს**“ **ფეოდალებს**, **მოხელეებს** და სხვა. ტუნისში **ბეგები** 1705 – 1957 წლებში იყვნენ ქვეყნის მემკვიდრეობითი მმართველები. ირა-

ნის ზოგ რაიონში **ზეგის** ტიტული ჰქონდათ ტომის მეთაურებს. კავკასიის თურქულენოვან ხალხებში თავადაზნაურები იწოდებოდნენ ბეგებად“ (ქ ს ე, ტ - II; გვ. 264). **ზეგი, ზეგა, ზეგლარ** – თურქული სიტყვაა **ზეგი** გვიანდელი გამოთქმით **ზეი**, რაც „ბატონს“ ნიშნავს ქართულში, ქვეულა საკუთარ სახელად. გვხვდება როგორც **ზეგი**, ისე **ზეგა** (აქედანაა გვარები: **ზეგიშვილი, ზეგაშვილი, ზეგაძე**). ამავე სიტყვას მრ. რიცხვის ფორმაა **ზეგლარ** (ბატონები). როგორც ჩანს, **ზეგა**-ს ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა აგრეთვე **ზექა**. წინათ სახელად გვხვდებოდა აგრეთვე **ზექთაზექ**. აქედან გვარია **ზექთაზექაშვილი**, რაც ნიშნავს „**ზეგების ზეგს**“, „**ზეგების ბატონს**“ (**შდრ. თურქ. ზეგლარზეგი**)“ (ზ. ჭუმბურიძე, 1966,36).

სავარაუდოა, რომ შტო-გვარს სახელწოდება გამამჰმადიანებულმა მესხმა დაუდო, რომელსაც დიდკაცობის ტიტული კი არ ჰქონდა, არამედ მისი კარგი ქონებრივი მდგომარობის გამო შეარქვეს სახელი, ან თუნდაც ყოფილიყო საკუთარი სახელი, რომელსაც **ზ. ჭუმბურიძე** გვიდასტურებს. რაც შეეხება სიტყვის პირველ ნაწილს – **პოლი**, მისი ეტიმოლოგია უცნობია. მეტად საინტერესოა შტო-გვარის **პოლიზეგი-ენტ-ი** წარმოება. სამცხურისა და ჯავახურის დიდი მკვლევარი **გრ. ბერიძე** გვარის განაყოფთა სახელების წარმოებასთან დაკავშირებით წერდა: „ეს საკითხი რთული და საინტერესოა. იგი ორგანულ კავშირშია მრ. რიცხვის გადმოცემასთან, საერთოდ და გეოგრაფიული სახელების წარმოებასთან..... დეტალური განხილვისათვის საჭიროა მონოგრაფიული კვლევა... (ბერიძე 1988: 142). **სამცხურსა და ჯავახურში ნ-**არი და **თ-**ანი ერთდროულად შეიძლება დაერთოს სახელს გვარეულობისა და კუთვნილების აღსანიშნავად: **თამაზაანი (სახელობითი), თამაზაანთი (ნათესაობითი), ჭონიენი (სახელობითი), ჭონიენთი (ნათესაობითი) [ბერიძე, 1988: 143]**. „ასეა ჯავახეთის ყველა სოფელში, გარდა ხიზაბავრისა და ვარგავისა. ხიზაბავრაში, როცა სურთ საგვარეულოდან ვინმე დაასახელონ, გვარსახელის ფუძეს უშუალოდ დაურთავენ ირიბი ბრუნვის მრავლობითის ბოლოსართს – **თანს**“ (ბერიძე, 1988: 144) **გელაშვილები, გელიენი, გელათი, გელადა**. იმავე ხიზაბავრაში შეხვდება **გელიენის** ნაცვლად **გელაანი** ფორმაც. თანხმონიან ფუძესთან -**იენ** გადაჰყვება ნათ. ბრუნვაშიც, **ხუციშვილი, ხუციენი, ხუციენთი, ხუციენა** (ბერიძე, 1988: 145). **არ. მარტიროსოვი კი წერს**: „ჩვენ მაინც მიგვაჩნია რომ ყველა ესენი (**გიქორათი, პეტოთი, კაკაჩათი, როსტიათი მ.ზ**) -ანთ სუფიქსის გამარტივებით მიღებული (**დაათათ – დათაანთ, ბექურათ**

- **ბექურაანთი, გულუხვაი - გულუხვანთი**), ან კიდევ უშუალოდ თანიანის მრავლობითის ნათესაობითის ფორმას უნდა წარმოადგენდეს (მარტიროსოვი, 1984: 94) (მ.ბერიძე, 2010: 272-273). ხიზაბავრისა და ვარგავის შემთხვევა გამორჩეულია ჯავახური თქმისათვის და ასევეა **ვალეში, უდესა და არალში**, სამცხეში. ე. ი. კათოლიკური სოფლებისთვის არის დამახასიათებელი (მ. ბერიძე, 2010: 273). **-თ(თა)** მიჩნეულია **რიცხვისა და ბრუნვის** ნიშნად მვ. ქართულის ხუთ ბრუნვაში და ახ. ქართულში (თ. უთურგაიძე, 2007: 11,15). ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ **„თ(ა)“** სუფიქსის ორი ფუნქცია ინოვაცია ჩანს - **ზმნურ** ფორმებში. **-თ** მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავს ქართველურ ენებში (თ. უთურგაიძე, 2007:18). „რამდენადაც გვარის ჩამოყალიბებისათვის ძირითადი მაინც არის ბრუნვის, კერძოდ, **ნათ. ბრუნვის** როლი, რადგან შთამომავლობა-ნათესაობაზეა დაყრდნობილი ქართული გვარის სტრუქტურა. ნებისმიერი სახელი **ნათ.** ბრუნვაში პლუს - „**შივილი**“ ან „**ძე**“ გვამღევს გვარს. ამავე რიგში დგება **-თ** სუფიქსი მე-19 საუკუნის მესხეთში“...

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული **-ეთ** სუფიქსის შესახებ ვ. დონდუას მას დადასტურებული აქვს საკუთარი სახელებიდან **-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები ათი სახელი - **ლიპარიტეთი, გაგილეთის** მსგავსი, რომლებშიც ის თავისებურებას და რაც მთავარია, **კრებიტობას ხედავს**. იგი ფიქრობს, რომ აღნიშნული **-ეთ** სუფიქსიანი სახელები ყველა შემთხვევაში **მსაზღვრელებია**, რომლებთანაც ზოგან წარმოდგენილია საზღვრული, როგორცაა: **მამული ლიპარიტეთი, მეფენი დურბუკეთი**, ზოგს კი დროთა ვითარებაში დაუკარგავს ეს საზღვრული და ლიტონი, გაქვავებული **მსაზღვრელის** სახითაა გადარჩენილა. ასეთებია: **სუქმანეთნი, გაგიკეთი** და სხვა. ცხადია, რომ გვარსახელების მსგავსად, ტომობრივი სახელებისაგანაც უნდა წარმოებულყო **-ეთ** სუფიქსიანი ფორმის გეოგრაფიული სახელები, მაგ. **ოსეთი - ტომსახელისგან ოსი: რუსეთი, აფხაზეთი, კახეთი**, და ა. შ. ავტორის მოსაზრება **-ეთ** სუფიქსის ამგვარი წარმოშობის შესახებ მეტად საინტერესო ჩანს, მისი ფუნქცია აქაც კვლავ **კრებიტობისა და მრავლობითობის** გამოხატვაა.რაც შეეხება, **-თ-ს** შემცველ სხვა ხმოვნთან ვარიანტებს, მათ შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას. **ჯანაშიას** სამართლიანად უდავოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ ყველა დასახელებულ შემთხვევაში ერთი და იმავე სუფიქსის ვარიანტებთან გვაქვს საქმე, ხოლო რაც შეეხება **ხმოვნებს** „ეს ხმოვნები ზოგიერთ შემთხვევაში ეკუთვნიან ფუძეს... სხვა შემთხვევაში



კიდევ ეს **ვოკალები** უნდა გავიგოთ როგორც ჩასართი ელემენტები. ასეთი ინფიქსები ქართველურ ენებში სხვა პირობებშიც გვხვდება (ს. ჯანაშია, 144-145). როგორც მრავლობითობის ფორმანტი, ის არ არის მარტო **ირიბი ბრუნვების ნიშანი**, არამედ უკავშირდება **სახელობით-საც** (ს. ჯანაშია. 151-152).

ამრიგად, გიორგაძეთა გვარი საკმაოდ გავრცელებული გვარი ჩანს არამარტო მესხეთში, არამედ მთელ საქართველოში – „ქართლ-კახეთი, იმერეთი, მესხეთი და სხვა. ამავე ძირისაა **გიორგინაშვილი, გიორგელაშვილი, გიორგიძე**“ (ი. მაისურაძე, 1956,46).

2011 წლის მონაცემებით, ვალეში ცხოვრობს გიორგაძეთა 32 ოჯახი. ყველა მართლმადიდებელია.

სულადობით საქართველოში გიორგაძე – 14582 სული (თბ., 2798, ქუთ. 2256. ვანი 1112) პირველ ადგილზეა და იმერეთში – მეორეზე (6983) კომლი სამეგრელოში, ახალსოფელი (ხობის რნ.) 15. ზ. ჭალადიდი - 3 ხობი 3 და სხვა. ვარიანტი **გიორგაი** გვხვდება ქვ. იმერეთში (სამტრედიის ქუთაისი)“ (ცხადია 200; გვ 72).

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბერიძე, 1988** – ბერიძე გრ., „ქართული ენის ჯავახური კილო“ თბ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.

**ბერიძე, 1972** – ბერიძე გრ., „გვარის განაყოფთა სახელების წარმოება ჯავახურში“, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N3. 1972 წ.

**ბერიძე, 2010** – ბერიძე მ., „ტაძრები და სახელები“ თბ. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2010 წ.

**დონდუა,** – დონდუა ვ., „ლიპარიტეთისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელები ქართულ ისტორიულ წყაროებში“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები XXXIII.

**მაისურაძე 1990** – მაისურაძე ი., „ქართული გვარსახელები“ (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები) საქინფორმკინო თბ. 1990.

**უთურგაძე, 2007** – უთურგაძე თ., „სახელთა მრ. რიცხვი ქართულში“, ქართველოლოგია (ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი) №1. 2007, ` გამომცემლობა „უნივერსალი“.

**ჭუმბურიძე, 1966** – ჭუმბურიძე ზ., „რა გქვია შენ“, გამომცემლობა „ნაკადული“ თბ., 1966 წ.

**ხონაული, 2003** – ხონაული გ., „ქართული გვარსახელების ისტორიიდან“, თბ., 2003.

**ჯანაშია, 1959** – ჯანაშია ს., „მრ. რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები ტ. III. საქ. მეც. აკად. გამომცემლობა, თბ. 1959.

## მ ა რ ი ა მ კ ო ზ ე რ ი ძ ე

### დიალექტური ფორმები იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“

იოანე ქართველიშვილს „მემუარების“ წერა დაუწყო 1801 წლის 10 სექტემბერს ქ. ქუთაისში და შეუწყვეტია 1802 წლის დეკემბრის დამდეგს ქ. თბილისში. შემდეგ მას 1812 წლამდე დაუწერია „მოსაგონებელნი რიცხვნი“ და „შემოსავლების ნუსხა“. „მემუარების“ მიხედვით, იოანე ქართველიშვილი დაბდებულია 1772 წლის 20 სექტემბერს ქართლში, სოფელ ფხვენისში.

იოანე ქართველიშვილის „მემუარების“ ენობრივი თავისებურებებიდან ყურადღებას იქცევს პარალელური ფორმების გამოყენების შემთხვევები: ერთი ფორმა უფრო გავრცელებულია, იმ პერიოდში არსებული წესების მიხედვით ნორმად მიჩნეული, ხოლო მეორე ფორმა – ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი.

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ დასტურდება ფუძისეული ვ-ს დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა. მაგ.: **გვეშოებოდა** ← **გვეშოებოდა**. „არაფერი სასმელ-საჭმელზედ მოსახმარები ჭურჭელი არა **გვეშოებოდა** რა“ (ქართვ., 76). **ვთხოე** ← **ვთხოვე**. „**ვთხოე** სახლი უმაღლესს საქართველოს დედოფალს დარეჯანს, მიბოძა, დავდექით ავლაბარში“ (ქართვ., 91). **ოვა** და **ოვე** კომპლექსში **ვ** თანხმოდანი ისევე ხშირად იკარგება მთელ ქართლურში, როგორც სხვა კილოებში: კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მთიულურში, იმერულში, გურულში, აჭარულსა და მესხურში (იმნაიშვილი, 1974, 144).

უ ხმოვნის წინ არ გვხვდება პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ**. ამის შედეგად ერთმანეთს ემთხვევა პირველი და მეორე სუ-

ბიექტური პირის ფორმები. მაგ.: „რომელიც მოვანათვლინე მეფის ძეს, ლეონს და **უწოდე** გაბრიელ“ (ქართვ., 81); „ძლივ **შეუძელ** მიწვენად დღუშეთს“ (ქართვ.,72); „მუნ **ულოცე** ცისკარი და მწუხრი, თვინიერ ყოვლისა ცერემონიისა“ (ქართვ., 74); „**განუცხადეთ** ძესა მისსა იულონს ქომილიასა მისსა“ (ქართვ.,79); „კელმწიფესთან რომ მუჯალმა მისწერეთ და ჩვენც არზები მივართვით, იმას **მოუცადოთ** და კახელების შეყრასო“ (ქართვ.,84). პირველი სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვა ხმოვნებისწინ საერთოქართულ მოვლენად არის მიჩნეული და ამ მოვლენის სისტემატურ ხასიათზე მიუთითებს ვპუ კომპლექსის გამარტივება ქართული ენის დიალექტებში (ჯორბენაძე, 1998, 170, 624).

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც იკარგება მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი **თ-** სუფიქსი. ამის გამო მეორე სუბიექტური პირის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. მათი გარჩევა მხოლოდ კონტექსტით არის შესაძლებელი.მაგ.: „მეც **აგყარეთ**ქვენდა ქრცხ // ინვალს **ჩამოგიყვანე**“ (ქართვ., 86); „ამის მიზეზით თქვენ ქრცხინვალს **დაგაგდე** და მე იმერეთს, ბატონიშვილს თან გამოგყევ“ (ქართვ., 86); „თქვენც **ჩაგიყვანე** ტყვიავიდამ გორსვე“ (ქართვ., 78); „მეც ჩამოგყევ თან და თქვენც **ჩამოგიყვანე** , შვილო შიო“ (ქართვ., 81).

**მ** თანხმოვანი დაკარგულია სიტყვის ბოლოს. მაგ.: „3 (6) სეკდემბერს წარმტაცა სიკვდილმან მცირე ყრმა, და თქვენი თეკლა, მცირედლა ნაკლები ორისა წლისა, **მაგრა** არღარა მაცალა ჟამმან მწუხარედ ამას ზედა“ (ქართვ., 72); „**მაგრა** ასეთსა შეწუხებასა შინა იყო ქალაქი ტფილისი ლეკის ჯარის მუნ ყოფნაში, რომ ვინც იმ დროს იმათ ყოფას არა დაესწრა, დაწერილს არც კი დაიჯერებს“ (ქართვ., 80); „მოეფინა სენი იგი მომსვრელი ქართლსა შინა, **მაგრა** უმეტეს გამრავლდა და გარდამეტა სენსა მას, შური მეფის გიორგისა, ძმათა თვისთა ზედა“ (ქართვ., 79). ქართლურსა და ქართული ენის სხვა დიალექტებში **მ** საკმაოდ ადვილად იკარგება სიტყვის ბოლოს კავშირებსა და ნაცვალსახელებში (სალარიძე, 1978, 32).

ცენტრალურ ქართლურში აქტიურია „მაგრამ“ კავშირში **მ-**ს დაკარგვის პროცესი. მაგ.: „წავიდა, **მაგრა** არ მოიტანა“, „დრო გავიდა, **მაგრა** ახსოვს კიდევა“. შესაძლებელია, ეს მოვლენა ავხსნათ იმით, რომ ორი **მ** (ან ორი მჟღერი ბგერა) ერთად ვერ ძლებს და ერთი იკარგება. ამას ადასტურებს „მაგრად“ ზმნიზედაში დ-ს დაკარგვის პროცე-

სი. **მაგრა** ← **მაგრად**. ქართლურისათვის დღეს ორივე შემთხვევაა დამახასიათებელი. მაგ.: „ისე **მაგრა** მოხვდა ამბის მომტანსა, გულგახეთქილი წავიდა“; „**მაგრა** ჩასჭიდე ხელი, არსად დაკარგო“.

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ **-ურთ** თანდებულის მნიშვნელობით ხშირად იხმარება მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: **-ით//ით-ა**. მაგ.: „ამისათვის დაგიტევე თქვენ მას ღამესა დუშეთს და გავყევ მე ქალაქით მას, **დედით** თქვენით“ (ქართვ., 74); „მეფე, სამეფოს **ტომილით** კახეთს წაბრძანდა“ (ქართვ., 76); „ამას წელიწადსა წარმოგზავნა **ჯართთა** დიდითა ზუბოვი იმპერატორმან ეკატერინა დარ[უ]ბანდის მხრიდამ“ (ქართვ., 77); „სამნი ძმანი: იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ ჩავიდნენ **ჯართთ** ავჭალას“ (ქართვ., 83).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმა **-ით (ა) -ურთ** თანდებულის ნაცვლად დასტურდება ქართლურსა და კახურში. მაგ.: „ინადაური დაიჭირა თავის **ჭუკებითა** და წასახა“ (ბორბ.) (იმნაიშვილი, 1974, 38).

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ **-მდე** თანდებულისპარალელურად დროისა და ადგილის გამოსახატავად გამოყენებულია **-მდინ** დიალექტურივარიანტი. მაგ.: „ამის წერა შევასრულე **აქამდინ**“ (ქართვ., 87); „მეორეს დღეს პარასკევს ვლეთ **სადამოდინ**“ (ქართვ., 75); „რომ მოვაწიე **აქამდინ** დავწერე“ (ქართვ., 87); „სანამდინ იმერეთში გადმოვყვებოდი ბატონიშვილს, **მანამდინ** წიგნი მაქვს ნაბოძები“ (ქართვ., 87). ანალოგიური ფორმები დამახასიათებელია ქართლური დიალექტისათვის. მაგ.: „**გათენებამდინ** იქ იყვნენ“ (ხიდისთავი); „**ცხეთამდინ** ჩამოვიდნენ“ (ხურვალეთი) (იმნაიშვილი, 1974, 203). -მდინ თანდებული დღეს აქტიურად გამოიყენება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც: კახურში, ფშაურში, მთიულურში, მოხეურში (ცოცანიძე, 2016, 125, 129, 130), რაჭულში, იმერულში, გურულში (შარაშენიძე, 2016, 144).

მეორე სერიაში, წყვეტილის მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში **-ო** სუფიქსის ნაცვლად გვხვდება **ა-** სუფიქსი. მაგ.: **დაესწრა** ← **დაესწრო**. „რომ ვინც იმ დროს იმათ ყოფას არ **დაესწრა**, დაწერილს არც კი დაიჯერებს“ (ქართვ., 80). გრიგოლ იმნაიშვილს ქართლურში „უამბო-ს“ ნაცვლად დადასტურებული აქვს „უამბა (←უამბვა)“ ფორმა. მაგ.: „ძმას უამბა თავისი უბედურებაი (ხიდსთ.)“; „იმან თავისი ამბავია უამბა (ბრეთი)“. „უამბა“ დასტურდება კახურშიც. სოფ. ჯავახის მეტყველებაში დასტურდება შეირთა (←შეირთვა) ფორმა „შეირთო-ს“ ნაცვლად: „შეირთა ცოლათ“ (იმნაიშვილი, 1974, 220).

სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის შესწავლილი ქართული ენის დიალექტების ერთი ჯგუფისათვის დამახასიათებელი მოვლენა – მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის **-ო** სუფიქსის ნაცვლად **-ა** სუფიქსის გამოყენება. ეს მოვლენა დასტურდება ხევსურულში (გაიგ-ა), მოხეურში (ამაიდ-ა), ინგილოურში (გაიგ-ა), კახურში (მორთ-ა), გურულში (იცნ-ა), აჭარულში (იცნ-ა), იმერხეულში (იცნ-ა). შედარებით სისტემური ხასიათი აქვს **ა**-ს გამოვლენას **ო**-ს ადგილას ხევსურულში, მოხეურსა და ინგილოურის კაკურ კილოკავში. სხვა დიალექტებში ეს ფაქტები დასტურდება, თუმცა ზემოხსენებული დიალექტების მსგავსი სისტემური ხასიათი არა აქვს. **და-ესწრო** ზმნა პირველსა და მეორე პირში წყვეტილს **ო** ელემენტით აწარმოებს. კახურ, გურულ, აჭარულ და იმერხეულ დიალექტებში **ო**-ს ნაცვლად **ა**-ს გამოვლენას სხვა საფუძველზე მიუთითებს გ. გოგოლაშვილი. ეს პარალელური ფორმებია: მოართო // მორთო, იცნა // იცნო, შეიპყრა // შეიპყრო, მოუსწრო // მოუსწრა... ყველა ეს ზმნა წყვეტილს აწარმოებს **ო** ელემენტით (გოგოლაშვილი, 2010, 381; 2016, 273). ვფიქრობთ, ანალოგიურ წარმოებას უნდა ჰქონდეს ადგილი იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ დადასტურებულ ფორმაში – **დაესწრა** (←**დაესწრო**). სალიტერატურო ფორმაა; **და-ვ-ე-სწარ-ი**, **და-ე-სწარ-ი**, **და-ე-სწრ-ო**. საწყისი ფორმაა: **დასწრება**. იმავე ცვლილებას უნდა ჰქონდეს ადგილი, რაც გვაქვს ზმნებთან: ვიცანი, მოვასწარი, შევიპყარი, მივაგენი ( გოგოლაშვილი, 2016, 272).

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ დასტურდება **-ჰს** ორმაგი პრეფიქსის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. მაგ.: „**ჰსცნობთ** წარკითხვითა ამის აღწერილისათა“ (ქართვ., 71); „შიოს და ფებრონიას სახადი **ჰსკირდათ** ამაჲ წლის დეკემბრის თვეში“ (ქართვ., 96); „ვიდრემდის **ჰსცნობდნენ** წარსვლასა აღამამადხანისა, ქართლსა და კახეთსა შინა, თვით იკლებდნენ ურთიერთთა ვინ ვისცა მოერიის“ (ქართვ., 73).

ზოგჯერ ზმნის ფორმაში ერთდროულად გვხვდება პირველი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანი (ან ნიშნები). მაგ.: „სარაჯოვთან ანგარიში **გავსწმინდე** იულისის პირველთაგან დანარჩომი შვიდის თვის სარგებელი გამოვართვი“ (ქართვ., 106); „**და-ვჰსწერენ** წიგნი გასატანებელნი მისნი, არზანი მეფის სოლომონისა და მეფის ძის იულონისანი დიდებულებისადმი მისისა და სხუათა ჩინებულთა გვამთა“ (ქართვ., 90).

-**ჰს**-ს გამოყენების შემთხვევები დასტურდება ქართულურში ზმნის შემდეგ ფორმებში: მიჰსდევს, დაჰსდევნ, ჰსთლის, გაჰსტეხავს, გაჰსდო.... **-ჰს/-ჰშ** განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მეტყველებლაში. ქართულურში ხშირად გვხვდება ზმნის ერთ ფორმაში ერთი და იმავე ფუნქციით პირველი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნებიც. მაგ.: „პატივს ვსცემ“; „ეხლა არ მოვჰყველევ“... (თოფურია, 1925, 144; გიგინეიშვილი, 1938, 201; ნოზაძე, 1970, 340).

როგორც ცნობილია, **ჰს** კომპლექსი პრეფიქსად წინაენისმიერებისა და აფრიკატების წინ დასტურდება ძველი ქართულის ძეგლებში, საშუალ ქართულსა და მეცხრამეტე საუკუნის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ენაშიც(როგორც ავტორთა მეტყველებაში, ისე პერსონაჟთა დიალოგებში). დავასახელოთ საილუსტრაციო მაგალითები: „წუნსა **ჰსდებს**“ (ჭავჭავ., 128, 140); „იმედით **შეჰსცეკროდა** მომავალს“ (ლომ., 27); „პირველი საგანი, რომელსაც **შეჰსჭიდებია** ბ-ნი ნასიძე, არის რაოდენობა ბრუნვათა“ (გოგ., 91).

რით აიხსნება ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში? აღნიშნული საკითხი არაერთხელ ყოფილა მსჯელობისა და კვლევის საგანი. ა. შანიძე აღნიშნავს: „განსაკუთრებით ხშირია მერმინდელ (IX-XI საუკ.) ძეგლებში დედის ბგერათა წინ გარდამავალ საფეხურზე (სრულ ასიმილაციამდე) მდგომი მოვლენები, როდესაც ჰაეს თუმცა მთლად არ უნდა ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო დაახლოებული გამოთქმის მხრივ სანთან, რომ ამ ახალი ბგერის გამოსახატავად ერთი საგანგებო ნიშნის მაგიერ ორი უხმარიათ (ჰს). სწორედ ასე უნდა გავიგოთ ახლა **ჰს** ჯგუფის წარმოშობა დედის ბგერებით დაწყებულ ზმნებში“ (შანიძე, 1922, 420; 1923, 358-359).

ვ. თოფურია შენიშნავს, რომ ორმაგი პრეფიქსების არსებობა რიგ დიალექტებში უდავოა. როგორც ჩანს, **ჰს** კომპლექსის პრეფიქსად გამოყენება არ ყოფილა, ასე ვთქვათ, ორთოგრაფიული ჩუქურთმა, როგორც ეს ანტონ I კათალიკოსის გრამატიკაში გახლავთ, არამედ მისი გამოთქმა რეალური უნდა ყოფილიყო ენაში უსათუოდ (თოფურია, 1925, 148).

ანტონ კათალიკოსის სკოლის გავლენად მიიჩნევა **-ჰს**-ს მოქარბებულად ხმარებას ალ. ჭავჭავაძის ენაში (ქავთარაძე, 1954, 306).

გრ. იმნაიშვილის აზრით, ილიასთან და სხვა ზოგიერთ მწერალთან ჰს კომპლექსი უნდა წარმოადგენდეს ცოცხალი ხალხური

მეტყველების გავლენის შედეგს და უნდა მიუთითებდეს **ს-ს** **ა**-დ ქცევის გარდამავალ საფეხურზე. ეს მოვლენა გვხვდება აღმოსავლურ კილოებში: ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფშაურში, მთიულურში.... (იმნაიშვილი, 1974, 29-30).

გ. გოგოლაშვილის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ საშუალო ქართულის მონაცემი ორთოგრაფიის პრობლემად მოიაზრება, შეიძლება ექვეყნებში დააყენოს სწორედ დიალექტურმა მონაცემებმა: დიალექტებში დადასტურებული ორმაგი პრეფიქსები არ შეიძლება ჩაითვალოს ორთოგრაფიული აღრევის შედეგად. ის აქვე შენიშნავს, რომ .დღევანდელ ქართულ დიალექტებში S2O3პრეფიქსები დაცლილია მორფოლოგიური დატვირთვისაგან. ამ კვლევა-ძიებისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს პრეფიქსიანი უპირო ზმნები: 3ს-წავლა, ნა-მ3ს-წავლა, ნა-მ3ს-წავლი და მისთანანი. (გოგოლაშვილი, 2010, 24; 2016, 263, 264).

იოანე ქართველიშვილი „მემუარებში“ უწვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივში მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად **-ნენ** სუფიქსის პარალელურად იყენებს **-ენ** სუფიქსს. მაგ.: „აწ **იკლებდენ** იასაულნი დაყენებულნი მეფისაგან და არა **ანებებდენ** პატრონათვისთა, უკანონობისა ძლით ქვეყნისა ჩვენისა“ (ქართვ., 71) ; „სხვას რაღას **გამოაჩენდენ**“ (ქართვ., 77).

**-ენ** სუფიქსი აქტიურად გამოიყენება **-ნენ** სუფიქსის პარალელურად დასავლურ და ჩრდილოურ ქართლურში.მაგ.: დაიმაღენ, შერიგდენ, იყვნენ, წავიდენ, აკეთებდენ, ემეტებოდენ, გამყიდამდენ, კლამდენ, შჭამდენ, დაპატიყებდენ, იტყოდენ, იბადებოდენ, ბანცალობდენ... (იმნაიშვილი, 1974, 219-220; კობერიძე, 2016, 452-475).ეს მოვლენა დასტურდება ფშაურში (ქავთარაძე, 2016,563, 572), მთიულურში (კობაიძე, ბედოშვილი, 2016, 452, 460) , იმერულში ( შარაშენიძე, 2016, 603, 662; შარშენიძე,ჭაუჭიძე, 2016, 687), ლეჩხუმურში (კაკიტაძე, 2016, 739, 745, 755), აჭარულში (სურმავა, 767, 775), შავშურში, კლარჯულში, ტაოურში(ფალავა, ცეცხლაძე, 2016, 817) და სხვა კილოებში.

მეორე სერიაში, წყვეტილის მწკრივში **ი** და **ე** თავსართით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნები წარმოდგენილია **-ენ** სუფიქსით. მაგ.: „კულბითიდამ **ავიყარენით**“ (ქართვ., 80); „**შევიყარენით** ერთად, მხოლოდ ცალიერნი და ტიტველნი“ (ქართვ., 74); „გამოვიარეთ შიშშილი ფრიადი, რამეთუ არა იყო პური, არამედ უფროსლა **გამოვიზარდენით** ჯორცითა და ცერცვითა“ (ქართვ., 74); „**ეცადენით** ეს

წიგნები დაისწავლოთ“ (ქართვ., 88); „ეკლესიის განწესებას ყოველ-სავე **დეამორჩილენით**“ (ქართვ., 88); „რომ **აყყარენით** ქრცხინვალი-დამ თქვენ და გორს ჩეყვანეთ“ (ქართვ., 86). ანალოგიური ფორმები დადასტურებულია XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში (მარტიროსოვი, 1953, 266).

მსგავს შემთხვევებს ვხვდებით ქართულურში, კახურში, მთიულურსა და ფერეიდნულში. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება დავიზარდენით, დავიმალენით, მოვერიდენით, შევეფარენით, გავეპარენით ფორმები ცენტრალურ და ჩრდილო ქართულურში (იშვიათად დასავლურ ქართულურში).

**-ენ** სუფიქსი მიჩნეულია სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად სამივე პირისათვის (თოფურია, 1953, 524). ა. შანიძე **-ენ** სუფიქსს უკავშირებს ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებში ნარიანი დამატების აღმნიშვნელ ნიშანს (შანიძე, 1920, 12; 1980, 355). გრ. იმნაიშვილის აზრით, **-ენ** სუფიქსის დამკვიდრება ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში უდავოდ ქართულურისა და კახურის მეშვეობითაა მომხდარი (იმნაიშვილი, 1974, 47).

გ. გოგოლაშვილი შენიშნავს, რომ დავიზარდენით ტიპის ფორმათა დადასტურება ქართულ დიალექტებში მორფოლოგიური არქაიზმის საინტერესო გამოვლენაა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ძირითადად ვნებითის პარადიგმაში გვაქვს და არა მოქმედებითში, იმის დასტური უნდა იყოს, რომ ძველ ქართულშივე „მოქმედებითიდან ვნებითში გადაყოლილად“ არ უნდა იქნეს მიჩნეული და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად გააზრებული (გოგოლაშვილი, 2016: 427).

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ დასტურდება თემის ნიშანთა მონაცვლეობის საინტერესო შემთხვევები, რომელიც დღეს უცხო არ არის ქართულურისა და ქართული ენის სხვა დიალექტებთანათვის.

**-ამ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ემ**. მაგ.: „ხან ქვეითს გატარებდი და ხან მყარზედ **გისვემდი**“ (75). **გისვემდი** ← **გისვამდი**.

**-ობ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ებ**. მაგ.: „**ვცხოვრებდი** ეგრეთვე ქალაქსა შინა ტფილისისასა“ (ქართვ., 69); „**ვცხოვრებდით** ეგრეთვე მწირობით“ (ქართვ., 78) **ვცხოვრებდით** ← **ვცხოვრობდით**.

**-ავ**-ს ენაცვლება **-ევ** თემის ნიშანი. მაგ.: „თქვენი მწუხარება **მკლევდა**, რომ ისე საცოდავად დაგყარე იქა“ (ქართვ., 86) **მკლევდა** ← **მკლავდა**.



თემის ნიშნის მონაცვლეობა გვხვდება მესამე სერიის პირველ თურმეობითშიც, სადაც **-ავ-**ს ენაცვლება **-ამ**. მაგ.: „ერთი ასეთი საშინელი ქარი ამოვიდა, რომ არას დროს იმისთანა ქარი არ **მინახამს**“ (ქართვ., 85);

მესამე სერიაში, პირველ თურმეობითში **-ევ** თემისნიშნისანი ზმნა წარმოდგენილია სუფიქსის გარეშე. მაგ.: „აქ, მუხრანს, ლაზარევს იარანალს თავისი ატუტენტი გამოეფზავნა და წერილები, რომელიც აცხადებდა, რომ გიორგი მეფეს საქართველო ჰელმწიფისათვის **მიუერთია**“ (84). **მიუერთია** ← **მიუერთეცია**.

ვფიქრობთ, საინტერესოა იმ პროცესების წარმოსაჩენად, გაანალიზებული დიალექტური ფორმები, რომელიც ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში არსებობდა და იოანე ქართველიშვილმა „მემუარებში“ თხრობისას ბუნებრივად გამოიყენა. ამ ფორმების კვლევა სამომავლოდ ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვან მოვლენებს გამოავლენს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**გიგინეიშვილი, 1939** – ივ. გიგინეიშვილი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის მიდამოებში: ენიშკის მოამბე, IV ვ. თბ., 1939.

**გოგოლაშვილი, 2010** – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბ., 2010.

**გოგოლაშვილი, 2010** – გ. გოგოლაშვილი, -ჰ და -ს პრეფიქსები თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში: XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2010.

**გოგოლაშვილი, 2016** – გ. გოგოლაშვილი, **ნა-ა-ო-ს** ნაცვლად: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**თოფურია, 1953** – ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, თბ., 1955.

**თოფურია, 1925** – ვ. თოფურია, ქართლური: არილი, თბ., 1925.

**იმნაიშვილი, 1974** – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

**კაკიტაძე, 2016** – ვ. კაკიტაძე, ლექსუმური კილო: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**კობერიძე, 2016** – მ. კობერიძე, ქართლური კილო: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**კობაიძე, ზედოშვილი, 2016** – მ. კობაიძე, გ. ზედოშვილი, მთიულური კილო: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**მარტიროსოვი, 1952** – ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, თბ., 1952.

**ნოზაძე, 1970** – ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტური მასალები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბ., 1970.

**სალარიძე, 1978** – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.

**სურმავა, 2016** – ნ. სურმავა, აჭარული კილო: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**ფაღავა, ცეცხლაძე, 2016** – მ. ფაღავა, ნ ცეცხლაძე, შავშური, კლარჯული, ტაოური კილო: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**ქავთარაძე, 1954** – ი. ქავთარაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, თბ., 1954.

**ქავთარაძე, 2016** – ზ. ქავთარაძე, ფშაური კილო: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**შანიძე, 1920** – ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920.

**შანიძე, 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

**შანიძე, 1922** – ა. შანიძე, ჰამეტობა ადიშის სახარებაში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, ტფ., 1922.

**შანიძე, 1923** – ა. შანიძე, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფ., 1923.

**შანიძე, 1976** – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

**ნ. შარაშენიძე, 2016** – ნ. შარაშენიძე, თანდებულები დასავლურ დიალექტებში (ცხრილები): თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**შარაშენიძე, 2016** – ნ. შარაშენიძე, ქვემოიმერული კილოკავი: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**შარაშენიძე, ჭაუჭიძე, 2016** – ნ. შარაშენიძე, გ. ჭაუჭიძე, ზემოი-  
მერული კილოკავი: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II,  
დიალექტები, თბ., 2016.

**ცოცანიძე, 2016** – გ. ცოცანიძე, თანდებულები ქართულ დია-  
ლექტებში (აღმოსავლური დიალექტები): თანამედროვე ქართული  
ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

**ჯორბენაძე, 1998** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლო-  
გია, 2, თბ., 1998.

## წყარო

**გოგ.**: ი. გოგებაშვილი, ტ. II, თბ., 1954.

**ლომ.**: ნ. ლომოური, მოთხრობები, ს. ხუციშვილის წინასი-  
ტყვაობით, შენიშვნებით და რედაქციით, თბ., 1951.

**ქართგ.**: იოანე ქართველიშვილის მემუარები, ავთ. იოსელია-  
ნის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952.

**ჭავჭ.** : ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, თბ., 1927.

**ჭავჭ.** , 1929 : ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, თბ., 1929.

## ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

### საკუთარ სახელთა ზოგიერთი მახასიათებელი ქიზიყურში

საკუთარი სახელები ქიზიყურში სამწერლობო ენისა და სხვა  
კილო-თქმებისაგან განსხვავებულ მორფოლოგიურ პროცესებს ექ-  
ვემდებარება. აქ ჩვეულებრივია, მაგალითად, წოდებითის -**ჭ**-ნიშნი-  
ანი წარმოება, განსხვავებულად იყენებს ვოკატიურ ფორმებს მიმარ-  
თვისა და მოხმობის შემთხვევებში, აგრეთვე, საალერსო ფორმების  
საწარმოებლად -**ო** ბოლოსართის წარმოება. თავდაპირველად განვი-  
ხილავთ მიგებითიმიმართვის ფორმებს, შემდეგ კი – მოხმობისას.

საკუთარი სახელები ჯგუფდება აუსლაუტის მიხედვით: ხმო-  
ვან- და თანხმოვანფუძიანებად. პირვანდელი ხმოვანფუძიანია, უმე-

ტესად **ე** ხმოვნით დამთავრებული სამმარცვლიანი საკუთარი სახელები: ირინე, მარინე, ელენედა სხვ. მათი წოდებითის ფორმები ორგვარია: ფუძისეული და **ჟ**-ნიშნისანი. ამგვარი წარმოება განუსხვავებელია კილოკავებში. უფრო მეტიც, ერთი მთქმელის ფარგლებშიც კი შეიმჩნევა ფორმათმონაცვლეობა. უნდა ითქვას, რომ მიგებითი - მიმართვის დროს უბრუნვისნიშნო წარმოებაა უპირატესი.

მაგალითად:

**ირინე, ირინე**, გო! არ იყავ შინა? (ბოდბ.)

**მარინე**, ჩურჩხელებ რო დაავლებ-კე, მადტა მემრე მემეშველე, ქა! (ანაგ.)

ორზე მეტი მარცვლის შემცველ თანხმოვანფუძიან სახელთათვის დამახასიათებელია ჰაპლოლოგია და ხმოვანფუძიან სახელად გარდაქცევა, ფუძე კი, ძირითადად, **-ა** ან **-ო** ხმოვნებით ბოლოვდება:

დარეჯან-ი > დაჯ- <b>ო</b>	ვალერი > ვალ- <b>ა</b>
დომენტი > დოტ- <b>ო</b> // დოტ- <b>ე</b>	ცანგალ-ა > ცაგ- <b>ა</b>
ვალოდია > ვალ- <b>ა</b>	ბასილ-ი > ბას- <b>ა</b>

ეს სახელები იმავე ფორმათწარმოებას ექვემდებარებიან, რაც დამახასიათებელია ორმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელთათვის და წოდებითში **-ჟ** ნიშანს დაირთავენ. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ვალა-**ჟ**, ერთი სად დაადე ჯორციმ ქვაბი, ვერ კი მინახნია.

ცაგა-**ჟ**, ეგე ხვალ უნა ნახირში გავყვე-კე ზროხებ და ხვალზედთ მოალ.

შდრ. საკუთრივ ორმარცვლიან სახელთა გამოყენების შემთხვევა იმავე პოზიციამი:

ნანა-**ჟ**, როგო გიხდება, გო, ეგეგბლუსკა!

ზოგიერთი სამმარცვლიანი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი წოდებითში გამოირჩევა ბოლოკიდური ხმოვნის აპოკოპირებით, რაც მას ბოლოთანხმოვნინად აქცევს:

ნათელა > ნათელ	ციალა > ციალ
ვენერა > ვენერ	თამილა > თამილ
მარიკა > მარიკ	ვეტრანა > ვეტრან

ეს წესი მოქმედებს როგორც მიგებითი, ისე მოხმობითი მიმართვის დროს ქიზიყურის ყველა თქმასა თუ კილოკავში.

ა) მიგებითი მიმართვა:

**მამუკ,** ბანკში დაგიწყნია მუშაობა და მაძტა სესხი გამამატა-  
ნინე!

**მარიკ,** ბაღლ უთხარ, ხვალზედ სკოლაში მიდცემენ-კე კომპი-  
უტერ და არ დეენაღვლოდ!

**ციალ,** პური დავაკარ და გამოელ-კე.

ბ) მოხმობითი მიმართვა:

**ვენერ, ვენერ,** ... რმე, მაღკვდი გო?..

**თამილ, თამილ,** ... დეგეძინა თუ მიწამ ჩაგყლაპაქა?..

– **ლუიზ, ლუიზ,**

– რა იყო, **თინა-უ?**

– გო, ყველი უნათ და სუ გადყიდე?

– არა, გო, რამდენი უნათ?

**ვეტრან,** დაადექმჯო, ე რა მოუსვენარი ძევეხარ დედ-მამად.

ქიზიყურში მიმართვის დროს საკუთარი სახელის ფუნქცი-  
ით შეიძლება იხმარებოდეს ნაწარმოები ზედსართავი სახელი, რომე-  
ლიც წოდებითის წარმოების თავისებურ წესს ემორჩილება: ძირეულ  
მორფემას დაერთვის ალერსობითობის **-უცბოლოსართი** და მიილ-  
ტვის ორმარცვლიან ფუძეთანხმოვნთან ფორმად ქცევისაკენ.

რეტ-იან-ი > რეტ-**უც**-ა

ბნედ-იან-ი > ბნედ-**უც**-ა

მაგალითად:

რეტ-**უც**, გინა გცემო?

ბნედ-**უც**, ერთი როგო დადკარგე დანა-ო?

ასეთსავე ხასიათს ავლენს ფუძეგარკვებული, ან ბგერწე-  
რითინაზმნარი სახელებიც, რომლებიც აგრეთვე ორმარცვლიანი  
თანხმოვანფუძიანები არიან:

ყვიტყვიტა „მოლაყბე“ (ბოდბ.)

**ყვიტყვიტ.** ეგე ავტობუსმა არ გაგასწროდ!

მოხმობითი მიმართვის შემთხვევაში ხმოვანფუძიანი საკუთა-  
რი სახელი წოდებითს **-უ** ბოლოსართით აწარმოებს. მისი თავისებუ-  
რება ისაა, რომ სამი კომპონენტისაგან შედგება, სადაც პირველი ორი  
წევრი მხოლოდ **-უ** ნიშნით ფორმდება, მესამე კი პროკლიტიკური  
ჰად- ნაწილაკს დაირთავს და ძლიერი, მაღალი ტონით წარმოითქმის.

შაქრო-**უ**, შაქრო-**უ**! ჰად-შაქრო-**უ**!

შალა-**უ**, შალა-**უ**! ჰად-შალა-**უ**! (შალვა)

ფარო-**უ**, ფარო-**უ**! ჰად-ფარო-**უ**! (ფარნავაზი)

**ჰაი**- პროკლიტიკური ნაწილაკი მამაკაცის მისამართით უფრო გამოიყენება, ქალის სახელებს ენკლიტიკურად **-გო** // **-ქა** ელემენტები დაერთვის მახვილის გამამძლიერებლად. არის შემთხვევები, როცა პროკლიტიკურ ნაწილაკად **რმე**- შორისდებული იხმარება.

ნანა-**ტ**, ნანა-**ტ**! ნანა-**ტ-გო**!

ია-**ტ**, ია-**ტ**! ია-**ტ-ქა**!

ეკა-**ტ**, ეკა-**ტ**, **რმე-ეკა-ტ**!

-**ტ** სართის გარეშე აწარმოებენ წოდებითს **-ი** და **-ე** ხმოვნით დამთავრებული მეორეული ორმარცვლიანი სახელები მოხმობითი მიმართვის კონსტრუქციაში, მაგრამ ნაწილაკებს დაირთავენ სათანადო პოზიციაში:

დაჯი, დაჯი, დაჯი-**გო**! (დარეჯანი)

დოტე, დოტე, **ჰაი-დოტე**! (დომენტი)


ნაზი, ნაზი, ნაზი-**ქა**!

ლალი, ლალი, **რმე-ლალი-გო**!

ფუძეთანხმოვნიაანი (პირვანდელი და მეორეული) ორმარცვლიანი სახელების შემთხვევაში მოხმობითი მიმართვა სიტყვის არტიკულაციისათვის საჭირო ჰაერნაკადს თანაბრად ანაწილებს მარცვლებზე, ხანგრძლივობა ერთნაირია, მაგრამ სხვაობა ტონით გამოიხატება: პირველი მარცვლი გაბმულია მეორემდე ტონის შემადლებით, მეორე კი აუსლაუტამდე პირვანდელ საფეხურს უბრუნებს ტონის სიმაღლეს.



სამმარცვლიანი სახელის შემთხვევაში სიტყვის მახვილი იყოფა ორ ტოლ ნაწილად და ერთი ნაწილი სრულიად ეთმობა ბოლო მარცვალს, ხოლო მეორე კიდევ გადანაწილდება წინა ორზე თანაბრად. სხვაობას ტონალობა გვიჩვენებს, სადაც პირველთან შედარებით მეორე უფრო შემადლებით წარმოითქმის:



წარმოდგენილი მასალა, ჩვენი დაკვირვებით, ერთნაირია ქიზიყურის ორსავე კილოკავში: ბოხორულსა და შირაქულში. მოყვანილი მასალა, ძირითადად, ბოდბურ თქმას ემყარება, თუმცა სხვა თქმა-ქცევების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა საერთო სურათი დიალექტის სრული მოცულობით. მიმართვის ორივე განხილული სახეობა სავსებით განსხვავებულ მოდელს ქმნის ამ დიალექტში. როგორც გამოჩნდა, ფონეტიკური კანონების დახმარებით გამოძევა-ვეებულია ცალკეული წყობა ორ- და სამმარცვლიან სახელთათვის, რაც აღნაგობის საფუძველზე შეუპირისპირდება სამწერლობო ენისა და სხვა კილო-თქმათა ანალოგიურ სტრუქტურებს. ვფიქრობთ, ვოკატიური კონსტრუქციისათვის მახასიათებელი მოდელეები ქიზიყურის დამოუკიდებელ დიალექტად მოაზრებას უჭერს მხარს.

## **თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე**

### **ზმნურ ფორმათა ზოგიერთი თავისებურებისათვის ქუთაისელ ებრაელებთან**

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: DI- 2016-32 „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“]

ებრაელებს საქართველოში ცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორია აქვთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათ ებრაული ენა მხოლოდ ლოცვებში შეინარჩუნეს, ხოლო საკომუნიკაციოდ ქართულს იყენებდნენ, რის შესახებ მიუთითებს კიდევ ზ. ჭიჭინაძე: „მათი ენა ქართულია, ყოვლის მხრივ ქართველობის ნაწილს წარმოდგენენ. ცხოვრება მათი ვაჭრულია... აქვთ ორი თორა, კარგი თლილის ქვით აღშენებული... ლოცვა ებრაულს ენაზედ აქვსთ და ქადაგება კი – საყოველთაოდ ქართულად (ჭიჭინაძე 1970:64). ამ ციტატას სჭირდება დაზუსტება. მართალია, ებრაელების ძირითადი სამეტყველო ენა ქართული გახლდათ, მაგრამ ისინი ენობრივად აშკარად განსხვავდებოდნენ სხვა ქართველთაგან. მათ მეტყველებაში დაჩნდებოდა გეოგრაფიული და სოციალური განსხვავებები, მაგრამ არსებობდა ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო ენობრი-

ვი ნიშნებიც, რითაც ისინი გამიჯვნას ახდენდნენ საქართველოს სხვა მოსახლეობისაგან. ეს შეიძლება ერთ-ერთ განსაკუთრებულ ნიშნადაც ჩაითვალოს, რადგან საუკუნეების განმავლობაში ებრაელები სხვებისაგან გამიჯვნას კვლავ **ქართული ლინგვისტური მაჩვენებლებით** ახდენდნენ. ამიტომაც საქართველოში ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთ ნიშნად რელიგიასთან ერთად ენაც არის მიჩნეული. საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებაზე გავლენას ახდენდა სტანდარტული ქართული, ის დიალექტი, რომელ კუთხეშიც ცხოვრობდნენ და ლოცვების ებრაული. ებრაელები ასევე იყენებდნენ დიალექტურ ფორმებს, რომლებიც არ იყო დამახასიათებელი იმ გეოგრაფიული არეალისათვის, რომელშიც ცხოვრობდნენ. ამით ისინი ენობრივად ემიჯნებოდნენ თავიანთი კუთხის სხვა მაცხოვრებლებს. ქართველ ებრაელთა მეტყველება წარმოადგენს სხვადასხვა დიალექტში პოვნიერი ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების კონგლომერატს, შეზავებულს ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით. ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული ზოგიერთი ზმნური ფორმა, სწორედ ამ კუთხით არის საინტერესო.

### **პირის ნიშნები**

ქართულში ზმნაში გარჩეულია სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. ქუთაისელი ებრაელები, რა თქმა უნდა, იყენებენ ქართულში (სალიტერატუროსა თუ დიალექტურში) დამკვიდრებულ ფორმებს, თუმცა არის შემთხვევებიც, როცა მათ მეტყველებაში დადასტურებული ფორმა განსხვავებულია სალიტერატურო თუ იმ გეოგრაფიული და სოციალური არეალისთვის დამახასიათებელი ფორმებისაგან, რომელშიც ცხოვრობდნენ. მაგ., მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ქართულში მხოლოდ რიცხვში არის ბოლოსართები **-ს, -ა, -ო**. მაგრამ ზოგიერთ ზმნას ქუთაისურში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **-ს** დაკარგული აქვს. მაგ., *არის-არი, გვაქვს-გვაქ* და სხვა. ებრაელებთან დასტურდება პარალელურად *არისე, ყავსე* ტიპის წარმოება, რომელიც არც სტანდარტულ ქართულშია და არც ქუთაისურისათვის არის დამახასიათებელი. მაგ, *არ არისე თქვენთან არავინ სახში? შვილები თუ ყავსე მაგას?* ამ შემთხვევებში **-ე** ობიექტის მრავლობითობის გამოძხატველია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მესამე პირდაპირობიექტური პირი ზმნაში ნიშნით არ არის გამოხატული. ირიბობიექტისათვის გამოყენებულია პირველსა და მეორე პირში სალიტერატურო ქართულისათვის დამა-



ხასიათებელი მრავლობითის ნიშნები. მესამე პირის მრავლობითობა სტანდარტულ ქართულში არ აღინიშნება, თუმცა დიალექტებში შეიძლება დაერთოს **-თ -ყე, -ენ**, და სხვა სუფიქსები. ებრაელებთან ყველა ტიპის ობიექტის მრავლობითობა შეიძლება გამოიხატოს. ამ ფუნქციით დასტურდება **ვე / ე** ბოლოსართები. მაგ., *გოუძლებთე, ქალო, მაგენის რჩენას თბილისში? არ დოუჯეროთე მაგენ არაფერი.* ზოგჯერ ობიექტის მრავლობითობა ორმაგად გამოიხატება: *დაგვბა-ტევე ჩვენეც და მერე წადი.*

### **ზმნისწინი**

**მო-** ზმნისწინსა და პირველი ობიექტური პირის ან მიმღებობი-სეული **მ-** მორფემის (ასევე ფუძისეული ელემენტის) შეხვედრისას ხდება **ო-ა** დისიმილაცია: *მაძკლა*. ეს პროცესი გვხვდება ზემოიმერულში, კახურში (მოწენიძე, 1973; ჯორბენაძე, 1989). ქუთაისურში ამგვარი წარმოება, გარდა ებრაელებისა, არ დასტურდება. მაგ., მამკლა კაცი, აღარ შემიძლია.

ებრაელებთან ხშირია **მი-შე** ზმნისწინის შენაცვლების შემთხვევები. მაგ., *შეატანე პური* – რაც ებრაელებთა მეტყველებაში ძალიან ხშირია. ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთანაც დასტურდება.

### **თემის ნიშნები**

თემის ნიშანთა გადაბგერება ან შენაცვლება თანამედროვე ქართულ დიალექტებში ხშირად ხდება: *ჭიკჭიკებს-ჭიკჭიკობს, ცურავს-ცურაობს*. ამ ტიპის წარმოება ქუთაისურისათვის ჩვეულებრივია. მაგრამ **აგ-ამ** გადაბგერება მხოლოდ ებრაელებისათვის არის დამახასიათებელი: *დავკუმპლამ ყურძენ, რამდენი შვილი ყამს შენ ძმას? მაგას რა ხელს აძლებს ჩემი დარჩენა?*

დასტურდება **-ებ-**ი შენაცვლებაც: *აბრალის ჩემ შვილ, აყვედრის ყველაფერ.*

ზოგი **-ებ** თემისნიშნისანი ზმნა **-ივ-**ი ფომატით რთულდება. მაგ., *ყველას იშორიეფს. სოფელში ქათამ იყოლიეფს.*

### **კაუზატივის ფორმები**

კაუზატივის მაწარმოებლად სალიტერატურო ქართულში გვაქვს **-ინ, -ევ** ან **-ევიწ** ბოლოსართები. დიალექტებში გვხვდება მათი ვარიანტებიც. ებრაელებთა მეტყველებაში დასტურდება ფორმები, რომლებიც არც სალიტერატურო ქართულში და არც ქუთაისურ-

ში არ გვხვდება. მაგ. *ვაკბინო* (ვაკბენინო), **-იწ** ფომანტმა დაკარგა მის წინ მდგომი ფუძისეული **-წ**. *მოაკლეინა* (მოაკვლეინა) (ეს აღმოსავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი).

### **ვნებითის წარმოება**

ქართულში ვნებითი გვარის ზმნებს სხვადასხვა სემანტიკური ფუნქცია აქვთ. მაგ, შესაძლებლობის (იჭმევა, ირეცხება, გვეცხოვრება), გუნების (მეცინება, მემღერება), მიჩნევის (ედიდება, ეპატარაება) და უნებლიობის (შემოეხარჯა, შემოეჭამა). როგორც რ. ენოხმა (2014) მიუთითა, ქუთისელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებულია შესაძლებლობის ვნებითის ფორმათა ფართო წარმოება. მაგ., *აბელობაში არ დაიბანება (არ შეიძლება დაბანა), არ ეკვრება (არ შეიძლება რომ შეკვროს)* და სხვა, რომლებიც ასევე ებრაელებისათვის დამახასიათებელ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

სტატიკური ვნებითები ქართულში საკმაოდ ცოტაა. მათ რაოდენობას ა. შანიძე 80-დან 120-მდე ასახელებს. სტატიკური ზმნებია ხატია, გდია, აფენია და სხვა. ამათი ანალოგიით ხშირად ქუთაისურ მეტყველებაში მოუდის **-ია** დაბოლოება ისეთ ზმნებს, რომლებსაც სხვა დაბოლოება აქვთ. მაგ., *ზის-ზია, წევს-წვია* და სხვა. ებრაულში ამგვარმა წარმოებამ კიდევ უფრო ფართოდ გაიკაფა გზა და გვაქვს *უცინია, ჭირია* ფორმები. უფრო მეტიც, დასტურდება *ჯდა/ჟდა* ფორმები, რომლებიც მხოლოდ ებრაელებთანაა გავრცელებული.

### **გინონა ფორმა**

უნდა ძველ ქართულში უწყვეტლის მწკრივის ფორმა იყო. შესაბამის აწმყოდ გამოიყენებოდა **უნა** (მინა, გინა, უნა), მაგრამ მეთემეთერთმეტე საუკუნეებიდან აწმყოს ფორმები დაიკარგა. ამიტომ უწყვეტლის **უნდა** გადმოვიდა აწმყოს დაცარიელებულ ადგილზე და ამიერიდან **მინდა, გინდა, უნდა** იქცა აწმყოდ. უწყვეტლისათვის საჭირო გახდა ამ ახალი აწმყოდან საერთო წესით ზმნის ახალი ფორმის წარმოება და ენამ დაამკვიდრა **მინდოდა, გინდოდა, უნდოდა**. მართალია, მეთორმეტე საუკუნისათვის უნა-უნდა-უნდოდა ცვლილებების პროცესი დასრულებულია, მაგრამ ძველი წარმოების ნაშთები აქა-იქ მაინც დასტურდება. მაგ., „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: ათასჯერ მცა მინა, მინდა (ფეიქრიშვილი, 1998).

ქუთისელ ებრაელებთან, დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ხშირად დასტურდებოდა ძველი ფორმები – რა უნა? რა უნონა? რა გინონა. ქუთაისში, ებრაელთა

უბანში, საბჭოთა პერიოდში, როცა ყიდვა-გაყიდვა სპეკულაციად ითვლებოდა და მოვაჭრე ებრაელებს სასჯელი ემუქრებოდა, შემხვედრ ადამიანებს *რა გინონაო* ეკითხებოდნენ და ამით ახვედრებდნენ, რომ ისინი მოვაჭრეები იყვნენ.

აღნიშნული შემთხვევები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ ებრაელები ქართული გრამატიკული საშუალებებით ახერხებდნენ გამიჯვნას სხვებისაგან. სწორედ ამიტომ იყო, რომ მათ მეტყველებაში ჩნდებოდა ფორმები, რომლებიც იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელშიც ცხოვრობდნენ, არ გამოიყენებოდა.

### **მონაობს, გლახაობს**

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **მონას** ორი მნიშვნელობა აქვს: 1. მონათმფლობელურ საზოგადოებაში ექსპლოატირებული პირი, რომელსაც არ გააჩნია წარმოების საშუალებანი და რომელიც მონათმფლობელის საკუთრებას წარმოადგენს და 2. თავისუფლებას მოკლებული ექსპლოატირებული, უფუფლებო, ჩაგრული ადამიანი. ქუთაისელ ებრაელებთან დასტურდება ზმნური ფორმა *მონაობს*, რომელიც არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მოცემული და არც ორთოგრაფიულშია აღნუსხული. აღნიშნულ ფორმას სემანტიკური კავშირი აქვს მონა სიტყვის განმარტებასთან, რადგან მას გამოიყენებენ ისეთ ადამიანთან, რომელიც ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობს. იგი დასტურდება თითქმის ყველა მწკრივის ფორმით. მაგ., თუ ადამიანი მუშაობს, მაგრამ თავი ძლივს გააქვს და უჭირს, იტყვიან მასზე: *რა ქნას, მონაობს, მარა ყისმათი არა აქ და არაფერი გამოდისო*.

ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება ებრაელებთან ზმნა *გლახაობს*. აღნიშნული ფორმა გავრცელებულია ქალაქურ ქარგონში „შაყირის“ მნიშვნელობით. იგი განმარტებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. *გლახაობს* – უაზროდ ლაპარაკობს, ბოდილაობს. *მაცადე, კაი, ნუ გლახაობ, მაგის თავი მაქვს ახლა მეე?* (რ. მიშველაძე). თუმცა ებრაულ მეტყველებაში აღნიშნული ზმნა სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება და ეტოლება შინაარსობრივად მონაობს ზმნას.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვხვდება **გლახა** სიტყვის განმარტება: 1. მათხოვარი 2. საუბრ. ცუდი, დაბალი ხარისხის, უხეირო, ნაკლები ღირსებისა. 3 საუბრ. შშიშარა მხდალი, ლაჩარი. 4. მეტსახელი კაცისა. ებრაელებთან დადასტურებულ **გლახაობ** ფორმას **გლახა** სიტყვის პირველ ორ მნიშვნელობასთან აქვს კავშირი.

გლახასგან არის ნაწარმოები გლახაკი, რომლის განმარტებაც: 1. უქონელი, უპოვარი 2. იგივეა, რაც გლახა. ებრაელებთან დადასტურებული ფორმა **გლახაობს** უნდა მომდინარეობდეს გლახა და გლახაკი სიტყვებისაგან. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვხვდება აგრეთვე ზმნური ფორმა გლახაკობს – მათხოვრობს. ებრაელებთან **გლახაობს** ნიშნავს, შრომობს, მაგრამ ბევრს ვერაფერს იღებს. აღსანიშნავია, რომ **გლახაობს** და **მონაობს** მათ მეტყველებაში ხშირად ერთდროულად დასტურდება. მაგ., *გლახაობს და მონაობს საწყალი, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის*. გვხვდება აგრეთვე მათი სახელური ფორმებიც: *სიგლახავე და სიმონავე* ელირსა მაგას.

ამრიგად, ებრაელებთან გავრცელებული მონაობს და გლახაობს ფორმები შესაბამისი მონა და გლახა სიტყვებისაგან უნდა იყოს მიღებული.

### **ებრაიზმები**

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ებრაელთა მეტყველებაში ხშირია ებრაიზმების გამოყენების შემთხვევები.

თავის სტატიაში კ. დუმბაძე განიხილავს რა ქალაქურ ჟარგონში გავრცელებულ ებრაიზმებს, ახსენებს ზმნებს **დათირა – დაინახა, შეხედა, დაიდა – იხელთა** და სხვა.

ებრაელებთან ხშირი გამოყენებისაა **დალებთა** ფორმა, რომელსაც ორი მნიშვნელობით იყენებენ. **დალებთა** – წავიდა (უმეტესად უარყოფითი კონოტაციით), და **დალებთა** – მოკვდა, გარდაიცვალა. ასევე დასტურდება ებრაელთა მეტყველებაში **თოხლაობს** – ჭამს, მიირთმევს, **თოხლა** – მოტყვილდა, შეცდა და სხვა. აღნიშნული ზმნები ებრაულ ფუძეებზე ქართული მაწარმოებლების დართვით არიან მიღებულნი, თუმცა სემანტიკა ებრაული შეინარჩუნეს.

ამრიგად, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული ზმნური ფორმები საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, ასევე დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ენობი, 2014** – Reuven Enoch, Passive Forms of Possibility (Potential) and Warning (Prohibition) in Judeo-Georgian, Selected Papers from the Xth Congress of the EAJS, Paris, 2014.

**ფეიქრიშვილი, 1998** – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1998.

**ქეგლი, 1951** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1951.

**ჭიჭინაძე, 1970** – ზ. ჭიჭინაძე, ებრაელები საქართველოში, თბ., 1970.

**ძოწენიძე, 1973** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

**ჯორბენაძე, 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

## **ნ უ გ ზ ა რ მ გ ე ლ ა ძ ე , ბ ე ქ ა მ გ ე ლ ა ძ ე**

### **ხატის (/ჯვარის) მიწები ტოპონიმიკაში დასაეკლესიო მიწისმფლობელობის საკითხები განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში**

განვითარებული შუასაუკუნეების მიწურულს, საგარეო მდგომარეობის გართულებასთან ერთად, საქართველო წვრილ საფეოდალოებად დანაწილდა და ცალკეულ კუთხეში საგამგეო-ადმინისტრაციული ოლქები ჩამოყალიბდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, სამცხისა და აჭარის, ტერიტორიაზე ასეთი ადმინისტრაციული ოლქების წარმოქმნა – წვრილი საფეოდალოების გამოკვეთა, ოსმალბობის მმართველობის დაწყების დროს კიდევ უფრო შორს წავიდა.

ოსმალბობის მმართველობის წინარე ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბატონყმურ ურთიერთობასთან გვეკონდა საქმე. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი ფენის, ყმა-გლეხების ეკონომიკური მართვის საფუძველს სამამულო სისტემა – მემკვიდრეობითი მსხვილი მიწათმფლობელობა წარმოადგენდა, თუმცა მთაში, ფეოდალური სისტემის პარალელურად, ამავე ხანებში სათემო მიწისმფლობელობის ტრანსფორმირებული ფორმები მაინც შემორჩა. ბექა-აღბულას 78 მუხლით ირკვევა, რომ საქართველოს სინამდვილე-

ში გლახთა მიწაზე მიმაგრება XIV საუკუნეზე კარგა ხნით ადრე უნდა მომხდარიყო (დოლიძე, 1953). სამართლის წიგნის მიხედვით, „თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა და ვისაცა მომართებული ყმა ყვეს და კიდე წაუვიდეს, თუ რა ავი ანუ კარგი წაილოს მან ანუ ბატონისა ანუ მეზობლისა, ვისიცა წაილოს მან კაცმან, კიდევ უზლოს დაუკლებლად...”. ეს კი – ბატონყმობის საბოლოო გამარჯვების უტყუარი მოწმობა იყო (შდრ. გაბაშვილი, 1958:137). ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის შედგენის დროისათვის, აჭარა სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო, ე.ი. სამცხე-საათაბაგოს მსგავსად აჭარაც, ძლიერი სათემო ტრადიციებით, ბატონყმური რიგით უნდა ყოფილიყო ორგანიზებული. XIII საუკუნის 80-იან წლებში სამცხის სამთავროს ფარგლებში აჭარასთან ერთად შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი, კოლა და არტაანი შედიოდა. ბუნებრივია, ისტორიოგრაფიისათვის განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების შესასწავლად უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი წყარო, რომელიც აღნიშნული პერიოდების საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი არქიტექტონიკის ცალკეული ფრაგმენტის რეკონსტრუქციის საშუალებას მოგვცემს. ბუნებრივია, ამაში წერილობით და ეთნოგრაფიულ წყაროებთან ერთად დიდ როლს ტოპონიმიკური მასალებიც ასრულებს.

ადგილთა სახელები – ტოპონიმები ქვეყნის ისტორიის ცოცხალი მატრიანაა. იგი მხარის წარსულზე, მის ფლორასა და ფაუნაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მცხოვრებთა სამეურნეო მდგომარეობაზე, მეურნეობის დარგებსა და სოციალურ ყოფა-ცხოვრებაზეც მოგვითხრობს. ტოპონიმთა ამ დიდ თანმიმდევრობაში **-ჯვარ** და **-ხატი** ძირით ნაწარმოებ სახელებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ სამცხესა და აჭარაში **ჯვარი** და **ხატი** ადგილ-მამულთა საგრძნობ ნაწილს ფლობდა. ამდენად, საეკლესიო მიწის მფლობელობა რეგიონში ფუნქციური იერსახის უნდა ყოფილიყო. წერილობით წყაროებთან ერთად საეკლესიო მამულების არსებობაზე, უპირველესად, მხარეთა ტოპონიმიკა რომ მეტყველებს, მრავალმხრივია საინტერესო და საყურადღებო. აჭარასა და სამცხეში ამ ტიპის ადგილთა გეოგრაფიული სახელებია: **ხატილაგი** (ტყე: სოფელი ტყემაკარავი, ჭახათი – ქობულეთი), **ჯვარიქედი** (1. სათესი: სოფელი ცხემვანი, ჭახათი – ქობულეთი; 2. სათესი: სოფელი ცხმორისი, ცხმორისი – ქედა), **ჯვარიქედი** (სათესი: სოფელი საღორეთი, საღორეთი – ქედა), **ჯვარიქეთი** (დასახლება: სოფელი დიოკნისი,

დიოკნისი – ხულო), **ჯვარქეთი** (1. სათესი: სოფელი დოლოგანი, ზედა მახუნცეთი, მახუნცეთი – ქედა; 2. სოფლის უბანი: სოფელი კოლოტაური, საღორეთი – ქედა), **სალოცავიქედი** (სერი: სოფელი ვარჯანაული, ჭახათი – ქობულეთი, დასტურდება ხინოს მიმართულე-ბით, ხინოსმთებში – იაილებზე), **ჯვარგაკე** (სათესი: სოფელი ინაშარიძეები, მერისი – ქედა), **ჯვარიმინდორი** (საძოვარი: სოფელი ნაგომვარი, წყლისაყარი – შუახევი), **ხატიტყე** (ტყე: სოფელი კაპნითავი, აჭარისწყალი – ხელვაჩაური), **ხატიმამული** (1. ტყე: სოფელი დოლოგანი, საფარიძეები, მახუნცეთი – ქედა; 2. სოფლის უბანი: სოფელი ზედა აგარა, საღორეთი – ქედა; 3. ჩაის ბუჩქნარი: სოფელი მედიშნა, ალიქოღლები – ქედა), **ჯორისათიბი** (სათიბი: სოფელი ვანამდეები, ღორჯომი – ხულო), **ჯვარიყანა** (1. სათესი: სოფელი ხილამდეები, სხალთა – ხულო; 2. სათესი: სოფელი ვანამდეები – ღორჯომი), **ჯორიღელე** (ღელე: სოფელი დიოკნისი, დიოკნისი – ხულო), **ჯვარიღელე** (ხმელიღელე: სოფელი ხინკილეთი, დიოკნისი – ხულო), **ქილისესერი** (სათიბი: სოფელი პანტნარი. აგარა-საციხური – ხულო), **ბ ე რ ი ყ ა ნ ა** (სათესი: სოფელი ღურტა, დიოკნისი – ხულო), **ბერინასახლევი** (სათესი: სოფელი ქაშვეთი, დღვანი – შუახევი) და სხვა მრავალი. ამასთან, აჭარაში დამოწმებულია საკრალური ხასიათის ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებებიც, რომლებიც უშუალოდ მონასტერთან, საყდართან, ეკლესიასთან, ჯვართან და ხატთან იყო დაკავშირებული. ასეთებია: **ნამუნასტრევი** (1. სათესი: სოფელი განახლება, იჯადიე – ხელვაჩაური; 2. სოფელი: მერისი – ქედა), **ნამონასტრევი** (1. სოფელი: მერისი – ქედა; 2. სოფელი: საციხური – ხულო), **საყდარი** (1. სათესი: ქვედა მარადიდი, ფანჩვეთი, აჭარის აღმართი – ხელვაჩაური; 2. ბუჩქნარი: სოფელი ბაშქო-ხელვაჩაური; 3. ბაღი: სოფელი კიბე, ბერამდეები, აჭარისწყალი – ხელვაჩაური; 4. ბუჩქნარი: სოფელი ზედამალაკონი, დოლოგანი, მახუნცეთი – ქედა; 5. ნაეკლესიარი: სოფელი კოლოტაური, საღორეთი – ქედა; 6. ნასაყდრალი: სოფელი ზენდიდი – ქედა; 7. სათესი, ბუჩქნარი: სოფელი ტაკიძეები, დანდალო – ქედა, 8. საძოვარი: სოფელი გაბრელაური, დღვანი – შუახევი; 9. სათესი: სოფელი დავლამდეები, ღორჯომი – ხულო; 10. ნაეკლესიარი: სოფელი ვანამდეები, ღორჯომი – ხულო), **საყდარა** (სათესი: სოფელი ზედობანი, აჭარისწყალი – ხელვაჩაური), **ნასაყდრები** (ბუჩქნარი: სოფელი ქაქუთი, ქაქუთი – ქობულეთი), **ნასაყდრევი** (1. სოფლის უბანი: სოფელი დოლოგანი, ქოსოფელი, მახუნცეთი – ქედა; 2. ჩაის ბუჩქნარი: სოფელი გუნდაური, მერისი –

ქედა; 3. სათესი: სოფელი ვაიო, ზვარე – ქედა; 4. ბუჩქნარი: სოფელი გეგელიძეები, ცხმორისი – ქედა; 5. სამოვარი: სოფელი ძმაგულა, ყინჩაური – ხულო), **ნასაყდრალი** (1. ნასაყდრალი: სოფელი ხუცუბანი, ხუცუბანი – ქედა; 2. ნასაყდრალი: სოფელიკონდიდი, ხუცუბანი – ქობულეთი; 3. სათესი: სოფელი ქვედა თხილვანა, ხიხადირი – ხულო), **ნასაყდრი** (1. სათესი: ფიჭვნარი – ქობულეთი; 2. სათესი: სოფელი გობრონეთი, ცხმორისი – ქედა; 3. სათიბი: სოფელი ცხმორისი, ცხმორისი – ქედა; 4. სათესი: სოფელი ბაკო, ხიხადირი – ხულო; 5. სამოვარი: სოფელი დიოკნისი, ყინჩაური – ხულო), **საყდრიგვერდი** (სათესი), **საყდრიუკანი** (სათესი: სოფელი კალოთა – ხულო), **საყდარქვეშა** (სათესი: სოფელი ინაშარიძეები, მერისი – ქედა), **საყდრიბირი** (ტყე: სოფელი ზესოფელი, ზვარე – ქედა), **საყდრიყელი** (1. სოფლის უბანი: სოფელი კვატია, ყინჩაური – ხულო; 2. სათესი: სოფელ ტუნამდეები, ღორჯომი – ხულო), **სახტარი** (1. მინდორი: სოფელი ქობულეთი – ქობულეთი; 2. ნასაყდრალი: სოფელი ზენითი, ჭახათი – ქობულეთი; 3. ძველი საყდრის ნაშთი: სოფელი ჭახათი, ჭახათი – ქობულეთი; 4. ნასაყდრალი: სოფელი კობალაური, ჭახათი – ქობულეთი; 5. ბუჩქნარი: სოფელი ცხემვანი, ჭახათი – ქობულეთი; 6. ნასაყდრი: სოფელი ზერაბოსელი, ჭახათი – ქობულეთი; 7. ნასაყდრი: სოფელი მესხიქედი, ჭახათი – ქობულეთი; 8. ნასაყდრი: სოფელი ზემო ხინო, ჭახათი – ქობულეთი; 9. ნასაყდრალი: სოფელი აჭყვისთავი, აჭყვისთავი – ქობულეთი; 10. ნასაყდრალი: სოფელი ზემო ჯოჭო – ხელვაჩაური), **ნასახტარი** (1. ნასაყდრალი: სოფელი ვარჯანაული, ჭახათი – ქობულეთი), **ნასახტრალი** (1. ნაეკლესიარი: სოფელი აჭყვისთავი, აჭყვისთავი – ქობულეთი; 2. ჩაის პლანტაცია: სოფელი აჭყვა – ქობულეთი; 3. ტყე: სოფელი ზედა მახინჯაური, მახინჯაური – ხელვაჩაური; 4. ბუჩქნარი: სოფელი გორგამდეები, ღორჯომი – ხულო), **კარცხატანი** (სამოვარი: სოფელი ქოქოლეთი, დიოკნისი – ხულო), **ეკლესია** (1. საყდარი და მისი მიდამოები: სოფელი ზედა სამება, ახალმენი – ხელვაჩაური; 2. სამების საყდარი: სოფელი ზედა სამება – ხელვაჩაური), **ნაეკლისევი** (1. ტყე: სოფელი ქვედა კვირიკე, კვირიკე – ქობულეთი; 2. ბუჩქნარი: სოფელი კობალეთი, აჭარისაღმართი – ხელვაჩაური; 3. ტყე: სოფელი წიახი, სხალთა – ხულო), **ნაენკლისევი** (ტყე: სოფელი ზედა აჭი, ქაქუთი – ქობულეთი), **ნაინკლისევი** (ჩაის პლანტაცია: სოფელი ქვედა კვირიკე, კვირიკე – ქობულეთი), **ქილისე** (1. ტყე: სოფელი სიმონეთი, თხილნარი, გონია – ხელვაჩაური; 2. ბუჩქნარი: სოფელი მურვანეთი, თხილნარი,



გონია – ხელვაჩაური), **ქილისეკარი** (ციტრუსის პლანტაცია: სოფელი გამოღმა ჭარნალი, თხილნარი, გონია – ხელვაჩაური), **ნაქილისვარი** (1. ბადი: სოფელი მახვილაური – ხელვაჩაური; 2. ბუჩქნარი: სოფელი ომბოლო, თხილნარი, გონია – ხელვაჩაური; 2. ნალია დგას: სოფელი ჟანივრი, წყლისაყარი – შუახევი), **ჯვარი** (1. სასაფლაო: სოფელი ზენითი, ჭახათი – ქობულეთი; 2. ბუჩქნარი: სოფელ ჭახათის უბანი, ჭახათი – ქობულეთი; 3. ჩაის პლანტაცია: სოფელი ზედა კაპრემუმი, ჩაისუბანი – ჩაქვი; 4. ნაეკლესიარი: სოფელი აგარა, ჩაისუბანი – ჩაქვი; 5. ტყე: სოფელი ზედა მახინჯაური, მახინჯაური – ხელვაჩაური; 6. სოფლის უბანი: სოფელი ბარათაული, ბარათაული – შუახევი; 7. სხალთის ტაძარი: სოფელი ყინჩაური, ყინჩაური – ხულო; 8. სათესი: სოფელი ბათამდეგი – ხულო), 9. სათესი: სოფელი ოქრუაშვილები – ხულო; 10. სათესი: სოფელი ძირკვამდეგი – ხულო), **ხატაში** (მთა: ზედა თხილვანა, ხიხამირი – ხულო), **ნაჯვარევი** (1. სათესი: სოფელი ზვარე, ზვარე – ქედა; 2. სათესი: სოფელ ტაკიძეები, დანდალო – ქედა), **ჯორიეთი** (ტყე), **ჯვარიღელე** (ხმელი დელე: სოფელი ხინკილეთი, ჩიქუნეთი, აჭარის აღმართი – ხელვაჩაური), **ჯორიღელე** (დელე: სოფელი წიახი, აჭარის აღმართი – ხელვაჩაური), **ჯორაღელე** (დელე: სოფელი დაბადველი – შუახევი), **ჯარინაპირი** (ბუჩქნარი: სოფელი მეჭყერთა, უჩამბა – შუახევი), **საჯვარებო** (სათესი: დღვანი – ხულო), **ჯვართაი** (სათესი: სოფელი ჭერი, ყინჩაური – ხულო), **ჯორიყელი** (1. სათესი: სოფელი ბუღაური, დიდაჭარა – ხულო; 2. სათესი: სოფელი პანტნარი, აგარა-საციხური – ხულო), **ჯვართა** (1. ტყე: სოფელი კოსტანეთი, აჭარის აღმართი – ხელვაჩაური; 2. ტყე: სოფელი კოსტანეთი, დიოკნისი – ხულო), **ჯორიფები** (1. ბადი: სოფელი კიბე, აჭარის-წყალი – ხელვაჩაური; 2. სათიბი: სოფელი გელაურა, აგარა-საციხური – ხულო; 2. სათიბი: გოდერძის უღელტეხილი), **ჯოიძირები** (სათესი: სოფელი უჩხო – ხულო), **ჯვარედინი** (სათესი: სოფელი უჩხო – ხულო), **ქვაბიჯვარი** (იაილა: სოფელი აგარა, აგარა – ხულო), **ელი-აწმინდა** (1. ჩაის პლანტაცია: სოფელი ეკალაური – ხელვაჩაური; 2. სათესი: სოფელი ვაშლოვანი (ყოფილი ალმე და ოქტომბერი) – ხულო; 3. სათესი: სოფელი შავამდეგი, დიდაჭარა – ხულო), **ელიყციხე** (ციხე: სოფელი ჭახათი, ჭახათი – ქობულეთი), **ელიავრი**<sup>1</sup> (ბუჩქნარი: სოფელი ჭახათი, ჭახათი – ქობულეთი), **ელიაური** (სათესი: სოფელი პაქსამდეგი, დიოკნისი – ხულო), **თეთროსანი** (ნასაყდრი, სოფელი

<sup>1</sup> ქობულეთის რეგიონში შეადარეთ გვარი **ელიაბე**, ხოლო ხულოში, დეკანაშვილების თემში სოფელი – **ელელიძეები**.

ხუცუბანი, ხუცუბანი – ქობულეთი), **თავარანგელო** (ტყე, სათესი: სოფელი კობალეთი, კირნათი, აჭარისწყალი – ხელვაჩაური), **თარანგელო** (1. სამოვარი: სოფელი ტაკიძეები, ჭვანა – შუახევი; 2. სათესი: სოფელი კვატია – ხულო), **თარანგელოსური** (სამოვარი: სოფელი გუნდაური, ოქროპილაური – შუახევი), **კვირიაწმინდა** (სათესი: სოფელი შუა სოფელი – შუახევი), **მიქელწმინდა** (1. სათესი, ნაკადული: სოფელი მერისი, მერისი – ქედა; 2. სოფელ ჟანივრის ადრინდელი სახელწოდება: სოფელი ჟანივრი, წყლისაყარი – შუახევი, იხ.: მგელაძე, ფუტყარაძე, 2008)...(დაწვრ. იხ.: სიხარულიძე, 1958:47-140; 1959: 45-66). ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, კერძოდ, XIII საუკუნის მწერლის, ტბელ აბუსერისძის თხზულებებში სამცხე-აჭარის მიდამოებში ჩვენ ვხვდებით ისეთ ტოპონიმებს, როგორებიცაა: **ხიხათა ციხე**, **ზაქარ-წმიდაი** (იხ.: აბუსერისძე... 1941; ტბელ... 1963:42). ამ ტიპის ტოპონიმები არანაკლები სიხშირით საკუთრივ სამცხე-ჯავახეთშიცაა გამოვლენილი. მაგალითად, ჭობარეთში რამდენიმე ეკლესია არსებობდა: **სულიწმინდის მოფენება**, **ვერანა**, **მაჭიხეთის ეკლესია**, **სატიკნე**. ასპინძის რეგიონში ჭობარეთიდან რამდენიმე კილომეტრის დაცილებით, სოფელ ძველთან გვხვდება ტოპონიმი **ჯვარიც**, სოფელ მუსხის მახლობლად – **გიორგიწმინდა (მთხრობელი**: პავლე ივანეს ძე ოქრომილიძე, 1927), ახალციხის რეგიონში სოფელ სამცხეში – ტოპონიმი **ადრიაწმინდა...იქ**, სადაც სულიწმინდის მოფენება მდებარეობდა, გვიან მოსახლეობის გამუსლიმანებულ ნაწილს **მეჩითი** (მეჩეთი) აუგია. ეს ე. წ. **შუა სოფელში** მომხდარა, სადაც მუსლიმანები (**თათრები**), მათ შორის, ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები – მართლმადიდებლები და კათოლიკეები (**ქართველები**) დასახლებაში ერთმანეთში შერეული – **არეული** იყვნენ. დასახლებაში იყო უბნები, სადაც მხოლოდ ერთი რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, მაგალითად, ასეთი იყო ჭობარეთში მუსლიმებით დასახლებული – **ჭიანურიენტ მაალა**, **ასლანიენტ მაალა**, ასევე, პატარა სამოსახლო ადგილი – **მოლიენტო**. როგორც რესპონდენტები გადმოგვცემდნენ, ისინი შემდეგ განცალკავებულან და მუსლიმანები ცალკე უბნად დასახლებულან. დასახლებაში, მეჩეთის მიდამოებში, ადამიანთა ჯგუფს მიწა გაუთხრია და ქვა-ჯვარები უნახავს. ისიც უთქვამთ, მიწაში ქვა-ჯვარები წინასწარ იყო ჩადებულიო. სოფელში მუსლიმანებთან **დადავება** მომხდარა – „წინათ აქ ეკლესია იდგაო და თქვენ მეჩითად გაგიკეთებებიათო“. რით დაასაბუთებთ ამასო? – უკითხავთ და მათაც განათხარი ჯვრები უჩვენებიათ. ამის გამო მე-

ჩეთი სხვა უბანში გადაუტანიათ – იქ, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ (მგელაძე, 1987: 33-35, 43). ასპინძის რაიონის იმავე ჭობარეთიდან, დაახლოებით სამი კილომეტრით მოცილებულ სოფელ ძველის ერთ-ერთ დასახლებას, **ჯვარი** ეწოდებოდა, სადაც ჯვარიძეთა წინაპრები სახლობდნენ, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ დასახლებაში შემავალი მიწა-წყლის ნაწილი ეკლესიის იყო და მათ სარგებლობაშიც იმყოფებოდა, უფრო ზუსტად, დასახლების ადგილ-მამულთა ნაწილი იქ მდებარე ეკლესიის განკარგულებაში უნდა არსებულიყო, თუმცა სამცხე-ჯავახეთში, როგორც ადგილობრივები მოგვითხრობდნენ, ზოგიერთ ეკლესიას საკუთარი მიწა-მამული საერთოდ არ გააჩნდა. ასეთი სოფელ მუსხის ეკლესია ყოფილა (მგელაძე, 1987:33, 50). ამასთან, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვისაც, როგორც ამას საველე წყაროები გვიდასტურებს, სამცხე-ჯავახეთში ზოგიერთ სოფელს ბატონიც არ ჰყოლია, მაგალითად, იმავე სოფელ მუსხს. „საბატონო მიწები“ განირჩეოდა „სახელმწიფო მიწებისაგან“. მოსახლეობის მეხსიერებაში შემონახული იყო ინფორმაცია ახალციხეში მჯდარი „დიდი ბატონის“ შესახებ, რომელსაც დაქვემდებარებული სოფლები საბატონო გადასახადს უხდიდნენ. ისე, გვიანი შუასაუკუნეებში ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის ზემოთ დასახლებული გართულებული დამოკიდებულების მიზეზი თავად ოსმალეთის სახელმწიფო იყო, რომელიც საგადასახადო სფეროში ქრისტიანებთან შედარებით მუსლიმანებს შეღავათებს უწყებდა. ამის გამოძახილი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ისტორიულ ნარატივებშიც შემორჩა. მაგალითად, ხანდაზმულთა მონათხრობით, დასახლებულ პუნქტ ჯვარის ერთ-ერთ დიდ სახლეულში ოთხი ძმა საერთო ჭერქვეშ ბინადრობდა. გადმოცემებით, ოსმალთა მმართველობის ხანაში მათთვის უთქვამთ: „გადასახადებს შეგიწყნარებთ თუ ისლამს მიიღებთო – თუ გაათათრდებითო“. ძმებს ბევრი უშრომიათ და ორი ძმის გადასახადი ძლივს მოუკრებიათ, რის გამოც ერთმანეთში „წილი უყრიათ“: „ორი ძმა გაათათრდეს, ორი კი – ქართველად დარჩესო“. ასეც მომხდარა: ორი ძმის შთამომავლობა, რომელიც გამუსლიმანებულია, **მჭედლიენი**-ს ბუდე-ნათესაობის მემკვიდრეობითი სახელით გამხდარან ცნობილნი. საერთოდ, ჯვარიძეები ასპინძის რაიონის სოფელ ძველიდან სოფელ ჭობარეთში დიდი ხნის წინ ჩასახლებულან და მათ გვარსახელი პირველსაცხოვრისის სახელწოდების მიხედვით დაუმკვიდრებიათ [მთხრობელები: რებეკა გრიგოლის ასული ჯვარიძე, 1987; გაი-

ანე ნესტორის ასული მაისურაძე, 1987; (მეუღლე – ზედგინიძე); ლალო ნიკოს ძე ზედგინიძე, 1987].

გვიანი შუასაუკუნეებში სამონასტრო და საეკლესიო მიწა-წყლების შესახებ ფაქტებს სამცხე-აჭარის მეზობელ მხარეში – გური-აში, გამოჩინებულის ეკლესიისადმი იოანე ხინოწმინდელის 1780 წლის შეწირულობის წიგნიც უნდა გვიდასტურებდეს, სადაც ჩანს, რომ იგი ჯუმათის ეპისკოპოსად დანიშვნამდე გამოჩინებულს ყოფილა დადგენილი. შემოწირულობის წიგნში იოანე ამბობს: „...როდესაც ჩვენ ხინო-წმინდელათდავიდგინეთ, ის ხინო-წმინდა და მისი შემავალი ერი თათართმიიმძლავრეს და ... მის ძლით ჩვენ ეკლესია-ზედმისვლა ვერ უძლეთ და ბატონის მეფის სოლომონის წყალობით გამოჩინებულს ამ შესს წმინდას ეკლესიაზედ დავიდგინეთ და რაოდენ შესაძლებელი იყო აქ ვცხოვრობდით (იხ.: Бакрадзе, 1878:237). გიორგი გურიელის 1780 წლის პირობის წიგნში ნათქვამია: „...მრავალს უდროობისა და ქვეყნის აოხრებისაგან ... ჯუმათის ეკლესია უეპისკოპოსოდ იყო და ჩვენ გვეჭირა. ამ საქმისათვის მობრძანდა მათი უწმინდესობა აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე და გველაპარაკა, რომ ეკლესიაზედ მღვდელმთავარი დაგვედგინებია ... იოანე, პირველი ხინო-წმინდელათ იყო კურთხეული, მარა მისი ეკლესია და მამული ყველა თათარს ეპყრა და ეს უეკლესიოდ იმყოფებოდა. და აწ ამ ეკლესიაზედ დაგვიდგინებია ბატონი კათალიკოსი მაქსიმეს ბრძანებით” (დაწვრ. იხ.: სიხარულიძე, 1959: 9). უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც **ეკლესიის მამული** და სამონასტრო მიწა-წყალი გვიანი შუასაუკუნეებისათვის შემოწირულობების გზითაც ივსებოდა. როგორც ვხედავთ, სამცხისა და აჭარის მეზობელ კუთხეებშიც მამულები ეკლესიას სხვადასხვა გზით გადაეცემოდა. შეწირულობის გარდა, ეკლესია-მონასტრებს მიწა-წყალი დასაშვებია სასჯელმისჯის ქონების კონსპიკაციის საფუძველზე ამა თუ იმ სახალხო სასამართლო განაჩენის გზითაც მიეღო (დაწვრ. იხ.: იოსელიანი, 2004:163-177. წერილობითი წყაროებით, ძველ საქართველოში ამის არაერთი ფაქტია დადასტურებული. XVI-XVII საუკუნეების ერთ-ერთ დოკუმენტში სასჯელის უმაღლესი ზომის – ჩამოხრჩობის გზით მთავარმოწამის სალოცავს ჩამოხრჩობილის მამული მიუღია. სვანეთში ლაპალელთა მიერ XVI საუკუნეში შედგენილ – „დაწერილ” დოკუმენტში ნათქვამია: „მთავარმოწამისა ხატი და ქუაბი დაგვეკარგა, რომელსაცა კაცსა გამოაჩნდეს, ესე კაცი დავაშთოთ თავითა, მისი მამული ყველა მთავარმოწამესა დავათვალოთ” (სვანეთის... 1986:№34).

ჯვარისა და ხატის მიწა-მამულების ამსახველი ტოპონიმიკა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ადგილთა სახელწოდებებში საკმაოდ მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი, რაც ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში საეკლესიო ცხოვრების მეტ-ნაკლებად იდენტურ კანონიკურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. მიგვანიშნებს იმაზეც, რომ წარსულში ეკლესიებზე მიწა-წყლის გადაცემა ეკლესიის ინტერესებისა და ადათობრივი ნორმების გათვალისწინების საფუძველზე საერთო სამართლებრივი რეგულაციით წარიმართებოდა. ამ სფეროში სამცხისა და აჭარის მთის საეკლესიო – ხატისა და ჯვარის მამულების განკარგვის ძირითადი მახასიათებლების ახსნა წერილობით წყაროებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის ყოფის ამსახველი პარალელური ეთნოგრაფიული ფაქტებითაა შესაძლებელი. მიწები, რომლებიც ძველად „ჯვარის“ („ხატის“) სათიბი, ტყე და სახნავი იყო, იმავდროულად, როგორც ჩანს, თემის საკუთრებად ითვლებოდა. ყოველი მეთემე, მსგავსად საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებისა, სათემო თუ სასოფლო ჯვარის მიმართ როგორც მისი ყმა, ხოლო საკუთრივ თემი, როგორც მისი საყმო, ისე განიხილებოდა. საყმოში ყმების მიერ ჯვარის მამულით სარგებლობა ოდითგანვე ჩამოყალიბებულა დათობრივ ნორმებს ექვემდებარებოდა. ვერა ბარდაველიძე სვანური ეთნოგრაფიული მასალების შუქზე ადგენდა, რომ ყველა სვანური ღვთაება, რომლებიც ჩვეულებრივ ამა თუ იმ ქრისტიანულ წმინდანს იყვნენ ამოფარებულნი, რომლის სახელიც საკულტო ნაგებობას ერქვა, ერთი ანდა რამდენიმე ადგილობრივი გვარისაგან შემდგარი თემის მფარველად მიიჩნეოდნენ. ავტორის ვარაუდით, თემის წევრები სათემო ღვთაების „კაცებად“ იწოდებოდნენ (ბარდაველიძე, 1934). სვანეთში XIV საუკუნის მეორე ნახევარში ლაჰილელთა ერთობის საბუთში ვკითხულობთ, რომ „გარეგანი კაცის“ მოხმარებაში გამოჰქერილ ადამიანს „რაიცა უკეთესი ყანა ედვას, პატიჟად დაგვიც, მთავარანგელოზისათვის შეგვიწირავსო“ (სრულად იხ.: სვანეთის... 1986: №26). სვანეთში ტერმინებით **პატიჟი**-თ და **საპატიჟო**-თი საზღაურის გადახდით სასჯელის ფორმა გამოიხატებოდა. ხათუნა იოსელიანის დაკვირვებით, გადახდა მიწით, ფულით, საკლავით ხდებოდა, ზოგჯერ, საბუთების მიხედვით, დამნაშავეისათვის გამორთმეული **საპატიჟო** მთლიანად ეკლესიას ეწირებოდა, სხვა შემთხვევაში იგი შუაზე იყოფოდა და ნაწილი ეკლესიას, ნაწილი კი ხევს – თემს ხმარდებოდა (დაწვრ. იხ.: იოსელიანი, 2004:169-170).

ჯვარის („ხატის“) მიწებით სარგებლობის დეტალები აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ზეპირი ცნობების უქონლობის გამო გაურკვეველი რჩება. უნდა ვივარაუდოთ, რომ საეკლესიო მიწათმფლობელობას აჭარაში, ძირითად შტრიხებში, ზოგად-ქართული ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამდენად, ამ საკითხის ნაწილობრივ შესწავლას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთიდან და მთიულეთიდან წარმოდგენილი ეთნოგრაფიული წყაროები ჰყენს შუქს. ცნობილია, რომ ხევსურეთში თემი სათემო ჯვარის („ხატის“) მამულებითაც სარგებლობდა. მამულების გაფანტული ნაკვეთები „სარგო“ იყო. სარგოს ნაკვეთები თემში მოსახლე **მამობას** და **გვარზე** იყო გაცემული. **მამობა** თუ **გვარი** დასამუშავებელ მიწას მორიგეობით, კომლობრივად ანაწილებდა. მიწის სარგებლობის სანაცვლოდ მეიჯარე, მეკომური ჯვარს გარკვეული რაოდენობის დალას უზდიდა. იქ, აგრეთვე, ცნობილი ყოფილა მცირემიწიან გლეხთა მიერ ნაკვეთების ვადიანი ნატურალური გადასახადით სარგებლობის წესი. ხევსურეთისაგან განსხვავებით, მთიულეთში მეთემეს ჯვარის („ხატის“) მამული მხოლოდ ერთი წლით ეძლეოდა. სადღესასწაულო დღეს მიწის ნაკვეთის დამამუშავებელს – ყმას მოსავლის წილი ხატში მიჰქონდა, რომელსაც ამ ხატის მრევლი მიირთმევდა. ცნობილია ისიც, რომ ხევსურეთში მეთემენ ჯვარის („ხატის“) საუკეთესო და მთლიან მასივებს კოლექტიურად ამუშავებდნენ. ვფიქრობთ, ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთის მეტ-ნაკლებად ანალოგიური უნდა ყოფილიყო ხატისა და ჯვარის მიწებით სარგებლობის ნორმები წარმართულ და ადრე-ქრისტიანულ პერიოდის აჭარაშიც. ამავე ხანის ანარეკლი ჩანს აჭარის მთიანეთში სათემო მიწების საზოგადო სახელის – **ჯუმალი**-ს დადასტურებაც (იხ.: მგელაძე, 1960). XVII საუკუნის დასასრულიდან აჭარაში თანდათანობით ქართული ფეოდალური ურთიერთობა მოიშალა, დაეცა ქრისტიანობა, დაქვეითდა ეკონომიკა. კუთხის საზოგადოებრივი ცხოვრება ნაწილობრივ ოსმალური ყაიდის ყოფისა და კულტურის პრინციპებს დაექვემდებარა. ოსმალეთი აჭარის სრულ ინკორპორაციას კოლონიზაციის გზითაც ცდილობდა. იგი XIX საუკუნეში განსაკუთრებით გააქტიურდა. ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებისა და პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავების პერიოდი აჭარაში საადგილმამულო უფლებებისა და მოსახლეობის მატერიალურ-წარმოებით შეზღუდვასაც დაუკავშირდა.

ოსმალთა მმართველობის ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, აჭარაში მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებების სარგებლობაში მყოფი ე. წ. **ვაყუფი** – სავაყუფე მიწები გაჩნდა, რისი დამადასტურებელი ფაქტები მუსლიმანურ სამლოცველოებთან **ჯამე**-სთან – მეჩეთთან ერთად ადგილობრივ ტოპონიმიკაშიც აისახა. მაგალითად, ასეთები იყო: **ჯამივაყუფი** (სათესი: სოფელი ქვედაადლიე, კახაბერი – ხელვაჩაური), **ვაყუფანა** (ბურქნარი: სოფელი დოლოგანი, საფარიძეები, მახუცენთი – ქედა), **ვაყუფი** (1. სათესი: სოფელი დოლოგანი, ზუნდაგა, მახუნცეთი – ქედა; 2. სათესი: სოფელი დოლოგანი, ქვედა მახუნცეთი, მახუნცეთი – ქედა), **ჯამიყანა** – (მინდორი: სოფელი ქვედა კვირიკე, კვირიკე – ქობულეთი), **ჯამიგვერდი** (1. სათესი: ჩიქუნეთი – სოფელი ბასილეთი, აჭარისაღმართი – ხელვაჩაური; 2. სათესი: სოფელი ბასილეთი, დიოკნისი – ხულო), **ჯამისერი** (ჩაის პლანტაცია: სოფელი ჭარნალი, გაღმა ჭარნალი, თხილნარი, გონია – ხელვაჩაური), **ჯამექვეში** (ჩაის პლანტაცია: სოფელი კიბე, გუჩმანიძეები, აჭარისწყალი – ხელვაჩაური), **ჯამეკარი** (სადოვარი: ოღლაური – ბურკენავი, აჭარისწყალი – ხელვაჩაური), **ჯამიკარი** (1. სადოვარი: სოფელი სკურდიდი, აჭარისაღმართი – ხელვაჩაური; 2. სოფლის ცენტრი: ქვემო მარადიდი – ლომანაკეთი, აჭარისწყალი – ხელვაჩაური; 3. სოფლის ცენტრი: სოფელი სიმონეთი, თხილნარი, გონია – ხელვაჩაური; 4. ციტრუსის პლანტაცია: სოფელი მახო, თხილნარი, გონია – ხელვაჩაური; 5. სასაფლაო: სოფელი დოლოგანი, უჩხითი, მახუნცეთი – ქედა; 6. ნაჯამვარი: სოფელი ალიქოღლები (ოქტომბერი), მეძიმნა, ალიქოღლები – ქედა; 7. ბაღი: სოფელი ვაშლოვანი (ყოფილი ალმე და ოქტომბერი) – ხულო; 8. სადოვარი: სოფელი სკურდიდი, დიოკნისი – ხულო), **ჯამექვეშა** (სათიბი, ჩაის პლანტაცია: სოფელი ოტოლაძეები, დანდალო – ქედა), 6. ნაჯამვარი: სოფელი ალიქოღლები (ოქტომბერი), მეძიმნა, ალიქოღლები – ქედა; 7. სოფელი: სოფელი ჯამიკარი, შუბანი – შუახევი), **ჯამიჭალა** (სათესი: სოფელი ზედა თხილვანა, ხიხადირი – ხულო), **ჯუმეთები** (სათესი: სოფელი ვაშლოვანი, ვაშლოვანი – ხულო), **ჯამიღლე** (სათესი: სოფელი ადამძეები, ღორჯომი – ხულო), **ნაჯამვარი** (სათესი: სოფელი ცისკარამძეები, აჭარისწყალი – ხელვაჩაური) – (სიხარულიძე, 1958:47-140; 1959: 45-66). სავაყუფე მიწები ჯამეებისა და მედრესე-მეჩეთების განკარგულებაში იმყოფებოდა, რომელთა დანიშნულება მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებათა შენახვა იყო. სავაყუფე მიწად შეიძლება სოფელი ანდა მიწის განსაზღვრული ნა-

კვეთი, ბალი, სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე და სხვა ამდაგვარი ქონებრივი ფორმა ქცეულიყო. XIX საუკუნიდან აჭარაში სავაყუფე მიწები დღითიდღე ინტესიურად იზრდებოდა და მსხვილდებოდა. ვაყუფიდან მიღებულ ჭარბ შემოსავალს ჯამე-მედრესების უძრავი ქონების გამრავლებისათვის იყენებდნენ. ზემო აჭარაში – ხულოს, ღორჯომის, აგარის, ბელღეთისა და დიდაჭარის ჯამეები მიწების დიდ ქონებას – მიწის მასივებს, ფულსა და ძვირფასეულობას ფლობდნენ. XIX საუკუნიდან ჯამეების მშენებლობა კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც ხშირად თემის შიგნით უთანხმოებისა და მოსახლეობის ზრდით, თემის ერთობის დაშლით იყო გამოწვეული (მგელაძე, 1960<sup>2</sup>).

როგორც ვხედავთ, სავაყუფე მიწები – **ვაყუფი** მუსლიმანური სამლოცველოს მიწას ეწოდებოდა, რომელიც ჯამეებისა და მედრესემეჩეთების განკარგულებაში შედიოდა, ჯამეს ყოფილი მიწების ზოგიერთ ნაკვეთს კი აჭარაში – **ვაყუფხანა**-ც ერქვა. ვაყუფი, რომელიც საქველმოქმედო მიზნით ქონების გაღებაც იყო, უპირველესად, **დამვაყუფებელთან** მიმართებაში განიხილებოდა. ამით **მოვაყუფე** პირი ღმერთს კიდევ უფრო უახლოვდებოდა. ხდებოდა ქონების დავაყუფება და ეს ქონება შესაძლოა უძრავი ქონებიდან მიწაც ყოფილიყო, დგებოდა სავაყუფე საბუთები – ოქმები. საბუთების გაფორმების ძირითადი და კონკრეტული პირობა დამვაყუფებლის მიერ მიცემული სიტყვა იყო. ეს იყო აღიარება – „ჩემი ქონება დავავაყუფეო“, ე. ი. „ჩემი ქონება სამუდამოდ შევწირეო“. ოქმში ასეთი სიტყვა ხაზგასმით იყო გამოყოფილი. საწინააღმდეგო შემთხვევაში დავაყუფება გაფორმებულად არ ჩაითვლებოდა. დავაყუფება ძალაში შედიოდა დღიდან მისი დაწერისა, სხვა შეხედულებით იგი რეალობად დავაყუფებული ქონების მუთვეელზე – მზრუნველზე გადაცემის შემდეგ იქცეოდა.

სავაყუფე მიწასთან – მამულთან დაკავშირებით სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივი ნორმები არსებობდა. სამართლებრივად განსაზღვრული იყო ვაყუფზე მიწის გადაცემისას პირთა შორის ქონებაზე საკუთრების უფლების პირველადობა, საზიარო ქონების მხოლოდ ერთ-ერთი მხარის განკარგვის შესაძლებლობა და სხვა

---

<sup>2</sup> მუსლიმანური სამლოცველოებისა და, საერთოდ, მუსლიმური სასულიერო ორგანიზაციების შესახებ იხილეთ ბოლო ხანებში დაბეჭდილი კოლექტიური მონოგრაფია – „**ქართველი** მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათუმი, 2010.



მრავალი. მაგალითად, რომელიმე პირს საზიარო მიწა სხვა პირთან რომ დაევაყუფებინა, შეიძლებოდა თუ არა ამის კანონზომიერად ცნობა? ასეთ დროს საზიარო მიწის გარკვეული ნაწილის საფასური გამოიყენებოდა და ეს მიზანშეწონილად იყო მიჩნეული. ასევე, როცა ამა თუ იმ ადამიანის საკუთრებაში შემავალი მიწა დავაყუფდებოდა და მასზე ჯამე აშენდებოდა, მაშინ დავაყუფებული მიწის დაბრუნება, გაყიდვა ანდა ჩუქება თუ მემკვიდრეობით გადაცემა იკრძალებოდა, მიწაცა და ჯამეც ხელშეუხლებელი რჩებოდა. დავაყუფებული მიწის დაბრუნება დასაშვები მაშინ შეიძლებოდა გამხდარიყო, როცა ასეთ მიწაზე გარკვეული მიზეზებით ჯამის აგება არ ხერხდებოდა, რის გამოც მასზე დამვაყუფებლის საკუთრების უფლება აღდგებოდა (დაწვრ. იხ.: აბაშიძე, 1941: 2-56).

ამრიგად, საქართველოში საეკლესიო მიწების, ისე როგორც მეჩეთთა მამულების განკარგვა, სასულიერო მმართველობის სფეროში შედიოდა. ასე იყო განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, ეს კარგად ჩანს განვითარებული შუასაუკუნეების სამცხე-საათაბაგოში, ხოლო გვიანი შუასაუკუნეების – აჭარაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა, წყაროები**

**აბუსერისძე ტბელი, 1941** – ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე (1233 წლის ტექსტი), გამოსცა ლევან მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

**ბარდაველიძე, 1934** – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1934.

**გაბაშვილი, 1958** – ვალ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958.

**დოლიძე, 1953** – ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

**იოსელიანი, 2004** – ბ. იოსელიანი, სასჯელთა და გარდასახდელთა ფორმები შუა საუკუნეების სვანეთში (წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით. – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, VI, თბ., 2004.

**მგელაძე, 1960** – ვლ. მგელაძე, საეკლესიო მიწისმფლობელობის ისტორიიდან აჭარაში – ხელნაწერი, 1960 (იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი), 1960.

**მგელაძე, 1987** – ნ. მგელაძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები: სამცხე-ჯავახეთი – 1, იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი, ბათუმი, 1987.

**მგელაძე, ფუტყარაძე, 2008** – ნ. მგელაძე, თ. ფუტყარაძე, გვართა მიგრაციის ზოგიერთი საკითხი აჭარაში. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის პრობლემები“, II, ბათუმი, 2008.

**სვანეთის... 1986** – სვანეთის წერილობითი ძეგლები (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ), ტ. 1, თბ., 1986.

**სიხარულიძე, 1958** – ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგნი I, ბათუმი, 1958.

**სიხარულიძე, 1959** – ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგნი II, ბათუმი, 1959.

**ტბელ... 1953** – ტბელ აბუსერისძე, ცხოვრება ქვეთხუროსა ბასილისა (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო იური სიხარულიძემ), ბათუმი, 1953.

**ქართველი... 2010** – ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010.

**Бакрадзе, 1878** – Д.З.Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре (Атлас, с одной картой и четырьмя чертежами), СПб., 1878.

**მთხრობელი პავლე ივანეს ძე ოქრომილიძე, 1925** წელს დაბადებული.-ნ. მგელაძე, სამცხე-ჯავახეთის 1987 წლის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები - 1, 3.VIII, ბათუმი, 1987 (იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი).

**მთხრობელი რებეკა გრიგოლის ასული ჯვარაძე, 1907** წელს დაბადებული, სოფელი ჭობარეთი. – ნ. მგელაძე, სამცხე-ჯავახეთის 1987 წლის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – 1, 29, 07. ბათუმი, 1987 (იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი).

**მთხრობელი გაიანე ნესტორის ასული მაისურაძე** (მეუღლე – ზედგინიძე), 60 წლის. – ნ. მგელაძე, სამცხე-ჯავახეთის 1987 წლის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – 1, 29, 07, ბათუმი, 1987 (იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი).

**მთხრობელი თამარი ილოს ასული ივანიძე, 59** წლის, სოფელი ჭობარეთი. – ნ. მგელაძე, სამცხე-ჯავახეთის 1987 წლის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – 1, 29, 07, ბათუმი, 1987 (იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი).

**მთხრობელი ლადო ნიკოს ძე ზედგინიძე, 1905** წელს დაბადებული, სოფელი ჭობარეთი. – ნ. მგელაძე, სამცხე-ჯავახეთის 1987 წლის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – 1, 29, 07, ბათუმი, 1987 (იხ.: ავტორის პირადი საოჯახო არქივი).

## **ნ ა თ ე ლ ა მ ე ლ ი ქ ი ძ ე**

### **აწყვიტის ანთროპონიმიიდან**

**(„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით)**

ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სახელები: ძველი, თოკი, აწყვიტა და დამალა ხალხური ეტიმოლოგიით მესხეთში გავრცელებულ იმ ლეგენდას უკავშირდება, რომელიც გვამცნობს, რომ თამარ მეფის ცხენმა საბელი აიწყვიტა, გაიქცა და დაიძალა. სამეცნიერო ლიტერატურაში კი მითითებულია, რომ „ტოპონიმა ამ სახით დამკვიდრება სამცხის ადმინისტრაციული დაყოფის შემდგომ, ადმინისტრატორთა გადააზრების შედეგია“ (ბერიძე, 1992: 31). მე-20 საუკუნისათვის აწყვიტის საკრებულო აერთიანებდა დასახლებებს: ქუნცას, აწყვიტას, ქვაცხელიას და ნასოფლარებს: დადეშს, ბნელას, როკეთს, ტაშლი-ყიშლას. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ოდნავ სახეცვლილი ფორმით ეს სოფლები: როკეთი, დადეში, აწკუტა, ქუნცა, ბნალა ხერთვისის ლივას მიეკუთვნება. **როკეთის** მცხოვრებთაგან დასახელებულია 15 ოჯახის უფროსი: მანველ გიორგისძე, გოგიჩა ძე მისი, რევაზა ძმა მისი, მარინდო ვიგრიასძე, გომპარ ძე მისი, იმატას შვილიშვილი, გელეტა მახარებლისძე, სარგის აბესალომისძე, რომანოზისძე, ვარძელ გალობელასძე, მახარასძე, მახარებელ ძმა მისი, სახელად თევდორე, დათუნა (ჯიქია, 1941:175). **დადეშში** ამ დროისათვის 10 ოჯახია, რომელთა უფროსებად დასახელებული არიან: გაგუჩა ზანდარასძე, ბადუჩა

ძმა მისი, ნარიმანისძე და ელია მისი ძმა, კაკალა ალაღინისძე, ლომკაცი ძმა მისი, ბიძინა, ცისკარასძე, პაპუნა, ირაკლი (ჯიქია, 1941:177). **აწუტა** 15-კომლიანისოფელია, ოჯახის თავკაცები არიან: მარკოზ, ლონენა ძმა მისი, მახარა ნიკოლოზისძე, ზურაბა ძმა მისი, ვარძელისძე, მღვდელი ნიკოლოზისძე, ელიაზარ საზაგულისძე, გოგი ელისასძე, ივანესძე, გაგა ლაშქარასძე, ივანე მაზანასძე, ძმა მისი, ნოდარას შვილიშვილი, სახელად ავგაროზ, პაპუნა გაგას ძმა, სახელად გულისა (ჯიქია, 1941: 178). **ქუნცა** პატარა სოფელია, რვაკომლიანი, ოჯახის უფროსებად ჩანან: ლაზარე ზაზუნასძე, ლაშქარა მაზანასძე, მახარა თევდორესძე, ზაზუტა ძმა მისი, გაგა ძმა მისი, გულისა ზაზასძე, ვარძელ ძმა მისი, გულბათ ძმა მისი (ჯიქია, 1941: 182). **ბნალაში** 7 ოჯახია, თავკაცები არიან: გულაზიზისძე, გრიგოლა ძმა მისი, დემეტრე დავითასძე, აბიათარ ძე მისი, რამაზა მურადისძე, ბასილა ნათასძე, პაპუნა მირზიასძე.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ წინასიტყვაობაში სერგი ჯიქია წერს: მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკურად გაძლიერებულმა თურქებმა ისარგებლეს მაშინდელი საქართველოს გართულებული შინაური მდგომარეობით, დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს სამთავრო – სამცხე-საათაბაგო – და მას გურჯისტანის ვილაიეთი, ე.ი. საქართველოს პროვინცია უწოდეს. დაპყრობის შემდეგ ოსმალო ხელისუფლებმა აღწერეს ეს კუთხე დასაბეგრავი ობიექტების გამოვლინების მიზნით. 1595 წელს შეიქმნა ოფიციალური საბეგრო დოკუმენტი, რომელიც ოსმალეთის საიმპერიო მთავრობის განკარგულებით შეადგინეს სამცხე-საათაბაგოსათვის ადგილებზე მოვლენილმა თურქმა მოხელეებმა (ჯიქია, 1941: 7). ჩვენი მიზანია ამ დოკუმენტის მიხედვით ვიკვლიოთ ხუთი საუკუნის წინანდელი აწყვიტის, ქუნცის, დადემის, როკეთისა და ბნელის მცხოვრებთა ანთროპონიმები, რომლებიც დაედო საფუძვლად გვარსახელებსა და მეტ გვარებს.

მე-16 საუკუნეში როკეთში მცხოვრები სარგისი **ახესალომისძეა**. მისი გვარისა თუ მამისახელობის ფუძე **ახესალომ** ძველ ებრაულად ნიშნავს „მამა მშვიდობისა, მამა ქვეყნისა“, სპარსულად კი – „ყვავილნარის, ვენახის“ აღმნიშვნელია (ჭუმბურბიძე, 1992: 92). **ახესალომ** გვხვდება საბეგრო დოკუმენტის ხერთვისის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 172), **აბა** – ზედა თმოგვსა და დუმელიაში (ჯიქია, 1941: 246,252); ამავე საბუთის მიხედვით, **ახესალომისძეა** სახუდაბლის მკვიდრი ვარძელი (ჯიქია, 1941: 134), **ახესას-**

**ბეა** ღვინია სოფელ ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144). ალექსანდრე ღლონტს „ქართველურ საკუთარ სახელებში“ აბესალომის პარალელურად დადასტურებული აქვს აბესალო და აბესალამ (ღლონტი, 1967: 43). ი. გაგულაშვილის აზრით, ამ სახელმა სათავე დაუდო ქართულ გვარებს: აბესალომიძე, აბესლამიძე, აბესალაშვილი (გაგულაშვილი, 1993: 106). ი. ახუაშვილის ცნობით, ბარათაანთ გაყრის წიგნში (1523 წ.) იკითხება აბესალამაშვილი (ახუაშვილი, 1994: 643). აბესალომიძეები დღეს აწყვიტაში არ ცხოვრობენ, მაგრამ პირის სახელად გვხვდება აბე, აბელა და აბესალომ. ვფიქრობთ, აბესალომიდან უნდა მოდიოდეს სახელი **აბისონი**, რომელიც რქმევია მახარებლის ძმას ჯაბოეთში (ჯიქია, 1941: 137). ეს პროცესი ასე განვითარდებოდა: **აბესალომ > აბესალონ > აბესონ > აბისონ**. როგორც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, მ-ნ შენაცვლება მესხურში ბოლოკიდურა პოზიციაში ხდება ხმოვნის მომდევნოდ პაუზის ან თანხმოვნის წინ (ჯორბენაძე, 1998:329). ჩვენს შემთხვევაშიც სწორედ ასეა – აბესალომ > აბესალონ; და რადგან ფონეტიკურ ცვლილებას განსაზღვრავს ხმოვანთა ურთიერთობა მანძილის მიხედვით, **-ალ** მარცვლის შეკუმშვის შემდგომ **ე**-ს მეზობლობაში **ო**-მ მოგვცა რეგრესული დისიმილაციით აბისონ (ეო>იო). აბესალომისძის პირსახელი **სარგისი**, ი. ახუაშვილის გამოკვლევით, ასურული სახელია და მისი მნიშვნელობა დაუდგენელია. აქედანაა გვარი სარგისაშვილი, შემდგომში სარქისაშვილი, რუსული დაბოლოებით – სარქისოვი. ასპინძის ციხის რაბათში უცხოვრიათ **სარგიზ გულაზიზისძეს** და **სარგიზ მურადისძეს**. ამ სახელით ცნობილია ბევრი ისტორიული პირი, განსაკუთრებით თმოგველთა და ჯაყელთა საგვარეულოდან (ახუაშვილი, 1994: 642). ასპინძელია ზურაბ **სარგიზისძე** (ჯიქია, 1941: 130); მასურა **სარგისისძეს**, ელიაზარ **სარგისისძეს** და ასითა **სარგისისძეს** უცხოვრიათ სოფელ აგარაში (ჯიქია, 1941: 145); მე-16 საუკუნეში ხერთვისის მკვიდრია **სარგის** მელიქი (ჯიქია, 1941:171). „დავთრის“ მიხედვით, **სარგის** არაქელისძე, **სარგის** მალიქისძე და ვინმე **სარგიზისძე** არიან თმოგვის ციხის რაბათის მცხოვრებნი (ჯიქია, 1941: 240-241).

როკეთის მცხოვრებთაგან ერთი **დათუნაა**, ბნელაში კი უცხოვრია დემეტრე **დავითასძეს**. დავითი ძვ. ებრაულიდან მომდინარე სახელია და „საყვარელს“, სხვაგვარი გააზრებით, „წინამძღოლს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 106). ზ. ჭუმბურიძის აზ-

რით, დათა, დათო, დათია, დათუნა, დათიკო, დათუკა, დათუა – დავითის საალერსო-კნინობით ფორმებად ითვლება, მაგრამ სინამდვილეში ზოგ მათგანს კავშირი უნდა ჰქონდეს **დათგ**-ისაგან ნაწარმოებ წარმართულ სახელთან (დათუა, დათუნა... შდრ. მგელა, ფოცხვერა, ლომა და სხვ.) (ჭუმბურიძე, 1992: 107). ლლონტის „ქართველურ სახელებში“ გვხვდება: დავითა, დავითელა, დათულა, დათი, დათია, დათუკელა, დათუ, დათულია, დათუნა, დათუჩი (ლლონტი, 1967: 71). „დავთარში“ საყურადღებოა დავითის რამდენიმე ფორმა: **დავით, დავითა, დათუ, დათუნა, დავითგულ, დავითასძე, დავითანისძე, დათუნასძე**. დავითსულიასძე და დავით გიორგისძე დოკუმენტირებულია სახუდაბელში, დათუნა გულასძე – ვარნეთში, დათუ აბო ზერეკასძის შვილი – ხერთვისში, დავითა – ჭობარეთში, დავითგულ – ჭაჭარაქში, თევდორე დავითასძე – ლეპისში, ხოსიკ დავითანისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 134-254). ი. მაისურაძეს ამავე ძირისად მიაჩნია: დავითაია, დავითაშვილი, დავითელაშვილი, დავითანი, დავითიძე, დავითულიანი, დავითური და სხვ. (მაისურაძე, 1990: 53).

„დავთარში“ ცალკე კომლის უფროსად მოხსენებულია შვილი ზემოთ დასახელებული **დემეტრე** დავითასძისა – **აბიათარ** (ჯიქია, 1941: 182). ვაჟის სახელი ფიქსირდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქართ. ცხ. I, 1955:95): „მირიან მეფე განჰკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალ გზის ჰკითხავენ ჰურია-ყოფილსა **აბიათარს** ძუელთა და ახალთა წიგნთასა“. ი. ახუაშვილს მოძიებული აქვს: „გიორგი, გრიგოლ და აბიათარ ჭარმაულებს, 1531 წელს ბასილ კათალიკოსმა დაუმტკიცა სოფ. ხატი-წობენა და მათგანვე შეძენილი მამულები“... (ახუაშვილი, 1994: 188). **დემეტრე** – ბერძნულად „ხალხის დედა“ (ახუაშვილი, 1994: 324), „მიწა-დედა“, სხვაგვარი განმარტებით: „დემეტრასი“. ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, დემეტრა მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთია. დიმიტრი დემეტრეს გვიანდელი ფორმაა (შდრ. ელია > ილია). უფრო ძველი ფორმები დაცულია გვარებში: დემეტრადე, დემეტრაშვილი; შემოკლებული ფორმებია: დიტო, მიტო, დუტუ (ჭუმბურიძე, 1992: 197). დიმიტრი „დავთრის“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში არ იძებნება, დემეტრეს ვხვდებით ვანისქვაბში, აგარასა და ბნალაში (ჯიქია, 1941: 244,145,182), **დემეტრეს შვილიშვილს** – ტამალასა და მირაშხანში (ჯიქია, 1941: 136,

239), ზაქარა **დემეტრესძეს** – ვაშლობში (ჯიქია, 1941: 244), ნიკოლოზ დემეტრესძეს – მირაშხანში (ჯიქია, 1941: 239).

ზნელაში დოკუმენტირებულია „დავთრისდროინდელი“ სახელებიდან ფართოდ გავრცელებული **პაპუნა (პაპუნა მირზიასძე)**, რომლის მრავალფეროვანი ვარიანტები და მათგან ნაწარმოები გვარები შემოგვთავაზა ზ. ჭუმბურიძემ: პაპა, პაპი, პაპო, პაპია, პეპია, პაპუა, პაპალა, პაპალია, პაპანა, პაპენა, პაპინა, პაპიტა, პაპუტა, პაპუკა, პაპუჩა, პაპუჩი, პაპუჩელა; პაპუნაშვილი, პაპუნძე, პაპავა, პაპავაძე, პაპიძე, პაპაშვილი, პაპიაშვილი, პაპოშვილი, პაპუაშვილი, პაპალაშვილი, პაპელაშვილი, პაპინაშვილი, პაპიტაშვილი, პაპუკაშვილი, პაპულაშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 136). ი. მაისურაძესთან გვხვდება: პაპასკირი, პაპაჩაშვილი, პაპელიშვილი, პაპინაიშვილი, პაპისაშვილი, პაპიტაშვილი, პაპუნელაშვილი და პაპუჩელაშვილი (მაისურაძე, 1990: 131). **პაპუნას** ზველში ხუთი მოსახელე ჰყავს: აღდგომელას შვილთაშვილი, იასასძე, გულასძე, ბიძინას ძმა და მამისახელის გარეშე მოხსენებული პაპუნა (ჯიქია, 1941: 132). პაპუნა გვხვდება ახალშენში – პაპუნა ვარდიასძე (ჯიქია, 1941: 134), ერკოტაში – პაპუნა ბერისძე (ჯიქია, 1941: 138), ჭაჭკარში – პაპუნა ვიქრიასძე (ჯიქია, 1941: 242), იდუმალაში – ბადუჩა კოჭლასძის შვილი (ჯიქია, 1941: 139), ინდუსაში – პაპუნა აღობასძე (ჯიქია, 1941: 140), სახუდაბელში – პაპუნა ასასძე (ჯიქია, 1941: 134); მხოლოდ სახელითაა ცნობილი პაპუნა დადუშში, ვარნეთსა და კვარშაში (ჯიქია, 1941: 177,141,183); სახელითა და ძმის სახელითაა დაფიქსირებული აწყვიტაში – **პაპუნა გაგას ძმა** (ჯიქია, 1941: 178) და ხიზაბავრაში – პაპუნა რევაზას ძმა (ჯიქია, 1941: 176). პაპუნა ასმანასძე, სახელად პაპუნა და გიორგი **პაპუნასძე** ცხოვრობენ აგარაში (ჯიქია, 1941: 145). ხუთი **პაპუ** სახლობს ხერთვისის ციხის რაბათში, ამათგან მხოლოდ სამია სახელით დაფიქსირებული, ორი მამისახელობით: პაპუ გრიგორისძე და პაპუ მაზმანისძე (ჯიქია, 1941: 171,172). ნიჯგორში დოკუმენტირებული ოთხივე პაპუნას მამისახელობა ნაცნობია: პაპუნა გულისაშვილისძე, პაპუნა თევდორესძე, პაპუნა მამისასძე და პაპუნა აბაგულასძე. ყველაზე მეტი რაოდენობით (ექვსი მოსახელე) **პაპუ** დავაფიქსირეთ თმოგვის ციხის რაბათში: პაპუ მაზანისძე, პაპუ მურადისძე, პაპუ იარალისძე, პაპუ აზიზისძე, პაპუ შირინისძე და პაპუ ყუზანისძე. აქვე უცხოვრია მამუკა **პაპუსძეს** (ჯიქია, 1941: 241). საროს მკვიდრნი ყოფილან პაპუნა შალიკასძე და პაპუ-

ნა ზეინკლის შვილი (ჯიქია, 1941: 188). „დავთრისათვის“ უჩვეულო ორსახელიანობის მაგალითია ხიზაბავრაში მცხოვრები პაპუნა ირაკლი (ჯიქია, 1941: 176). ჩვენი კლავის არეალში მხოლოდ ერთგან შეგვხვდა სახელი **პაპუნა** – კაკალა მახარებლისძის შვილი – სოფელ შალოშეთში. პაპუნა **მირზასძე** ერთ-ერთია ბნელას მცხოვრებთაგან. ამ სახელის ფუძით ნაწარმოები **მირზასძე** საროსა და ქარზამეთში დავაფიქსირეთ (ჯიქია, 1941: 87, 255). **მირზა** ჰქვია ფანაკეთში, ვარნეთსა და ქარზამეთში კომლთა უფროსებს (ჯიქია, 1941: 241, 141, 255). ზ. ჭუმბურიძის გამოკვლევით, **მირზა** მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვიდან **ამირზადე** – „ამირის შვილი“. ამირი შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ამირობით დაუწყია თავისი კარიერა თემურ-ლენგს, რომელსაც ბოლომდე შეუნარჩუნებია ეს ტიტული და არ გაუცვლია უფრო საპატიო წოდებაზე – ხანზე. ამირ(ემირ)-ზადე უკვე თემურის შვილების წოდებაა. აქედან თავბოლოს მოკვეციტ მიღებულია მირზა. მაშასადამე, მირზა თავდაპირველად ტიტულს (უფლისწულს, ბატონიშვილს; მოგვიანებით: მდივან-მწიგნობარს, მწერალს) აღნიშნავდა, შემდეგ იქცა საკუთარ სახელად. ზ. ჭუმბურიძის აზრით, ამ სახელის გავრცელებას მოწმობს გვარი მირზაშვილი და გეოგრაფიული სახელი მირზაანი (ჭუმბურიძე, 1992: 131). პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით იცნობს: მირზას, მირზაბეგს, მირზათას, მირზასშვილს, მირზაჯანას, მირზიას, მირზიაშვილს, მირზუაშვილს, მირზუკაშვილს (პალ, 2004: 173-176). „მესხურ ქრონიკებში“ დადასტურებული **აიდარმირმა / ჰაიდარმირმას** მეორე კომპონენტი სწორედ მირზადან მოდის.

ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ **ელიაზარ** ძველ ებრაულად „ღვთის წყალობას, ღვთის შემწეობას“ ნიშნავს და ამ ფორმით ქართულში ნაკლებად გვხვდება. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სოფელ აწყვიტაში დასტურდება **ელიაზარ საბაგულისძე** (ჯიქია, 1941: 178). ქუნიცაში გვაქვს ელიაზარის სახეცვლილი ფორმა **ლაზარე**. ლაზარე ზაზუნასძეა (ჯიქია, 1941: 182). ელიაზარის გამარტივებულ სახედ შეგვიძლია მივიჩნიოთ **ელია**, რომელიც ძველი ებრაულიდან ითარგმნება, როგორც „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“, ებრაულიდან შესულია ბერძნულში – **ელიოზ**, სადაც მიღებული აქვს მნიშვნელობა „მზიანისა, მზიურისა“. ბერძნულ მითოლოგიაში იგი ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღმერთად მიიჩ-



ნევა (ჭუმბურიძე, 1992: 109,119). ქართულში ელიას გავრცელებული ფორმაა ილია და მისი კნინობითი: ილა, ილო, ილიკო. აწყვიტაში ერთ-ერთი ოჯახის უფროსია გოგი **ელისასძე** (ჯიქია, 1941: 178), რომლის მამაც უნდა ყოფილიყო ელისა; ელისა ნაგენეტივარი ფორმაა. სწორედ ამ სახელმა დაამკვიდრა გვარი ელისაშვილი. ელისაშვილი ი. მაისურაძეს დადასტურებული აქვს გურჯაანის რაიონში (მაისურაძე, 1990: 60). მე-16 საუკუნის დასასრულს **ელია** ნარიმანისძე ცხოვრობს დადეშში, **ელიას შვილიშვილი** – ლეპისში, **ელისასძე** – ვარნეთში, **ელისასძე** – აწყვიტაში, **ელისა** – ნიჯგორში, **ილია** სულთანასძე – ზედა თმოგვში, სუმბატა ელიაზარისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 177, 252, 178, 254, 172). ელია სამცხეში გავრცელებული სახელია. „მესხურ მატიაწეში“ იკითხება, როგორ იახლეს კოკოლა და ლაშქარა ვარაზაშვილებმა, მათმა ბიძამ გურგაქმა და იასონ ბედანისშვილმა „დიასამიძის **ელისა** შვილი ავთანდილ“, რამდენიმე ფურცლის შემდეგ კი: „დიასამიძემ **ელია** დემოთიას ციხეს სავალიწვილი საღალატოდ შეუყენა“ (შარაშიძე, 1961: 43, 55).

„დავთრის“ მიხედვით, აწყვიტაში დასტურდება **ივანე** მაზანასძე და ვინმე **ივანესძე**. **ივანე** ძველი ებრაულიდან მომდინარე სახელია (იეჰოხანან / იოხანან), რომელიც „ღვთის წყალობას“ ნიშნავს, „ვისაც ღმერთი სწყალობს“ (ჭუმბურიძე, 1992: 22). ალ. ლლონტთან გვხვდება: იოანე, იოვანე, ივანე (ლლონტი, 1967: 88). ქართულში ამ სახელმა განიცადა ცვლილება: იოჰანე > იოვანე > ივანე > ვანო. **ივანიძე**, თანამედროვე მონაცემებით, აწყვიტაში ერთ-ერთი გავრცელებული გვარსახელია. აშკარაა, რომ მე-16 საუკუნეშიეს გვარი უკვე არსებობდა (ივანესძე > ივანეძე > ივანიძე). ი. მაისურაძე ამავე ძირისად მიიჩნევს გვარებს: ივანაური, ივანაშვილი, ივანეიშვილი, ივანელაშვილი, ივანიაძე, ივანიკაშვილი, ივანიშვილი (მაისურაძე, 1990: 79).

საყურადღებოა აწყვიტას მცხოვრები მარკოზის ძმის სახელი – **ლონენა** (მისი მამისახელობაც, ბევრი სხვა ადგილის მსგავსად, ქართულად არ იკითხება). ლონენა გიორგაძისძე დოკუმენტირებულია კვარშაში, ლონენა მათათასძე – ხერთვისში, ლონენა მამისახელობის გარეშე – ტოლოშში, **ლონენას შვილიშვილი** – ალანძიაში (ჯიქია, 1941: 183,172,178). ი. ახუაშვილს დადასტურებული აქვს ამ სახელიდან მომდინარე გვარი ლონენაშვილი (ახუაშვილი, 1994: 566). ლონენა, ერთი შეხედვით, სურვილის სახელს მოგვაგო-

ნებს, რომ სახელდებისას ნათლიამ ძალა, ღონე, ფიზიკური სიმრთელე უსურვა ნათლულს. სულ სხვაგვარად ფიქრობს მ. ბერიძე, როცა იმოწმებს სულხან-საბას (საბას მიხედვით, „ღონა (თევზ.) – ღორჯო ჰქვიან“) და აცხადებს, რომ ღონენაში გამოყოფილი **ღონ-ფუძე** პატარა, თავმსხვილი შავი თევზის აღმნიშვნელია, მთის წყალში არ იცის, ბინადრობს მტკვრის ლამიან ადგილებში (ბერიძე, 2011: 59). მ. ბერიძე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებს იმით, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებში ერქვათ მეტსახელად **ღვანა**, ღონას ფონეტიკური ვარიანტი; ხოლო ახალგაზრდებში შეარქმევენ ხოლმე ღორჯოს ისეთ ადამიანს, ვისაც შავი ფერი და დიდი თავი აქვს. ეტყობა, ღონენაც ამ ნიშნით გამოირჩეოდა (ბერიძე, 2011: 60). ი. მაისურაძე „ქართულ გვარსახელებში“ ასახელებს გვარებს: ღვანიძე, ღონიაშვილი და ღონიერაშვილი (მაისურაძე, 1990: 180). აქედან პირველი (**ღვანიძე**) სარწმუნოს ხდის მ. ბერიძის მოსაზრებას, რომ „ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა და თევზეულთა სახელები დომინირებს ადამიანთა ჯერ მეტსახელების ან სახელების შერქმევაში და ამის საფუძველზე გვარების ჩამოყალიბებაში. ამ დროს გარკვეულ როლს თამაშობს ტოტემი, ადამიანისა და ბუნების ნათესაობის ეს საინტერესო ფორმა“ (ბერიძე, 2011: 59), მესამე გვარი – **ღონიერაშვილი** დაკავშირებულია ღონიერთან; ხოლო **ღონიაშვილის** შემთხვევაში შეიძლება ორი ვარიანტი განვიხილოთ: 1. ღონა / ღონია > ღონიასშვილი > ღონიაშვილი; 2. ღონიერა / ღონენა / ღონია > ღონიასშვილი > ღონიაშვილი.

სახელთა დარქმევა ბავშვის ავი თვალისაგან დასაფარავად უძველეს წარმოდგენებს უკავშირდება. ასეთი სახელი უნდა იყოს აწყვიტაში დოკუმენტირებული **ავგაროზ** (ჯიქია, 1941: 178). ავგაროზი დამცავი, გათვალვის საწინააღმდეგო საშუალებაა. ქართულიენის განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს: რომ ავგაროზი გულზესატარებელი რაიმე მცირე ზომის ნივთია, რომელსაც ცრუმორწმუნეობით სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები აქვს (ქეგლ, 1950: 150). სწამდათ, რომ ავგაროზი, რომელსაც ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ, მფლობელს დაიცავდა ავადმყოფობის, ხიფათისა და ავი თვალისაგან (ქსე, 1975: 118). ავგაროზი ჯერ იყო მეტსახელი, ანგელოზას მსგავსად, შემდეგ საკუთარ სახელად იქცა. ისტორიაში მოიხსენებიან: ავგაროზი, 1446-1460 წწ. უძველესი დროის ქსნის ერისთავის გირშელი ქვენიფნეველი II-ის შვილი;

ავგაროზ ჟურული (1460 წ. 12 ივნისი), ავგაროზ ქარუმისძე და სხვ.“ (ახუაშვილი, 1994: 198). **ავგაროზი** დადასტურებული აქვს ა. ლლონტს (ლლონტი, 1967: 45). „დავთრის“ მონაცემებით, ეს სახელი გვხვდება ოსკერიასა და თოკში (ჯიქია, 1941: 188, 201). ამავე დოკუმენტით, ხარება **ავგაროზისძე** ღამზის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 139).

ირანული წარმოშობის სახელი **ლაშქარა** („მხედარი, მეომარი, მოლაშქრე“ – ჭუმბურიძე, 1992: 126) უდევს საფუძვლად ოსმალო მოხელეების მიერ აწყვიტაში აღრიცხულ **ლაშქარასძეს**. ლაშქარა დაფიქსირებულია კვარშასა და ასპინძაში. ლაშქარა გუბელასძე ვარნეთელია, ლაშქარა აბასძე – ასპინძელი, ლაშქარა ბაინდურასძე – ინწყორელი, ლაშქარა მაზანასძე – ქუჩელი, ლაშქარა ჯანელასძე – ხიზაბავრელი. ეს სახელი აწარმოებს გვარებს: ლაშქარაშვილი, ლაშქარაძე, ლაშქარავა (ჭუმბურიძე, 1992: 126). აწყვიტელი ლაშქარასძის პირსახელია **გაგა**, რომელიც დღეს გიორგისაგან დამოუკიდებელ სახელადაა მიჩნეული. გიორგი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბერძნული წარმოშობის სახელია, რომელიც „მიწის მუშას, მხენელ-მთესველს, მიწათმოქმედს“ აღნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 22). შდრ. გიორგაძე, გორგაძე, გოგავა, გოგიტიძე და ა.შ. **გოგი, გოგია, გოგიტა, გოგლა, გოგია** – გიორგის კნინობით ფორმად მიიჩნევა (ჭუმბურიძე, 1992: 105). იმოწმებს რა ზ. გამსახურდიას, გ. ხორნაული მოარულ აზრს – ბერძნების მიერ ჩვენს მონათვლას გეორგიანელებად, ანუ მიწის მუშებად, აქარწყლებს: „გეორგიანელებს გვეძახდნენ წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებული სიყვარულისა და გავრცელების გამო (ხორნაული, 2003: 325). ა. ლლონტს დადასტურებული აქვს: გიორგა, გიორგელა, გიორგიტა, გიორგიშა (ლლონტი, 1967: 67). ი. მაისურაძე გიორგაძის გავრცელების არეალად მესხეთსაც ასახელებს და ამავე ძირისად მიაჩნია გიორგანაშვილი, გიორგელაშვილი, გიორგიძე... (მაისურაძე, 1990: 46).

დავთრის დროინდელ დადგენილ ცხოვრობენ და ოჯახის თავკაცებად დასახელებული არიან გაგუჩა **ზანდარასძე** და მისი ძმა ბადუჩა. ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, **ზარანდ** სკვითურია და ნიშნავს „მოხუცს“, აქედანაა გვარი – ზარანდია (ჭუმბურიძე, 1992: 65). ვვიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ფორმა–ზანდარა მეტათეზისის შედეგია: ზარანდ > ზანდარ. **ზანდარა** მაცხოვანასძეს შევხვდით აგარის მკვიდრთა ჩამონათვალში (ჯიქია, 1941: 145), გა-

გუჩა **ზანდარასძეს** – დადუშში (ჯიქია, 1941: 177), მასურა **ზანდარასძეს** – ვარნეთში (ჯიქია, 1941: 141). დღეს სახელი ზანდარა და მისგან ნაწარმოები გვარი ასპინძის მუნიციპალიტეტში არ დასტურდება, მაგრამ ერკოტის ბერიძეთა შტოგვარის სახელად გვაქვს **ზანდარაანი** (ბერიძე, 2011: 133). საინტერესოა ზანდარასძეების სახელები: ბადუჩა და გაგუჩა. ორივე **-უჩა** სუფიქსითაა გაფორმებული. **ბადუჩას**თან ახლოს დგას ბაადო, ბაადურ (ღლონტი, 1967: 51), ბადრი – არაბ. „სავსე მთვარე“ (ჭუმბურიძე, 1992: 98). **გაგა, გაგუჩა** – აღ. ღლონტის მიხედვით, დასტურდება გერგეტსა და ბარისახოში (ღლონტი, 1967: 63). ბადუჩა აქტუალური სახელია სხვადასხვა ვარიანტებთან ერთად ოსმალთა მოხელეების აღწერილ დასახლებებში. ეს სახელი მიღებულია მონღოლური წარმოშობის და თურქულში დამკვიდრებული **ბაადურისაგან** („გმირი, გოლიათი, მამაცი“ – ჭუმბურიძე, 1992: 97). **ბადურა** შეგვხვდა ასპინძის, ტოლოშის, ზემო ნიალის, ოსკერიის, კულულეთის და ვარნეთის ოჯახების თავკაცთა სახელებად (ჯიქია, 1941: 130,178,188,247,184,141); **ბადუჩა** – იდუმალაში, ზედა თმოგვში, ქვემო ნიალაში, ლეპისში, ზველსა და ქვემო ბუზმარეთში (ჯიქია, 1941: 139-252); **ბადუკა** – ფანაკეთში, ზედა ვარძიაში (ჯიქია, 1941: 250,240); **ბადელა** ლალას ძმა – ქარზამეთში (ჯიქია, 1941: 255); **ბადრია** – ქვემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144); **ბაინდურ** როსთევანისძედა **ბადურ** გულბეგისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 172); **ბაინდურისძე** – რუსთავში, ვარნეთში, ინწყორაში, თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 141,143,240); **ბადურასძე** – ზემო და ქვემო ნიალაში (ჯიქია, 1941: 247,249); **ბადრასძე** – ვაშლობში (ჯიქია, 1941: 243). პაპისახელით – **ბადუჩას შვილიშვილი** დაფიქსირებულია ქვემო ნიალის ერთი ოჯახის მეთაური (ჯიქია, 1941: 248).

„ხშირად კაცს ხასიათის ან ფიზიკური ნიშნის მიხედვით შეარქმევდნენ სახელს ან მეტსახელს – ვკითხულობთ მ. ბერიძის გამოკვლევაში – გაუტახელ, თვითდაჯერებულ კაცს **კაკალას, კერკეტას** დაუმახებდნენ, შემდეგ იქცეოდა სახელად და გვარის დამდებადაც“ (ბერიძე, 2012: 16). ხუთი საუკუნის წინანდელ დადუშში ასეთი სახელის მატარებელია **კაკალა ალადინისძე** (ჯიქია, 1941: 132). კაკალა (კაკა-ალ-ა) წარმოქმნილ სახელებში უნდა გავაერთიანოთ, რომლის ამოსავალია კაკა. კაკალო, კაკალა, კაკალი გვხვდება როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა სახელად ა. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (ღლონტი, 1967: 185). **კაკალა**

ჰქვია ზველში ბასილასძეს, ხიზაბავრაში – პაატაგულის შვილს, შალოშეთში – მახარებლისძეს (ჯიქია, 1941: 176,177,185); **კაკა** – ზემო ომორაში რომანოზ ფარნაოზისძის შვილს (ჯიქია, 1941: 143), დუმელიაში – რევაზისძეს (ჯიქია, 1941: 252). **კაკუტა** დაურქმევია შვილისთვის ტოლოშელ ფარსიას (ჯიქია, 1941: 178).

დადემულ კაკალა ალადინისძეს ჰყავს ძმა **ლომკაცი**. ჩანს, ძლიერი, შეუპოვარი, უდრეკი ხასიათი უსურვა შვილებს სახელდებისას კაკალას და ლომკაცის მამამ.ლომკაცი თხზული სახელია და მისი პირველი კომპონენტი გვხვდება სახელებში: **ლომიზგულ** (ლომიზგულ ლაშქარას შვილი – ხიზაბავრა), **ლომდარა** (ხერთვისი), **ლონდარა** (აგარა), **ლონგულა** (დამზა) და **ლომგულა** (ლომგულა ნარიმასძე – გომი). **ლომა** დასტურდება ზედა თმოგვსა და ქვემო ნიალაში (ჯიქია, 1941: 246,248); **ლომას შვილიშვილს** უცხოვრია ალანძიაში (ჯიქია, 1941: 183); **ლომასძე** ბადურა კულილეთის მკვიდრია (ჯიქია, 1941:184), მამი **ლომსასძე** და ოქრო **ლომინასძე** – ღამზის (ჯიქია, 1941: 139), პაპუნა **ლომისგულისძე** – ახთილის (ჯიქია, 1941: 159). ზ. ჭუმბურიძის აზრით, გვარები ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი და სხვ. მიღებულია წინაპრის სახელისაგან ლომი, ლომა. ცხოველთა მეფის სახელწოდება ადამიანის სახელად გვხვდება ბევრ ხალხში. ქართული სიტყვა ლომი მომდინარეობს ძველი ეგვიპტური ლიაბუ (ლებუ)საგან. იქიდანაა მიღებული ბერძნული ლეონ და რუსული ლევ (ჭუმბურიძე, 1992: 7-8). ვფიქრობთ, სახელმა **ლომდარა** (ლომის დარი, ლომებრ ძლიერი) დაუდო სათავე სოფელ საროში გავრცელებულ გვარს **ლონდარიძე** (<ლონდარა < ლომდარა). ი. ახუაშვილის აზრით კი, გვარი ლონდარიძე / ლონდარიშვილი მომდინარეობს მეტსახელისაგან ლონდრე – ტლანქი, მოუხეშავი კაცი (ახუაშვილი, 1994: 418). **ლომო** მეტსახელის მნიშვნელობით შეგვხვდა ტოლოშში. „დავთრის“ მიხედვით, ლომთან დაკავშირებული სახელების გარდა ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ლივების ჩვენს საკვლევ მასალაში ცხოველთა სახელებისაგან ნაწარმოები ანთროპონიმებია: **ვეფხია** (წუნდა), **ვეფხიასძე** (ტოლოში), **ქურციკისძე** (დამზა) და **ირემასძე** (ასპინძა). ქურციკისძე მიღებულია **ქურციკი**-საგან, რომელიც იქცა პირსახელად, შემდეგ მამისახელად და გვარსახელად. **ირემასა** და **ლომას** შემთხვევაში **-ა** მანთროპონიმებელმა სუფიქსმა მოგვცა: ირემი > ირემა > ირემასძე; ლომი > ლომა > ლომასძე. ამ სახელებში ჩანს ხსოვნა ტოტემისა. ისინი, მეცნიერთა აზრით, უძველეს ხა-

ნას ეკუთვნის, როცა „ადამიანები აღმერთებდნენ ამა თუ იმ ცხოველს. ხალხს ეგონა, რომ ლომის, დათვის თუ მგლის ძალა მიენიჭებოდა იმას, ვისაც ასეთ სახელს დაარქმევდნენ“ (ჭუმბურძე, 1992: 11).

საკუთრივ ქართული სახელი **ცისკარა** რქმევია ერთ-ერთ დადემულს, აქედან მოდის **ცისკარასძე**. ი. მაისურაძის აზრით, ამავე ძირისაა: ცისკარავა, ცისკარაული, ცისკარაშვილი (მაისურაძე, 1990: 207). ვფიქრობთ, სახელების განმსაზღვრელი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო განთიადისას, ალიონზე დაბადებული შვილი; შემდეგ სხვა სახელების მსგავსად, რომლებიც აგრძელებენ სიცოცხლეს თავისი კეთილხმოვანების შესაბამისად და არა შინაარსობრივი დატვირთვით, ამ სახელსაც არქმევდნენ არა მარტო ცისკრის ჟამს დაბადებულთ.

„გურჯისტანის ვილაიეთის“ საბეგრო აღწერის მიხედვით, ქუჩაში დადასტურებულია ზაზუტა, რომელიც წარმოქმნილ სახელებში უნდა გავაერთიანოთ (ზაზ-უტა), ანალოგიური წარმოებისაა ზაზუნა (ზაზ-უნა); ორივე სახელის ფუძე (ზაზა) არის **ზაზასძის** შემადგენლობაში. ქუჩაში ოჯახის უფროსებად დასახელებული არიან გულისა **ზაზასძე** და მისი ძმები: ვარძელ და გულბათ; **ზაზუტა** თევდორესძეა, მახარას და გაგას ძმაა. **ზაზუნასძეა** ლაზარე (ჯიქია, 1941: 182). ზაზა, ჭუმბურძის მითითებით, მიღებულია „შაჰ-ნამეს“ გმირის ზაალ-ზარ-ის სახელისგან – „ოქროს მოხუცი“ (ჭუმბურძე, 1992: 114). **ზაზა** ედიშერისძე „დავთრისდროინდელი“ თმოგვის ციხის რაბათის მცხოვრებია (ჯიქია, 1941: 241). ლლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ რამდენიმე სახეცვლილებაა ამ სახელისა: ზაზალა, ზაზი, ზაზო, ზაზუ, ზაზუა, ზაზუნკი, ზაზუტა (ლლონტი, 1967: 80). **ზაალი** გვხვდება ზველის საბეგრო ჩამონათვალის მინაწერში. თურქი მოხელე გვამცნობს, რომ „ვენახი **ზაალისა** ადგილ ლობიეთში, აწ ... ადას მფლობელობაში, სასამართლოს განაჩენის თანახმად, იჯარის წესით წელიწადში 30 ახჩას იძლევა“ (ჯიქია, 1941: 133). **ზაალისძე** დასტურდება ყურაში, ორგორასა და საროში (ჯიქია, 1941: 133, 135, 188); ზემო ოშორაში უცხოვრიათ მაცაცა **ზაალასძეს**, **ზალია** გალობელისძეს და მაზანა **ზალიასძეს** (ჯიქია, 1941: 143).

„დავთრის“ აღწერით, **გელეტა** მახარებლისძეც ქუჩაში ცხოვრობს. გელე, გელია, გელიტა, გელო (ლლონტი, 1967: 65) ტოტემური სახელიდან მომდინარე ჩანს: მგელა > გელა > გელეტა.

შდრ. გვარები: მგელაძე, გელაშვილი, გელიკაშვილი, გელიტაშვილი, გელუტაშვილი. ი. ახუაშვილი სხვადასხვა ისტორიული წყაროების მიხედვით მიუთითებს გელიტაშვილებსა და გულიტაშვილებზე, მაგალითად, 1713 წლის წყალობის წიგნში მოხსენებულ ვინმე გიორგი გელიტაშვილზე (ახუაშვილი, 1994: 289). დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხერთვისში ცხოვრობენ მთიულეთიდან ჩამოსახლებული გელიაშვილები.

სახელს **ბიძინა** (<ბიძისა) ზ. ჭუმბურიძე მნიშვნელობის მხრივ ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ წმინდა ქართულ სახელებში აერთიანებს, როგორებიცაა: დედუკა, მამუკა, მამისა, მამია, პაპუნა... (ჭუმბურიძე, 1992: 18). **-იკა** სუფიქსითაა გაფორმებული ბიძინიკა (დლონტი, 1967: 59). ბიძინა „დავთრის“ მიხედვით, დადგენილი კომლის მეთაურია (ჯიქია, 1941: 177). **ბიძიკაანი** შტოგვარია ნაქალაქეში მცხოვრები მაისურაძეებისა.

პროფესიის აღმნიშვნელი ან მეტსახელიდან მომდინარე უნდა იყოს **გალობელასძე/ გალობელისძე**. სოფელ როკეთში დასტურდება გალობელასძე ვარძელი (ჯიქია, 1941: 175), **გალობელისძეა** ზალია სოფელ ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 143). მაგალობელა > გალობელა – სიმღერის, ღიღინის მოყვარული; მოსიღღერე, მოღიღინე. შდრ. გვარსახელი მაგალობლიშვილი. ი. მაისურაძეს აღნიშნული აქვს, რომ „სამეგრელოში გამოთქვამდნენ, როგორც გალობერი, გელებერი, გელებერ სქუა“ (მაისურაძე, 1990: 106).

როკეთში მანველ გიორგისძეს ჰყავს ძმები: გოგიჩა და **რევაზა**. რევაზა ჰქვიათ ხიზაბავრის, წუნდის, ვაშლობისა და დუმელიის მცხოვრებთ (ჯიქია, 1941: 175, 242, 243, 252). **რევაზას შვილიშვილი** ლეპისიდანაა, კაკა **რევაზასძე** – დუმელიიდან (ჯიქია, 1941: 252). რევაზი ირანული სახელია – „უმდიდრესი, წარჩინებული“. მოფერებითი ფორმებია: რეზო, რეზიკო. აწარმოებს რევაზიშვილის გვარს (ჭუმბურიძე, 1992: 138). რევაზისშვილები ისტორიულად ამილახორთა შთამომავალნი არიან, „რომელნიც განიყოფებიან სხუა და სხუა სახლად: რევაზისშვილებად, ქაიხოსროსშვილებად, ბეჟანისშვილებად, ერასტისშვილებად (და იმის ძმისწულებად), გივისშვილებად, ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახორობა-სპასპეტობა იყო რევაზისშვილთა, რომელნიც უფროსნი იქნებოდნენ სახლში, ხოლო სხუათა აქუნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი...“ (ახუაშვილი, 1994: 506). რევაზიშვილები ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტში არ

დასტურდება, მაგრამ დადევში ტოპონიმად შემორჩენილია **ლევა-ზასლარები** (მელიქიძე, 2003: 141).

თევდორე (<თეოდორე) ბერძნულიდან მომდინარე სახელია და „ღვთის ბოძებულს, ღვთის საჩუქარს“ ნიშნავს. მისგან ნაწარმოები გვარებია: თევდორაძე და თევდორაშვილი. კნინობითი ფორმაა თედო, თედუა (ჭუმბურიძე, 1992: 116). ა. ლლონტთან დაფიქსირებულია: თედია, თედო, თევდორე და თედორა(ღლონტი, 1967: 84). „დავთრის“ მონაცემებით, **თევდორეს** უცხოვრია როკეთში, კვარში, შალომეთში; **თევდორესძეს** – ნიჯგორში, ვარნეთში, ქუცასა და ფიაში (ჯიქია, 1941: 180, 182, 190, 254). **თედოსა თევდორესძე** ალანძის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 183). იფნიეთში მცხოვრები ორი თევდორე რომ ერთმანეთისაგან გაერჩია, თურქ მოხელეს მიუთითებია: „სახელად თევდორე“ და „სახელად მეორე თევდორე“ (ჯიქია, 1941: 187). თევდორე დღესაც აქტუალურია გვარსახელსა – **თედორაძე** და შტოგვარში – **თედვიენი** (სოფ. ხიზაბავრა).

„დავთრის“ მონაცემებით, **მაზანასძე** გვხვდება აწყვიტასა და ქუცაში, **მაზანისძე** – თმოგვის ციხის რაბათში, **მაზარ** – საროში, **მაზნია** – კორისხევში (ჯიქია, 1941: 253). ხერთვისში დოკუმენტირებულია **მაზანას** რამდენიმე ფორმა: **მაზან**, **მაზანა**, **მაზანასძე** და **მაზმანისძე**. გარდა ამისა, მაზანა დაფიქსირებულია ზემო ოშორაში, თოლერთაში, ნიჯღორსა და ხიზაბავრაში. იმისურაძეს დასახელებული აქვს: მაზავრიშვილი, მაზავრაშვილი, მაზანაშვილი, მაზაშვილი, მაზიაშვილი, მაზმანიშვილი (მაისურაძე, 1990: 99). ამჟამად **მაზაშვილები** და **მაზმიშვილები** ცხოვრობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში; გავრცელებული შტოგვარია **მაზიენი / მაზათი** (ქუქჩიშვილი, 2007: 176). სავარაუდებელია, რომ სწორედ ხუთი საუკუნის წინათ მაზანამ და მაზანასძემ დაუდო სათავე მაზაშვილებს. მაზან, მაზარ, მაზნია, მაზანასძე, მაზანისძე უნდა უკავშირდებოდეს ებრაულ ფუძეს – **მაზალ** („ბედნიერება“ – გაგულაშვილი, 1993: 130), რომელიც „დავთრის“ სახელებში ნარნარა ბგერების ცვალებადობით და კნინობით-ალერსობით სუფიქსებით გვხვდება (მაზალ > მაზან > მაზნია; მაზალ > მაზარ > მაზარ). რაც შეეხება მაზმანისძეს, ის მოხელეობის სახელიდანაა ნაწარმოები: **მაზმანი** საბასთან განმარტებულია, როგორც „ბალნის მსთველი, ბალნის მგრეხელი“ (ორბელიანი, 1991: 428).



შვილის დაბადების სიხარულს გამოხატავს ბევრი ქართული სახელი და მათ შორის მოიაზრება ზმნური წარმომავლობის პირსახელი **მახარა // მახარე** (მახარა მან მე ის), რომლის ამოსავალია ხარება. „დავთარში“ დადასტურებულია ამ სახელისაგან მიღებული **მახარებელ, მახარგულ, მახარასძე, მახარებლისძე**. მახარა თევდორესძე ქუნცის მკვიდრია. ანდრია მახარებლისძეს უცხოვრია ახალშენში (ჯიქია, 1941: 134), კაკალა მახარებლისძეს – შალოშეთში (ჯიქია, 1941: 185); **მახარებლის შვილიშვილები** არიან: ონგორას მკვიდრი და ხიზას მცხოვრები; **მახარებელი** ჰქვია ნიჯგორელ რამაზასძეს, ქვემო ომორელ ნათენასძეს, ჭობარელ ზაქარასძეს, ინდუსელ მარინდოსძეს და ორგორელ რომასძეს (ჯიქია, 1941: 135, 140, 144, 159, 180), ორი მახარებელი ცხოვრობს აგარაში (ჯიქია, 1941: 145), ორი – ტოლოშში: მახარებელ (იოსების შვილი) და მახარებელ ვეფხიასძე. ტოლოშელია მახარას შვილიშვილიც (ჯიქია, 1941: 178-179). **მახარასძენი** არიან ნიჯგორელი გაგუჩა, ფირალა და ზარასფა (ჯიქია, 1941: 180). **მახარა** ქუნცის გარდა დასტურდება ზველსა და იდუმალაში. მახარას შემოკლებული ფორმა **მახა** დამკვიდრებულია შალოშეთსა და ხიზაბაგრაში. ეს მაგალითები მოწმობს ამ სახელის ფართოდ გავრცელებაზე იმდროინდელი გურჯისტანის ვილაიეთის სოფლებში. ზ. ჭუმბურიძეს მახარა/მახარე ძირისგან ნაწარმოებად მიაჩნია სახელი „მახარობელა“, რომლისგანაც მიღებულია გვარები: მახარობლიძე, მახარობლიშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 130). შდრ. მშობლისმიერი ზმნური საკუთარი სახელი „გამიხარდა“ (მაისურაძე, 1990: 42). ი. ახუაშვილის ცნობით, მახარა, მახარე, მახარებელი, მახარობელა, მახარაძე, მახარაშვილი, მახარეშვილი, მახარებლიშვილი, მახარობლიშვილი დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში (ახუაშვილი, 1994: 440). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ეს სახელები მე-15-მე-17 საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვითაა წარმოდგენილი (პალ, 2004: 119-128).

აწყვიტაში კომლის მეთაურად დაფიქსირებული არიან მახარა **ნიკოლოზისძე** და მღვდელი **ნიკოლოზისძე** (ჯიქია, 1941: 178). ნიკოლოზი კომპოზიტური სახელია, ნიკე ბერძნულად „გამარჯვებას“ აღნიშნავს, ლაოს–„ხალხს“. ნიკოლოზის შემოკლებულ ფორმას **ნიკო** ახასიათებს დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენცია. ქართულში ადრიდანვე დასტურდება და დღესაც ფართოდ გავრცელებულია ნიკოლოზ, ნიკა, ნიკო, ნიკოლა. აქედანაა

გვარები: ნიკოლოზიშვილი, ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი, ნიკოლე-  
იშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 134). საგარეჯოს რაიონში ი. მაისურა-  
ძეს დადასტურებული აქვს გვარი ნიკოლაშვილი (მაისურაძე,  
1990: 125). ნიკოლოზის შეკუმშული ვარიანტია კოლა / კოლია. ნი-  
კა, ნიკოლი, ნიკალ, ნიკო, კოლა, კოლია – ასე მოიხსენიებდნენ  
ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ყველა ნიკოლოზს. ახლა ქრის-  
ტიანული სახელების გააქტიურებამ ისევ დაამკვიდრა ნიკოლო-  
ზის სრული ვერსია. დავთრისდროინდელ თმოგვის ციხის რა-  
ბათში დოკუმენტირებულია **ნიკო** ხუდავერდიძე, მამისახელობის  
გაუშიფრავად ვინმე **ნიკუა** დაანზარჯი **ნიკობოსისძე** (ჯიქია, 1941:  
240). მირაშხანში უცხოვრიათ **ნიკოლოზ** დემეტრესძეს და სახე-  
ლად **ნიკუას** (ჯიქია, 1941: 239), შალოშეთში – ვარძელ **ნიკოლო-**  
**ზისძეს** (ჯიქია, 1941: 185), სახუდაბელში ერთ ოჯახს ვარდია მი-  
ნასპის ძმა **ნიკოლოზი** მეთაურობს. ასპინძის მუნიციპალიტეტში  
შტოგვარის სახელად ცნობილია **ნიკიენი** (ნიკიას შთამომავალი).

ბნელის მცხოვრებთაგან ერთს **ბასილა (ნათასძე)** ჰქვია, იმ-  
დროინდელ სამხრეთ საქართველოში გავრცელებული სახელი.  
ბასილი ბერძნულად „მეფურის, სამეფოს“ აღმნიშვნელია (ჭუმბუ-  
რიძე, 1992: 99). ამ სახელის კნინობითი ფორმებია: ბასია, ბასო,  
ბასუკა (ლლონტი, 1967: 54). -ა სუფიქსით გაფორმებული **ბასილა**  
დასტურდება ინწყორაში: ბასილა პეტრიასძე (ჯიქია, 1941: 143),  
საროში – ბასილა არსენასძე (ჯიქია, 1941: 188), ზემო ბუზმარეთში  
– ბასილა რევაზასძე (ჯიქია, 1941: 210), მირაშხანში – ბასილა მა-  
მაგულასძე (ჯიქია, 1941: 239); **ბასილ** გვხვდება ტამალაში (ჯიქია,  
1941: 136), **ბასილისძე** – ახალშენში (ჯიქია, 1941: 134), **ბასილასძე** –  
ვაშლობში (ჯიქია, 1941: 244). ბნელელი ბასილა **ნათასძეა**. ზ. ჭუმ-  
ბურიძე **ნათელას / ნათიას** ძალზე გავრცელებულ ქართულ სახე-  
ლებად მიიჩნევს, რომლებიც წინათ კაცის სახელადაც გვხვდებო-  
და (ნათაი იხსენიება XIII საუკუნის მეორე ნახევრის სვანეთის  
კრების მატიაწეში). აქედანაა გვარები: ნათელაშვილი, ნათაძე, ნა-  
თიძე, ნათიშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 172). ი. მაისურაძეს ამავე მი-  
რისად მიაჩნია ნათური (მაისურაძე, 1990: 120). მამაკაცის სახელა-  
დაა დაფიქსირებული ნათა/ნათენა თურქულ საბუთშიც: **ნათენა**  
გაგელისძე ვაშლობის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 244), **ნათენა** ვარდი-  
ასძე – ტამალის (ჯიქია, 1941: 136), **ნათას** უცხოვრია რუსთავსა და  
ხერთვისში (ჯიქია, 1941: 141, 173), იარალ **ნათენასძეს** – ლეპისში  
(ჯიქია, 1941: 255), მახარებელ **ნათენასძეს** – ქვემო ოშორაში (ჯიქია,

1941: 144). დავთრისეული ნათენასძე და ნათასძე თანამედროვე მდგომარეობით (ნათენასძე, ნათასძე) გენეტიკის თანხმობის გარეშე გავრცელებული გვარსახელებია. ასპინძის მუნიციპალიტეტში მრავლადაა ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები ადგილის სახელები და მათ რიცხვს მიეკუთვნება ნათელასაგან წარმოქმნილი „**ნათელაურები**“ – ბადი ქუნცაში (მელიქიძე, 2003: 181).

**გრიგოლი / გრიგოლა** ბერძნულიდან მომდინარე სახელია („მღვიმარე, ფხიზელი“ ჭუმბურიძე, 1992: 105) და უდევს საფუძვლად გვარებს: **გიგოლაშვილები, გრიგოლია**. შდრ. სოფელი გრიგოლიში ზუგდიდის რაიონში (მაისურაძე, 1990: 50); სოფელი გრიგოლეთი – გურიაში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ცნობილია, რომ **გრიგოლა გულაზიზისძე** სოფელ ბნალას მკვიდრია (ჯიქია, 1941: 182), სახელად გრიგოლ – ინდუსისა (ჯიქია, 1941: 140). რამდენიმე გრიგოლაა ზველში: **გრიგოლა** გულასძე, **გრიგოლა** დანიელისძე, **გრიგოლა** ისაიასძე და **გრიგოლ** ისასძე (ჯიქია, 1941: 132), სოფელ იდუმალაშიც ყოფილა **გრიგოლი**, რომლის მამისახელობა გაუმიფრავია (ჯიქია, 1941: 139); ჭობარეთში დასტურდება გარსევან **გრიგოლისძე** (ჯიქია, 1941: 160), ხერთვისის ციხის რაბათში კი ორი ძმა **გრიგორისძე**: პაპუ და მელიქა, ასევე **გრიგორ** ბაჭასძე, **გრიგორ** მღვდელი და **გრიგორი** მამისახელობის გარეშე (ჯიქია, 1941: 171, 172). რაც შეეხება **გულაზიზისძეს**, ვფიქრობთ, თხზული სახელია, მეტსახელიდან მომდინარე: გულაზიზი – „ფაქიზი, ყველაფერს რომ ვერ ჭამს“; (შდრ. აზიზ-მაზიზი (ფშ.) – ნაზი, სუსტი, სათუთი. ლლონტი, 1984: 25). ასევე შესაძლებელია მიღებული იყოს „ნაზი გულის მქონე“ ადამიანის სახელის ნაგენეტივარი ფორმით: გულნაზი // გულნაზისი > გულაზიზი. ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს, რომ **გულნაზ** სპარსულად „კობტა ყვავილია“, რომ სახელით „ნაზი“ ძველ სპარსულში მოიხსენებდნენ კაცებს, ახალ სპარსულში კი ეს სახელი დაუკავშირდა ქალს (ჭუმბურიძე, 1992: 157). გულაზი დასტურდება ალ. ლლონტთან (ლლონტი, 1967: 69).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვითა-წყვიტის ანთროპონიმების კვლევამ გამოკვეთა ანთროპონიმთა ძირეული, წარმოქმნილი და თხზული ფორმები; გვხვდება როგორც ქართული წარმომავლობის, ისე კანონიკური და აღმოსავლური სახელები. ნაგენეტივარი სახელებიდან შეგვხვდა გულისა და ელისა. კომპოზიტურ სახელებში დადასტურდა ტოლადმერ-

წყმული (ლომკაცი < ლომ-კაცი, საბაგული < საბა-გული-ი), და მართულმსაზღვრელიანი (ცისკარა < ცის-კარ-ა) ანთროპონიმები. სახელთა მაწარმოებლებიდან აღსანიშნავია: -ა (ნოდარ-ა, ზურაბ-ა, ბასილ-ა, რამაზ-ა, ლაშქარ-ა, დავით-ა, გრიგოლ-ა), -ალ-ა (კაკ-ალ-ა), -ია (ელ-ია), -ინ-ა (ბიძ-ინ-ა), -იჩ-ა (გოგ-იჩ-ა), -ენ-ა (ღონ-ენ-ა), -ეტ-ა (გელ-ეტ-ა), -უნ-ა (დათ-უნ-ა, პაპ-უნ-ა, ზაზ-უნ-ა), -უტ-ა (ზაზ-უტ-ა), -უჩ-ა (გაგ-უჩ-ა, ბად-უჩ-ა). მე-16 საუკუნის აწყვიტის მცხოვრებთა სახელებიდან უმეტესობა დღეს აღარ გვხვდება (მარინდო, გომპარ, იმატა, გალობელა, ელიაზარ, ავგაროზ, ზანდარა, აბიათარ, კაკალა...), გვარსახელად შემორჩენილია და ფონეტიკური სახეცვლილებით დასტურდება ივანიძე (<ივანესძე).

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ახუაშვილი, 1994** – ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელე-ბი, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბ., 1994.

**ბერიძე, 2011** – ბერიძე მ., სოფლები და ნასოფლარები მო-გვითხრობენ, თბილისი, 2011. **ბერიძე, 2012** – მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, ერთი სოფლის ტოპონიმია(1), ახალციხე, 2012.

**გაგულაშვილი, 1993** – გაგულაშვილი ი., ქართული გვარე-ბი, ძირითადი ლექსიკური ფონდი; საკუთარი სახელები, ებრა-ულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

**მაისურაძე, 1990** – მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები, სალექსიკონო, ბიბლიოგრაფიული მასალები, თბ., 1990.

**ორბელიანი, 1991** – ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.

**პალ, 2004** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, (XI-XVII სს.) ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამო-მცემლობა არტანუჯი, თბ., 2004.

**ღლონტი, 1967** – ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სა-ხელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967.

**შარაშიძე, 1961** – შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ის-ტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.

**ჭუმბურძიძე, 1992** – ჭუმბურძიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1992.

**ხორნაული, 2003** – ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა, თბილისი, 2003.

**ჯიქია, 1941** – ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბ., 1941.

**ჯორბენაძე, 1998** – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

## **ო მ ა რ მ ე მ ი შ ი შ ი**

### **ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნები ზმნის ფორმასთან ლაზურში**

ლაზურში სახელებთან ერთად ზმნაც დაირთავს ბრუნვის ნიშანს და მეტწილად გადმოსცემს მიმღეობის შინაარსს. ზმნის პირველ ფორმაში ბრუნვის ნიშნის დართვა შეპირობებულია ლაზურის თავისებურებებით. ბრუნვის ნიშნის დართვით ზმნა შეიძლება ზმნიზედად იქცეს. ასეთ შემთხვევაში ზმნის ნაბრუნები ფორმები სხვა ქართველურ ენათა დაქვემდებარებულ წინადადებებს შეესაბამება (მარი, 1910:79–8; ჩიქობავა, 1936:63–64, 185–186). ს. ჯიქიას მიხედვით, ზმნური ფორმების ბრუნება ლაზურში თურქულის გავლენის შედეგია (ჯიქია, 1967:367).

მოთხრობითი ბრუნვის **-ქ** სუფიქსი დაერთვის ზმნის მესამე პირის ფორმას. ზმნის ბოლოვიდურ თანხმოვანსა და ბრუნვის ნიშანს შორის **o** ხმოვანი შეიძლება იყოს, შეიძლება არ იყოს.

ნიმუშები: მეტაქსი-ნა ულუნ-იქ ელუდგამს, ვარ ულუნ-იქ ვარ ელუდგამს (ყიფშიძე, 1939:85) „აბრეშუმის მქონე (აბრეშუმი რომ აქვს-მა) მიუდგამს, არმქონე (რომ არა აქვს-მა) არ მიუდგამს“. ტუტას-ნა გეშახერტუ-ქ (ყიფშიძე, 1939:57) „ნაცარში მჯდომმა (ნაცარში რომ იჯდამ)“. ორჭაღ ნა რენ-ქ (დიუმეზილი, 2009:224). „ორჭელი რომ არის (ორჭელი რომ არის-მა)“, ენნი დიდიქ ნა ეენ-ქ (დიუმეზილი 2009:200) „ყველაზე უფროსი რომ არის (ყველაზე უფროსი რომ არის-მა)“ დიდი ნა ტუ-ქ (კარტოზია, 1933:90) „უფროსი რომ იყო (უფროსი რომ იყო-მ)“.

ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ ზმნის აორისტიკა და კავშირებითის ფორმას შეიძლება დაერთოს მიცემითის ნიშანიც და რომ ამგვარი წარმოება დროის გარემოებითი წინადადების ბადალია (მარი, 1910:80). საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითები: მოჭთი-ს „როცა/რომ მოვედი“, მთვა-ს-ის „რომ/როცა მოთოვს“, მოხთანე-ს „როცა/რომ მოვლენ“.

არნ. ჩიქობავამ აღნიშნა -ის და -სი ნაწილაკის დართვა ზმნის ფორმებთან: იბგარუ-ის „როცა/რომ იტირა“, გიწვან-ის „როცა გითხრან“, ოწედუ-სი „რომ შეხედა“, მოხთუ-ს“ მიცემითის ნიშნად არ მიუჩნევია. მანვე მიუთითა, აგრეთვე, რომ ამავე ფუნქციით ლაზურის ყველა კილოკავში გამოყენებულია -ში ნაწილაკი (მოხთუ-ში „როცა/რომ მოვიდა“) და იმავე ოდენობით მიაჩნდა, რაც გვაქვს სახელებში, ე.ი. ნათესაობითის ნიშნად. მარტო ეს ნაწილაკი იცის ხოფურმა (იქვე).

გ. კარტოზიას აზრით, **ს** თანხმოვნთან ნაწილაკი ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში იხმარება (კარტოზია, 1968: 868, კარტოზია, 2005:179). ათინურში პარალელურ ნაწილაკთაგან (ის, -სი) **-ის** დასტურდება თანხმოვნის მომდევნოდ, ხოლო **-სი** ხმოვნის შემდგომ.

საილუსტრაციო მასალა გამოცემული ტექსტებიდან:

ათინური: კიში ოფშა მთური მთვას-ის ხედიხეფეთე დალიშა ულურან დო მსქუერი ჭოფუმან (მარი, 1910:88) „ზამთარში როცა ბარაქიანი თოვლი მოვა, თხილამურებით მიდიან ტყეში და იჭერენ შველს“, არ ოხოის ჟურ ბოზომოთა ქორტუ – მორდერი ბოზომოთაქ იბგარას-ის თოლუფეშენ ჯევაილი დიბლენ (ჩიქობავა, 1936:90) „ერთ სახლში ორი ქალიშვილი იყო – უფროსი ქალიშვილის თვალებიდან, როცა ის იტირებდა, ძვირფასი ქვები ცვიოდა“; ოწედუ-სი სუმ ტოროჯი ქოგებთუ (ჩიქობავა, 1936:135) „რომ შეხედა სამი მტრედი მოვიდა“, გოხთუ -სი, მკოლი ეფუთხუ დო ჯუმაში ფხუჯის ქოგებედუ (კარტოზია, 1993:191) „რომ იარეს, კალია აფრინდა და ძმის მხარზე დაჯდა“.

ვიწურ-არქაბულში **-ის** დასტურდება არა მარტო თანხმოვნის წინ, არამედ ხმოვნისაც: ქოდოგურეს-ის მუქთი ქომებთუ (ჩიქობავა, 1936:17) „რომ მიასწავლეს, თვითონაც მივიდა“. მანთი ქომოფთ-ის, სუჭრა ქოდომიდგუ, ჩხომი ვარ დომიდგუ (ჩიქობავა, 1936:6) „მეც რომ მოვედი, სუფრა დამიდგა, თევზი არ დამიდგა“, ბჯახა-ის ჩიჩქუ ივენ (სიქობავა, 1936:2) „რომ დავბეგვავ, რბილი გახდება“, მარტი მო-

ხთა -ის, ბურჟული დო არგუნი მომიდუმერ (ჩიქობავა, 1936:25) „მარტი რომ მოვა, წალდსა და ნაჯახს მოვიდებ (ზურგზე)“.

ოდენ სანინი ფორმების ნიმუშები: სი-ნა მოღონი-ს, დაორო-ფუ დო რენ (ყიფშიძე, 1939:31) შენ რომ მოიყვანე (მოიყვანეს) შეუყვარდა და არის“, ნა ხენ-ს, მუთუ ვარ აჩქინენ-ნა, გულუნ-ს აჩქინენ (ჟღენტი, 1938:33) „რომ ზის (მჯდომს) თუ არაფერი ეცოდინება, ვინც დადის, იმას ეცოდინება“, ჰაწი ნა ულუნ-მულუნს, გარ ჩამს (ჟღენტი, 1938:133). „ახლა მოსულ-წასულს საჭმელს აჭმევს“.

ზემოთ ითქვა, რომ **-ში** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიცაა სახელებთან და ზმნა-შემასმენლის პირიან ფორმებსაც დაერთვის. იგი „რომ“, „როცა“, „თუ“... კავშირის ფუნქციას ასრულებს წინადადებაში.

ვიწურ-არქაბული: ნთაროში ნეკნა გონწყუ-ში, ტადანერი კინჩი ქოძირუ (ჟღენტი, 1938:198) „თაროს კარი რომ გააღო, შემწვარი ჩიტი დაინახა“, სუმ წანერი ბორტი-ში ბაბათი დომილურუ (ჩიქობავა, 1936:23) „სამი წლის რომ (როცა) ვიყავი მამაც მომიკვდა“.

ხოფური: ოხოიმა მეხთუ-ში ოტკაპუ ქაგუიწკუ (ასათიანი, 1974:49) „სახლში რომ მივიდა, სარტყელი შეიხსნა“. ქოშინახი, გინტა-ში იხმარი (ჩიქობავა, 1929:52) „შეინახე, როცა მოგინდეს, იხმარე“, ჭუჭული ჭიტა ტა-ში ქური დო ათმაჯაქ აეზდიფს (ჩიქობავა, 1929:165) „წიწილა როცა პატარაა ქორი და მიმინო იტაცებს“.

ს. ჯიქიამ ლაზურის **-ში** და **-ის/-სი** ნაწილაკიან ზმნურ ფორმებს პარალელი დაუძებნა თურქულში. ესაა ადგილობრივ ბრუნვაში დასმული ე.წ. -dik ფორმები. თურქულის Ali eve geldikte „როცა ალი შინ მოვიდა“ შინაარსობრივად უდრის ლაზურის გამოთქმას: „ალი ოხორიმა მოხთუ-ში (ჯიქია, 1967:376).

მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი **-შა** დაერთვის ზმნა – შემასმენელს და **სანამ** კავშირის ფუნქციას ასრულებს.

ნიმუშები: თოლითენ ვარ ძირა -შა, ნე კაი თქვა დო ნეთი პატი (ხალხური სიბრძნე, 1994:18) „სანამ თვალით არ დაინახავს, არც კარგი თქვა და არც ცუდი“. ფათიშაი ვა ბძია-შა ჩქიმი დუგუნი ვა იყვენ-და (კარტოზია, 1993:21). „სანამ ხელმწიფეს არ ნახავ, ჩემი ქორწილი არ იქნებაო“ თხაქ მოთა დოხუნაფტა-შა, თიკანი რენ (ჩიქობავა, 1929:153). „სანამ თხა მოიგებდეს, ის თიკანია“, წუტა ბორტი-შა, ბაბა დომილურუ (ჩიქობავა, 1936:23) „სანამ პატარა ვიყავი, მამა მომიკვდა“.

ათინურში **-შა რომ** კავშირის ფუნქციას ასრულებს: ჰიმ ფხაჩქუმტითუ-შა, ჰიმუში საიბი ქომოხთუ (კარტოზია, 1993:173) „იმას რომ ვთესავდით, იმისი პატრონიც მოვიდა“ შქუ ბიტითუ-შა, ლაზუ-

ტი ვარ უღურტე (კარტოზია, 1993:169). „ჩვენ რომ მოვდიოდით, სიმინდი არ ჰქონდათ“.

ერთეულ შემთხვევებში ზმნამ შეიძლება დაირთოს მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი: მუთხანი ენ-თე ქებთუ (კარტოზია, 1972:66) „რადგანაირად (არის-ით) ავიდა“. მუთხანი მიღუნ-თენ > იმცქვენ (სარგ. მეტყვე) „რადაც მაქვსო და (მაქვს-ით) ტრაბახობს“.

**-შენი** თანდებული **რადგან, რადგანაც** კავშირის მაგივრობას ეწევა, როცა ის დაერთვის ზმნის პირიელ ფორმას: ბერე კითხერი-ნა ტუ-შენი, ჭურუნჯის ვარ მალერდინუ (ჩიქობავა, 1929:19) „რადგან ბავში ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა“, „მხოლა დიდი-ნა რენ-შენი, მატორი გალე ვარ“ გალენ (ჩიქობავა, 1929:146) „ზღვა რადგანაც ღელავს, კატერი ნაპირზე ვერ გამოვა“.

მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ფე** სუფიქსი დაერთვის ზმნა-შემასმენელს სახელობით, მოთხრობით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში. ფრაზა ან წინადადება გამოიხატება მიმღეობითა და დამოკიდებული წინადადების ფუნქციით.

მაგალითები: ნა დოსქიდუ -ფეს-ს ჯოხონტეს, ართელის-ლია, მაჟურას-კოსტა (ყიფშიძე, 1939:7) „დარჩენილებს (რომ დარჩნენ-ებ-ს) ერქვათ, ერთს -ლია, მეორეს – კოსტა სქანდენ წოხლე-ნა იდეს-ფე ვა მოხთუ დო სი აკო ორდო მოთ მოხთი? (ყიფშიძე, 1939:11). „შენ წინ რომ წავიდნენ არ მოვიდნენ და შენ ასე მალე რატო მოხვედი?“ ბგარაშა-ნა მოხთან-ორემ-ფე-ს გარი მთელი მართეფე ჩამან (ქლენტი, 1939:10) „ტირილში მოსულეებს საჭმელს მეზობლები აჭმევენ“, ნა მოხთეს-ფე ჯუმა თქვანი რენ-მა (დიუმეზილი, 2009:130) „მოსულები შენი ძმები არიანო“ ჰანა გიწვი-ფე. დოგახენენ-ნა, ბოზო ჩქიმი მექჩარე (ჩიქობავა, 1936:62). „რაც რომ გითხარ (გითხარები) თუ გააკეთებ, ჩემ ქალიშვილს მოგცემ“. ნა ბიგზალითუ-ფე-ში (კარტოზია, 1972:1) „რომ წავიდნენ (იმათი)“.

წარმოდგენილ საილუსტრაციო მაგალითებში ზმნა-შემასმენელში დართული ბრუნვის ნიშნები ასრულებენ დამოკიდებული წინადადების კავშირებსა და ფრაზა ან წინადადება გამოხატავს მიმღეობის ფუნქციას. მეტწილ შემთხვევაში დართული ბრუნვის ნიშნებისა და მრავლობითი სუფიქსის ნაცვლად შეიძლება ჩაისვას სახელი.



## გამოყენებული ლიტერატურა

**კარტოზია, 2005** – გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.

**კარტოზია, 1968** – მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზმნურ ფორმასთან ლაზურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 52, N3. თბ., 1968.

**მარი, 1910** – Н.Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматии. и словарем, С.-Пб. 1910.

**ჩიქობავა, 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

**ჯიქია, 1967** – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში. წიგნში: ორიონი, აკაკი შანიძეს, თბ., 1967.

## ტექსტები

**ასათიანი, 1974** – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

**დიუმეზილი, 2009** – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბ., 2009.

**კარტოზია, 1993** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1993.

**კარტოზია, 1972** – გ. კარტოზია ლაზური ტექსტები, თბ., 1972.

**მარი, 1910** – Н.Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматии и словарем, С.-Пб. 1910.

**ჟღენტი, 1938** – ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, თბ., 1938.

**ყიფშიძე, 1939** – ტ. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939.

**ჩიქობავა, 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

**ჩიქობავა, 1929** – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, თბ., 1929.

**ხალხური სიბრძნე, 1994** – ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშიში.

## მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ა ძ ე

### დიალექტიზმების მოსწავლეთა მეტყველებიდან აღმოფხვრის გზების შესახებ თანდებულის სწავლების დროს სკოლაში

თანდებულის სწავლებას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ საკითხის შესწავლით მდიდრდება მოსწავლეთა ცოდნის მარაგი. მოსწავლეები ეცნობიან მეტყველების ნაწილთა ერთ ჯგუფს მასთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების მრავალი საკითხით.

თანდებულის სრულფასოვანი შესწავლით მოსწავლეებს უმტკიცდებათ სიტყვის დაშლის, მასში ნაწილების გამოყოფის ჩვევა, უმუშავდებათ ელემენტარული წარმოდგენა ენის ისტორიული ცვალებადობისა და განვითარების შესახებ.

სწავლების პროცესზე დაკვირვებამ გამოავლინა სიძნელეები და ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლიან თანდებულის შეგნებულ ათვისებასა და სათანადო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. ესენია:

1. თანდებულს მრავალგვარი ფუნქცია აქვს: იგი გამოხატავს საგანთა მდებარეობას, მსგავსებას, მიმართულებას, ზოგჯერ კი ძნელი ხდება თანდებულთა ფუნქციის გარკვევა (მაგალითად: **სიბერეში** გაახსენდა; თავის **თავზე** აიღო და ა.შ.).
2. სამეცნიერო ლიტერატურაში **-ზე, -ში, -მდე/-მდის** თანდებულები მიჩნეულია ლოკალურ ბრუნვათა ნიშნად (ა. შანიძე). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **-ებრ, -ვით** (ზოგჯერ **-ზე, -ში**) ზმნიზედების საწარმოებელ აფიქსებადაა მიჩნეული და ლექსიკონში **-ებრ, -ვით** დართული ყველა სიტყვა ზმნიზედადაა აღიარებული, სასკოლო სახელმძღვანელოში კი **-ვით, -ზე, -ში** თანდებულებადაა ჩათვლილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერაც ზუსტი არ არის თანდებულთა ნომეკლატურის საკითხი.
3. მოსწავლეები ვერ ახერხებენ გრამატიკული წესის ზუსტად და სწორად ჩამოყალიბებას.

4. თანდებულებს არასწორად იყენებენ ხშირ შემთხვევაში: **წყალისავით, ხეიდან, ჩემვით, იმსავით, ზეიდან, ჩვენწყენ**
5. სახელისაგან თანდებულების გამოყოფა მოსწავლეებს არ უჭირთ, ისინი თითქმის უშეცდომოდ გამოყოფენ მათ, მაგრამ შეცდომას უშვებენ ბრუნვის ამოცნობაში. ამ ტიპის შეცდომები ძირითადად **-ზე, -ში** თანდებულებს სახელებში მოსდით. **-გან** და **-ურთ** თანდებულებს სახელებიდან კი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითს ელემენტს სახელობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევენ (მაგალითად: **ურთ-** თანდებულებს სახელს შლიან ასე: **ამხანაგი-თურთ**, ე. ი. **-ით** ბრუნვის ნიშნის ხმოვანს მიიჩნევენ სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ხოლო **თ-**ს მიაკუთვნებენ თანდებულს).
6. ვერ ასახელებენ თანდებულის ფუნქციას. ერთი და იგივე თანდებული ერთ შემთხვევაში სიტყვას სხვა მნიშვნელობას ანიჭებს, მეორე შემთხვევაში – სხვას. ზოგჯერ მოსწავლეს ერთ-ერთ მათგანს აცნობენ მხოლოდ. ანალიზის დროს მოსწავლეც მხოლოდ ნაცნობ ფუნქციას ასახელებს და არ უკვირდება წინადადებაში სიტყვის შინაარსობრივ მნიშვნელობას.
7. განსაკუთრებით უჭირთ ნაწილაკდართული თანდებულებანი სიტყვების გამოყოფა. მათთვის თანდებული ამ შემთხვევაში ზოგჯერ შეუმჩნეველიც კი რჩება.
8. ხშირად ნათესაობითი ბრუნვის თანდებულებს არასწორად იყენებენ ნაცვალსახელებთან **ჩემსკენ, შენს მიერ, შენსკენ**.
9. ერთმანეთში ერევათ **ვით** თანდებული და „**ვით**“ კავშირი. ისინი მას ყოველთვის თანდებულად თვლიან. **-ვით** თანდებულებანი თანხმოვანფუძიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმის ანალოგიით (**კაც-ი-ვით**) **-ვით** თანდებულს ურთავენ ხმოვანფუძიან სახელებსაც (**ზე-ვით, კლდე-ვით**) ხშირად **-თან** თანდებულის დართვის დროს ხმოვანფუძიან სახელებში თანხმოვანფუძიანების ანალოგიით აკლებენ ბრუნვის ნიშანს (**წყარო-თან, ხე-თან**), ბრუნვის ნიშანს არ იყენებენ სახელებზე **-კენ** თანდებულის დართვის დროსაც (**სოფლი-კენ**).

10. როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში თანდებულებს იყენებენ არასწორად:

- ა) უთანდებულო ნათესაობითისა და მოქმედებითის ნაცვლად იყენებენ **-ზე** თანდებულს (**შეჯიბრებაზე** მონაწილე; ვიღაცამ დამტვრეულ ფრანგულ **ენაზე** დაიწყო);
- ბ) **-ზე** თანდებულს იყენებენ **-ში**-ს ნაცვლად (**ავტობუსზე** ავიდა, **ზღვაზე** გავიდა, **მინდორზე** ზის);
- გ) **-ზე** თანდებულს იყენებენ **-კენ** თანდებულის ნაცვლად (მიემართება **მოედანზე**...).

11. ზოგ დიალექტურ გარემოში ამას ემატება დიალექტის თავისებურებათა გავლენით გამოწვეული შეცდომები.

12. ასევე დიდ სირთულეს წარმოადგენს **-გან** თანდებულისანი მოქმედებითის სწავლების საკითხიც, რადგან **-გან** თანდებულისანი მოქმედებითი დღევანდელი სალიტერატურო ენის ფაქტი აღარაა. იგი ქართული ენის ისტორიის გარკვეული პერიოდის რეალობაა და XIX საუკუნის აქეთ არ გადმოდის. თანამედროვე ქართულის რეალობაა -დან. ამიტომ ამ თანდებულის შესწავლის დროს თავს იჩენს სასწავლო-მეთოდოლოგიური ხასიათის უხერხულობა. მოსწავლეს ვესაუბრებით **-გან** თანდებულისანი მოქმედებითზე და საილუსტრაციო მასალაში არც მოქმედებითი ბრუნვა ჩანს სადმე და არც **-გან** თანდებულისანი შეიგნობა.

13. სწავლების პროცესზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე ისიც, რომ თანამედროვე პრესასა და სატელევიზიო გადაცემების მეტყველებაში დარღვეულია თანდებულთა გამოყენების წესები.

ზემოაღნიშნულ ხარვეზებს სასკოლო ცხოვრებაში კი ხელს უწყობს ისიც, რომ: ა) გრამატიკის სწავლების საკითხი სკოლების დირექციებისა და საგნის მასწავლებელთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ბ) სადაც გრამატიკა ისწავლება, იქ არ ხდება დაწყებით კლასებში ამ საკითხზე მიღებული ცოდნის სათანადოდ გამოვლენა, რამაც ნიადაგი უნდა მოამზადოს VII კლასში თანდებულის, როგორც მეტყველების ნაწილის, შესასწავლად.

გ) მასწავლებელთა არც თუ მცირე ნაწილი მკაცრად არ ითხოვს გრამატიკული წესების ზეპირად ცოდნას. მოსწავლეებიც ზუსტად ვერ აყალიბებენ წესს, არ ცდილობენ დახვეწონ სა-

კუთარი მეტყველება ამ მიმართულებით. გრამატიკული წესის ცოდნა, მისი სწორი, გამართული ენით გადმოცემის ჩვევის გამომუშავება დიდ სამსახურს უწევს მოსწავლეთა მეტყველების დახვეწა-გამდიდრებას, ჩამოყალიბებას.

დ) სუსტად ტარდება ვარჯიში ცოდნის განსამტკიცებლად.

ე) ყურადღება არ ექცევა დიალექტური მასალებისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას (სადაც ამის საშუალება სკოლას აქვს).

სასკოლო პრაქტიკის, მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზმა, მეთოდური ლიტერატურის სათანადოდ გაცნობამ და მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მოსწავლეთა მეტყველებიდან დიალექტური ფორმების აღმოფხვრის მიზნით, ერთმანეთს შეეუპირისპირებთ **-მდის, -თვის, -კენ** თანდებულების ლიტერატურულ და დიალექტურ (მდისინ, კე, ყე, თვინ) ფორმებს და მოსწავლეებს განვუმარტავთ, რომ აუცილებელია ლიტერატურული ფორმების გამოყენება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის დიალექტური ფორმები, რომლებიც იმ ენობრივი ფენისთვისაა დამახასიათებელი, რომელშიც სკოლა მოქმედებს.

მაგალითად: **გურულში** -თვის თანდებული -იზა ფორმით გვხვდება, **ქართლურში** – თვინა ფორმით (დედითვინ, ძმითვინ...); -კენ თანდებული **ფშაურში** -კე ფორმით გვხვდება (შანიძე, 1953, გვ. 621-622) (მთიკე, ბარისაკე), **იმერულში** -წყენ ფორმით (ჩვენწყენ).

აღმოსავლურ დიალექტებში -მდი, -მდისი, -მდისინ სახით გვხვდება -მდის თანდებული, -იდამ ფორმა გამოიყენება –იდან-ის ნაცვლად.

ამ დიალექტიზმების მოსწავლეთა მეტყველებიდან აღმოფხვრა და სწორი ლიტერატურული ფორმების დანერგვა სწავლების ძირითადი დანიშნულებაა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისა და მართლწერის დაუფლებისათვის, სწავლებისას მთავარია დიალექტური ფორმების ლიტერატურულთან შედარება-შეპირისპირება, სათანადო ისტორიული და ფონეტიკური ექსკურსების გაკეთება და დასკვნები. ცხადია, ყველა დიალექტური ფორმა კი არ გაანალიზდება, არამედ მხოლოდ ის, რომელიც სკოლის სამოქმედო ენობრივი გარემოსთვისაა დამახასიათებელი.

მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველებიდან დიალექტიზმების აღმოსაფხვრელად, სასურველია გამოყენებულ იქნას:

ა) კარნახით წერა;

ბ) ასევე სასურველია ახსნილი და გაანალიზებული ორთოგრაფიები სწორი ფორმით მიეწოდოს მოსწავლეებს და დაევალოთ მათი გამოყენებით წინადადებების შედგენა, რადგანაც სწორი მეტყველების დასაწყის ეტაპზე წესის სწავლება მიზანია, შემდეგ ეტაპზე კი წესის ცოდნა სწორმეტყველების ჩვევის გამომუშავების აუცილებელ საშუალებად იქცევა;

გ) ნაკარნახევი ტექსტიდან მხოლოდ თანდებულისანი სიტყვების ამოწერა და დალაგება ბრუნვათა მიხედვით;

დ) ფრჩხილებში ჩასმულ არსებით სახელზე სათანადო თანდებულების დართვა წინადადებების გამართვა;

დავასკვნით: რამდენადაც ქართული ენა ფონემატიკური დაწერილობისაა, ხშირ შემთხვევაში მართლწერას საფუძვლად მართებული მართლწარმოთქმა ედება. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლე ზოგიერთ ორთოგრაფიას სწორად იმიტომ კი ვერ იყენებს მეტყველებაში, რომ არ იცის მართლწერის სათანადო წესი, არამედ იმიტომ, რომ უჭირს მათი მართებულად, მკაფიოდ წარმოთქმა. ამიტომ სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ასეთი სიტყვების მართლწარმოთქმაში ვარჯიშს, საარტიკულაციო ორგანოებზე დაკვირვებას,

ფართოდ გამოვიყენეთ ორთოგრაფიული გარჩევის ხერხი, მოსწავლეთათვის ნათელი გაეხადეთ თითოეული გრამატიკული ნიშნის ფუნქცია.

დამატებითი სავარჯიშო მასალის შერჩევა-შემუშავება-გამოყენება დიდ დახმარებას უწევს მასწავლებელს მოსწავლეთა მეტყველებიდან დიალექტური ფორმების აღმოფხვრასა და ლიტერატურული ფორმების გამოყენებაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**მიქაძე, 1999** – მ. მიქაძე, მორფოლოგიისა და სტილისტიკის საკითხების სწავლების მეთოდოლოგია საშუალო სკოლაში, ქუთაისი, 1999.

**მიქაძე, 1993** – მ. მიქაძე, ქართული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების სწავლება სკოლაში, თბ., 1993.

**შანიძე, 1953** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953

## ც ი ა ლ ა ნ ა რ ა კ ი ძ ე

### ქართული ენის გავლენა ზანური ენის ლაზურ დიალექტზე

ქართველურ ენებთან მიმართების თვალსაზრისით ლაზურის შესწავლისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ჭანეთ-ლაზეთის რეგიონმა ორი უძლიერესი იმპერიის, ბიზანტიისა და ოსმალეთის, ძლიერი ზეგავლენა განიცადა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ რამდენიმე საუკუნის წინ ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი ლაზები დღეს მხოლოდ ხუთ ზღვისპირა ქალაქში: ხოფაში, ვიწეში, არქაბეში, არდაშენში, ფაზარსა და მიმდინარე სოფლებში სახლობენ კომპაქტურად.

ზანური ენის ლაზურმა დიალექტმა ძლიერი გავლენა განიცადა ჯერ ბერძნულის, ხოლო შემდეგ თურქული ენისა, რამაც განაპირობა ლაზთა გაბმულ მეტყველებაში ბერძნული და აღმოსავლური წარმომავლობის ლექსემების ხმარება, რის შედეგადაც ბევრი ლაზური სიტყვა უცხოური წარმომავლობის ტერმინებით შეიცვალა, როგორებიცაა, მაგალითად, თურქული ტერმინები: კიმი – ზამთარი, **აზი** – ზაფხული, **მეივა** – ხილი, **არზუალი** – განცხადება, **ალთუნი** – ოქრო... ბერძნული ტერმინები: **დულა** – საქმე, **შილია** – ათასი, **კორდელა** – ბაფთა; **ოჭიდნ** – წარბი, **თონი** – სკამი...

გვხვდება ისეთი აღმოსავლური წარმომავლობის ტერმინებიც, რომლებიც ლაზური ლექსემების პარალელურად იხმარება და საფრთხეს უქმნის საკუთრივ ლაზურს.

ლაზური ტერმინის **ღორმოთის** პარალელურად იხმარება თურქული **თრანგი** – ღმერთი; ლაზური – **მელის** ნაცვლად გამოიყენება თურქული **თილქი** – მელია; ლაზური **მანებრა** – თურქული **არქარდაში** – მეგობარი; ლაზური **ღურძული** თურქული – **აღუ** – საწამლავე; ლაზური – **მანმაგერი**, **მართე** თურქული – **კონქში** – მეზობელი...

მე-16 საუკუნის დასაწყისიდან ლაზურის განვითარება ვერ წარიმართა თავისი ბუნებრივი გზით. იგი ჩამოშორდა ქართულსა და სვანურს, აგრეთვე, კოლხურის მეგრულ დიალექტს. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მე-16 საუკუნის დასაწყისში თურქებმა, სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, ლაზეთი ჩამოაშორეს დედასამშობლოს, საქართველოს.

ამჟამად, ლაზებით დასახლებული მთელი ტერიტორია, „ლაზისტანი“, თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. გამონაკლისია მხოლოდ სასაზღვრო სოფელ სარფის ნახევარი. ამიტომაც, ლაზური მეტყველების შესახებ მსჯელობისას მეცნიერული დაკვირვების საშუალებას, ძირითადად, სოფელი სარფი იძლევა.

ჩვენი შეკრებილი და, აგრეთვე, სხვადასხვა მკვლევარების მიერ ადრე გამოქვეყნებულ მასალებზე დაკვირვებით ლაზთა მეტყველებაში შესამჩნევია გარკვეული ენობრივი სიახლეები, რაც გამოწვეულია ქართული ენის გავლენით.

ამჟამად ლაზურის ლექსიკაში ბლომად გვხვდება ქართული ტერმინები:

1. ბუტკუჯი განაწილებული ენ–ფუტკარი განაწილებულია (ბსკიდა, საქმე N52, გვ. 23).

2. ფუქითენ რენ ფეი თოფუიში განსაზღვრული–ყვავილით არის ფერი თაფლის განსაზღვრული (ბსკიდა, საქმე N52, გვ. 23).

3. მოთა, მოთა ენ, ამკათა განსხვავებაზე მა ებედი ვა მიჩქინ, პაპული თევექელი ვა იყვენ ეშო, ბიჭიში–კულანიში ვა ანსხვავეფს – შვილიშვილი შვილიშვილია, ასეთი განსხვავებები მე არ ვიცი, ბაბუა არ იქნება არასდროს ისეთი, ვაჟის, ქალიშვილისას არ ასხვავებს (ბსკიდა, საქმე N58, გვ. 7).

4. იშვიათი ენ ნისასნა ვა უნტას ოხასქი, ოხასქი ჯუმასთეი ოყოფენ – იშვიათია რძალს არ უნდოდეს მაზლი, მაზლი ძმასავით საყვარელია (ბსკიდა, საქმე N58, გვ. 8).

5. ტუნუსი სტავრიდას წინაპარი ტუ – ტუნუსი სტავრიტკას წინაპარი იყო (ბსკიდა, საქმე N58, გვ. 52).

6. ჭანდა მუს უწუმეტეს გიჩქინი, სიჯას დაპატიჟებას უწუმეტეს – „ჭანდას“ რას ემაზოდნენ იცი, სიძის დაპატიჟებას (ბსკიდა, საქმე N 61, გვ. 56).

7. მსქვა კულანი ენ, ბოილი, კოხტა – ლამაზი გოგოა, ტანადი, კოხტა (ბსკიდა, საქმე N69, გვ. 3).

8. ღრუბლიანი ტაონის ოკომწკუფინეი ტაონი უწუმელან–ღრუბლიან ამინდს მოზნელებულ ამინდს ეტყვიან (ბსკიდა, საქმე N69, გვ. 9).

9. ხალხი ქონაგუ გზას (კარტოზია I,1972:142). ხალხი შეხვდა გზაზე.

10. დიდიქ თქუ–ქი მეფე დოიყვატი! ორთანიქ მოადგილე დოიყვატია (კარტოზია I,1972:116). დიდმა თქვა მეფე გავხდებოდეთ, შუათანამ მოადგილე გავხდებოდეთ.



11. მინდილუ ბატონიშა (კარტოზია I, 1972:117). წაილო ბატონ-თან.
  12. უგარე დო უწკარე, მეტი კაი გიკდი – მშიერი და მწყურვალე ძალიან კარგი აგიშენე (კარტოზია I, 1972:210).
  13. თუთაშ თეთენ მხოლა რენ ოქროშვერი – მთვარის სინათლით ზღვა არის ოქროსფერი (კარტოზია II, 1993:235).
  14. ოკოჰკვიდეს ჯუმალობაშ ბაწარი – გაწყვიტეს ძმობის ბაწარი (კარტოზია II, 1993:263).
  15. მეგობრობა იიში არ რენ – მეგობრობა ყველასი ერთნაირია (კარტოზია II, 1993:266).
  16. სი მო იმგარ–უწუ არწივიქ – შენ ნუ ტირიხარო – უთხრა არწივმა (ასათიანი, 1974:55).
  17. ჩქვა მუში გაინტქერესებს? – კიდევ რა გაინტერესებს (ასათიანი, 1974:124).
  18. ანთეფე ღარიბი ტეენან – ესენი ღარიბები ყოფილან (ასათიანი, 1974:146).
  19. მეფეს კაი აწონუ, ედო დიდო ალთუნი ქომეჩუ – მეფეს გაუხარდა, ჰოდა ზევრი ოქრო მისცა (ასათიანი, 1974:147).
  20. აკო მდიდარი მუჰო იყვია? – ასეთი მდიდარი როგორ გახდიო (ასათიანი, 1974:147).
  21. მუხას ონთხოუ ჰოგოჰკუ – მუხას თხრა დაუწყო (ასათიანი, 1974:151).
  22. არ კუჩხოონი – კლასი ვისთეთ – კლასობანას ვთამაშობთ (ასათიანი, 1974:128).
- ჩვენ მიერ თურქეთის სარფში ჩაწერილ ზღაპრებში ფიქსირდება ისეთი ქართული ტერმინები, რომლებიც გამოდმა სარფელთა მეტყველებაში არ გვხვდება. მაგალითად: მარა, მტერი, ზენა, საფულა, ჰამაკი, ოქრო...
1. კულანიქ, ნაკორობუ ოქროფე საფულას ქელობუ დო ოხოიშა იგზალუ – გოგონამ რომ აკრიფა ოქროები, სასაფლაოზე დამარხა და სახლში წავიდა (სარფი, 2015:607).
  2. მტერი ხოლო ლაზონას ქონოდგიოთუ – მტერი კიდევ ლაზეთს მოადგა (სარფი, 2015:610).
  3. დიდი ნჯაეფეს ჰამაკი ქოგონკიდეს – დიდ ხეებზე ჰამაკი გააბეს (სარფი, 2015:624).
  4. ნეკნას ნოკანკუ დო ქამახთუ, მარა ოხოის მითი ვარ ტუ კარზე დააკაკუნა და შევიდა, მაგრამ სახლში არავინ იყო (სარფი, 2015:634).

5. აია მან გაჭირვების ვახთის შევინახეფტია – უწუ კატუქ ჯოლოს – ამას მე გაჭირვების დროისათვის ვინახავდიო, – უთხრა კატამ ძალს (სარფი, 2015:638).

ქართული ენის გავლენით ლაზურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად **შ**-ს ნაცვლად **ს** თანხმოვანი იხმარება.

1. წკაის მსქიბუ დო ხემ მსქიბუ მილუტეს – წყლის წისქვილი და ხელის წისქვილი გვქონდა (ბსკიდა, N20, გვ. 50).
2. ბიჭის ბაბაქ არქადაშის უწვეენ – ბიჭის მამას ამხანაგისათვის უთქვამს (ბსკიდა, საქმე N 69, გვ. 8).
3. დობუწაში მეტკომეს კენევიწეს ოღანი – როდესაც დაიხევა გადააგდებს ატლასის საბანს (ბსკიდა, N40, გვ. 86).
4. კეას პაპული უზუმეტეს კოჩის წაზლანა დიზადატუ დო ოხოიშენ გალენა ვა გვალატუ – კერიის ბაბუას ეძახოდნენ კაცს, ძალიან მოხუცებულს, სახლიდან გარეთ რომ ვერ გადიოდა (ბსკიდა, საქმე N61, გვ. 26).
5. ელჩი მოხთუ ქაურქონი, მეფჩი გუმშიშის თონი... ელჩი მოვიდა, ქურქიანი, მივეცი ვერცხლის სკამი (ბსკიდა, საქმე N61, გვ. 17).
6. ტოოჯის სუი-ნა მულუნ... მტრედების გუნდი, როცა მოდის... (ბსკიდა, საქმე N61, გვ. 10).
7. ბიჭის ოხოიშანა იყონატეს კეას კუჩხე ნოდგიმავაფტეს – ბიჭის სახლში როდესაც წაიყვანდნენ, ფეხს კერიაზე დაადგმევინებდნენ (ბსკიდა, საქმე N61, გვ. 19).
8. ჩქინი ოხოის მოთუნ ქუთაისის კერემიდი – ჩვენს სახლს ახურავს ქუთაისის კრამიტი (ასათიანი, 1974:140).
9. ალთუნის სინის ჰოგოდვაფენ – ოქროს სინზე დაუდებინებია... (ასათიანი, 1974:144).
10. აწი ფათიშაის კულანის ოკაუშა მენდახთუ – ახლა ხელმწიფის გოგოს მოსარჩენად წავიდა (ასათიანი, 1974: 149).
11. ფათიშაის ჯუმას ბეეს აშკუინენ – ხელმწიფის ძმის შვილს შეეშინდა (ასათიანი, 1974: 154).
12. კაზის საეგი ბიჭი ბეგის ნანაშა ქომოხთუ (კარტოზია I, 1972: 26) ბატის პატრონი ბიჭი თავადის დედასთან მოვიდა.
13. არ დღას ფათიშაის კოჩეფე გუიტეს დო ზოპონტეს-ქი „ნამუთხანისნა ოხოის კულანი იენ, მოწიფხან დო ფათიშას ოხოიშა

ქომუყონანა“ (კარტოზია I, 1972: 59). ერთ დღეს ხელმწიფის კაცები დადიოდნენ და ამბობდნენ, რომელ სახლშიც გოგო არის, გამოაწყონ და მეფის სასახლეში მოიყვანონო.

14. ნანაშანტეშის კულანის დიდი კუჩხე უღუტუ (კარტოზია I, 1974: 60). დედინაცვლის გოგოს დიდი ფეხი ჰქონდა.
15. ნანაშანტის ხეს ვორე, ვა ვირდი ჭიტა ვორე – დედინაცვლის ხელში ვარ, არ გავიზარდე, პატარა ვარ (კარტოზია I, 1974: 212).

ქართული ენის გავლენით იშვიათად, მაგრამ გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად სახელობით ბრუნვამია.

1. ორთანჯა ჯუმა აეშილი მენდილის უკუსუმეს – შუათანა ძმა მწვანე მანდილს წაუსვამს (ასათიანი, 1974:157).
2. ქაოს კოჩეფე ქოგნაფან – სოფლის კაცები გაიგებენ (ასათიანი, 1974:199).
3. პაპული მოთაღეფეს ბითუმ ნოსი დოლოდუმეს – ბაბუა შვილიშვილებს ყოველთვის არიგებს (ბსკიდა, საქმე N58, გვ. 9).
4. უჩიტელი ბეეფეს დერსი კითხუფს – მასწავლებელი ბავშვებს გაკვეთილს ეკითხება (ბსკიდა, საქმე N69, გვ. 9).
5. ნანა გააი იქიფს – დედა საჭმელს აკეთებს (ბსკიდა, საქმე N61, გვ. 15).
6. ნანდიდი აეთიმი მოთაღეფე ორდაფს – ბებია ობოლ შვილიშვილებს ზრდის (ბსკიდა, საქმე N58, გვ. 7).
7. ოხორჯა დო ბეე ყონას იჩალიშეფან – ქალი და ბავშვი ყანაში მუშაობენ (ბსკიდა, საქმე N58, გვ. 25).

ლაზურში ჩქამისმიერი თანხმოვნის მომდევნო **ყ** ბგერა ვერ ძლებს. ხოფურში ამოსავალი ტყ, წყ, ჭყ კომპლექსები ტკ, წკ, ჭკ კომპლექსებად არის შეცვლილი. რაკი სარფელებიც ხოფურ კილოკავზე მეტყველებენ, ასეთივე მდგომარეობაა აქაც.

ჯერ ნ. მარმა, ხოლო შემდეგ ნ. ქუთელიამ გამოავლინეს მთელი რიგი მაგალითები, სადაც შეინიშნება ფარინგალური კომპლექსების ხმარების შემთხვევები. ჩვენ მიერ სოფელ სარფში შეკრებილ მასალებშიც დასტურდება მთელი რიგი სიტყვები, სადაც გვხვდება ფარინგალური კომპლექსები:

1. აწინეი ყოყოე ჭყაპი ტუ – ახლანდელი გოგრა დაუმწიფე-ბელი იყო.
2. ჭონჭყოფონი ეი ტუ – ჭაობიანი ადგილი იყო.
3. ლუყუ იგიბეტაში ტატყალაფს – ფხალი როცა დუღს, თუხთუხებს.
4. მოთა ჩქიმის ბიბისთეი წკაის ოტყაპალუ კაი აწონენ – ჩემს შვილიშვილს იხვივით წყალში ჭყუმპალაობა უყვარს.
5. ეკო ტიტყილი ფორჩა დოლოგოქუნს – ქი ყინი ვარ მოგატას – ისეთი თხელი კაბა გაცვია, რომ არ შეგცივდეს.
6. ნაიმეს ბეეფა ართიქართიში მემწყვი უყოუნ – ნაიმეს ბავშვები ერთმანეთზე მიყოლებით ჰყავს.
7. დიდო ჭიჭყინა კულანი უყოუნ – ძალიან ჭირვეული გოგო ჰყავს.
8. ინადიქ ზოიში ჭყვიუ – ჯიუტმა მაგრად იხხავლა.
9. რიწყი მუში აა ტუ – მისი ულუფა ეს იყო.
10. დიჭყიჯი ჩაგინონ ინდაურეფეს – ჭინჭარი უნდა აჭამო ინდაურებს.
11. ყომურქენჭულას ტყუბა ყომუითი ვუწუმეთ – „ყორურ-ქენჭულას“ ტყუბა ტყემალსაც ვეტყვით.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ლაზურის ზოგ სიტყვაში გამოვლენილი ტყ, ჭყ, წყ კომპლექსები მეორეულია და მათი გაჩენა ქართულისა და მეგრულის გავლენას უნდა მიეწეროს.

### **გამოყენებული ლიტერატურა წყაროები**

**ასათიანი, 1974** – ასათიანი ი., ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

**ბსკიდა** – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი, საქმე N20, 40, 61, 69, 58.

**კარტოზია, 1972, 1993** – კარტოზია გ., ლაზური ტექსტები, I-II ტ. თბ., 1972, 1993.

**სარგი, 2015** – მონოგრაფია სარგი, ბათუმი, 2015.

**ქუთელია, 1986** – ქუთელია ნ., ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემა ლაზურში: კრებ. „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, V, თბ., 1986.

## ნ ა ნ უ ლ ი ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი

### ბერძნული ლექსიკისათვის აჭარულ დიალექტში

ქართველ და ბერძენ ხალხს შორის უძველესი დროიდან არსებობს მჭიდრო და ინტენსიური ისტორიული, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები. საქართველოში ბერძნების პირველი დასახლებების გაჩენა შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიურ ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება. ბერძნების მცირე ჯგუფი საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც ჩამოსახლდა მეფე ერეკლე II-ის ინიციატივით. XIX საუკუნის შუა წლებში ბერძნები ჩამოსახლდნენ ზღვისპირა აჭარაშიც, თავიანთი ადრინდელი საცხოვრისიდან ბერძნებმა თან მოიტანეს ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები, ტრადიციული წეს-ჩვეულებები და რიტუალები. ქართულ ეთნიკურ გარემოში ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურა განავითარა და ადგილობრივ გარემოზეც გავლენა მოახდინა. ახალ ვითარებაში მათ ბევრი რამ შეითვისეს ქართულ მოსახლეობასთან მჭიდრო სამეურნეო-კულტურული ურთიერთობების პროცესში. ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ამ ხანგრძლივი ტრადიციის შედეგია ის კვალი, რომელიც დარჩა არა მხოლოდ ქართველთა ისტორიასა და ყოფაში, არამედ მათ მეტყველებაშიც, როგორც ცალკეული ენობრივი ელემენტების, ასევე დიალექტების ფორმირებაზე გარკვეული გავლენის სახით. ბერძნულ ენასთან კონტაქტებმა ქართულ ლექსიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ცნობილია, რომ ქართულში ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ტერმინები ბერძნულიდან გავრცელდა ზეპირი გზით. „უძველესი ბერძნული ნასესხობები ქართულში ისტორიულად უშორეს პერიოდთანაა დაკავშირებული... სიტყვები: ეკლესია, კერონი, მონაზონი, გუტერი და სხვა ქრისტიანული ეკლესიის უპირველეს წმინდანთა და ანგელოზთა სახელებთან ერთად ის სიტყვებია, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ზეპირი გზითაა გავრცელებული ჩვენში და რომელთაც შემდეგ ქრისტიანული ლიტერატურის თარგმანებშიც უცვლელად შეინარჩუნეს ზეპირი გავრცელების ზოგიერთი ნიშანი“ (ნ.მახარაძე, 1978:58). გარდა საეკლესიო და საერთაშორისო ტერმინებისა, ბერძნულიდან დამკვიდრებულა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: ან-

დამატი, კალამი, კლიტე, მარგალიტი, საბანი, ტაბლა და სხვ. ბერძნული ნასესხობანი გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც, მათ შორის, აჭარულშიც. ამ ნასესხობათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისა და ქართული ენის ისტორიის კვლევისათვის.

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა **ანტლია**, რაც სულხან-საბას განმარტებით, „ბერძნულად საყენებელია წყალთა“. მართალია, სუბსტანტივის სახით ეს სიტყვა აჭარულ დიალექტში არ დასტურდება, მაგრამ გვაქვს მისგან ნაწარმოები ზმნა **დანტლევა**, რაც სიტხეში მკვრივი, სქელი მასის დალექვას, ჭურჭლის ძირზე დაკრობას ჰქვია. მაგ.: „შრატი გაცივდება, ნადული შიან ჩავა და დეინტლევს ფსკერში, დაჯდება“.

აჭარულში ფიქსირდება სიტყვა **ლონდრო**, რაც უხეშს, მსხვილს აღნიშნავს. „კანაფს, მეჩხერს თუ დავთესდით, ლონდრო-ლონდრო ძირებს გეიკეთებდა“. **ლონდრო (Xondros)** ბერძნულშიც სიმსხვილეზე, სისხოზე მიუთითებს: 1. სრული, მსუქანი; 2. მაგარი, მკვრივი; 3. მსხვილი; 4. უხეში, გაუთლელი.

აჭარულ დიალექტში ბერძნულიდან ჩანს ნასესხები სიტყვა **კონდო**, რომელიც ახლაც აქტიური ლექსიკური ერთეულია ქობულეთურ კილოკავში. **კონდოს** ეძახიან პატარა გოგონას. ამასთანავე, უფრო ფართო სემანტიკით, იგი ხშირად კნინობითობის გამომხატველია და ქალის სოციალურ მდგომარეობას უსვამს ხაზს. მაგ.: „რა აქ გასახარელი მამ საცოდავს, ამდენი კონდოების პატრონს!“. ბერძნულში **Kontos** აღნიშნავს მცირე სიდიდეს, პატარას; **Kontoilas** კი ეძახიან პატარა ტანის ქალს.

სიტყვათა ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ ტერმინი **პწკალა**, რომელიც, აჭარულთან ერთად, გურულ დიალექტსაც შეუთვისებია. იგი ეწოდება ორ პარალელურ ხეზე თანაბრად დაშორებული ჭდეების დამაგრებით გაკეთებულ მოძრავ კიბეს. ზოგან იგი საერთოდ კიბეს აღნიშნავს. „ნალიაზე პწკალას მივაყუდებთ და ისე ავალთ“. **პწკალა** უნდა მოდიოდეს კიბის ბერძნული სახელიდან **სკალა**. ბერძნულში იგი ასევე აღნიშნავს ტრაპს, ნავმი-სადგომს.

ცალკე გვინდა გამოვყოთ სიტყვა **ღრამი**. იგი აჭარული დიალექტის სამშენებლო ლექსიკის კუთვნილებაა და სამშენებლო ფიცარზე დამატებით გაკეთებულ სიგრძივ ნაჭდევს აღნიშნავს. როცა უნდათ ფიცრის პირები, კიდეები ერთმანეთში ჩასვან,

ფიცრის პირებს სიმტკიცისათვის უკეთებენ დამატებით სიგრძივ ნაჭდევს, ღარს, რასაც **ღრამს** ეძახიან. **ღრამი** ბერძნულშიც გავლებულ ხაზს, რიგს, შემოწერილობას, მიმართულებას აღნიშნავს, ხოლო **ღრამმა** – ასოს, დაწერილს, მეცნიერებას. სიტყვა **ღრამი** უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ენათმეცნიერულ ტერმინთან *გრამატიკა* და სხვ.

სიტყვა **თემბელი** ფართოდაა დამკვიდრებული აჭარულსა და ლაზურში. იგი არის თურქულშიც. ბერძნულში **tempelus** აღნიშნავს ზარმაცს, უსაქმურს. იგი მიღებულია სიტყვიდან **tempo** – დრო. თემბელი კი ის ადამიანია, რომელიც დროს ვერ უწყობს ფეხს, ზანტი და უქნარაა. აჭარული ფოლკლორი კარგად იცნობს ერთ-ერთი პოპულარული ზღაპრის პერსონაჟს თემბელ მემედას, რომელიც აჭარელ მეზღაპრეთა საყვარელი პერსონაჟი და ნაცარქექიას პროტოტიპია.

უშუალო სესხების გარდა, ტერმინები არაუშუალოდ, ერთი ენიდან მეორეში სხვა ენის მეშვეობითაც ხვდება. მაგ., აჭარულში გვაქვს ბერძნული სიტყვები, რომლებიც თურქული ენის მეშვეობით დამკვიდრებულან. ასეთი ტერმინები ხშირად დასტურდება ლაზურშიც. მაგ., **დემეთი** – დასტა, შეკვრა; **ვარიოზი** – დიდი ურო; **ლოდოსი** – თბილი, მოღრუბლული ამინდი, რომელიც აღნობს თოვლს (ნ. ნიჟ.); **ლეგენი** – თასი, ვარცლი; **სირა** – რიგი, ჯერი (ნ. ნიჟ.); **ფედევრა** – ყავარი (ნ.თანდ.); **ფიდე** – ცომის თხელი ფენა; **ფერიზი** – მორიდება, მოთმენა (ნ. თანდ.); **ქილისა** – ეკლესია და სხვ.

ქართულ-ბერძნული ლექსიკური ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა ის ტერმინებიც, რომლებიც ბერძნულშია დამკვიდრებული და ქართველურ ენათა მონაცემების საშუალებით აიხსნება.

ცნობილია, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზში, ნეოლითიდან მოყოლებული, მიმდინარეობდა სხვადასხვა ხალხთა ინტენსიური განსახლების პროცესები. არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება, რომ ქართველური ტომები ამ პროცესის უშუალო მონაწილენი იყვნენ. ამიტომ, ქართველურ და წინაბერძნულ ენებს შორის მიმართებები სხვადასხვა გზით შეიძლება განვითარებულიყო: ქართველურ ტომთა ძველ საბერძნეთში მიგრაციით ან იქიდან წინაბერძნულ ტომთა ნაწილის გადმოსახლებით. ამ ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, გასაგებია, „თუ რატომ

არსებობს ბერძნულში ქართველური (სამხრეთკავკასიური) წარმოშობის პლასტები. მრავალი ბერძნული სიტყვა, ბუნდოვანი თუ უცნობი ეტიმოლოგიისა, პარალელებს პოულობს ქართველურში” (რ. გორდეზიანი, 1985).

ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **თელი**, რომელიც ქართველურ არქეტიპადაა გამოყოფილი და ბერძნულში ჰქვია ღორის ნაშიერს. **თელ-** ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის გამოყოფილ ძირად ითვლება (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990:146).

ეს სიტყვა არ დასტურდება ძველ ქართულში. არც ახალი სალიტერატურო ქართული ენა იცნობს ამ ტერმინს. მხოლოდ სულხან-საბას ლექსიკონშია განმარტებული **თელი**, როგორც ღორის გოჭი. აჭარული დიალექტის მესაქონლეობის ლექსიკაში დასტურდება სიტყვა **ღორთელი**, რაც აღნიშნავს საქონლის ერთგვარ დაავადებას, რომელიც უჩნდება ხბომოსაყვან საქონელს და „უჭამს” ნაყოფს.

განმარტებითი ლექსიკონის (ქეგლი) მონაცემებით, **ღორთელი** ცნობილი ყოფილა იმერულსა და რაჭულ დიალექტებშიც. იმერულში **ღორთელი** გინეკოლოგიური დაავადებაა. უჩნდება ფეხმძიმე ქალს და მუცელში „ჭამს” ნაყოფს. რაჭულში კი **ღორთელი** ყელის ერთგვარი დაავადებაა. **ღორთელ/ღურთელ** დასტურდება სვანურშიც ყელის ჯირკვლისა და ყელის ჯირკვლის ტუბერკულიოზის აღსანიშნად (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000)

ტერმინი **ღორთელი** კომპოზიტია. ამ ლექსემის მეორე შემადგენელი სიტყვა **თელი**, როგორც ჩანს, აჭარულს, იმერულ და რაჭულ დიალექტებთან ერთად, შემოუნახავს ტერმინში **ღორთელი**.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულში არის სიტყვა **kellon**, რაც მოგრეხილს, მოღრეცილს, ნაკლულს აღნიშნავს (რ. გორდეზიანი, 1985:64). აჭარულში **კელი** სუბსტანტივის სახითაა შემონახული და საფუძველს უმყარებს ქართული და სვანური ენების მონაცემებს, მით უფრო, რომ გარდა აჭარულისა, ფუძის სახით (*კელ*) იგი ქართული ენის სხვა დიალექტებში და ძველ ქართულში არ ფიქსირდება. სავარაუდოდ, **კელი** საერთოქართველური სიტყვაა.

**კელი** არის მოკლე ფიცარი, რომელიც იხმარება მშენებლობის პროცესში საჭირო სხვა ფიცრის დასაგრძელებლად, „წასაკერებლად”, ან მოკლე კედლის ასაშენებლად ფანჯრებსა და კარსა და ფანჯრებს შორის. „ლოჯის აყვანისას, თუ ფიცარი სიგრძეში არ ჰყოფნით, სიგრძის ფიცარს, კელს წამატებენ; ფანჯარასა და კარს



შუა კედელიც კელით აჰყავთ” (ნ. ნოღაიდელი, 2013: 14). აჭარულში გვაქვს, ასევე, სიტყვა **კელობს**, რაც კოჭლობას აღნიშნავს („კელობითა რათა მწუნობ./განა კურდღელს მადვენებო?!“). ძველ ქართულშიც კელობა კოჭლობაა: „იგი კელობდა ბარკლითა მით” (ი. აბულაძე, 1975). ქართველურ ენათაგან ქართული კოჭლის (**მკელობელი**) შესატყვისი გვქონდა სვანურშიც (**მკ-კლ-ი** – კოჭლი; **ი-კლ-ი** – კოჭლობს), რომელიც ავლენს ქართული **კლ**(←**კელ**) ძირის კანონზომიერ შესატყვისს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ **მკლე/მოკლე** ფორმები უკავშირდება **კელ/კლ** ზმნურ ძირს (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990: 173) და მისი შეპირისპირება შეიძლება ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე ამავე ქართულ **კელ/კლ** ფუძესთან (მეგრ.-ჭან. *კორ-* რ. გორდეზიანი, 1985:54).

ამავე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ტერმინი **გენი**, რაც ბერძნულში გვარს, შთამომავლობას, წარმოშობას აღნიშნავს. მეგრულსა და ლაზურში **გენი/გინი** ხბო, ძროხის ნაშიერია. **გენ** და მისი ფონეტიკური შესატყვისობის **გინ**, **გან**, **გენ** ძირის ტერმინები დადასტურებულია აჭარაშიც, მესაქონლეობის ლექსიკაში: **გენვა** (და მისი ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმები: **მოგანება**, **მოგერება**, **მოგანურება**, **მოგერისება**) აღნიშნავს მოწველამდე ხბოს მიშვებას დედასთან ძუძუს მსუბუქად გამოსაწოვად. **გენვა** ამავე სემანტიკით გვაქვს გურულსა და იმერულში.

ამ ტერმინთან დაკავშირებით ბევრ მეცნიერს აქვს გამოთქმული თვალსაზრისი (ს. ჟღენტი, არნ. ჩიქობავა, ალ. ლლონტი, ნ. სურმავა, ზ. თანდილავა, ვ. ნარაკიძე და სხვ.). მიღებულია მოსაზრება, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში არსებული სიტყვა **მოგენება** და სხვა ფონეტიკური სახესხვაობები ზანური **გენ** ძირიდან მომდინარე ფორმებია და ზანიზმია ამ დიალექტებში, თუმცა ბოლო გამოკვლევებით **გენ** ძირს ზოგი მეცნიერი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანის კუთვნილებად ასახელებს (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990: 78), ზოგიც საერთოქართველურ ძირად გამოყოფს (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984), მაგრამ ზ. თანდილავა აღნიშნავს, რომ „საკუთრივ მეგრულ-ჭანურში **გენ** ძირი ბერძნულიდან ნასესხები ჩანს” (თანდილავა, 1989:74).

თუ ზემოთ განხილულ ტერმინებს (**თელი**, **კელი**...) გავიხსენებთ, შესაძლოა, მოხდა პირიქით და **გენ** ძირი მართლაც საერთოქართველურიდან გავრცელდა ბერძნულში, მით უფრო, რომ **გენ**, **გან**, **გინ**, **გერ**, **გრ** ძირებთან დაკავშირებით კიდევ შეიძლება

გამოვყოთ ტერმინები, რომლებიც აჭარულში, გარდა მესაქონლეობის ლექსიკისა, ნათესაობის ლექსიკაშიც გვაქვს. მაგ.: **ნაგრამი, ნეგრო**. ეთნოლოგიური მონაცემებით, ისინი შთამომავლობას აღნიშნავენ (მგელაძე, 2004: 76; ჯავახიშვილი, 1937:184). აჭარულში გვაქვს სამეურნეო ტერმინებიც: **ნაგერალი** – მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი და მოკრეფილი მოსავლის ნაწილი; ასევე, დაუთესავად, მიწაში დარჩენილი თესლისგან ამოსული კულტურული მცენარე. **მონაგერება** – მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი ნაწილის მოგროვება და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ არამკვიდრი შვილის ლიტერატურული სახელიც – **გერი**.

დასახელებულ სიტყვა-ტერმინთა შედარება გვაძლევს საშუალებას, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ყველა ზემოთდასახელებული სიტყვა **გენ/გერ/გრ** ძირიდანაა მიღებული, შთამომავლობას აღნიშნავს და საერთოქართველურიდან იღებს სათავეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**გორდეზიანი, 1985** – რ. გორდეზიანი, წინარებერძნული და ქართველური, თბ., 1985.

**თანდილავა, 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013.

**თანდილავა, 1989** – ზ. თანდილავა, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბ., 1989.

**თოფურია, 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

**მახარაძე 1978** – ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978.

**მგელაძე, 2004** – ნ. მგელაძე, აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004.

**ნიქარაძე 1971** – შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**ნოლაიდელი, 2013** – ნ. ნოლაიდელი, ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.

**ორბელიანი, 1928** – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.

**ფენრიხი, სარჯველაძე 1990** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.

**ჯავახიშვილი, 1937** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937.

**გამრეკელიძე, ივანოვი 1937** – Т. Гамкрелидзе, В.Иванов, Индоевропейский язык и Индоевропейцы, I-II, Тб., 1984

## **ნიკოლოზ ოთინაშვილი**

### **ფრონეს ხეობის (ნაბახტევი, ბრილი) ონომასტიკური მასალები**

ფრონეს ხეობის ონომასტიკური მასალების აღწერისა და დახასიათებისათვის აუცილებელია მხარის შესახებ არსებული ლიტერატურის მოხმობა, რომელიც საკმაო რაოდენობითაა. პირველყოფლისა გასათვალისწინებელია მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი სწავლულის, ვახუშტი ბაგრატიონის შრომები და რუკები, რომლებიც ხეობის შესახებ მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდიან. ხეობის საზღვრებისა და მდინარეთა დახასიათებისას ვახუშტი ასახელებს ოთხ მდინარეს: დვანის წყალი, ფცის წყალი, სურამის წყალი, ბრეძის წყალი. ამავე დროს პატარა შენაკადებსაც ფრონეებს უწოდებს. მეცნიერი წერს, რომ „ლიახვის მდინარეთ აქათ ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე-ხევნი აღვსწერენი, უწოდებენ, თვინიერ შოლისა ფრონეთა“ (ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 83). იგი აღნიშნავს: „ვყავს ზეით არს ნაბახტევი და ნაციხვარი. ნაბახტევს ზეით ერთვის ალისწყალს ბრილისწყალი, დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისკვილს“ (საქართველოს გეოგრაფია, გვ. 82).

ვახუშტის თავის მიერ შედგენილ რუკაზე სურამის წყლის მარჯვენა მხარეს დატანილი აქვს სოფელი ნაბახტევი ციხე-სიმაღ-

რის, ანუ „მიზღუდვილის“ ნიშნით, ხოლო ბრილი – „აზნაურის სასახლის“ ნიშნით (ვახუშტი, რუკები, 1745).

1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით ნაბახტევი პატარა სოფელია, სადაც ცხოვრობდნენ: გოგებაშვილები, პაპუნიშვილები, მამულაშვილები, გონგლაძეები. დღეისათვის ზემოხსენებული გვარებიდან სოფელში მხოლოდ გონგლაძეები არიან დარჩენილი.

1731 წლის ოქმით, რომელიც დავით მოურავიშვილს შეუდგენია, ხარჯის გამომღებთა გვარებია დასახელებული. ესენია: შოშიტაშვილი, ელიოზიშვილი, გიგუაშვილი, ფაფაკერაშვილი, მამულაშვილი, მახათაძე, ივანიშვილი, მამაშვილი. დღეისათვის სოფელში სახლობს მხოლოდ ფაფაკერაშვილის რამდენიმე ოჯახი. ელიოზიშვილის გვარი დღეს მაისურაძედ არის ჩაწერილი, ხოლო დანარჩენი გვარები ძირითადად შიდა ქართლში არიან გადასულები.

დღეისათვის სოფელში ცხოვრობენ მჭედლიძეები, რომლებიც იმერეთის სოფელ ბოსლევიდან არიან გადმოსულები. ამ გვარის შტოგვარები ასე იწოდებიან: ბალიაბიჭები, ხოსიაბიჭები, ზურაბაბიჭები, კრუჭკაბიჭები.

ლობჯანიძე სოფელში მცხოვრები ლობჯანიძეების ადრინდელი გვარია, რომლებიც ონის რაიონიდან არიან გადმოსულები. ორი ძმა ლობჯანიძე გივი და ვიქტორი ყოფილან, რომლებიც ასზე მეტი წლის წინათ გაყრილან და მათი შთამომავლობის სახელებიც საკუთარი სახელის მიხედვით, გივი ლობჯანიძიდან: როლანდიბიჭები, გიორგიბიჭები, საბაბიჭები, ლევანიბიჭები, აკაკიბიჭები, ტარიელიბიჭები, ვიქტორიდან: ტოტობიჭები, ბაჭიაბიჭები, დარეჯანიბიჭები.

გონგლაძეების წინაპრები სოფელში მოსულან იმერეთიდან და ყოფილან გოგალაძეები და ბატონს გამოჰარულები, რომ არავის ეცნო, დაწერილან გონგლაძეებად და დღესაც ასე იწერებიან, თუმცა კარგად იციან ძველი გვარიც.

მჭედლიძეები სოფელში მოსულები არიან იმერეთის სოფელ ბოსლევიდან და დღესაც ურთიერთობენ ერთმანეთთან. ორი კომლი ტაბატაძეც იმერეთიდან არის გადმოსული. ხარაზიშვილები მოსულები არიან ფრონეს ხეობის სოფელ ქალეთიდან, შერაზადიშვილები – რაჭიდან.

სოფელში საკმაო რაოდენობით დავაფიქსირეთ ტოპონიმები, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობისანი არიან. ტოპონიმიკურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება უბანი: გონგლაძეების უბანი,

მულაძეების უბანი, მჭედლიძეების უბანი, ფაფაკერაშვილების უბანი, ხარაზიშვილების უბანი...

ქედი: გუგულის ქედი, პატარა ქედი, დიდი ქედი, კვერა ქედი, ეწოდება კვერისაც, ამ სახელით ასევე ცნობილია უღელტეხილი, რომელიც იმერეთში გადადის, ნაქერალა ქედი, ნამზირი ქედი...

**-ებ** სუფიქსით არის ნაწარმოები რამდენიმე ტოპონიმი: ჭალე-ბი, ჭერათხევები, ამ სახელით ასევე ცნობილია მდინარე ჭერათხეულა, რომელიც სოფელს გვერდით ჩამოუდის. ნაზვრები, ემახიან ნაზვრევსაც. ავალის მიწები – ნიშნავს მებატონე ავალიშვილის მიწას. სოფლის მიწები, რომლებიც აღმოსავლეთით მდებარეობს.

ხევი: გონგლაძეების უბანში არის მანანაანთ ხევი, რომელიც ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს უკავშირდება. დიდხევი, რომელიც სოფლის სამხრეთით მდებარეობს, დაბურული ხევი – სოფლის დასავლეთით, ტყიანი ადგილი. ჩახრიალა ხევი, საჯვარე ხევი, პატარა ხევი...

**ნა-** პრეფიქსიანი: ნაკალვარი, ნაზვრები, ნავენახობი, ნაქერალა, ნაყანობი, ნამკალი...

იმერული დიალექტის კუთვნილებად გვხვდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოსულ გვარებთან არის დაკავშირებული:

ნალობიერი, როცა გამხმარ ლობიოს დაცეხავდნენ ე. წ. ჩურჩას, ამ სახელით ემახიან.

მზიგულეები – ფიცხიანი ადგილი, უფრო დაფერდებული, რომელიც სოფლის სამხრეთით მდებარეობს.

ლაშე არის ტალახიანი ადგილი, მდინარის პირზე, რომელიც გვიან იხვნებოდა გამოშრობის შემდეგ. ეკლიანები – ადგილი, სადაც აკაცია ხარობს, სოფელში ეს სახელები ორივეა დარჩენილი.

დოქიანები – ადგილია, ვიწრო, წაგრძელებული კერძო საკუთრება, რომლის სახელი შეიძლება უკავშირდებოდეს ჭურჭელი დოქის სახელს, რომელიც ღვინის ჭურჭელია. ეს სახელი ასევე გავრცელებულია ქართლის მთელ რიგ სოფლებში. ხალხური ეტიმოლოგიით სოფელ ნაბახტევის ეტიმოლოგია თითქოს დაკავშირებულია ცხრა ნაბადზე გადახტომასთან, რომელიც ვილაცას უნდა შეესრულებინა (ასეთი პირი სოფელში აღმოჩნდა), რითაც სოფელი აოხრებას გადარჩენია: **ნაბად-ხტევი < ნაბახტევი**, რაც მეცნიერული ეტიმოლოგიისათვის მიუღებელია.

სოფელი ბრილი მდებარეობს ნაბახტევის ჩრდილოეთით ალის საკრებულოში. 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის

მიხედვით დიდი სოფელი ყოფილა, სადაც სახლობდნენ: ადუაშვილი, ბიძინაშვილი, ხოჯიშვილი, თორელაშვილი, ენუქაშვილი, ბერიშვილი, ჯოხაძე, ბერეკაშვილი, ხატელიშვილი, მამუკაშვილი, მკერვალიშვილი.

დღეისათვის ამ გვარებიდან სოფელში აღარავინ სახლობს, ისინი გადასახლდნენ ქართლის სხვადასხვა სოფლებში, კერძოდ, ვარიანში, ბერშუეთში, სკრაში, ქარელში, ხვედურეთში, ფცაშა და სხვა სოფლებში.

ძველი გვარებიდან სოფელში დარჩენილია 12 ოჯახი, რომლებიც ძველად ჩუბინაშვილები იყვნენ, ამჟამად კი ჩუბინიძეები არიან. სოფელში დიდი გვარია იმერლიშვილები, რომლებიც იმერეთიდან არიან გადმოსული და ყოფილან კომლამეები და შემდეგ იმერლიშვილები გამხდარან.

სტეფნაძე არის ტეფნაძის გვარისა და ორივე გვარით არიან ცნობილი.

ქართველიშვილები თავს მიიჩნევენ ძველ, ადგილობრივ გვარად. შტააძე მოსულია რაჭიდან და დღესაც აქვთ კავშირი იქაურებთან.

ღონღაძე ორი ოჯახია, რომლებიც სურამიდან არიან მოსულეები, ასევე სურამიდან არიან აბულაძეები.

სოფლის ტოპონიმის ძირითადად დაკავშირებულია სოფლის გვარ-სახელებთან, სამეურნეო საქმიანობასთან, ზოგიც – ისტორიასთან.

ბატონის ბოგირი პატარა ხიდია, სადაც 1897 წელს სრულიად უმიზეზოდ მოკლეს თავადი ნიკო დიასამიძე, რომელიც აკაკი წერეთლის მეგობარი და თანამებრძოლი იყო.

თევდორეს წყარო – სოფლის ჩრდილოეთით, რომელიც XIX საუკუნეში ვიღაც ოსტატს გაუკეთებია.

გოგას ახო, დაკავშირებულია გიგა ნოზაძის სახელთან, რომელმაც ტყიანი ადგილი გატეხა.

არტემას ახო, რომელიც არტემ იმერლიშვილს გაუკეთებია.

ნაკალავარი – სოფლის შესასვლელში, სადაც ადრე კალო ჰქონიათ მოწყობილი.

ნასაყდრევი, სადაც ადრე ეკლესია მდგარა, ნაშთები დღესაც არის.

ბერისა, სადაც ადრე ბერებს უცხოვრიათ.

ტყე-მინდვრების სახელებია: მუხები, თელები, მურყინანები, მორევეები, ზემო ადგილები და სხვა.

დიალექტურ სიტყვებად მიგვაჩნია: არდგივარდა, რაც არდი-გარდმოს ნიშნავს და დაკავშირებულია უსწორმასწორო ადგილთან.

აყალოები, თიხამიწა ადგილი, რომელიც ქვევრის თავზე სა-გლესად არის გამოყენებული.

გადაკიდულები – ადგილი რომელიც ხევის პირზე და დამრე-ცია, მისი დამუშავება ცოტა ძნელია დაღმართის გამო.

გასატეხელი – არის ადგილი, რომელიც ტყის პირსა და ტყეში დაამუშავეს სოფლელებმა.

ბრილი//ბრილები – ორივე სახელი ცნობილია ადგილობრივ მოსახლეობაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ლექსემის სხვადას-ხვა განმარტებაა მოცემული, კერძოდ, ის **ბრ**- შეკუმშული ვარიანტია „ბრავ“ ზმნის ძირეულილ მორფემისა ბარ-ილი – ბრილი (ალ. ლლონ-ტი).

მეორე განმარტებით: ბრილი – უმზეო ადგილი, ჩრდილიანი, სადაც მზე არ ანათებს (ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული ლექსიკონი). ჩვენ ის განმარტება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ორივე სოფლის ტერიტორიაზე ბევრი ლექსიკური ერთეული და ანთროპონიმი არის დაცული, რომელთა გამოვლენა და სამეცნი-ერო ლიტერატურაში ჩართვა აუცილებელია, რაც ჩვენი დიალექ-ტოლოგიის ერთ-ერთი ამოცანა უნდა გახდეს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბაგრატიონი, 1997** – ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.

**ბაგრატიონი, 1745** – ბაგრატიონი ვ., რუკები. თბ., 1745.

**თაყაიშვილი, 1907** – თაყაიშვილი ე. არხეოლოგიური მოგზაუ-რობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფ., 1907, გვ. 64.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

**ღლონტი, 1988** – ღლონტი ა., ფრონეებიც ხეობების ტოპონი-მია, თბ., 1988.

**ძოწენიძე, 1974** – ძოწენიძე ქ., ზემოიძერული ლექსიკონი. თბ., 1974.

## იზოლდა რუსაძე

### ლადო ასათიანი და პროფესორ მიხეილ ალავიძის „ლეჩხუმური ლექსიკონი“

დღეს, როცა საქართველოში ლადო ასათიანის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავენ, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა მასზე, როგორც „ორიგინალურ“ პოეტზე, პოეზიის ოქროპირზე. მიმაჩნია, რომ ის ყველა ქართველის საყვარელი მგოსანია. მისი ლექსები ზეპირად იციან და ამ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მღერიან კიდევ. მან ძალიან ცოტა ხანს – 26 წელსა და ხუთ თვეს – იცოცხლა, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო. ის უცებ მოველინა საქართველოს ნიჭიერ პოეტად.

ჩვეულებრივ, მგოსანი სამოდვაწეო ასპარეზზე ყოველწლიურად თითო-თითო ლექსით გამოდისო – წერენ მეცნიერები. 1936-1937 წლებში კი ქუთაისის საქალაქო გაზეთში ამ გაზეთის რედაქტორების, პარმენ შელეგიასა და გიორგი ჯიბლაძის, დახმარებით ლადოს 24 ლექსი ერთბაშად დაიბეჭდა, რაც იყო პოეტური ნიჭის აფეთქება. ასეთი ერთხელ კიდევ განმეორდა 10 წლის შემდეგ, როცა ჟურნალ „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანის დახმარებით ანა კალანდაძის ლექსები ერთბაშად გამოქვეყნდა. 1937 წელს ლადო ასათიანმა დაასრულა პედაგოგიური ინსტიტუტი. ის სწავლობდა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე № 33 ჯგუფში. მისი თანაკურსელი იყო პროფესორი, შემდეგში ლადოს ბიოგრაფი და მისი ლექსების მკვლევარი, მიხეილ ალავიძე, რომლის წერილებიდან და გამოკვლევებიდან ჩვენ, მისმა სტუდენტებმა, ძალიან ბევრი რამ შევიტყვეთ. ბ-მა მიხეილმა შეგვაყვარა ეს პოეტი. ის ლექციის დროს რამდენიმე წუთს მიიჩინდა და გვესაუბრებოდა მის თანაკურსელსა და ლადოს პოეზიაზე. სწორედ ბ-ნი მიხეილისაგან გავიგეთ, თუ როგორ წერდა ლადო ლექსებს. რომ ის თავის უბის წიგნაკში წინასწარ იწერდა იმ სიტყვებს, რომელთათვის შემდეგ ადგილი უნდა მიეჩნია თავის ლექსებში. ასეთი სიტყვები მარტო სალიტერატურო ქართული ენის კუთვნილებას არ წარმოადგენდა, არამედ ის ინიშნავდა დიალექტურ სიტყვებსაც. ლადოს ძალიან მოსწონდა ხალხური ენა. მას მიაჩნდა, რომ ბუნებრივი გრამატიკული ფორ-



მები ხალხშია შემონახული და მას ესაჭიროება დაცვა. ლადო თავის პოეზიაში ლექსუმურ დიალექტურ ფორმებს იყენებდა, ისეთებს, რომლებიც ახასიათებს ლექსუმურ მეტყველებას, რომ ამ საქმიანობით ხალხური კოლორიტი დაეცვა. აი, როგორ გადმოგვცემს ამას ბ-ნი მიხეილ ალავიძე: „ხალხური ენა ლადოს ატკობდა. მას ღრმად სწამდა, რომ უცნობი ნამდვილი ქართული სიტყვები და ბუნებრივი გრამატიკული ფორმები ხალხშია შემონახული და მათ ესაჭიროება დაცვა“. „ამიტომ ეტრფოდა ლადო ასათიანი ზეპირმეტყველებას და იკვლევდა მას. ამიტომაც ხალხური კოლორიტის დასაცავად პოეტს ლექსუმური დიალექტიდან ამოდებული ბევრი სიტყვა აქვს გამოყენებული ლექსუმზე დაწერილი ლექსების ციკლში“. ზოგიერთი ლექსუმური დიალექტური სიტყვა, რომლებიც უბის წიგნაკში ჰქონდა პოეტს ამოწერილი, ლადოს თავის პოეზიაში არ გამოუყენებია, მაგრამ, რადგანაც შეგროვებული ჰქონია, რომ არ გაბნეულიყო და თანაც შთამომავლობისათვის შემოენახა, გადაუცია თავისი თანაკურსელისა და გულითადი მეგობრის, მიხეილ ალავიძისათვის.

როგორც ცნობილია, ბ-ნი მიხეილი სტუდენტობის დროიდანვე აგროვებდა ლექსუმურ „მარგალიტებს“ – დიალექტურ ერთეულებს, რომ შემდეგ შეედგინა ლექსუმური დიალექტური ლექსიკონი. ბ-ნი მიხეილ ალავიძე ამ საქმის პიონერად მოველინა თავის ქვეყანას. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაასრულა თავისი ლექსუმური ლექსიკონი, თუმცა ამ საქმიანობას შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგრძელებდა და საკმაოდ სერიოზული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მოკლედ, მეოთხეკურსელი სტუდენტის, მიხეილ ალავიძის „ლექსუმური ლექსიკონი“ 1938 წელს გამოსცა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა გურულ და ზემოიმერულ ლექსიკონებთან ერთად. გურულის ავტორი არის გიგო შარაშიძე, ზემოიმერულისა – ბ. წერეთელი. ამ წიგნის ლექსუმურ ნაწილში წარმოდგენილია ლექსუმური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, რომელიც მოსახლეობის საქმიანობასთან დაკავშირებულ სიტყვებს შეიცავს. რაოდენობით შვიდასამდეა. განსამარტავ ლექსიკურ ერთეულებს ხშირად უდარებს სხვა ლექსიკონებს. ახლავს საილუსტრაციო მაგალითებიც. ამ ლექსიკონს პირველადი რედაქცია გაუკეთა მიხეილ ალავიძისა და ლადო ასათიანის ზოგადი ენათმეცნიერების ლექტორმა, რომელიც მათ

პირველ კურსზე ზოგად ენათმეცნიერებას ასწავლიდა, შემდეგში აკადემიკოსმა, გიორგი ახვლედიანმა. ამ ლექსიკონის მასალა მიხეილ ალავიძემ პირველად წაიკითხა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეში, სადაც ესწრებოდნენ ლექტორ-მასწავლებლებიც. აქ ეს ნაშრომი მოწონებულ იქნა და მისი ავტორი ინსტიტუტის დირექტორის მადლობითა და ფულადი პრემიითაც დაჯილდოვდა, წიგნი კი გადაეცა ენათმეცნიერების ინსტიტუტს გამოსაცემად და ძალიან მალე ის გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონის შედგენაში მიხეილ ალავიძისათვის დახმარების ხელი გაუწვდია ლადო ასათიანს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ლადო კარგად იცნობდა ცხენისწყლის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებას. უბის წიგნაკში ჩანიშნული ზოგიერთი სიტყვა, რომელიც თვითონ არ გამოუყენებია თავის ლექსებში, გადაუცია მიხეილ ალავიძისათვის ლექსიკონში შესატანად. „ლადო მეხმარებოდა ლეჩხუმური ლექსიკონის შედგენის დროს. იგი ცხენისწყლის მცხოვრებთა მეტყველებას კარგად იცნობდა“ – წერს მიხეილ ალავიძე 1961 წელს (ჟურნალი „რიონი“, № 4, გვ. 91-94).

აქ წარმოვადგენთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ლადოს გადაუცია ბ-ნი მიხეილ ალავიძისათვის ლექსიკონში შესატანად და მასაც ყველა მათგანი უკლებლივ შეუტანია: ბოჭოჭია – ჭიანჭველა; გარდამეისათ – მომავალი წლის შემდეგ; კანტი – გამხდარი ადამიანი; კეპილი – ღორის ნაწლავისგან დამზადებული ძეხვი, კუპატი; მეჯეში – კოკისპირული წვიმა; ნალისი – პირუტყვის ნაზამთრი ბალანი; პურტყვი – პირუტყვი; სამთილო – სამამთილო – ქმრის ოჯახი; სანათლისი – სანათური; ტაფოული – ტაფამწვარი, ერბოკვერცხი; წემბეშო – ტყავი, რითაც ჩოჩიალა ურმის უღელი მიბმულია ფრჩხილებზე (ხელნეზზე); წრუხა – მწუხრი, საღამო.

ამრიგად, ლადო არა მარტო თავის პოეზიაში იყენებდა ლეჩხუმურ დიალექტურ ერთეულებს, არამედ კრებდა და ცდილობდა, შთამომავლობისთვისაც შემოენახა ეს მარგალიტები. ამისი მაგალითები ჩვენ უკვე დავადასტურეთ ბ-ნი მიხეილ ალავიძის ლექსიკონის საშუალებით. ამდენად, ლადოს დიდი დამსახურება მიუძღვის მიხეილ ალავიძის ლეჩხუმური ლექსიკონის შედგენაში. გარდა ამისა, ლადოს რომ მოსწონდა და უყვარდა ლეჩხუმური დიალექტი, ამისი დადასტურებაა ის, რომ მის პოე-

ზიაში ვხვდებით უამრავ ლექსუმურ დიალექტურ ერთეულს. და კიდევ, ლადოს თავის ლექსებში შეტანილი აქვს ტოპონიმიკური მასალა, რომელიც დიალექტს განეკუთვნება.

მაშასადამე, ლადო იყო ლექსუმური დიალექტის ტრფიალი.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ალავიძე, 2015** – მ. ალავიძე, ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია, წიგნი შეადგინეს, გამოსაცემად მოამზადეს, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული განხილვები და კომენტარები დაურთეს ქეთევან დეკანოზიშვილმა და იზოლდა რუსაძემ, ქუთაისი, 2015.

**ლექსუმური ლექსიკონი, 1938** – ლექსიკონი, თბ., 1938. მოთავსებულია წიგნში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები, ქართველურ ენათა ლექსიკა – 1. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, მ. ალავიძე, ლექსუმური ლექსიკონი პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბ., 1938.

### **ი რ ა კ ლ ი ს ა ლ ი ა**

#### **ქართული დიალექტური კორპუსის ელექტრონული ლექსიკონის შექმნის პროცესი და პრინციპები**

ციფრულმა ტექნოლოგიებმა სრულიად ახალი პარადიგმა შექმნეს ყველა სფეროში, სადაც მათ იყენებენ, მათ შორის, ლექსიკოგრაფიაში. ძირითადი მიზეზები ყველგან ერთია. კომპიუტერს შეუძლია:

- განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მასალის დამუშავება
- აკეთებს ამას ადამიანზე ბევრად ნაკლებ დროში
- არის ზუსტი
- არის თანმიმდევრული

- არ ახასიათებს ისეთი ადამიანური ნაკლი, როგორცაა მიკერძოებულობა და ა.შ.

ლექსიკოგრაფიას რამდენიმესაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქედან ელექტრონული ლექსიკოგრაფიის წილი დაახლოებით ექვსი ათწლეულით განისაზღვრება.

ელექტრონული ლექსიკოგრაფია 1960 წელს ჩნდება, როცა კომპიუტერი პირველად გამოიყენეს პერფოლენტზე ლექსიკონის გადასატანად<sup>3</sup>.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1978 წელს ლონგმენის თანამედროვე ინგლისურის ლექსიკონის გამოცემა. ეს იყო პირველი ელექტრონული ლექსიკონი, რომელიც მკვლევრებისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

1987 წელს შეიქმნა კორპუსზე დაფუძნებული პირველი ლექსიკონი.

კომპიუტერული ტექნოლოგიების როლზე თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში უკვე აღარავინ დავობს. მონოგრაფიაში „ინგლისური ენის ლექსიკოგრაფია“ ნათქვამია, რომ ერთ-ერთი „ფაქტორი, რომელიც ბოლო ათწლეულებია აყალიბებს ლექსიკონებს, ენათმეცნიერებისა და ლექსიკონების მოხმარების შესწავლის გარდა, არის კომპიუტერი. ის იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ლექსიკონების მომზადებისა და შემოწმებისთვის, რომ სასაცილოა, ლექსიკოგრაფიაში მის როლზე ცალკე თავის დაწერა.“ (Béjoint 2010: 348)

ლექსიკოგრაფია კომპიუტერს ლექსიკონის შესაქმნელად იყენებს, თუმცა უნდა დავაზუსტოთ, რომ შექმნაში რამდენიმე განსხვავებული პროცესი იგულისხმება:

- წმინდა ტექნიკური სამუშაო, როგორცაა ტექსტის აკრეფა, დაკაბადონება და ა.შ.;
- ლექსიკონის, ერთი მხრივ, სამომხმარებლო, მეორე მხრივ, სამუშაო პლატფორმისა და/ან აპლიკაციის შექმნა;
- კორპუსის (თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში კორპუსის როლს ასრულებს ინტერნეტსივრცე (იხ. ს. დარასელია 2015: 27-28) საფუძველზე ლექსიკონების შექმნა, რაც, მაგალითად, გულისხმობს, სიტყვის მნიშვნელობების, კოლოკაციების და ა.შ. ძიებას დიდი მოცულობის მასალაში;

---

<sup>3</sup> ეს იყო მერიამ-ვებსტერის მეშვიდე აკადემიური ლექსიკონი და მისივე ახალი ჯიბის ლექსიკონი.

- ბეჭდური ლექსიკონების გაციფრება, ან ბეჭდურ ლექსიკონში დაცული ინფორმაციის გამოყენება ელექტრონული ლექსიკონის შესაქმნელად (იხ. В. [Селегей](#); Я. А. Перванов:2-3).

პროექტის – „დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (GEDA)“ – ფარგლებში სხვადასხვა დიალექტების ბეჭდური ლექსიკონებისა და ქართული დიალექტური კორპუსის საფუძველზე იქმნება ქართული ენის დიალექტების ელექტრონული ლექსიკონების პლატფორმა ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკონის რედაქტორის საშუალებით. რედაქტორის მეშვეობით ხდება ბეჭდური ლექსიკონის სიტყვა-სტატიების სტრუქტურირება და ნაკლული ინფორმაციის შევსება ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემებით. ელექტრონული ლექსიკონის მთავარი უპირატესობა ბეჭდურთან შედარებით სწორედ ეს ორი მახასიათებელია – ელექტრონულ ლექსიკონში, ერთი მხრივ, შესაძლებელია ინფორმაციის მუდმივად შევსება და განახლება, რაც, როგორც ყველა ციფრული პროდუქტის შემთხვევაში, მოითხოვს ბევრად ნაკლებ დროსა და ენერჯიას და რესურსს, მეორე მხრივ, კი შესაძლებელია სიტყვა-სტატიების ბევრად უფრო დეტალიზებული და ეფექტური სტრუქტურირება. ამგვარად, ელექტრონული ლექსიკონის სიტყვა-სტატია მეტად სტრუქტურირებულია, ვიდრე ბეჭდურ ლექსიკონში.

სტრუქტურირების შედეგად ხელმისაწვდომი ხდება სიტყვა-სტატიაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ლექსიკონის მომხმარებლისთვის ძნელი აღსაქმელია, მეტიც, სპეციალური მიზანდასახულობის გარეშე ბეჭდურ ლექსიკონში სისტემურად ამ მონაცემების დაფიქსირება შეუძლებელია და ასეთ შემთხვევაშიც მოითხოვს ხანგრძლივ რუტინულ შრომას.

ქდკ-ს ელექტრონულ ლექსიკონებში სტრუქტურირება ემსახურება ხელმისაწვდომობის გაზრდას და მიმართულია იმაზე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ბეჭდური წყაროს სიტყვა-სტატიაში დაცული ინფორმაცია. თუმცა ასეთმა სტრუქტურულმა და ინფორმაციულმა „ჩარევამ“ კვლევის სახე არ უნდა მიიღოს. მაგალითად, ვნიშნავთ ტროპულ ერთეულებს, მაგრამ არ ვაკონკრეტებთ რა ტიპის ტროპზეა საუბარი, რადგან, როგორც ცნობილია, ძნელია ტროპებს შორის საზღვრების, მათი იერარქიის და ა.შ. დადგენა (იხ. რ. ცანავა 2009), თუმცა მკვლევრისათვის, რომელსაც ამ პრობლემის გადაჭრა უნდა და დაინტერესებულია დიალექტების ამ პლასტით, ქართულ

დიალექტურ ლექსიკოგრაფიულ ბაზაში გაადვილებული იქნება საკვლევი მასალის მოპოვება, სტატისტიკური და სხვა მონაცემების დადგენა.

სამუშაო პროცესს წარმოვადგენთ გიგო შარაშიძის „გურული ლექსიკონის“ (შარაშიძე 1938) მაგალითზე. ჯერ აღწერთ ბეჭდური ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სხვადასხვა ველის წარმოდგენის პრინციპს, შემდეგ კი განვიხილავთ, თუ როგორ სახეს იღებს ეს ინფორმაცია ელექტრონულ ლექსიკონში.

## **1. მეთაური სიტყვა**

### **1.1 მეთაური სიტყვა ბეჭდურ ლექსიკონში**

თუ მეთაური სიტყვა სახელია, იგი სახელობით ბრუნვაში დგას, ზმნა კი მასდარის სახით არის წარმოდგენილი.

მეთაურ სიტყვად გვხვდება მყარი შესიტყვეებებიც და იდიომატური გამოთქმებიც (მაგალითად, *ფეხის დაბანა, თავის მორცხვა*). სინტაგმის თავი შეიძლება მოცემული იყოს იმავე პრინციპით, როგორითაც სახელი ან ზმნა დამოუკიდებლად: სახელი სახელობითის ფორმით, ზმნა – მასდარით (მაგალითად, *მოქნეული წვიმა, მუხაშარიეს გადარება*), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მყარი შესიტყვება არ არის ლემატიზებული (მაგალითად, *ხორცი დაირეკა*).

საინტერესოა, რომ მყარი შესიტყვევებისა და იდიომატური გამოთქმების გარკვეული კომპონენტი შეიძლება ლემად იყოს გატანილი. ასეთ დროს სიტყვას არ ახლავს შესაბამისი შესიტყვება და შემდეგ შესიტყვევის განმარტება.

ასეთი გადაწყვეტა განპირობებულია იმით, რომ ლექსიკონი ბეჭდურია. ბეჭდურ ლექსიკონში რამდენიმეკომპონენტია ერთეულები პირველი კომპონენტის მიხედვით არის მოთავსებული ანბანურ რიგზე მაშინ, როდესაც მომხმარებელი შეიძლება ეძებდეს შესიტყვევის იმ კომპონენტს, რომელიც არ არის ანბანურ რიგზე წარმოდგენილი და თუ ეს კომპონენტი დამოუკიდებელ სტატიად არ არის გატანილი, ვერ მიაგნებს მას:

გაყოლა: ერი გაყოლა – ერთი პირი, ერთი მოყოლა

სალექსიკონო სტატიას ზოგჯერ რამდენიმე მეთაური სიტყვა აქვს. რამდენიმე მეთაური სიტყვიდან ნაწილი შეიძლება იყოს პირველი სიტყვის გრამატიკული, დერივაციული ან ფონეტიკური ვარიანტი. გრამატიკული ვარიანტი შეიძლება მოსდევდეს პირველ სიტყვას და განმარტება შესაბამისი რიგითობით იყოს მოცემული, ან

ჯერ მოცემული იყოს სიტყვა და მისი განმარტება, შემდეგ ამ სიტყვის გრამატიკული ან დერივაციული ვარიანტი და მისი განმარტება. ასევე, რამდენიმე მეთაურ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთი განმარტება.

დერივაციული ვარიანტები შეიძლება ცალკე სტატიადაც იყოს გამოტანილი.

## **1.2 მეთაური სიტყვა ელექტრონულ ლექსიკონში**

ელექტრონულ ლექსიკონში მეთაური სიტყვისგან გამიჯნულია ფონეტიკური და გრამატიკული ვარიანტები.

სიტყვასა და მის დერივანტს და/ან ფონეტიკურ ვარიანტს ეწერება შესაბამისი გრამატიკული მარკერები. მეთაურ სიტყვას დამატებით მითითებული აქვს სემანტიკური ჯგუფებიც: ანთროპონიმი, მცენარე, თამაში, შელოცვა და ა.შ. და მონიშნულია შესიტყვებები.

თუ მეთაურ სიტყვად წარმოდგენილია სიტყვა და მისი დერივანტი, მაშინ დერივაციული ვარიანტი ცალკე სტატიადაც გაგვაქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დერივაციით რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვიღებთ. თუ გარკვეული მეთაური სიტყვიდან დერივაციის წესებით ადვილად გამოიყვანება მისი დერივანტის მნიშვნელობა, ის ცალკე სტატიადაც არ არის წარმოდგენილი, მაგრამ სიტყვათწარმოებითი ვარიაციის ველში თავსდება.

მეთაურ სიტყვაში შეიძლება ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული ბგერითი შედგენილობის სიტყვები იყოს წარმოდგენილი:

ბლაცუნნი, ბადუნნი – ტანმოშლით, უშნოდ, უაზროდ სიარული

ასეთ შემთხვევაში სტატიაში მხოლოდ ერთ სიტყვას ვტოვებთ, დანარჩენი კი ცალკე სტატიადაც გაგვაქვს და ყველა ამ სიტყვას ვაკავშირებთ ველით „იგივეა, რაც“.

თუ ბეჭდურ ლექსიკონში მყარი შესიტყვების ან იდიომატური გამოთქმის ცალკეული კომპონენტები გატანილია ლემად, ელექტრონულ ლექსიკონში ამის საჭიროება არ არის, რადგან რამდენკომპონენტია ან არ უნდა იყოს მეთაური სიტყვა, ელექტრონულ ლექსიკონში მისი ყოველი კომპონენტის ძიება არის შესაძლებელი. ამის გამო ჩვენ მხოლოდ მყარ შესიტყვებას და იდიომატურ გამოთქმებს ვტოვებთ ლექსიკონში.

## 2. განმარტება

### 2.1 განმარტება ზეჰდურ ლექსიკონში

განმარტება ძირითადად ტრადიციული სახისაა, როცა მეთაური სიტყვის მნიშვნელობა სხვა სიტყვების საშუალებით არის ახსნილი.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მნიშვნელობის განმარტებასთან ერთად, ან მის გარეშე, მოცემულია ინფორმაცია იმ მოვლენის, საგნის შესახებ, რასაც ეს სიტყვა აღნიშნავს. მაგალითად, **ალადასტურის** განმარტებას („ვაზის ჯიში“) მოსდევს მცენარის ვრცელი დახასიათება:

ეს ჯიში სხვაზე უკეთ უძლებს სოკოსებურ ავადმყოფობას, ამის გამო იგი მეტად გავრცელდა გურიაში. ღვინოს მუქ წითელს და, სხვა ჯიშებთან შედარებით, მდარეს იძლევა. ვაზი ძლიერ ხარბად იზრდება და ნაყოფიერიც არის. ლერწები მსხვილი, მოწითალო-მიხაკისფერი, ოდნავ ზოლებიანი, პაწაწინა ლაქებით დაფარული აქვს, ფოთლები დიდია, სამყური, ოდნავ ნალრებიანი, მცირედ დაკბილულკიდეებიანი, ფოთლის ზედაპირი დახვეწილია, ქვედა გინგლიანი; ყუნწი მსხვილი და მოწითალოა; მტევანი საშუალო სიდიდისა, ცილინდრი-სებური მოყვანილობისაა; ღერწი აქვს გრძელი; ნაყოფის ფეხი – მოკლე, მსხვილი, ნაყოფი – შავი ფერისა, საკმაოდ მსხვილი, ცოტათი მოგრძო; ნაყოფის კანი – სქელი; გული – ზომიერად წყლიანი, მაგრამ სხვა გურული ჯიშის ყურძენზე ნაკლებ გემრიელი. ამ ჯიშს აშენებენ საჯავახოს, ციხესა და სხვ. კუთხეებში.

გვხვდება სხვა სახის მეტაენობრივი ინფორმაციაც. მაგალითად, თუ მეთაური სიტყვა სიმღერის სახელწოდებაა, შეიძლება აღწერილი იყოს ვითარება, სადაც სიმღერას მღერიან. ასეა სიტყვა-სტატია **აგიდელას** შემთხვევაში. მას ახლავს განმარტება „სიმღერაა მალლარი ყურძნის კრეფის დროს“ და ამავე დროს:

ერთი მკრეფელთაგანი ხმამალა წამოიწყებდა... დანარჩენი მკრეფელები მხიარული ახმაურებითა და ყიჟინით ბანს აძლევდნენ.

თუ სიტყვა არ არის განმარტებული, განმარტების როლს ასრულებს ორი სხვა სახის მონაცემი. ეს არის ილუსტრაცია ან გადამისამართება. ერთ შემთხვევაში მკითხველმა თავად უნდა შექმნას განმარტება ილუსტრაციის საფუძველზე, მეორე შემთხვევაში კი მნიშ-



ვნელობას მისამართი სიტყვის განმარტებიდან გაიგებს (ამაზე ვრცლად ქვემოთ, 4.1-ში იქნება საუბარი).

## **2.2 განმარტება ელექტრონულ ლექსიკონში**

თუ სიტყვას არ ახლავს განმარტება, მაშინ ჩვენ ვქმნით მის განმარტებას ქართულ დიალექტურ კორპუსში არსებული მასალის საფუძველზე.

თუ განმარტება ბუნდოვანია, მაშინ კვლავ ქართული დიალექტური კორპუსის დახმარებით, კონტექსტების ანალიზის საფუძველზე ვაზუსტებთ მას.

ქდვ-ს რედაქტორში გამიჯნულია განმარტებისა და შესატყვისის ველები, ამიტომ თუ სიტყვა-სტატიაში მოცემულია მეთაური სიტყვის ზუსტი შესატყვისი, მაშინ შესატყვისი გადაგვაქვს მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ველში.

თუ სიტყვა-სტატიაში მოცემულია მეტაენობრივი ინფორმაცია, მაშინ ის გაგვაქვს ენციკლოპედიური ინფორმაციის ველში.

ბეჭდური ლექსიკონის სალექსიკონო სტატიაში ყველაფერი – მეთაური სიტყვის/სიტყვების, ილუსტრაციისა და გადამისამართების შემოკლებების გარდა – ერთ, განმარტების ველს შეადგენს (ზოგჯერ ილუსტრაცია ან გადამისამართება შეიძლება ამ ველის ფუნქციას იღებდეს თავის თავზე, თუ სხვა ველები არ არის წარმოდგენილი (იხ. 2.1)). ელექტრონულ ლექსიკონში ეს ველიც სტრუქტურირებულია, ე.ი. ელექტრონულ ლექსიკონში, როგორც ბეჭდურში, ერთმანეთისგან გამიჯნულია მეთაური სიტყვა/სიტყვები, ილუსტრაცია და გადამისამართება, მაგრამ დამატებით გამოყოფილია ფაქტობრივი ინფორმაციაც სიტყვით აღნიშნული მოვლენის, საგნის შესახებ.

## **3. ილუსტრაცია**

### **3.1 ილუსტრაცია ბეჭდურ ლექსიკონში**

ლექსიკონში ორი ტიპის ილუსტრაცია გვხვდება. მოცემულია ან წინადადება, ან მხოლოდ შესიტყვება, რომელიც მეთაურ სიტყვას შეიცავს. პირველი ტიპი ილუსტრაციის სტანდარტული სახეა და მას კარგად იცნობს ლექსიკონის მომხმარებელი, ამიტომ მხოლოდ მეორე ტიპის ილუსტრაციის მაგალითს მოვიყვანთ:

ბაზე– სიმწიფეში შესული. **ბაზე ლობიო.**

სიტყვა-სტატიაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მეთაური სიტყვის შემცველი რამდენიმე სინტაგმაც.

ილუსტრაციის განსაკუთრებული სახეა ისეთი ილუსტრაცია, რომელსაც თავისი განმარტება (თუ თარგმანი) ახლავს:

აფხაზი – აფხაზივით ჯდომა ცხენზე; კარგი ცხენოსნობა. **აფხაზია – კარგი ცხენოსანია.**

### **3.2 ილუსტრაცია ელექტრონულ ლექსიკონში**

იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა-სტატიაში არ არის მოცემული, ილუსტრაციას ვიღებთ ქართული დიალექტური კორპუსიდან:

თუ განმარტებასა და ილუსტრაციაში ვხვდებით დიალექტურ ლექსიკას, ვანაცვლებთ მას სალიტერატურო ფორმით და ამ სიტყვისთვის ცალკე სიტყვა-სტატიას ვქმნით. ამ დროს ილუსტრაცია მოგვყავს ქართული დიალექტური კორპუსიდან, მაგრამ „შეზღუდული ილუსტრაციის“ (მოცემულია ფრჩხილებში) სახით ვუთითებთ იმ განმარტებას ან ილუსტრაციასაც, სადაც ეს სიტყვა იყო გამოყენებული (რა თქმა უნდა) იმ სახით, როგორც მოცემული იყო ბეჭდურ ლექსიკონში):

გინგლი (ღინღლი) – ბუსუსი (**ფოთლის ზედაპირი დახვეწილია, ქვედა გინგლიანია**)

## **4. გადამისამართება**

### **4.1 გადამისამართება ბეჭდურ ლექსიკონში**

გადამისამართება გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, როცა სიტყვას არ აქვს განმარტება და პირდაპირ გადამისამართებულია სხვა სტატიაზე, რომელიც განმარტებას შეიცავს. აქ რამდენიმე განსხვავებული შემთხვევა გვაქვს:

- ლექსიკონში არის რამდენიმე ბუდე. ბუდეში შემავალი ერთეულების ნაწილი გვხვდება დამოუკიდებელ სტატიად და ასეთები გადამისამართებულია ბუდის სიტყვა-სტატიაზე, ნაწილი კი – არა:

აგიდელა – სიმღერაა მაღლარი ყურმნის კრეფის დროს

სიმღერები გურიაში – 1. აბა, დარეჯან, 2. აბა დელი-და, 3. აგიდელა, 4. ალაღ-ვაღალი (ძველი ფერხული, ორმუხლიანი), 5. ალი-ფაშამ გვიდალატა, 6. გალიაში რომ გაგზარდე, 7. დელი-დელა (ძველი), 8. ელესაი...

- სიტყვას არ აქვს განმარტება და იგი გადამისამართებულია თავის დერივანტზე, რომელსაც განმარტება აქვს, ან დერივანტი გადამისამართებულია მის ამოსავალ ფორმაზე, რომელსაც ახლავს განმარტება:  
აქოროდება – ნ. ქოროდინი  
ქოროდინი – მეტად გავსება ჭურჭლისა რამე ფხვიერით
- განმარტების არმქონე სიტყვა გადამისამართებულია თავის ფონეტიკურ ვარიანტზე:  
ელევენდი – ნ. ლევენდი  
ლევენდი – უცოლშვილო, მარტოხელა კაცი, ან უქმრო ქალი; მომცდარი, თავისუფალი
- განმარტების არმქონე სიტყვა გადამისამართებულია იმავე მნიშვნელობის, მაგრამ სხვა ბგერითი შედგენილობის სიტყვაზე, რომელსაც აქვს განმარტება:  
მოდგლეშილი – ნ. დუნდრუცი  
დუნდრუცი – ულაზათდ მოყვანილი, დიდი, მსხვილი (ქალი)

ზოგჯერ ლექსიკონში დერივანტები დამოუკიდებელ ლემებად არის გატანილი და შეიძლება ერთმანეთზე ჰქონდეთ მითითება.

გადამისამართება გვხვდება ილუსტრაციისა და განმარტების ველებშიც.

ილუსტრაციაში, ან განმარტებაში გამოყენებულ დიალექტურ სიტყვას აქვს შესაბამისი აღნიშვნა, რომელიც მიემართება ამავე ან სხვა ლექსიკონის სიტყვა-სტატას.

ყველა ამ შემთხვევაში გადამისამართებას აღნიშნავს **ნ.** შემოკლება, თუმცა გვაქვს **შდრ.** შემოკლებაც. ბუნებრივია, მათ განსხვავებული დანიშნულება აქვთ. თუ **ნ.** ლექსიკონის შიდა მიმართებებს აჩვენებს, **შდრ.** მკითხველს სხვა ლექსიკონის მასალაზე მიუთითებს.

#### 4.2 გადამისამართება ელექტრონულ ლექსიკონში

ელექტრონულ ლექსიკონში გადამისამართების სამი სახეა:

- **იგივე, რაც** ტიპის ბმული აკავშირებს ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვებს

- **იხილეთ** ბმული დერივანტებსა და სინონიმებს

- **შეადარეთ** სხვადასხვა ლექსიკონების სიტყვა-სტატაებს

სხვა ლექსიკონზე გადამისამართება ამჟამად არ აისახება პლატფორმაზე, მაგრამ ინფორმაცია ინახება ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკონის რედაქტორის სამუშაო სივრცეში, საიდან არ დაემატება ის ლექსიკონები, რომლებზეც არის გადამისამართება.

რაც შეეხება ლექსიკონის შიდა გადამისამართებას, თუ სიტყვას არ აქვს განმარტება და იგი გადამისამართებულია თავის დერივანტზე, რომელსაც აქვს განმარტება, ან პირიქით, დერივანტი გადამისამართებულია განმარტების მქონე ამოსავალ ფორმაზე, ამასთან, დერივანტს არ აქვს მიღებული დერივაციული პარადიგმისგან განსხვავებული მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე სიტყვა-სტატიიდან ვქმნით ერთ სტატიას, რომლის მეთაური სიტყვა არის დერივაციული პარადიგმის ლემა, ხოლო ლექსიკონში დაფიქსირებული დერივანტები მოთავსდება სიტყვათწარმოებითი ვარიაციის ველში.

სიტყვა შეიძლება გადამისამართებული იყოს თავის ფონეტიკურ ვარიანტზეც (მაგალითად, *დრამი – ნ. დრემი*). ასეთ დროს ჩვენ ორი სტატიიდან ერთს ვქმნით და ერთ-ერთ სიტყვას მეორის ფონეტიკურ ვარიანტად ვუთითებთ.

ილუსტრაციასა და განმარტებაში გამოყენებული დიალექტური სიტყვების გადამისამართების საჭიროება იხსნება იმით, რომ ჩვენ მათ სალიტერატურო ფორმით ვცვლით და, როგორც აღვნიშნეთ (იხ. 3.2), ამ სიტყვისთვის დამოუკიდებელ სტატიას ვქმნით.

## 5. შენიშვნები ზეჰდური ლექსიკონის სიტყვა-სტატიებში

ზოგჯერ განმარტებას მოსდევს შენიშვნა: „ადამიანზედაც იტყვიან“, „...ქალზედაც იტყვიან...“, ან შემოკლება **გადატ.** დამოუკიდებლად ან წინა სახის შენიშვნებთან კონტამინაციური ვარიანტით. ეს შენიშვნა ზოგჯერ გვიჩვენებს სიტყვის გამოყენების არესა და სიხშირეს.

ბონძვერა – ბანჯგვლიანი და უსუფთაო ძალლი. გადატ. ადამიანზედაც იტყვიან

მოცემულ შემთხვევაში, ჩანს, რომ, *ბონძვერა* მიემართება როგორც ცხოველს, ისე ადამიანს, მაგრამ ძირითადად გამოიყენება ძალლის აღსანიშნავად, ნაკლებად ადამიანის, ე.ი. შენიშვნა გვეუბნება, რომ ამ სიტყვას აქვს ერთი მნიშვნელობა – *ბანჯგვლიანი და უსუფთაო* და ის გამოიყენება სხვადასხვა სიხშირით ძალლისა და ადამიანის აღსანიშნავად.

სიტყვა-სტატია შეიძლება შეიცავდეს შენიშვნას იმავე ფორმულირებით, თუმცა ნაწილობრივ განსხვავებული ფუნქციით.

კაპარწახი – ციხის ძმარი, ცხარე ძმარი; მეტად კაპას ქალზედაც იტყვიან, კაპარწახიაო

ამ შემთხვევაში შენიშვნიდან ვიგებთ, რომ ერთი და იმავე ბგერითი მიმდევრობით გადმოიცემა ორი მნიშვნელობა, რომლიდანაც ერთი ძმარს მიემართება, მეორე ქალის დასახასიათებლად გამოიყენება.

უნდა დავაზუსტოთ, რომ *ბონძვერა*-ს შემთხვევაში შეიძლება ერთი, ინვარიანტული მნიშვნელობის დადგენა, რომელიც ასე აღიწერება: *ბანჯგვლიანი, უსუფთაო*. ეს ინვარიანტული მნიშვნელობა გადმოსცემს მდგომარეობას, რომლითაც ზოგადად ცოცხალი არსება შეიძლება დახასიათდეს, ე.ი. ის შეიძლება მიემართებოდეს როგორც ცხოველს, ისე ადამიანს და ამიტომ ვთვლით, რომ ესაა ერთი მნიშვნელობა, შენიშვნა კი მისი გამოყენების არესა და სიხშირეს აზუსტებს. ამის საპირისპიროდ, *კაპარჩაბი*-ს განმარტებიდან ჩანს, რომ ეს სიტყვა გადმოსცემს იმ თვისებას, რაც მხოლოდ არაცოცხალს ახასიათებს, ე.ი. თუ იგივე სიტყვა ცოცხალის დასახასიათებლად გამოიყენება, საქმე გვაქვს მეტაფორიზაციის გზით ახალი მნიშვნელობის განვითარებასთან, ორ განსხვავებულ მნიშვნელობასთან (Lakoff 2003).

## **6. ახალი სიტყვა-სტატიების შექმნა**

ზემოთ უკვე მოცემული იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა დამოუკიდებელ სიტყვა-სტატიას ვქმნით:

- ერთი და იმავე მნიშვნელობისა და სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის სიტყვებისთვის (იხ. 1.2)
- დიალექტური სიტყვებისთვის, რომლებიც განმარტებასა და ილუსტრაციაშია გამოყენებული (იხ. 3.2)
- დერივანტებისთვის, რომლებიც აღარ თავსდება დერივაციული პარადიგმის სემანტიკაში (იხ. 4.2)

ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სიტყვა-სტატიებს ვქმნით პრინციპით „ერთი სემა – ერთი სტატია“, ამიტომ ბეჭდური ლექსიკონის მოცემულობით პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობები ცალკე სტატიებად გაგვაქვს. ამ ნაბიჯის თეორიული ენათმეცნიერების ჭრილში განხილვისას, შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთეულებს ომონიმებად ვაფასებთ, თუმცა ამას მხოლოდ პრაქტიკული მიზანი აქვს. ჩვენ ფაქტობრივად სემების ლექსიკონს ვქმნით და არ ვეხებით პოლისემია-ომონიმისა თუ სიტყვის, სიტყვაფორმის განსაზღვრის საკითხს. ერთი მხრივ, სემების, ხოლო, მეორე მხრივ, შესატყვისების მითითება სალექსიკონო მასალას ეფექტურს ხდის სემანტიკური კვლევებისა თუ პრაქტიკული მიზნებისთვის, მაგალითად, თარგმანისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

**დარასელია, 2015** – ს. დარასელია, სადისერტაციო ნაშრომი „ქართულ-ევროპული ტიპის ახალი სასწავლო ლექსიკონების შედგენის საკითხები კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით“, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/sofiko\\_darasia.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofiko_darasia.pdf).

**მარტიროსოვი, 1985** – არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტური ლექსიკონის შესწავლისა და ლექსიკონების შედგენის ძირითადი საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIII, მეცნიერება, თბ., 1985.

**ცანავა, 2009** – რ. ცანავა, „მეტაფორა“, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009.

**შარაშიძე, 1938** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, კრებულში – გურული, ლეჩხუმური და ზემოიმერული ლექსიკონები, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბ., 1938.

**Béjoint, 2010** – Henri [Béjoint](#), The lexicography of English, Oxford University Press, Oxford, 2010.

**Lakoff** – George Lakoff, Mark Jonhsen, Metaphors We Live By, The

**Johnsen, 2003** – University Chicago Press, Chicago, 2003.

**Селегей** – Владимир [Селегей](#), Компьютерная лексикография, [http://www.lingvoda.ru/transforum/articles/selegey\\_a1.asp](http://www.lingvoda.ru/transforum/articles/selegey_a1.asp).

**Перванов** – Явор А. Перванов, Заметки по электронной лексикографии, [https://arxiv.org/pdf/1107.1753.pdf?origin=publication\\_detail](https://arxiv.org/pdf/1107.1753.pdf?origin=publication_detail).

## რ უ ს უ დ ა ნ ს ა ლ ი ნ ა ძ ე

### ზმნური სიტყვაწარმოების ერთი ტიპისათვის

### ზემოიმერულში

### (ქეთევან მოწინიძის სალექსიკონო მასალის მიხედვით)

სიტყვაწარმოებას, როგორც ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ პროდუქტიულ საშუალებას, ნებისმიერი ენის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ენის სისტემის ყველა დონეზე უკვე არსებული სიტყვათა მარაგის საფუძველზე დღე-ნიადაგ ჩნდება ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულები. ამ მხრივ გან-

საკუთრებით მდიდარია ქართული ენის დიალექტები. ის უნიკალური მასალა, რომელიც დაცულია როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ კილოებში, არის მნიშვნელოვანი წყარო ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის. ეს კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს იმ მკვლევართა ღვაწლს, რომელთაც დიდი შრომისა და ძალისხმევის ფასად უხდებოდათ და ახლაც უწევთ დიალექტური მასალის მოპოვება. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის – ქეთევან ძოწენიძის დამსახურება. „ართუ სპეციალისტი, არამედ ჩვეულებრივი მკითხველიც კი დაინახავს, როგორი შრომატევადი საქმიანობა უწარმოებია მას, რა უძვირფასესი ხალხური მარგალიტები შეუკრებია, როგორი გულმოდგინება და თავდადება გამოუჩენია კვლევა-ძიებისას“, – წერს მის შესახებ მ. ალავიძე (მ. ალავიძე, 1974, 3).

ქ. ძოწენიძეს შესწავლილი აქვს ზემო იმერეთის 82 სოფელი, სადაც ჩაწერილი დიალექტური ტექსტები თავმოყრილია წიგნში „ზემოიმერული კილოკავი“ (1973). მის მიერ მოპოვებული დიდძალი მასალა, მათ შორის, ბევრი სრულიად ახალი, ისეთი, რომელთაგან ზოგი არ გვხვდება ქართულ სალექსიკონო სივრცეში, ასახულია „ზემოიმერულ ლექსიკონში“ (1974). ქ. ძოწენიძის სამეცნიერო მემკვიდრეობას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, არამედ, საერთოდ, ქართველოლოგიისათვის.

ქ. ძოწენიძის მიერ ჩაწერილი დიალექტური ტექსტები და „ზემოიმერული ლექსიკონის“ მასალა იძლევა ნაყოფიერ ნიადაგს მისი მრავალმხრივი კვლევისათვის. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია სწორედ ამ მასალაზე, კერძოდ, „ზემოიმერული ლექსიკონის“ მონაცემებზე, დაყრდნობითა და ზემოიმერულისთვის დამახასიათებელ სიტყვაფორმათა მიხედვით ზმნური სიტყვაწარმოების ერთი ტიპის თავისებურებათა ჩვენება.

სიტყვაწარმოების ძირითად ტიპებად ქართულში მიჩნეულია დერივაცია და თხზვა, ანუ კომპოზიცია. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, „წარმოქმნას (დერივაციას), როგორც სახელთა შექმნის ერთერთ საშუალებას, უპირისპირდება თხზვა (კომპოზიცია)“ (ა. შანიძე, 1980, 147). ჩვენ შევხებით ქ. ძოწენიძის „ზემოიმერულ ლექსიკონში“ მოცემულ თხზულ (კომპოზიტურ) ზმნურ დერივატებს, რომელთაც განვიხილავთ სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტით სხვა ქართუ-

ლი ენის განმარტებითი და დიალექტური ლექსიკონების მონაცემთა გათვალისწინებით.

ქართულში პრეფიქსაციასა და სუფიქსაციასთან ერთად გავრცელებულია ერთდროულად სიტყვათა პრეფიქს-სუფიქსური ანუ კონფიქსური წარმოება. ამით იგი განსხვავდება სხვა ენათაგან, კერძოდ, ისეთთაგან, რომლებშიც სიტყვათა წარმოქმნა ძირითადად ხდება პრეფიქსებით ან სუფიქსებით. ასეთია, მაგალითად, გერმანული ენა, სადაც ზმნები იწარმოება პრეფიქსებით. „სიტყვაწარმოების ტიპების განსხვავებული გავრცელება გერმანულსა და ქართულ ენებში განპირობებული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ამ ენებს შორის არსებული გრამატიკული განსხვავებებით, რაც გამოწვეულია მათი კუთვნილებით ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპისადმი. ქართული ენა, როგორც ცნობილია, შერეული ტიპის ენაა. იგი როგორც აგლუტინაციური, ისე ფლექსიური ენის ნიშნებს ავლენს. გერმანული კი ფლექსიურ ენათა ჯგუფში შედის. აგლუტინაციური ენები გამოირჩევიან აფიქსების სიმრავლით, ხოლო ფლექსიური ენები – დიდი სიტყვაწარმოებითი პოტენციალით“ (ქ. ნიკოლაძე, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/78>).

ქართულში ახალ-ახალი ზმნური ერთეულები იწარმოება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთაგან ძირზე ზმნური ელემენტების დართვით, ანუ ხდება სათანადო ზმნური მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენება და დერივატის შესაბამის ყალიბში მოქცევა. ზმნურ სიტყვაწარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზმნისწინი. ხშირად მას შეაქვს, ჩვეულებრივ, ზმნაში ახალი სემანტიკური ნიუანსი. ესაა ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ფუნქცია.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია ქართულში სახელთაგან ზმნების წარმოება, ნასახელარი ზმნები. ამოსავალი სიტყვისაგან ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების მიღებას ალ. ლლონტი უწოდებს „სიტყვის გადასვლას ერთი თანრიგიდან მეორეში“. მას სახელის ფუძისაგან ზმნის წარმოქმნა ქართული ენის სიტყვაწარმოების ერთ-ერთ უძველეს თვისებად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ ასეთი წარმოებით განსაკუთრებით მდიდარია „ვეფხისტყაოსანი“. ზმნის თანრიგში გადასული სუბსტანტივების მაგალითებში (აბინდებს, ადილებს, აზეწრებს... ) მეცნიერი პოემიდან ასახელებს ისეთ თხზულ (კომპოზიტურ) ზმნებს, როგორებიცაა: იქედგოროსა, აქვიტკირა, ითვალტვინოს (ალ. ლლონტი, 1971, 45-46).



ქ. მოწენიძის სალექსიკონო მასალაში გამოიყოფა მარტივფუძიანი და თხზული (კომპოზიტური) ზმნური დერივატები. მარტივი ფუძეებისაგან არის ნაწარმოები, მაგალითად, ისეთი ზმნები, როგორებიცაა: **გადეიამიდებს** (გამოიდარებს), **გააწყალებს** (მოსპობს, ამოწყვეტს), **გააუმბრულავს** (უმტყუნებს, გადაუხვევს), **გააჯავახებს** (გალანძლავს), **ალომევს** (ახელებს), **ატილოევს** (ტილოთი ამშრალავს), **გაახანინებს** (დააყოვნებს, დაახანებს), **გადაწვენამს** (წვენს გადაღვრის), **ბჰორიკანაოვს** (ჰორიკანობს), **აფერდება** (ფერს შეიცვლის, შეეცვითლდება), **გარილოვდება** (თოვლი ალაგ-ალაგ გადნება), **გაკარქულავს** (კარგად, თანაბრად გაანაწილებს), **გაამგუნებს** (გააცუდებს, წაახდენს, გააფუჭებს), **გააწმინდავებს** (გაწმენდს), **გადაუგნურდება** (შეიშლება, აირევა, გონებას დაკარგავს), **გადაზევს** (გადასწევს) და უამრავი სხვა. ჩვენ „ზემოიმერულ ლექსიკონში“ ცალკე ტიპად გამოვყოფთ ასევე საკმაოდ პროდუქტიულ თხზულ (კომპოზიტურ) ზმნებს. მათი უმრავლესობა არ გვხვდება ქართული ენის განმარტებითა და დიალექტურ ლექსიკონებში (თუ არ ჩავთვლით, მაგალითად, მ. ალავიძის, პ. გაჩეჩილაძის, ალ. ლლონტის... ლექსიკონებს).

თხზულ ზმნურ ლექსიკურ ერთეულებს განვიხილავთ სტრუქტურის, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რისგან არის ნაწარმოები თითოეული მათგანი, ასევე სემანტიკური ასპექტითაც. საანალიზო ზმნათა თხზული ფუძის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება იყოს:

**არსებითი სახელი + არსებითი სახელი:**

**ახართოხებს** (< ხარ-თოხ-ი) – ხარით დახნულს თოხით ამოშავეებს, ბელტებს აფხვიერებს. *ქალები ახართოხებენ ხნულსა* (წაქვა) (გვ. 39).

**თავქედურობს** (< თავ-ქედ-ი) – თავხედობს. *ესი თავქედურაფს* (მერჯევი) (გვ. 162). აქვეა მოცემული ზმნისართი **თავქედურათ** (= თავხედურად). ვფიქრობთ, **თავხედობს**, **თავხედურად** მიღებულია ფონეტიკური ცვლილების შედეგად **თავქედურობს**, **თავქედურად** სიტყვათაგან. შდრ. იმავე სემანტიკური ველის **ქედმაღალი**, **ქედმაღლობს**;

**ისულთქმევს** (< სულთქმა) – ისუნთქებს. *ისულთქმე ნამთით და იმ წუთათ გაგამკურნალავს* (ხვაშითი) (გვ. 178); განსხვავებული სემანტიკის მქონეა ამავე ძირისაგან ნაწარმოები **მო-** ზმნისწინიანი

**მოსულთქმამს**, რაც ნიშნავს **მოსულთავს**, ანუ 1. მოხუთავს. 2. გააჩუმებს, ხმას გააკუმენდინებს (გვ. 260);

**მეიგულისჭირეფს** (< გულისჭირ-ი) – გულს მოიჯერებს. **მეიგულისჭირეფს** თოვლი და გამოვა ამიდი (შომახეთი) || გადაიტანს გაჭირვებას, ავადმყოფობას. **მე ქე მეიგულისჭირეფე ჩემ ავანტყოფობას** (ფარცხნალი) (გვ. 238);

**მიითავებელეს** (< თავ-ხელ-ი) – ხელში ჩაიგდებს, არაწესიერი გზით მიითვისებს. **ალბათ ვერ მიითავებელეს სუყველიფერი და ბოვშის ფეხსაცმელები დეეტოვებიათ** (ჯალაურთა) (გვ. 244). ამავე მნიშვნელობისაა **მოათავებელეს** – ხელში ჩაიგდებს. **თუ რამე მოათავებელა, უნდა გასინჯოს თავისი ხელით** (გვ. 249). ვერც **მი-** და **მო-** ზმნისწინები და ვერც სასუბიექტო და ნეიტრალური ქცევის ხმოვანპრეფიქსები **ი-** და **ა-** ვერ ქმნიან მოცემულ ზმნურ ფორმათა სემანტიკურ სხვაობას, თუმცა ქვემოიმერულში ჩვენ დავადასტურეთ ნეიტრალური ქცევის **მი-** ზმნისწინიანი ფორმა **მიათავებელა**, რაც ნიშნავს რისამე, კერძოდ, საქმის, მოწესრიგებას: საქმე მიათავებელა;

**შეუსახლიკაცდება** (< სახლიკაც-ი) – სახლი[ს]კაცივით დაუმობილდება. ... (ისინი) **ჩვენ ბაბუას შესახლიკაცებოდენ**, ერთათ ეცხოვრებით რამოდენიმე ხანი და მერე დათავთავისდენ (გვ. 437);

**ჩოუგულისხმდება** (< გულისხმა) – გულისხმიერად მოევიდება. **ძალიან ჩოუგულისხმდი სწავლას...** (გვ. 456)

**ხელაქმოფს** (< ხელსაქმე) – საქმიანობს, ხელსაქმობს. **იქ სუყველა ხელაქმოფს** (ქორეთი); **ეფროსია ხელაქმოფს** (შომახეთი) (გვ. 506). **ს-** დაკარგულია ზემოიმერულში არსებულ სახელურ ფუძეებშიც: **ხელაქმარი** || **ხელაქნარი** – ხელსაქმე (იქვე). **ხელაქმოფს** მიღებული უნდა იყოს მოცემულ თხზულ სიტყვათაგან...

**ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი:**

**ამოაწმინდაწყლეფს** (< წმინდა წყალ-ი) – ...ქვევრებისა და ჭურების რეცხვის დროს, როცა წმინდა წყალი ამოდის და აღარ უნდა რეცხვავი მეტი, ბოლოს საწმინდაოთ ამოვავლებთ წმინდა წყალს – **ამოვაწმინდაწყლეფთ** (ქორეთი); **ჭურის რეცხვა მთავრდება მაშინ, როცა იგი ოფიჭოს (სარცხლის) სუნს უშვებს ჭურში. მერე წმინდა წყალს გამოვავლეფთ, ე.ი. ამოვაწმინდაწყლეფთ და მერე ღვინო ჩეისხმება** (ჩიხა) (გვ. 25);

**ამეიზენაქრეფს** (< ზენა ქარ-ი) – ზენა ქარი ჩადგება. **ამეიზენაქრეფს და ამიდი შეიკვლება** (ზარანი, მანდაეთი) (გვ. 24);

**ამეიქვენაქრეფს** (< ქვენა ქარ-ი) – დასავლეთის (ქვენა) ქარი ჩადგება. *ამეიქვენაქრეფს და კაი ამიდი დადგება* (ზარანი); *ამეიქვენაქრა და და იქნებ ამიდი იყოს* (შომახეთი); *მადლობა ღმერთს, ამეიქვენაქრა და დარი იქნება* (ჯალაურთა, ზვარე) (იქვე);

**აშუადღეფს** (< შუა დღე) – შუადღისას ისვენებს. *ჩვენ არ ვაშუადღეფთ საქონელს, – არ ვასვენებთ შუადღეზე, დილიდან საღამომდე ვაბალახებთ* (მოხვა) (გვ. 37); სემანტიკა იგივეა ამავე თხზული ძირის მქონე **მე- (< მო-)** ზმნისწინიან ზმნაში **მეიშვადღეფს** (< შვადღე < შუადღე) – შუადღეზე დაისვენებს. *საქონელი შევიყვანეთ და უნდა მეიშვადღოს* (გვ. 238);

**იკაიდღეოს** (< კაი დღე < კარგი დღე) – კარგად იყოს, იდღეგრძელოს. *ოღონდ გრიგოლმა იკაიდღეოს, მე ყველაფერს დავთმოფ* (ღარიხევი) (გვ. 174)...

**რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი:**

**ამოასამწვეროფს** (< სამ-ი წვერ-ი) – სამ წვერს შეაერთებს ძაფისას. *ძაფი უნდა ამოასამწვერო და მერე უნდა დაძახო* (ღარიხევი) (გვ. 25);

**დაათხფებებს** (< თხ-ი ფეხ-ი) – 4-4 კონა ჩალას ერთად თავმიდებით მიაყუდებს. *კონეფს რო მიაყუდებენ, იტყვიან: დავათხფებე ჩალო* (მახათაური) (გვ. 110);

**დასამყურდება** (< სამყურ) – ახალმოსული სიმინდი სამ ფოთოლს გამოიღებს. *რო დასამყურდება სიმინდი, მერე უნდა თოხი* (გორისა) (გვ. 125)...

„ზემოიმერულ ლექსიკონში“ დადასტურებულ თხზულ ზმნებში ცალკე გამოვყოფთ **რედუბლიკაციის** რამდენიმე შემთხვევას:

ა. ზმნა ნაწარმოებია გაორკეცებული ფუძისაგან:

**ილუყლუყეფს** (< ლუყ-ლუყ) – იყბედებს, უმწოდ ილაპარაკებს. *ილუყლუყოს ვანიას ტერებმ, აწი გეიღონ აპა ხმაი* (ტაბაკინი) (გვ. 175);

**იწყალწყალავეფს** (< წყალ-წყალ) – კარდაკარ, წყალ-წყალ ივლის, შემწეობას ითხოვს. *...მე არ ვიწყალწყალავე, მარა ისევ-ისევ ცოცხალი ვარ* (წიფა) (გვ. 180). ჩვენი აზრით, ზმნის მნიშვნელობა დაკავშირებული უნდა იყოს არა წყალთან, არამედ წყალობასთან;

**მაშმაშოფს** (< მაშმაშ) – დულს. *...ტკბილი მაშმაშობს უკვე* (ზედა საქარა) (გვ. 235). სრულიად განსხვავებული სემანტიკის მქონეა **მი-** ზმნისწინიანი ნეიტრალური ქცევის ზმნა **მიამაშმაშეფს** – შეინა-

ხავს. ხილი ადრე **მიგიბამაშეზია**, რო არ გაგიფუჭტეს (შომახეთი) (გვ. 243);

**უკაპკაპოფს** (< კაპკაპ) – უკანკალებს. **უკაპკაპოფს ნიკაპი** (ფუ-თი) (გვ. 372);

**ციხციხოზს** (< ციხციხ) – ცახცახებს. **რას ციხციხოფთ**, შედის სახში (ზოსლევი) (გვ. 463)...

**ბ.** ზმნის ამოსავალ გაორკეცებულ ფუძეში დისიმილირებულია თანხმოვანი:

**იხირხილფეს** (< ხირხილ) – უწესოდ იცინებს. **აგრე იხირხილეთ და იყავით** (ტაბაკინი) (იხ. შარაშ., განმარტ. ლექს., გურ. ხირხიცი) (გვ. 181);

**მოგურგულდება** (< გურგულ < გულგულ) – გამაგრდება (იხმარება შეშინებულის ლოცვაში). **გულო მოგურგულდი, თვარა კარში გელი გიკბენს** (შომახეთი) (გვ. 251);

**მოოგვარგვალფეს** (< გვარგვალ < რგვალრგვალ < რგვალ) – მოაგუნდავებს ცომს. **სანამ ამას მოოგვარგვალეზდე, მევიტან მანამდი წყალს** (ლელვანი) (გვ. 255);

**მოუბურბურფეს** (< ბურბურ) || **მოუბურბულფეს** (< ბურბულ) – თოვლს მოაყრის. **მოუბურბულა თოვლმაო, – ვიტყვით, ჩქარი თოვა რო იქნება, ფთილა-ფთილა რო ჩამოდის** (სვერი) (გვ. 261). იმავე მნიშვნელობისაა უზმნისწინო **უბურბულფეს** – ბურბული გააქვს, თოვლის ფიფქი ჰაერში ტრიალებს. **რანაირათ უბურბულფეს თოვლის ფიფქი** (ზარანი) (გვ. 371). **ბურბული** ნიშნავს ქარისაგან ჰაერში ატანილი თოვლის ტრიალს (იხ. განმარტ. ლექს., დიალექტ., რაჭ. თოვლის ბურბული; შდრ. ჭყ. ბურბური) (გვ. 60);

**ქორქოლოფს** (< ქორქოლ) – ქორქოლი გააქვს, ხმიანობს (ზარანი) (გვ. 407); განსხვავებული სემანტიკის მქონეა **შამო-** (< **შემო-**) ზმნისწინიანი **ქურქულ** ძირის ზმნა **შამოქურქულოფს** (< ქურქულ) – ქურქულით შემოდის, მოქრის. გამოდიოდა სიცივეებში, **შამოქურქულობდა** (უჩამეთი) (შდრ. განმარტ. ლექსიკ. ქურქულფეს) (გვ. 431). **ქურქული** „ზემოიმერული ლექსიკონის“ მიხედვით ნიშნავს ქროლას (გვ. 409). ქეგლში დამოწმებულია მხოლოდ გურული კილოს მნიშვნელობა: ნაძალადევი კვნესა ავადმყოფისებურად (გ. შარაშ.). იმავე მნიშვნელობისაა **ქურქულფეს** ზმნა: ნაძალადევა კვნესის ავადმყოფისებურად, – კრუსუნებს (<http://www.ena.ge/explanatory-online>);

**წორწილოფს** (< წორწილო) – წონასწორობას ვერ იცავს. **წორწილოფს** ე ბიჭი, საღა უნდა წახვიდე ემის პატრონი? (ხვაშითი) (გვ. 486);

**წაბარბუცეფს** (< ბარბუც < ბარბაც) – წაბარბაცეფს. **წნევა წამაბარბუცეფს** ხომე (დილიკაური) (გვ. 474);

**დაგაჯამჯავეფს** (ჯამჯავ < ჯამჯამ) – მაგრად სცემს, დაამჯავეფს. **ჭკუით იყავი, თვარა დაგაჯამჯავეფ** (ჩიხა) (გვ. 112). ზმნა ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვისაგან **ჯამჯამა** (გვ. 525). იგი სინონიმია სიტყვისა **კრიჭა**, რაც ზემოდიმერულში ნიშნავს: ხვიმირის გაწვრილებულ ბოლოზე (ყელზე) მიკრულ თუნუქის ან ხის ღარს, რომელიც სარეკელას საშუალებით აწესრიგებს სიმინდს თანაბარი რაოდენობით, მარცვალ-მარცვალ მიწოდებას საფქვავე ქვისათვის... (გვ. 209).

**გ.** ზმნების ამოსავალ გაორკეცებულ ფუძეში ასიმილირებულია თანხმოვანი:

**მეერყვირყვიტება** (< ყვირყვიტ) – ყელში ამოუვა, მოაწვება. **მეერყვირყვიტებათ** მარტო ყურძენი ყელში (გვ. 237);

**ყურყუტეფს** (< ყურყუტ) – უცდის. **მთელი დღე ყურყუტა ექიმსა და არ მევიდა** (ტაბაკინი) (გვ. 379). ქ. ძოწენიძეს აქვე აქვს მითითებული დ. კლდიაშვილის მიხედვით **ყურყუტი**, რაც ნიშნავს ასევე დიდხანს ლოდინს, ცდას. იმავე სემანტიკით არის ეს სიტყვა გურულში, სხვაგან კი, მაგალითად, კახურში ნიშნავს ბეჩავს, გადაყრუებულს (ალ. ლლონტი, 1984, 617). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ამ სიტყვას აქვს ორი მნიშვნელობა: 1. საუბ. დიდხანს ლოდინი, ცდა. 2. კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ჩერჩეტი. ყურყუტს არ ესმოდა, რა ხიფათი მოელოდა (თ. რაზიკ.). განმარტებითი ლექსიკონში არ არის მითითებული სხვა დიალექტური (იმერ., გურ., კახ.) მონაცემები...

**დ.** ზმნის ამოსავალი გაორკეცებული ფუძე და კავშირიანია:

**შებელდახელდება** || **შეუხელდახელდება** (< ხელდახელ) – ხელდახელ ეცემა. **შებელდახელდენ**, აღარ ზოგავდენ ერთმანეთს (გვ. 438); იმავე სემანტიკისაა **ჩა-** ზმნისწინიანი **ჩახელდახელდება** (გვ. 450)

გვხვდება ნაცვალსახელური რედუქციკაციის შედეგად მიღებული ფუძისაგან ნაწარმოები ზმნა **დათავთავისდება** (< თავ-თავის) – თავ-თავისთვის წავლენ, განცალკევდება, დაიყოფიან. **რო მოზრავლდენ, მერე დათავთავისდენ** (გვ. 116). როგორც ავტორი მითითებებს, აღნიშნული ფორმა გამოიყენება მრავლობით რიცხვში.

თხზულ ზმნათა საწარმოებლად გამოყენებულია **მი-** და **მო-** ზმნისწინთა მონაცვლეობით მიღებული ფუძეები. ასეთია:

**მირებ-მორებას** – მიყრი-მოყრის. *მევრებ-მოვრებზე ეს ბიჭები* (ხიდარი) (გვ. 245). **რეში** ზემოიმერულში ნიშნავს დიდ წვიმას, თავსხმას (გვ. 311);

**მირებ-მორებას** – მიამტვრ-მოამტვრევს. *მირებ-მორება პაწია აგურები* (ვახანი) (გვ. 245). **რეხი** ზემოიმერულში ნიშნავს უხემს (გვ. 311);

**მიჯანგრამ-მოჯანგრამს** – ნაჩქარევად, ულაზათოდ, უსუფთაოდ გააკეთებს (გვ. 248)...

როგორც ცნობილია, ენისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა მისწრაფება ეკონომიურობისაკენ, სათქმელის გამოხატვა ზმნის ორგანული წარმოების ფორმებით. ეს ტენდენცია კარგად ჩანს „ზემოიმერულ ლექსიკონში“. მასში მოცემულ თხზულ ზმნათა ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ეკონომიურობის პრინციპის გამოყენება ზემოიმერული კილოკავისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა. მიგვაჩნია, რომ ქ. მოწენიძის საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი, ფორმათა წარმოებით ძალზე საინტერესო სალექსიკონო მასალა უნდა აისახოს ქართული ენის განმარტებითა და სხვა სახის ლექსიკონებში და იქცეს შემდგომი, უფრო მეტად სიღრმისეული კვლევის საგნად.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ალავიძე, 1974** – ალავიძე მ., „ზემოიმერული ლექსიკონის“ შესახებ: ქ. მოწენიძე „ზემოიმერული ლექსიკონი“, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1974.

**ნიკოლაძე,** – ნიკოლაძე ქ., სიტყვაწარმოების ადგილისათვის ლინგვისტიკაში ქართული და გერმანულენოვანი საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/78>

**ორბელიანი** – ორბელიანი ს.ს., სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი: <https://tr.scribd.com/document/324335083/სიტყვის-კონა-ქართული>

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: <http://ena.ge/explanatory-online>

**ღლონტი, 1984** – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1984.

**ღლონტი, 1984** – ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1984.

**შანიძე, 1947** – შანიძე ა., თხზულებანი, III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1947.

**ძოწენიძე, 1974** – ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1974.

## მ ე დ ე ა    ს ა ლ ლ ი ა ნ ი

### ელიზია თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ჩოლურულ მეტყველებაში

ჩოლურულ მეტყველებას ახასიათებს სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური) დიალექტებისაგან განსხვავებული ერთი მეტად საინტერესო თავისებურება, კერძოდ, ზმნისწინისეული ხმოვნის ელიზია თანხმოვნით დაწყებული ფუძეების (*ზმნების, ზმნისართების, ნაწილაკების...*) წინ. აღნიშნულ მოვლენას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ლ. ბაბლუანმა (იხ. სვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებანი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001), რომელმაც არაერთი მაგალითი გამოავლინა **ქა-** და **სგა-** ზმნისწინისეული ხმოვნის მოკვეცისა ზმნებში **ხ** და **ლ** თანხმოვნების წინ (მაგ.: **ქ'ხუქუქუნე** ← **ქა ხუქუქუნე** „ვეტყვი“, **ქ'ხუნდენი** ← **ქა ხუნდენი** „შეხედავს, დაინახავს“, **ქ'ხაკენა** ← **ქა ხაკენა** „ახვევია, შემოხვეული აქვს“, **სგ'ხარ** ← **სგა ხარ** „შეუდგება“, **ს'ლოხუნდად** ← **სგა ლოხუნდად** „შეუდექით“, **ს'ლესგვრანხ** ← **სგა ლესგვრანხ** „შეევედრნენ“...), თუმცა დაწვრილებითი ანალიზი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღემდე არ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში.

ჩვენი დაკვირვებით, ელიზია ხორციელდება არა მხოლოდ აღნიშნული თანხმოვნებით დაწყებული ზმნების წინ, არამედ **ლ, მ, ჩ** და **ა. შ.** თანხმოვნებით დაწყებული ზმნებისა და, აგრეთვე, თან-

ხმოვნით დაწყებული ზოგიერთი ნაწილაკის წინაც, რომელიც წინ უძღვის რომელიმე ზმნის პირიან ფორმას. აღსანიშნავია ისიც, რომ **ქა-** და **სგა-** ზმნისწინის გარდა თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ელიზია მოსდის ჩოლურულ მეტყველებაში ოთხივე (**ჟი, ჩუ, სგა** და **ქა**) ზმნისწინ-თანდებულს, რაც მას არსებითად განასხვავებს სვანურის დანარჩენი კილოებისაგან. ჩოლურულის ეს თავისებურება კი, როგორც უამრავი სხვა თავისებურება, შესაძლოა, ე. წ. „ეკონომიურობის პრინციპით“ აიხსნას, რასაც, ვფიქრობთ, მეტყველების სწრაფი ტემპი, მთქმელის შინაგანი დამოკიდებულება საკითხისადმი, ანუ ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა განაპირობებდეს: მის ცნობიერებაში დაკარგული *სიტყვა (ბგერა, მარცვალი)* არსებობს, თუმცა სწრაფი მეტყველების დროს იჩქმალება და ეს მისთვის სრულიად ბუნებრივია (იხ. მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ეკონომიურობის პრინციპისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVIII, თბ., 2017, გვ. 36-38).

თვალსაჩინოებისათვის დაწვრილებით წარმოვადგენთ სათანადო საილუსტრაციო მასალას, რომელიც ძირითადად ამოღებულია ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფელში საველე პირობებში მოძიებული ტექსტებიდან.

**ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა**

წინდებულ-თანდებული **ჟი + ხ**-თანხმოვნიანი ზმნის პირიანი ფორმები:

**ქ'ხოსყახ – ჟი ხოსყახ** „გაუკეთებიათ“ (**ჟი + ხ = ჟ**)

სგ'რდე, ჩ'ოსგუ ი ალე ლიტერალ **ქ'ხოსყახ** სერ ლერექტჟი ქიქან, მინე-მინე სკამარჟი რ (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „შევედი, დავჯექი და ეს რევოლვერები დაწყობილი აქვთ ტანსაცმლის ზემოდან, თავ-თავიანთ სკამებზე (ზედმიწ. – შევედი, დავჯექი და ეს **რევოლვერ**-ებ-ი უწყვიათ მოკლეთ ტანსაცმელზე ზემოდან, თავ-თავიანთ **სკამ**-ებ-ზე)“

**ქ'ხატყა – ჟი ხატყა** „აამრობდა“ (**ჟი + ხ = ჟ**)

ექიმბაშთე ადესდახ, ეჯა ქუხს **ქ'ხატყა** ი ეჩანლო ხეცმენრო ჟანგ (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 29 წლისა) „ექიმბაშთან მიჰყავდათ, ის მუწუკს აამრობდა და შემდეგ ესმებოდა წამალი (ზედმიწ. – **ექიმბაშ**-[ის]-კენ წაიღებდნენ, ის მუწუკს აამრობდა და მას მერე ესმებოდა წამალი)“

**ქ'ხაცყედა – ჟი ხაცყედა** „ჩაარჭობდა“ (**ჟი + ხ = ჟ**)



ლადღტერს ქორა მწრე იმხოშდა ი **ქზაცყედა** გაკრა ნაკტიშს (მივლინ. მასალ., მთქმელი: სპარტაკ შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 38 წლისა) „საზღვრებს ოჯახის უფროსი განაგებდა და [საზღვარზე] არ-ჭობდა კაკლის ჯოხს (ზედმიწ. – სა-**ზღვარ**-ს სახლი[ს] კაცი ბატონობდა და ჩაარჭობდა **კაკლ**-ი[ს] ნატეხს)“

**ქზაგემზ** ← **ქი ხაგემზ** „დააწყობენ, ააშენებენ, ააგებენ“ (**ქი + ხ = ქ**)

**ქზაგემზ** ემზტწრჟი კწრალს (მივლინ. მასალ., მთქმელი: სპარტაკ შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 38 წლისა) „ერთმანეთზე დააწყობენ ხოლმე ფიქალ ქვებს (ზედმიწ. – და-ა-**დგ**-ამ-ენ ერთმანეთზე ფიქალ-ლებს)“

**ქზაყტჩე** ← **ქი ხაყტჩე** „დაამტვრევს“ (**ქი + ხ = ქ**)

**ქზაყტჩე** უღტწ ლაგდურს თხუმჟი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნუგზარ შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 68 წლისა) „თავზე ამტვრევს უღლის ჯოხს (ზედმიწ. – დაამტვრევს **უღლ**-ი[ს] მოსაკიდებელს თავზე)“

**ქზაშგზე** ← **ქი ხაშგზე** „ამოაძრობს“ (**ქი + ხ = ქ**)

ჩის მწ ხაძმედა ეჩა ლიმშედწალ, მიშგტიდი ლანდისა **ქზაშგზე** პაწკერს ცხახენჟი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველევი, 62 წლისა) „ყველას არ შეუძლია იმისი მკურნალობა, დედაჩემი ერთ წამში აძრობს ხიჭვს ფრჩხილიდან (ზედმიწ. – ყველას არ ე-ი-**მედ**-ებ-ა იმისი შველა, ჩემი **დე-და** წამში ამოაძრობს ხიჭვს რჩხილიდან)“ და ა. შ.

**შენიშვნა:** ჩოლურულ ტექსტებში დავადასტურეთ **ქსაყედა** (← **ქი ასაყედა**) „გააკეთებდა“ ტიპის თითოთოროლა ფორმა, სადაც მორფემათა ზღვარზე მოსალოდნელი იყო არა **ქი + ხ**, არამედ **ქი + ას**, ასეთ შემთხვევაში **ი + ა** ხმოვანთკომპლექსიდან ერთ-ერთი ხმოვანი უნდა დაკარგულიყო, კერძოდ კომპლექსის პირველი კომპონენტი, თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, კომპლექსის ორივე ხმოვანი დაიკარგა, შედეგად კი მორფემათა ზღვარზე თანხმოვნებმა მოიყარეს თავი.

წინდებულ-თანდებული **ჩუ + ხ**-თანხმოვნისანი ზმნის პირიანი ფორმები:

**ჩხოძგტრბა** ← **ჩუ ხოძგტრბა** „ჩამოუგლეჯია“ (**ჩუ + ხ = ჩ**)

ბოლოს ეშუჟ ჭყინტ ქწმკერელი ი **ჩხოძგტრბა** ალე სანიშნე (მივლინ. მასალ., მთქმელი: გიორგი ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 14

წლისა) „ბოლოს ერთი ბიჭი მივარდნილა და ჩამოუგლეჯია ეს სანიშნე (ზედმიწ. – ბოლოს ერთი ბიჭი გაფრენილა და ჩამოუგლეჯია ეს სანიშნე)“

**ჩხოშტახ – ჩუ ხოშტახ** „უნთიათ“ (**ჩუ + ხ = ჩ**)

ეჯი ერ ემკედელი, **ჩხოშტახ** თურმე კოცონშალ ნემეს აღდარს, ზურღარს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „ის რომ მოსულა, ამათ, ქალებს კოცონივით ცეცხლი უნთიათ თურმე (ზედმიწ. – ის რომ მოსულა, დაუნთიათ თურმე **კოცონ**-ი-ვით ცეცხლი ამეებს, ქალებს)“ და სხვ.

წინდებულ-თანდებული **ქა + ხ**-თანხმოვნიანი ზმნის პირიანი ფორმები:

**ქხეწდენოლ – ქა ხეწდენოლ** „დანიახავდი“ (**ქა + ხ = ქ**)

ტუბის ხაყლებ ეჯის, ე, ლელზიგ ადგილს, ჟიქანჩუ ხოსდი ტუბის, მარე კვლთხი ლი ეჯი, ხოშა ფრექ ხარ ეჩეჭუნენ, ეჯისი **ქხეწდენოლ**, ეჩა კოჯი თხუშყი ეკლესია ლი მაცხუნარ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „ტვიბს ემახიან იმას, ე, დასახლებულ ადგილს, ზემოდან დაჰყურებს სოფელ ტვიბს, მაგრამ მაღალია ის, დიდი დაქანებული ადგილი აქვს იქ, იმასაც დანიახავდი, იმისი კლდის თავზე მაცხოვრის სახელობის ეკლესია დგას (ზედმიწ. – ტვიბს ემახიან იმას, ე, დასახლებულ **ადგილ**-ს, ზემოდან უყურებს ტვიბს, მაგრამ მაღალი არის ის, დიდი **ქარაფ**-ი აქვს იქ, იმასაც დანიახავდი, იმისი კლდის თავზე ეკლესია არის **მაცხოვარ**-ი)“

**ქხუწეწ – ქა ხუწეწ** „ვნახე, დავინახე, შევხედე“ (**ქა + ხ = ქ**)

ერ ტულდახ ეჯჟი მამ ...მედე..., მიხლდა ი ერ ოდე, **ქხუწეწ**, ამჟი ლემარ ზუსტად (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „რომ ამბობდნენ ისე არ ...ისა..., ვიცოდი და რომ მივედი, ვნახე, ასე ყოფილა ზუსტად (ზედმიწ. – რომ ამბობდნენ ისე არ ...ისა..., ვიცოდი და რომ წავედი, დავინახე, ასე ყოფილა ზუსტად)“

**ქხუაქუცედე – ქა ხუაქუცედე** „მოვაჭრით“ (**ქა + ხ = ქ**)

ეჯი სემი კირტენხენქა **ქხუაქუცედე** ი კუტეკქელულარს ჩუ ცურედ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გუა ხაბულიანი, სოფ მუწდი, 50 წლისა) „იმ სამ კელაპტარს მოვაჭრით და სულ პატარებს ვტოვებთ (ზედმიწ. – იმ **სამ**-ი **კერეონ**-ი-დან-გა გამოვაჭრით და პაწაწკინტელებს დავტოვებთ)“ და მისთ.

**ქა** ზმნისწინისეული ხმოვანი იკარგება, ასევე, ზმნებში **მ** თანხმოვნის წინაც, მაგ.: წინდებულ-თანდებული **ქა + მ**-თანხმოვნიანი ზმნის პირიანი ფორმები:

ეჯინემ ჩუამნაქტე, ნინქა ლექტორს მაგ **ქმასჩუქტრე** (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნუგზარ შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 68 წლისა) „იმან გამაგიჟა, უამრავი რამ მაჩუქა (ზედმიწ. – იმან გადამრია, **ენა-ზე** სათქმელი ყველა[ფერი] მ-ა-**ჩუქ-ა**)“

ელო მამნე, **ქმადრის** ნაკულარ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნატო შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 35 წლისა) „თუ მაჭმევ, მადირსე ლუკმები!“

ალეს მარ ჟელი წიწილ იმინა, ჩიქე **ქმითონე** გიმ ი ეჩნლო მეპრუწ მაჯიდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: შორენა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 29 წლისა) „ამას ვინ მამამადლი გააკეთებდა, ჯერ მომიჩინა მიწა და მერე უარი მითხრა (ზედმიწ. – ამას ვინ **მადლ-ის**ს **წიწი-ლა** იქმოდა, ჯერ მიმასწავლა მიწა და მერე უარი მტკიცა)“ და ა. შ.

წინდებულ-თანდებული **სგა + ხ**-თანხმოვნიანი ზმნის პირიანი ფორმები:

**სგ ზეჩდახ – სგა ზეჩდახ** „გარეულია, შერეულია“ (**სგა + ხ = სგ**)

ჩუესგურდახ აჯალ თურმე ი თათბირ ჩაბარა აჯალ მახან ი ალ მნრე **სგ ზეჩდახ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „ისევ დასხდნენ თურმე და ისევ თათბირი ჩაატარა და ეს კაცი მათშია გარეული (ზედმიწ. – ჩამოსხდნენ კიდევ თურმე და თათბირი ჩაატარა კიდევ ხელახლა და ეს კაცი ურევიათ)“

**სგა ხეზრიან – სგა ხეზრიან** „ჩაბარებული ჰქონდა“ (**სგა + ხ = სგ**)

მერმე ანჯად ი **სგ ხეზრიან** ალე, ა, ჯარ ხეზრიან ლენტხას, ხოშა ლას ჯარიშ, კირილე ხედმხან (მივლინ. მასალ., მთქმელი: ფაფალა მუკვზანიანი, სოფ. მამი, 78 წლისა) „მეორე მოვიდა და ჩაბარებული ჰქონდა ეს, აი, ჯარი ებარა ლენტეხში, ჯარის უფროსი იყო, კირილე ერქვა (ზედმიწ. – მე-ორ-ე მოვიდა და ე-ბარ-ა ეს, აი, **ჯარ-ი** ე-ბარ-ა ლენტეხში, დიდი იყო **ჯარ-ის**, **კირილე** ერქვა)“ და ა. შ.

**სგა** ზმნისწინის გამარტივების, ანუ აღნიშნულ ზმნისწინზე - **გა-** სეგმენტის მოკვეცივს შემთხვევები (**სხნრ ლაშერას** (← **სგ ხნრ ლაშერას** ← **სგა ხნრ ლაშერას**) „შეუდგება ლესვას“, **სხენჩგდნლხ** (← **სგ ხენჩგდნლხ** ← **სგა ხენჩგდნლხ**) „შეერევია“, **სხახტტეხ უშხტარ** (← **სგ ხახტტეხ უშხტარ** ← **სგა ხახტტეხ უშხტარ**) „შეაწყვეტენ ერთმა-

ნეთს“, **ს’ლოხტუნდად** (← **სგ’ლოხტუნდად** ← **სგა ლოხტუნდად** „შევეუდე-ქით“, **ს’ლებეკვრანხ** (← **სგ’ლებეკვრანხ** ← **სგა ლებეკვრანხ** „შევეკედ-რნენ“...), რაც ლ. ბაბლუანის ზემოხსენებულ ნაშრომშია განხილული, ჩვენ მიერ წლების განმავლობაში სავლელე პირობებში მოძიებულ ჩოლურულ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ, თუმცა ზეპირ მეტყველებაში **სგა** ზმნისწინზე **-გა-**ს მოკვეცის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. **ლ** და **ხ** თანხმოვნების წინ **სგა-**ს გამარტივება, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ზმნისწინისეული **-ა-** ხმოვნის მოკვეცის შედეგად თავმოყრილმა რამდენიმე თანხმოვანმა ერთად ვერ გაძლო და ენამ თანხმოვნითი ელემენტის მოკვეცაც მოითხოვა.

როგორც უკვე ითქვა, ზმნისწინისეული ხმოვნის ელიზიას ადგილი აქვს არა მხოლოდ თანხმოვნით დაწყებული ზმნების, არამედ *ნაწილაკების* წინაც, მაგ.:

წინდებულ-თანდებული **ქა** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ**  
**ქ’ლოქ ოთქადა** ← **ქა ლოქ ოთქადა** „ააცდინაო, ააცილაო“ (**ქა** + **ლ** = **ქ**)

ამა ბაბას ხრქუა: „ნდუ, ჩუ ლოქ ოთკურმა მალტარ, მარე დაგრლობ **ქ’ლოქ ოთქადა**“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გრიშა ლიპარტელიანი, სოფ. ჭველიერი, 77 წლისა) – ამის ბაბუას უთქვამს: „კი, ფიცი გავტებუო, მაგრამ მკვლელობა აგაცილეო (ზედმიწ. – ამის **ბაბ-**უა-ს უთქვამს: „კი, გაუტებიაო ფიცი, მაგრამ მკვლელობა აუცდენიაო“)“

**ქ’ლოქ მქქარ** ← **ქა ლოქ მქქარ** „მითხარო“ (**ქა** + **ლ** = **ქ**)

ამნემდ ჟ’ოსთილ ლუსჟი: „**ქ’ლოქ მქქარ**, მად ლოქ ხეყარხ გუმგტეარს, ედო **ქ’ლოქ** ჯაგლე ლუსს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 62 წლისა) – ამან ძუძუზე [კბილი] დააჭირა: „მითხარო, რა დაემართათო ჩვენებს, თორემ მოგაგლეჯო ძუძუს (ზედმიწ. – ამან დააჭირა ძუძუზე: „მითხარო, რაო დაემართათ ჩვენებს, თორემ გამოგლეჯო ძუძუს!“)“

**ქ’ლოქ ლემმურჯ** ← **ქა ლოქ ლემმურჯ** „მომეხმარეო“ (**ქა** + **ლ** = **ქ**)

ალესრ ხქუტ: „**ქ’ლოქ ლემმურჯ** ლატფურაჟსა“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნუგზარ შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 68 წლისა) – ამასაც უთხრა: „დამეხმარეო გატყავებაში (ზედმიწ. – ამასაც უთხრა: „მო-მ-ი-მარჯვ-ე-ო გა-ტყავ-ებ-ა-შ-ი“)“ და ა. შ.

წინდებულ-თანდებული **ჩუ** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ**

**ჩ'ლოქ აღდნტშელი – ჩუ ლოქ აღდნტშელი** „დაილუპაო“ (**ჩუ + ლ = ჩ**)

„აალო, ეჯი **ჩ'ლოქ აღდნტშელი**“, – ალეს ხექუხ, ა, ზითუნა-ხაჟს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ციცო კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 62 წლისა) „აბა, ის დაილუპაო“, – ამას უთხრეს, აი, მზეთუნახავს (ზედმიწ. – „აბა, ის და-შავ-ებ-ულ-ა-ო“, – ამას უთხრეს, აი, **მზეთუნახავ-ს**)

**ჩ'ლოქ აღდაგრელი – ჩუ ლოქ აღდაგრელი** „გარდაიცვალაო“ (**ჩუ + ლ = ჩ**)

მოგუნიანებით ამჟი ანკუაჟ, ერე **ჩ'ლოქ აღდაგრელი**, ქ'თჩე-დახ ცხეკთე ი ეჩქესა ჩუაღდაგრელი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნუგზარ შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 68 წლისა) „მოგვიანებით ხმა გავრცელდა, რომ გარდაიცვალაო, ტყეში გაქცევით და იქ გარდაცვლილა (ზედმიწ. – მოგვიანებით ასე მოისმა, რომ მოკვდაო, გაქცევით ტყისკენ და იმაში მომკვდარა)“ და მისთ.

ჩოლურულ ტექსტებში დადასტურდა, ასევე, თანხმოვნით დაწყებული ფუძეების, კერძოდ, ზმნისართების წინ დადასტურებითი ნაწილაკის ხმოვნითი ელემენტის ელიზიაც (*დადასტურებითი ნაწილაკი + ზმნისართი*), მაგ.:

**ჭ'ჩიგარ** ხოჩა გზაჭრობ ლოქ ხნრა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ლალი ბაბლუანი, სოფ. უკვლეში, 70 წლისა) „დიახ, ყოველთვის ბედნიერად მგზავრობდაო (ზედმიწ. – ჰო, ყოველთვის კარგი **მგზავრობ-ა-ო** ჰქონია)“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ელიზიას ჩოლურულში სისტემური ხასიათი აქვს. ცხადია, სვანურის სხვა დიალექტებისაგან ჩოლურულ მეტყველებას აღნიშნული ფონეტიკური მოვლენაც გამოარჩევს.

ამრიგად, როგორც დიდძალი ემპირიული მასალის განხილვამ აჩვენა, ჩოლურულ მეტყველებას ახასიათებს სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური) დიალექტებისაგან განსხვავებული ერთი მეტად საინტერესო თავისებურება, კერძოდ, *ზმნისწინისეული* (იშვიათად *ნაწილაკისეული*) ხმოვნის ელიზია სხვადასხვა თანხმოვნით (**ხ, ლ, მ, ჩ...**) დაწყებული ფუძეების (*ზმნების, ზმნისართების, ნაწილაკების...*) წინ. ჩოლურულის ეს თავისებურება კი, როგორც უამრავი სხვა თავისებურება, შესაძლოა, ე. წ. „ეკონომიურობის პრინციპით“ აიხსნას, რასაც, ვფიქრობთ, მეტყველების სწრაფი ტემპი, მთქმელის შინაგანი

დამოკიდებულება საკითხისადმი, ანუ ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა განაპირობებდეს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბაბლუანი, 2001** – ლ. ბაბლუანი, სვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებანი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001

**საღლიანი, შავრეშიანი 2017** – მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ეკონომიურობის პრინციპისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVIII, თბ., 2017.

## **თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ს ო ფ ი კ ო ბ ე რ უ ლ ა ვ ა**

### **ზმნის დიალექტური ფორმები**

### **გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით**

გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში თავისებური კოლორიტი შეაქვს დიალექტურ ფორმებს, რომელთა გამოყენებითაც მწერალს მკითხველი გადაჰყავს მთაში და აზიარებს იქაურ ყოფას. დიალექტიზმები ამდიდრებს შემოქმედის ენობრივ საუნჯეს – აქ გვხვდება მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური მეტყველების ნიმუშები... და მკითხველის წინაშე პერსონაჟთა სახეები თუ ხასიათი კუთხისთვის დამახასიათებელი ელფერით ცოცხლდება.

როგორც ცნობილია, გოდერძი ჩოხელისთვის მთიულურ-გუდამაყრული მშობლიური დიალექტია. ჩვენი ინტერესისა და კვლევის ობიექტიც სწორედ ის მოთხრობები გახდა, რომლებშიც აღნიშნული კუთხის მეტყველების მაგალითები შეგვხვდა. ესენია: „მთავარი როლის შემსრულებელი“, „წერილი ნამძვებს“, „პაპა ჩადმას სიზმარი“, „თევზის წერილები“, „ვარდისფერი კაცი“, „კოტორიანთ ქალის საათი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „ჯიში“, „უფლისჩიტა“, „დედის ჩიქილა“, „ანგელოზთდამეობა“, „პატარა ბუბუნაურები“, „გუდამაყრელი დედაკაცები“, „და ისევ გუდამაყრელი დედაკაცები“, „სა-

ზიარო ყვავი“, „ჩემი წიგნი“ და „ველური ყვავილების თაიგული“. რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ შერჩეული მოთხრობები მხოლოდ ნაწილია გოდერძი ჩოხელის მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან, რომელშიც მწერლის მშობლიური მთიულურ-გუდამაყრული კილოს ნიმუშები გვხვდება. კვლევის მიზანი იყო, გამოგვევლინა, დიალექტური მეტყველების რა თავისებურებებს მიმართავს მწერალი ყველაზე მეტად, ანუ რომელი დიალექტური მოვლენის გამოყენებას აქვს ტენდენციის სახე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე საკითხის შესახებ. კერძოდ, ზემოჩამოთვლილ მოთხრობებში დადასტურებული დიალექტიზმები უმთავრესად პერსონაჟთა საუბრისას დაჩნდება. მწერალი მიმართავს როგორც კუთხურ ლექსიკას, ასევე მთიულურ-გუდამაყრული მეტყველებისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა საშუალებას, რომელთა შორის ზმნის დიალექტური ფორმები ერთ-ერთ დიდ და მრავალფეროვან მასივს ქმნის. ჩვენი კვლევაც სწორედ მათ ეხება.

ზმნურ ფორმათა ანალიზისას გამოვლინდა, რომ სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული ვითარება გვაქვს ზმნისწინებისა თუ თემის ნიშნების გამოყენებისას, დასტურდება დრო-კილოთა სისტემის მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი წარმოების შემთხვევები, ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზმნურ ფორმებში მიმდინარე ფონეტიკური პროცესები და კითხვითობის გამოხატველი ნაწილაკდართული ზმნები. მოძიებული მასალა შევადარეთ ქართული ენის დიალექტური კორპუსის მონაცემებს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ლ. კაიშაურის „მთიულურ ტესტებსა“ და ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის „ქართულ დიალექტოლოგიას“ (I ტომი).

თითოეულ ზემოაღნიშნულ საკითხს განვიხილავთ ცალ-ცალკე საილუსტრაციო მასალის დამოწმებით.

## **I. ზმნისწინთა დიალექტური ფორმები**

საანალიზო მასალაში გამოვლინდა ზმნისწინთა სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული შემდეგი ვარიანტები: **მა-**, **შა-**, **გამა-**, **წამა-**.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

**მა-**:

არა ხალხო გაგონილა ესეთი ამბავი, **მამინელეს** დედაკაცი (ჩოხელი 2010: 141).

... არავის მისცე, **მამკლა** კუჭის ტკივილმა (ჩოხელი 2010: 42).

**შა-:**

მე ჩემი ნაწილი შავად უნდა **შავლებო** (ჩოხელი 2010: 179).

რო **შავეხვეწო**, იქნებ აღარ წაგვართვას თავჯდომარემ თივები (ჩოხელი 2007: 23).

**გამა-:**

თუ ძმა ხარ, თუ არ გახმა და გირჩები **გამაიბა**, არავის მისცე (ჩოხელი 2010: 42).

... ამ კლდის ქვეშ ნუ გამამწარებ, ნუ **გამამტაცებ** ხელიდან! (ჩოხელი 2007: 45).

**წამა-:**

მანამდე **წამაიზრდება** კიდეც და აღარც დარდი გექნება (ჩოხელი 2010: 262).

განხილულ მოთხრობებში ასევე დადასტურდა **მო-** ზმნისწინის სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე მიღებული **მე-** ვარიანტი **ე-**პრეფიქსიან „ერიდება“ ზმნასთან „**მეერიდოდე**“ ფორმაში, რაც დიალექტური ლიტერატურის მიხედვით, მიჩნეულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისთვის (რაჭულს, იმერულსა და ლეჩხუმურთან ერთად) ბუნებრივ ფონეტიკურ პროცესად (ჯორბენაძე 1998: 620), (გოგოლაშვილი... 2016: 249):

შენი პაპაი გენცვალოს, აფთარო, **მეერიდოდე**, გულო, კუდ-ბუთქეებსა (ჩოხელი 2010: 31).

აღსანიშნავია, რომ დიალექტური კორპუსის მიხედვით, ამგვარი ფონეტიკური ცვლილება საკმაოდ ხშირია მთიულურ-გუდამაყრულში, რასაც მოწმობს საილუსტრაციო მასალა.

## II. თემის ნიშნები

გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში სხვა დიალექტურ მოვლენებთან ერთად დასტურდება თემის ნიშანთა დიალექტური გამოყენების შემთხვევებიც. კერძოდ, **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნების მონაცვლეობა, რომელიც „ქართული ენის დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია... ეს პროცესი დასტურდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: ქართლურში, კახურში, ინგილოურში, მესხურ-ჯავახურში, ზემო იმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში. მთის დიალექტთაგან ადასტურებენ მთიულურ-გუდამაყრულში“ (გოგოლაშვილი 2016: 3015):

მთელი ზაფხული იშრომე და ეხლა **სწვამ** (ჩოხელი 2010: 159).



ყურადღებას იქცევს აგრეთვე **-ეგ** (I სერია) > **-იგ** (II სერია) მონაცვლეობის შემთხვევებიც:

გაიშენე ზურგზე ტყე, **გაურივე** შიგ პანტა... (ჩოხელი 2010: 43).  
**გაურეგს** > **გაურიგა**.

თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „**-ეგ** (ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი) და **-ეგ** (აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი – თემის ნიშანი) წარმოშობით ერთი და იგივეა“ (ჯორბენაძე 1988: 135), მაშინ ამ რიგის ცვლილებაც თემის ნიშნებთან ერთად უნდა განვიხილოთ.

### III. დრო-კილოთა სისტემა

ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეულ მასალაში გამოვლინდა მთიულურ-გულდამაყრულისათვის ბუნებრივი დრო-კილოთა წარმოების წესი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე საკითხი.

ა) როგორც ცნობილია, აღნიშნულ დიალექტში გავრცელებულია ხოლმეობითის წარმოება, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება **-კე** სუფიქსი (ჯორბენაძე 1989: 283), (გოგოლაშვილი 2016: 340). ამგვარი წარმოების ნიმუშია:

სამუკაი ძალიან **უმარდებაკე** იმას, ვინც მე მაწყენინებს (ჩოხელი 2007: 21).

ბ) ასევე აღმოჩნდა თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის **-ოდ** აფიქსით ნაწარმოები ზმნური ფორმები:

**დააბოდე**, ქალო, სუ მოგვითელეს სათიბი... (ჩოხელი 2007: 20).

შენი პაპაი გენცვალოს, აფთარო, **მეერიდოდე**, გულო, კუდ-ბუთქეებსა (ჩოხელი 2010: 31).

გ) სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მთიულურ-გულდამაყრულში I-სა და II თურმეობითებში გარდამავალ ზმნებში გვხვდება **-ნ** სუფიქსი (ჯორბენაძე 1989:284). ამგვარი, **-ნ**-იანი ზმნური ფორმა დადასტურდა გაანალიზებულ მასალაშიც:

ვაა, კაცო, მიწებს რომ გვიზომავდნენ, სუ ზუსტად არ **გამოუხატნია** აე ბაღლსა (ჩოხელი 2010: 34).

დ) როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, მთიულურში „ორპირიან გარდაუვალ ზმნებს თურმეობითს მეორეში **-ოდ-** სუფიქსის ნაცვლად მეშველი ზმნა „იყო“ აქვს გამოყენებული (ჩიქობავა 2010: 235). ამგვარი წარმოების ნიმუშია შემდეგ მაგალითშიც:

... რატო სხო ხე ვერ გაიმეტა ღმერთმა, ბალი მინც **ამოგსვლიყო**. (ჩოხელი 2010: 42)

#### IV. კითხვითობის ნაწილაკი

მთიულურ-გუდამაყრულში გვხვდება კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდი **-ა**, რომელიც დაერთვის როგორც სახელებს, ასევე ზმნებს. ჩვენ ვეხებით **-ა** ნაწილაკდართულ მხოლოდ ზმნურ ფორმებს. კითხვითობის გამომხატველი ამგვარი სიტყვების ნიმუშებია:

ცივ წყალს კი არ **დალევსკვა**, ვინ მიგდია სამუკაი! (ჩოხელი 2007: 21)

... ჰო, შენ **იგოდია** აბა ეგა? (ჩოხელი 2007: 21)

#### V. ზმნის სემანტიკა

როგორც ცნობილია, დიალექტური ფორმები საინტერესოა არამხოლოდ წარმოებით, არამედ სემანტიკურადაც. უნდა აღინიშნოს, რომ გოდერძი ჩოხელი ამ მხრივაც აქტიურად მიმართავს სალიტერატურო ქართულისთვის უცხო სემანტიკის ზმნებს, რითაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის თავის შემოქმედებას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისებურ კოლორიტს სძენს მას. მოთხრობებში გვხვდება გაქეჯება, პირის გაწვერება, გაძემება და სხვა ფორმები:

ბუთულამ უფრო პირი **გააწვერა** (ჩოხელი 2010: 196).

მოდო, კაცო, რამ **გაგაქეჯა** (ჩოხელი 2010: 201).

ორსულად არავინ არის ჩვენ მოკომურობაში, კაცო! - თავი **გააძემა** ჯღუნამ (ჩოხელი 2010: 207).

სალამოთი **ჩამოაგულეს** თივა, და იქვე, წყაროსთან, ჩამოსხდნენ პურის საჭმელად (ჩოხელი 2010: 158).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტის შესახებაც: გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში დადასტურებული ზოგი ზმნური ფორმა ვერ მოვიძიეთ დღემდე ელექტრონულად თუ ბეჭდურად გამოქვეყნებულ მთიულურ-გუდამაყრულ ტექსტებში. ეს განსაკუთრებით ეხება განსხვავებული სემანტიკით გამოყენებულ ზმნის ფორმებს. სწორედ ამიტომ მწერლის შემოქმედება საინტერესოა არამარტო ლიტერატურული, არამედ ენათმეცნიერული კვლევის თვალსაზრისითაც. ხოლო თვით ფაქტი ცხადყოფს, რომ გოდერძი ჩოხელმა შესანიშნავად შეძლო მშობლიური კუთხისთვის დამახასიათებელი მეტყველების თავის შემოქმედებაში წარმოჩენა.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**გიგინეიშვილი... 1961** – გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1961.

**გოგოლაშვილი... 2016** – გოგოლაშვილი გ., შარაშენიძე ნ., ცოცანიძე გ., ჭუმბურიძე ნ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II, დიალექტები, თბ., 2016.

**კაიშაური, 1978** – კაიშაური ლ., მთიულური ტექსტები, თბ., 1978.

**ქართული ენის დიალექტური კორპუსი** – <http://corpora.co/#/texts>

**ჩიქობავა, 2010** – ჩიქობავა არნ., შრომები II, თბ., 2010.

**ჩოხელი, 2007** – ჩოხელი გ., ცასწავალა, თბ., 2007.

**ჩოხელი, 2010** – ჩოხელი გ., ჩემი წიგნი, თბ., 2010.

**ჯორბენაძე... 1988** – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

**ჯორბენაძე, 1989** – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

**ჯორბენაძე, 1998** – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

## მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა

### „გრძელი ხმოვნები“ ტაოურში

გასული საუკუნის დასაწყისში აკაკი შანიძე, სწავლობდა რა აღმოსავლეთის მთის კილოებს, აკეთებდა ქართული დიალექტოლოგიისათვის მნიშვნელოვან დასკვნას: „დანარჩენი ქართული კილოებისაგან მთის კილოები იმით განირჩევიან, რომ შედარებით კარგად შეუნახავთ ძველი ქართულის თავისებურებანი ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსშიც. მთიულური რომ ჩამოვაშოროთ, დანარჩენი კილოები: ხევსურული, მოხეური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც, ისტორიულ–ეთნოგრაფიული მოსაზრ-

რების გამო, მე ფხოურს ვუწოდებ... **მთიულური განსაკუთრებით დგას არა მარტო ფხოურის ჯგუფისაგან, არამედ სხვა ქართული კილოებისაგანაც** (გარდა ზემო რაჭულისა, უმთავრესად გლოლა-ჭიორა ლების კილოსისა), **რადგანაც მასში დაცულია გრძელი ხმოვნები**“ (შანიძე, 1981:15). ე.წ. „გრძელი ხმოვნები“ განასხვავებს მთიულურს სხვა კილოთაგან. ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ „მთიულურში დაცულია“ გრძელი ხმოვნები. და რადგანაც **დაცულია** „გრძელი ხმოვნები“, უნდა ვიგულისხმოთ იგი ძველ ქართულშიცა და სხვა კილოებშიც.

მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველებაა. მომავალი კვლევები დაადასტურებს ახალგაზრდა მკვლევრის მოსაზრებას.

გაივლის კიდევ ათიოდე წელი. არნ. ჩიქობავა შეისწავლის „გრძელ ხმოვნებს“ მთიულურში და იტყვის: „ნამდვილად მთიულურის ე.წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონურ მოდულაციაზე დამყარებულ მახვილს“ (ჩიქობავა, 2010:64)<sup>4</sup>. ავტორი იქვე მიუთითებს: „ტონური მახვილი თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალში გვხვდება“ (ჩიქობავა, 2010:65).

ამრიგად, მთიულურისათვის დამახასიათებელი „გრძელი ხმოვნები“ (ა. შანიძე) „ტონური მახვილი“ (არნ. ჩიქობავა) ყოფილა და იგი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალს ხვდება.

აღვნიშნავთ, რომ ტონური მახვილის ქვეშ მდგომი ხმოვანი გრძლად ისმის. ამიტომაც, ვფიქრობთ, შემთხვევით არ უწოდებია ასეთი ხმოვნებისათვის აკ. შანიძეს „გრძელი ხმოვნები“.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: რატომ ვიხსენებთ თითქმის საუკუნის წინანდელ ამბავს?

აკ. შანიძისა და არნ. ჩიქობავას ნააზრევთან შეხება მოგვიხდა შემდეგი მიზეზის გამო: 1995 წელს ისტორიულ ტაოში, ელიასხევის მექართულე სოფლებში ვაკვირდებოდით ადგილობრივთა ქართულ მეტყველებას. ჩვენი ყურადღება მიიქცია სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვნის გრძლად წარმოთქმამ:

### **ბოწმინდა:**

ბერიც ადაფბა<sup>ა</sup>ზარ გავგზა<sup>ა</sup>ნე; ღენჭ<sup>ე</sup>ბი არ მყავს, ცხრა თვეა ვარ გათხოვ<sup>ა</sup>ლი; ძროხებისა? ბალხ<sup>ე</sup>რი, მიჭვრ<sup>ა</sup>ტი; აგზე

---

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავამ შრომა წაიკითხა მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წლის 11 მარტს. პირველად დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის IV ტომში 1924 წელს.

რომ იყვნენ, ამისი არა; ფურებ მოძუებენ; გევხრაკე, მზემ გამხრაკა....

### **ცუცკარი:**

ღარჭა და; იმისა; გიჭამა ხომ? გერმალია, გერმალი; ემე ვიჯებით; კიდევ შექერ ვაყრით, ფესტილ ვიჯებით; ამ სოფში ვიყავი, ამ სოფში გამოთხოლი; მისი სახელი ოსმანი; ძველი ზათონდელ კაცებ იცან; ის შავი ბალა, ვინდა დაკროფოს; აქობაში მოდან; იმ ღამეს დაღეჭა [დათვმა] ჩვენი ბებერი, დაღეჭა, ჰო; კარი დაკლოტვა, ჰო, პრი, აქაც არი; ჩემი სახელი ფატმა; დირეგი...

ტაოურში ზოგჯერ წინადადებაში მომდევნო ერთმარცვლიანი სიტყვა წინას ეკედლება. ასეთ შემთხვევაში ტონური მახვილი გადაიწევა და მაინც ბოლოდან მეორე მარცვალზე მოხვდება:

ბედა (= ბეი და); ჩორაფჩიდამ ვარმე (= ვარ მე); გობდედა (= გობდე და); ჭერიდა (=ჭერი და)...

ტონური მახვილი უმეტესად შეუნახავს მოხუცებისა და ქალეზის მეტყველებას. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ბინათელთა (ტაოური სოფელია ბინათი კლარჯეთის მოსაზღვრე) მეტყველებაში „გრძელი ხმოვნები“ იშვიათად ისმის.

**შენიშვნა 1:** ისტორიული ტაო რამდენიმე საუკუნეა თურქეთის შემადგენლობაშია, შესაბამისად, ქვეყნის უმეტესი ნაწილი მეთურქულეა. მექართულე ტაოს მოსახლეობა ორენოვანია, ტაოური ქართული კი განიცდის თურქული ენის გავლენას. ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: ჩვენ მიერ აღწერილი ტონური მახვილი ხომ არაა თურქული ენის გავლენის შედეგი? პასუხი ერთია – არა! მართალია თურქულს ახასიათებს ე.წ. სიტყვის მახვილი, მუსიკალური ძალის მქონე, მაგრამ იგი ფიქსირებულია და ყოველთვის სიტყვას მოუდის ბოლოდან პირველ მარცვალზე (დაწვრილებით იხ.: Кононов, 1956: 51-58; Hengirmen, 1995: 97-103; Bangioglu, 1990: 114-123).

**შენიშვნა 2:** ტაოურში დავადასტურეთ თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც მახვილი ეცემა სიტყვაში ბოლოდან პირველ მარცვალს. ეს ხდება უმეტესად თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში: სოადო (გვა-

რი, ჩამომავლობა); ზათონ არ იყო... ბუნებრივია, ეს ფაქტი თურქულის გავლენით უნდა აიხსნას.

ტონური მახვილის თვალსაზრისით ისტორიულად ტაოურს გვერდით ედგა სხვა სამხრული კილოები: შავშური (მაჭახლურითურთ), კლარჯული და აჭარული.

აჭარულისათვის ტონური მახვილი რომ იყო დამახასიათებელი, ჩანს აჭარელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებიდან. „მოხუცი „ჩვენებურების“ ქართულში შეინიშნება ტონური მახვილი, რომელიც უკვე მიღებულია და გარკვეულ პირობებში იჩენს თავს“ (ფაღავა, 1997:112).

მაგალითები:

გაცოცხლოს გამჩენმა ღმერთმა; სიცოცხლის ზამანია, სიცოცხლის; ჩვიდმეტ ქათამში წეფევანა ჩემი კოვტა ქათამში; იჯექი ბურსას ქალქში, სახლი გქონდა კას ალქში...

საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ქობულეთელ მუჭაჯირთა მეტყველებიდან. აჭარელ მუჭაჯირთა ქართულში ტონური მახვილის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ იგი მთლიანი აჭარულისათვის იყო დამახასიათებელი.

ნაშთის სახით, მაგრამ მაინც, ტონური მახვილი დაუცავს შავშურსაც. მექართულე შავშეთის ზოგიერთი სოფლის ქართულში დაჩნდება „გრძელი ხმოვნები“, რომელთაც სიტყვაში ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს:

ბათუმი ქაზიმ დიაბექირმა, ათათურქმა მეფო (უსტამისი); ეს კაკალა (უსტამისი); სიტალინსა იხტიბარი ქი უქნა... (უსტამისი); ბევრი სალაში, სალაში (სვირევანი); ამეარეთ, ყალე არ სჩანდა? (სვირევანი); აბა არ არაან, სავსე (ჩაქველთა); დიობანში იყავით? (ნიოლეთი); მიწის სახელი არი (ნიოლეთი)... (შავშეთი, 2011: 242).

ტონური მახვილი დავადასტურეთ მაჭახლურ კილოკავშიც, განსაკუთრებით შესამჩნევია ის მაჭახლურ მუჭაჯირთა ქართულში. მაჭახლურში ტონური მახვილი იმავე პოზიციაში გვხვდება, რაშიც ტაოურში, მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს:

მე წევდოდა... (ქესტანეფუნარი); იქდა ევდო, სოფელოდა დევნახო (ჰაირი); არ ვიცი არაფერი, დავბერდი (ახბაბა); თხები მომცდა, არ მოქცდა... მოკლა (ფნიკენთი)...

აქვე ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტსაც:

მაჭახლე მუჰაჯირთა შთამომავლის, მურად შაჰინის (ძნელად) ჩანაწერებში განმეორებულია სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვანი, ამის საჭიროება კი არ არის. ბარემ ვიტყვით, რომ ბატონი მურადი უნიეს მაჭახლურ სოფელში გაიზარდა, მაჭახლური მეტყველება მისთვის მშობლიურია, შესაბამისად, ზედმიწევნით კარგად აღიქვამს მას. ჩამწერს ინფორმატორთა მოთხოვნებში სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვანი გრძლად ესმის, ცდილობს ფაქტი აღნიშნოს ჩანაწერებში და გამოსავალს „გრძელი ხმოვნის“ განმეორებაში ხედავს:

სიმინდები გაზდილა, ხაპებ მუუსხმ~~ია~~; სირბილით მამამის ყიაზე გედევხ~~ია~~; ჩობანი გოგოს ამუუცნ~~ია~~; ბიჭ გოგოს ნათქვამები უულ~~ია~~; წყალი დააქც~~ია~~; მის ქალისთინ ასე უთხრობ~~ია~~; ... კაცებ უთქმ~~იან~~ და უცინ~~იან~~; მარიაჲ გააქც~~ია~~; რა გაცვ~~ია~~? გზაში მუუკითხ~~იან~~, ასე მალე ჰად მიხვალ? ლოგინში დაწოლილ~~ია~~; ცხვარს ბუჩქვა დუუწყ~~ია~~...

ვფიქრობთ, მურად შაჰინის ჩანაწერებში ბოლოდან მეორე ხმოვნის განმეორების მიზეზი ტონური მახვილია. თუ არა ტონური მახვილი, აუხსნელი დარჩება უნიელ მაჭახლელთა მეტყველების ნიმუშებში ბოლოდან მეორე ხმოვნის განმეორება.

ამდენად, ტონური მახვილი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩანს შავშური დიალექტის ორივე კილოკავში – იმერხეულსა და მაჭახლურში.

ტონური მახვილი შეინიშნება კლარჯულშიც, უმეტესად დაუცვს იგი კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველებას:

ჩიტი დაჟდა ტყემალზე, თავი გედე~~ი~~წყო აანზე (მურდული); ჩვენ ქორწილ~~ე~~ფში ფადიკოს ცეკვ~~ე~~ვენ (მურდული); შელ~~ა~~ლე არი იქა (ნურუოსმანიე); იქ~~ა~~ვრი ხალხი არ მოვდოდენ, არ ილოც~~ე~~ვდენ (მურდული); იმის გაღმა სინკ~~ო~~თი სოფელია (ისკები)... (იხ. კლარჯეთი, 2016:544).

ზემოთქმულის გამომდინარე შეიძლება, დავასკვნათ!

ა. ტონური მახვილი მეტ-ნაკლები ინტენსივობით დადასტურდა ოთხივე სამხრულ დიალექტში, თუმცა სისტემურად იგი დასტურდება ტაოურში. ტონური მახვილი სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე და გამოიხატება მახვილის ქვეშ მდგომი ხმოვნის დაგრძელებით.

ტონური მახვილი ტაოურის სხვა სამხრულ კილოთაგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია.

ბ. არსებული მასალები გვამღვეს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ისტორიულად ტონური მახვილი მთლიანი სამხრული მეტყველებისათვის იყო დამახასიათებელი.

\* \* \*

კვლევის პროცესში გაგვიჩნდა კითხვა: ტონური მახვილის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა ქართული ენის სხვა კილოებში? „...დიალექტების გამოწვლილვითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს მიახლოებით მაინც აღვადგინოთ მახვილის სახე უძველეს ქართულში“ (ფაღავა, 1997:110). კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართეთ ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას (დასანანია, რომ ყველაფრის გათვალისწინება ვერ შევძელით).

ს. ჟღენტის დაკვირვებით, მახვილის თვალსაზრისით ხეესურულის, მთიულურისა და მოხეურის შესწავლით დადგინდა, რომ „მთის კილოებში ადგილის მიხედვით ტონის მოდულაციაში არაა განსხვავება. ეს თავისებური აქცენტუაცია სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის. თუ მარცვალთა რაოდენობა გადიდდა ბოლოდან, მაშინ აქცენტუაცია ისევ ბოლოდან მეორეზე გადაინაცვლებს. ასევე მარცვალთა რაოდენობა თუ შემცირდება ბოლოში, მაშინ მახვილი წინ გადმოინაცვლებს“. მკვლევარი მოიყვანს მაგალითებს:

**მთიულური:** კალო, მაგრამ კალოში...

**ხეესურული:** შენ საით მიდობხარ? ჯუთასა?...

**მოხეური:** ძრიალ გულაბეზარი მთაა მყინვარი... (ჟღენტი, 1956:259-266).

თ. უთურგაიძე წერს: „ოსცილოგრაფიით მთის დიალექტებში (მთიულურს გარდა) ბოლოდან მეორე ხმოვანი მეტი სიგრძისაა, ტონისა და ინტენსიობისაა დანარჩენ ხმოვნებზე და სიტყვის მარცვლიანობა რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო გრძელია ბოლოდან მეორე ხმოვანი (უთურგაიძე, 1966: 89).

მახვილისა და ინტონაციის საკითხს მოხეურში შედარებით ვრცლად განიხილავს ივ. ქავთარაძე. იგი უპირველესად ყურადღებას მიაქცევს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მოხევის მეტყველებას, სადაც მწერალს ბოლოდან მეორე მარცვლის ხმოვანზე მახვილი დაუსვამს: ადრობდა ჯვად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თვნი ჩვენადვე გვეყუნდეს, მით ძყვის უკედ... (უთითებს: ილია, II, 1950: 28)... ასეთივე მდგომარეობაა დღევანდელ მოხეურშიცო. მახვილი ბოლო მარცვლისეულ (sic. უნდა ბოლოსწინა) ხმოვანს მოუდის ყვე-



ლა სიტყვაში: წავ<sup>ო</sup>და, სოფ<sup>ე</sup>ლჩი, წერ<sup>ე</sup>წა, ველ<sup>ო</sup>დი... (ქავთარაძე, 1985: 31–32). მკვლევარი მიუთითებს, რომ ამ მოვლენისათვის ყურადღება მიუქცევია ჰუგო შუხარდტს, რომელმაც „გაკვრით აღნიშნა ოსურის შესაძლო გავლენა მოხეურზე“ (უთითებს: Schuchardt, 1895: 12–13). ივ. ქავთარაძის დაკვირვებით, ოსურის გავლენა მოხეურზე აბსოლუტურად გამოსარიცხია, რამდენადაც დიდგორულ დიალექტში (სამხრული) მახვილი „ძირითადად ქართულისებურია“, ირონულში (ჩრდილოური) „კი მახვილის კანონზომიერება დამოკიდებულია გრძელ და მოკლე ხმოვანთა მქონეობაზე და მათ რაოდენობაზე სიტყვაში. მახვილი არაა ფიქსირებული, მაგრამ ამ თავისებურებას მახვილის ხმარებისას მთავარი მნიშვნელობა აქვს“ (უთითებს: Абаев, 1949: 100; 529–531; Исаев, 1966: 26. იხ. ქავთარაძე, 1985:32) და აკეთებს საყურადღებო დასკვნას: „როგორც ჩანს, დიდგორული დიალექტი უფრო დაიახლოვა ქართულმა მახვილის მხრივ, ვიდრე პირიქით“ (ქავთარაძე, 1985:32).

მახვილს ხევსურულში გამოკვლევა უძღვნა ავთ. არაბულმა. სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი: „ქართული ენის დიალექტებში მახვილის მხრივ ერთნაირი მდგომარეობა არაა. ცალ–ცალკე შესწავლას მოითხოვს ტონური და დინამიკური, ფრაზისა და სიტყვათმახვილის გამოვლენა“ (არაბული, 1981:118).

განიხილავს რა ხევსურულის მასალებს, ავთ. არაბული წერს: „ხევსურულ დიალექტში ბოლოკიდური ხმოვანი ვერ ძლებს და რედუქციას განიცდის (სრულს ან ნაწილობრივს). ამ საყოველთაო რედუქციის მიზეზი ძლიერი დინამიკური მახვილი (sic) უნდა იყოს, რომელიც ისტორიულად ბოლოდან მეორე მარცვალს იკავებს, მაგრამ სინქრონულ ჭრილში მახვილიანი ფაქტიურად ბოლო მარცვალი ჩანს, რამდენადაც სავარაუდო ბოლო ხმოვანი რედუცირებულია“ (არაბული, 1981:121. შდრ. ჟღენტი, 1956:259–266).

ხევსურულში „მახვილიან მარცვალს ახასიათებს ძლიერი ინტენსიობა და მარცვლის მეტი გრძლიობა“ (ჯავახიძე, 1975:115).

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ მთიულურში, ხევსურულსა და ფშაურში შენახულია ტონური მახვილი, იგი ფიქსირებულია და სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე (თუმცა მახვილის ფუნქციონირების განსხვავებული ნიუანსები დასტურდება ხევსურულში, რაზეც მიუთითებს ავთ. არაბული). განსხვავებულ ვითარებაზე მიუთითებს ფშაურში გ. ცოცანიძე: „მახვილი ცალკე სიტყვასაც

და ფრაზაში „სამახვილო ცენტრსაც“ მოუდის თავიდან მეორე მარცვალზე“ (ცოცანიძე, 1978:141).

აღგეთის ხეობის ქართლურისათვის თ. სალარიძე შენიშნავს: „... არცთუ იშვიათია ტონური (კითხვითი) მახვილის გამოყენების შემთხვევები ბოლოდან მეორე მარცვალზე. ამგვარი ვითარება ძირითადად ზემო სოფლების... მეტყველებაში უფროა შენიშნული: რა ქნეს ვერ იპოვეს? (თონეთი); ისევ მოხვჭდი შენ ნატამაღზე? (სალარიძე, 1978:42).

ტონურ მახვილს ხედავს არ. მარტიროსოვი ჯავახურშიც (მარტიროსოვი, 1984:48-49). ავტორის მსჯელობაში არეულია დინამიკური და ტონური მახვილი: „წინა მარცვალზე ინტენსიური დინამიკური მახვილის გამოა, რომ ზოგჯერ ზმნას მთელი ბოლო მარცვალი ეკვეცება. აქ საინტერესო ის არის, რომ მარცვლის მოკვეცის შემდეგ მახვილი გადაინაცვლებს და ისევ თავის ადგილას (ე.ი. ბოლოდან მეორე მარცვალზე) აღმოჩნდება. მაგ. მობრუნიდემო! მოიცადემოცა! მომიტანე! მომიტანე! (მარტიროსოვი, 1984:49).

**შენიშნავთ:** სამ და მეტმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე ტონური მახვილი მოდის და არა დინამიკური.

ქვემოიმერულში მახვილს სწავლობდა კ. კუბლაშვილი. მკვლევრის ვრცელი მსჯელობიდან ჩვენთვის საყურადღებოა: „სმენითი შთაბეჭდილებით ქვემოიმერულში უპირატესად ტონური, ანუ მუსიკალური მახვილი გვაქვს დინამიკური მახვილის ელემენტებით... ტონური მახვილი ხან მეტად არის გამოჩინებული, ხან – ნაკლებად“ (კუბლაშვილი, 1985: 53). დაბოლოს, „... ფრაზის ტონური მახვილი (sic) სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზეა: იმან არ თხოვა.. ის ადგილი ქე გეცოდინება; რავა ტყულათე ელაპარაკები...“ (კუბლაშვილი, 1985: 54-55).

ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომ ქვემოიმერულს ახასიათებს ტონური მახვილი და იგი მოუდის სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე. დიალექტში მახვილთან დაკავშირებით არის სხვა ნიუანსებიც, მაგრამ ახლა ამაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას.

ო. მიქიაშვილი ყურადღებას მიაქცევს რაჭულისათვის ნიშანდობლივად მიჩნეულ კანონზომიერებას – „მახვილის ბოლოდან მეორე მარცვალზე დასმის წეს“: ვინმეს ნაჭხავ? სადე იცი? ნაჭხავ ძველს ვინმეს? (უთითებს: მიძიგური, 1970: 62. იხ. მიქიაშვილი, 1986: 34-35).

გურულში მახვილს ჩვეულებრივ ახლავს „ხმოვნის გაგრძელება და ხმის ამადლება. მახვილი ამჟამად ბოლოდან პირველ მარცვალზეა უმთავრესად, მაგრამ ისტორიულად უნდა ყოფილიყო მეორეზე“ (იმნაიშვილი, 2006: 96).

ამდენად, აღმოსავლეთის მთის კილოებში (ხეცსურული, მთიულური, მოხეური), ქართლურში, ჯავახურში, იმერულში, რაჭულში, გურულში, აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, ტაოურში... დასტურდება ტონური მახვილი, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ:

– ტონური მახვილი ისტორიულად დამახასიათებელი იყო ქართული ენისათვის. ზოგიერთ დიალექტში იგი დღემდე დაცულია, ზოგიც – მილეულია.

– ტონური მახვილი ფიქსირებულია და სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის.

– მახვილის ქვეშ მდგომი ხმოვანი გრძლად წარმოითქმის.

ტაოური ქართული ენის ერთი იმ კილოთაგანია, რომელსაც დღემდე დააუცავს ისტორიული ვითარება დასასრულ, – ტონური მახვილის სახით.

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს: არნ. ჩიქობავამ ჭანურის ათინურ და არქაბულ კილოკავებში დაადასტურა ფაქტი, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი საკითხისათვის. ავტორი შენიშნავს: „...ათინური და არქაბული ტექსტების ჩაწერისას დადასტურებული იქნა ტონური მახვილის (თუ ტონური მახვილის ტიპის ხმის ამადლების) არსებობა ჭანურში. მისი ადგილი გარკვეულია: თითქმის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (იშვიათად უკანასკნელზე), სათანადო ხმოვანი გაგრძელებით გამოითქმის. ეს მოვლენა სრული ანალოგია იმისა, რაც მთიულურსა და ზემო რაჭაში, – გლოლა, ჭიორა, ღებში გვაქვს“ (ჩიქობავა, 1936: 42; 124. შდრ. ჟღენტი, 1953:191; როგავა, 1963): ხოჯა ჰიმ კოჩის ანთხრზუ (ხოჯა იმ კაცს გამოუდგა); მევათუმს (ჭრის, კვეთს)...

გ. როგავა ტონურ მახვილს ხედავს მეგრულშიც, რომელიც სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალს მოუდის (იხ. როგავა, 1963: 8).

ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ტონური მახვილი საერთოქართველური მოვლენაა, სხვაგვარად, ტონური მახვილი უძველესი ქართველური ვითარების ნაშთია თანამედროვე ქართველურ ენებში.

## გამოყენებული ლიტერატურა

**არაბული, 1981** – ავთ. არაბული, მახვილი ხევისურულ დიალექტში. ქესს, ტ. V, თბ., 1981.

**იმნაიშვილი, 2006** – გრ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი, თბ., 2006.

**კლარჯეთი, 2016** – მ. ფაღავა, თ. შიომვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. მგელაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბ., 2016.

**კუბლაშვილი, 1985** – კლ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიშვრული კილოკავი, თბ., 1985.

**მარტიროსოვი, 1984** – არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

**მიქიაშვილი, 1986** – ო. მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები, თბ., 1986.

**ჟღენტი, 1956** – ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.

**ჟღენტი, 1953** – ს. ჟღენტი, ჭანურ–მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

**როგავა, 1963** – გ. როგავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში, ქესს, III, თბ., 1963.

**სალარიძე, 1978** – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.

**უთურგაიძე, 1966** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი. მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, 1966.

**ფაღავა, 1997** – მ. ფაღავა, მახვილის საკითხისათვის სამხრულ კილოებში. საერთაშორისო კონფერენცია: „საუნივერსიტეტო მეცნიერებანი ორი ათასწლეულის მიჯნაზე“, მასალები, თბილისი-ბათუმი, 1977.

**ქავთარაძე, 1985** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

**შანიძე, 1981**– ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.

**შავშეთი, 2011** – მ. ფაღვა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბ., 2011.

**ჩიქობავა, 2010** – არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში. თხზ. ტ. II, თბ., 2010.

**ჩიქობავა, 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

**ცოცანიძე, 1978** – გ. ცოცანიძე, მახვილის შესახებ ფშაურ დიალექტში. იკე, XX, თბ., 1978.

**ძიძიგური, 1970** – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტური ძიებანი, თბ., 1970.

**ჯავახიძე, 1975** – ლ. ჯავახიძე, სიტყვათმახვილის საკითხისათვის ხეცურულში. თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, თბ., 1975.

**Абаев, 1949** – В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М.Л., 1949.

**Исаев, 1966** – М.И. Исаев, Дигорский диалект осетинского языка, М., 1966.

**Кононов, 1956** – А. Н. Кононов, Грамматика Современного турецкого языка, М.-Л., 1956.

**Bangioglu, 1990** – T. Bangioglu, Tursnin Gramer, Ankara, 1990.

**Hengirmen, 1995** – M. Hengirmen, Turkçe Dilbigisi, Ankara, 1995.

**Schuchardt, 1895** – H. Schuchardt, Uber das Georgische, Wien, 1895.

## მ ა ი ა ქ უ ქ ჩ ი შ ვ ი ლ ი

### ჯავახური დიალექტის ლექსიკიდან (მარაზი)

ენათა შორის ურთიერთობები ოდითგანვე ქმნიდა საინტერესო მასალას კონტაქტლინგვისტიკისთვის. ენობრივი დაგეგმარება და ენობრივი პოლიტიკა ხშირად აუცილებელი ხდებოდა კონტაქტლინგვისტიკური გამოკვლევებისთვის. ეს კი განსაკუთრებით მაშინ გახდა აუცილებელი, როდესაც ისტორიული მიზეზების გამო

აღმოჩნდა, რომ სხვა ენების შესწავლა ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის კონტაქტების გაფართოებას. ამან გამოიწვია ენობრივი კონტაქტების როგორც დიაქრონული, ასევე სინქრონული ასპექტების შესწავლა.

როგორც ცნობილია, კონტაქტლინგვისტიკის შესწავლის სფეროა ისეთი ენათმეცნიერული დარგები, როგორებიცაა ფონოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, თუმცა მანამდე იგი შეისწავლიდა ენობრივ კონტაქტთან დაკავშირებულ შედარებით მარტივ მოვლენებს: სიტყვების სესხებას, მორფოლოგიურ და სინტაქსურ გავლენებს, კალკირებას და ა.შ. კონტაქტლინგვისტიკა ითვალისწინებს სოციოლოგიურ კატეგორიებსაც: ერს, ენობრივ ერთობას, ენობრივ საზღვრებს, მიგრაციას და ა.შ. „ასევე მნიშვნელოვანია ენობრივი კონტაქტებისა და კონფლიქტების ტიპოლოგია, მულტილინგვიზმის კონკრეტული სახე და სხვა. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ბუნებრივი, სახელმწიფოს მიერ დაწესებული, ხელოვნური და ა.შ. შეიძლება გვკონდეს სემილინგვიზმის ან ინტერლინგვის შემთხვევები: პირველი ორი ენის „სანახევროდ“ შესწავლას აღნიშნავს, მეორე კი – ენების ეკლექტურ ნარევს, რომელსაც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა იყენებს ურთიერთობისათვის (ლადარია, 2002:102).

ვფიქრობთ, რომ სწორედ ზემოხსენებულმა ფაქტორებმა განაპირობა ჯავახურ დიალექტში ისეთი ლექსიკური ერთეულების არსებობა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია.

ჩვენი კვლევის საგანი არაერთხელ გახდა მესხური (სამცხურ-ჯავახური) დიალექტი და კონტაქტების შედეგად მასში გამოვლენილი ლექსიკა.

ყურადღებას გავამახვილებთ ლექსიკურ ერთეულზე **მარაზი**, რომელსაც ვხვდებით სრულიად სხვადასხვა ენობრივ სფეროში. მას სრულიად სხვადასხვაგვარი სემანტიკური დატვირთვა აქვს.

ჯავახური დიალექტის ლექსიკაში გამოიყენება ლექსიკური ერთეული – **მარაზი**. როგორც გ. ზედგინიძე განმარტავს, **მარაზი** არის მძიმე ავადმყოფობა. „რა **მარაზი** გაუჩნდა ასეთი, რო ვერაფით უწამლეს!“ (ზედგინიძე, 2014: 370).

**მარაზი** გვხვდება სულხან საბასთან. იგი ამბობს, რომ „მარაზი – **სხვათა ენაა, თოკს(ა) ჰქვიან** ZA. (უკმ.) სხვათა ენაა, ქართულად თოკი ჰქვიან B. (უკმ.) **წელილი თოკი**“ (ს. ს. ორბელიანი, (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=8&p=10&w1=%E1%83%9B>).

მარაზი სამკურნალო მცენარეა და **კატაბარდას** სინონიმია ინ-გილოურში, ასევე ფოჩებდაყოლილ წვრილ თოვსაც ნიშნავს (ღლონ-ტი, 1984: 345; მაყაშვილი, 1961: 260).

**საკუთარ სახელად** დადასტურდა „ქართულ გენეალოგიაში“ – იბრემასშვილი – **მარაზი** (საქართველოს სიძველენი, <http://geogen.ge/ge/treasurege/68/4312/>).

**აზერბაიჯანის სსრ**-ის ადმინისტრაციული ცენტრი **1920-1930** და 1943-1960 წლებში იყო **მარაზის** რაიონი, შემდეგ – შემახის რაიონის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციული რაიონი. გობუსტანის რაიონის დაარსების დღიდან არის მისი ადმინისტრაციული ცენტრი.

ბერძნულში – **μαράζι** – გულისტკივილს, დეპრესიას, მძიმე ავადმყოფობას ნიშნავს (Μπαμπινιώτης, 1998: 1053). როგორც ბამბინოტისი აღნიშნავს, სიტყვა თურქული წარმომავლობისაა, თუმცა თურქულ-ქართულ ლექსიკონში დადასტურებულია მისი შემდეგი ფორმები: maraz – 1. შემთხვევის ადგილი 2. შემთხვევა 3. ავადმყოფური (თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2001 ).

მარაზ – ფუმიდან ნაწარმოებია ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა **μαραζάω** (მკლავს გულისტკივილი, ვდარდობ), **μαραζι** (დაჭკნობა, დარდი, დაუძლურება), **μαραζαμύεις** – ჩამომკვანარი, ჩამომხმარი ( Μπαμπινιώτης, 1998: 1053; იჩუაიძე, 2005: 303).

უცხო ენათა ლექსიკონის მიხედვით, **მარაზი** გადატანითი მნიშვნელობით, უილაჯობას, უუნარობას ნიშნავს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში და სხვ.

(უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=23980>)

როგორც კვლევამ აჩვენა, ბერძნული **μαράζι** და ჯავახური დი-ალექტის **მარაზი** ძალიან ჰგავს სემანტიკურად ერთმანეთს. მიუხედავად მისი თურქული წარმომავლობისა, ხალხური კონტაქტების გზით შუასაუკუნეებში უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო.

საინტერესოა **მარაზიდან** წარმოებული ფორმა **მარაზმი**, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, თუმცა განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა შეიძინა. ბერძნულ ენაში **მარაზი** (**το μαράζι – გულისტკივილი, დარდი, დაუძლურება**) – საშუალი სქესის არსებითი სახელია ბერძნულში, **მარაზონო** (**μαραζάω** – გული მტკივა, ვუძლურდები, ვდარდობ) – ზმნა-შემასმენელი, **მარას(ზ)მოს** (**ο μαραζ(ζ)μός - დაჭკნობა, დაუძ-**

**ლურება (სულიერი, ფიზიკური), გადატ. უილარჯობა, უუნარობა) –** სახელზმნა. სწორედ სახელზმნა **მარას(ზ)მოს (ο μαρὰς(Ζ)μὸς)** დაედო საფუძვლად ქართულში დამკვიდრებულიყო **მარაზმის** სახით, მაგრამ განსხვავებული სემანტიკით. და მაინც, რასთან ასოცირდება მარაზმი ქართულში?

ერთ-ერთ ლიტერატურულ ფორუმზე შეგვხვდა ტექსტი, რომელმაც, ფაქტობრივად, პასუხი გასცა ჩვენს კითხვას, რა მნიშვნელობით გამოიყენება დღეს ქართულში სიტყვა მარაზმი. ავტორი წერს: „...მეთქი რაღაცას დავწერ... დავწერე და აზღავლდა კალმის წვეტიანი თავი... ფუ.. მარაზმია...მეთქი ვიცეკვებ... ავცეკვდი და რევმატიზმზე გაცოცხლდნენ... ფუ... მარაზმია...მეთქი ვიმღერებ ... ავმღერდი და იოგები საკუთარ სხეულში დამეკარგა... ფუ.. მარაზმია...და მაინც რა არის მარაზმი? ღირს კიდევ გაგრძლება? განა ეგ ყველაფერი, განა ეგ ნაწერიც მარაზმი არაა? განა ეგ მზე, ეგ ცა, ეგ მიწა, ეგ ... და ყველაფერი, რაზეც „ეგ“ შეიძლება თქვა არაა მარაზმი?... ყველგან ფუ.. ყველა ფუ..ყველაფერი ფუ... და ყველაზე დიდი „ფუ“ – ეს უსასრულობა! ...მარაზმია...!“ (<http://urakparaki.com/?m=4&ID=32505>).

ან კიდევ: „დიდი ხანი არ არის, რაც **მარაზმი** სიგომესთან ასოცირდება ბევრისთვის, მაგრამ იმ ადამიანებს, რომელთაც ეს ასოციაცია აქვთ, თვითონ სიტყვა "სიგომე" "მარაზმი" გონიათ... ვფიქრობ, სიტყვა "მარაზმი" მეტად შეურაცხმყოფელია და არ ღირს მისი ასე ხშირად და ყველას მიმართ გამოყენება“ (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=23980>).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული მარაზი და ჯავახური დიალექტის მარაზი ფორმითა და შინაარსით ანალოგიურია, შემოსულია ადრეულ საუკუნეებში კონტაქტების გზით და დამკვიდრებული. რაც შეეხება მისგან ნაწარმოებ მარაზმს, მოგვიანებით გაჩნდა და დამკვიდრდა სრულიად განსხვავებული სემანტიკით, თუმცა ფორმა ბერძნული სახელზმნის (მარაზმ-ოს) შეინარჩუნა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ზედგენიძე, 2014** – ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი, გამომც. საუნჯე, თბილისი, 2014.

**თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2001** – თურქულ-ქართული ლექსიკონი (Türkçe-Gürcüce Sözlük), ლია ჩლაიძის რედაქციით, 2001.



**იჩუაიძე, 2005** – იჩუაიძე ი., ბერძნულ-ქართული ლექსიკონი, 2005.

**ლადარია, 2002** – ლადარია ნ., სოციოლინგვისტიკა, თბ., მეცნიერება, 2002.

**მაცაშვილი, 1961** – მაცაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი; მცენარეთა სახელწოდებანი; საბჭოთა საქართველო, თბ., 1961.

**ღლონტი, 1984** – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984.

Μπαμπινιώτης, Γ. Λεξικό της νέας ελληνικής γλώσσας, 1998: 1053.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=23980>).

<http://urakparaki.com/?m=4&ID=32505'12> ოენისი, 2010  
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=23980>).

## **მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი**

### **„ხევსურული ლექსიკონი“ – ლექსიკურ-სემანტიკური გზამკვლევი**

ბატონი ალექსი ჭინჭარაულის ხსოვნას ვუძღვნი მადლიერებით

#### **❖ ქართველი ლექსიკოგრაფის მეთოდოლოგიური არჩევანი:**

ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონი“, ცხადია, ეფუძნება სათანადოდ შერჩეულ ლექსიკოგრაფიულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს:

**ა)** მეთაური სალექსიკონო ერთეულის გრამატიკული (მორფო-ფონეტიკური და სხვა) ტენდენციების გათვალისწინება;

**ბ)** სიტყვა-სტატიაში შესაბამისი დარგობრივი, დოკუმენტური, სტილისტიკური მითითებების დართვა;

**გ)** ძირ-ფუძეთა ლექსიკურ ბუდეებად წარმოდგენა;

**დ)** სალექსიკონო ერთეულის განმარტების შემკობა მრავალგვარი საილუსტრაციო მასალით (ფრაზეოლოგიური, ფოლკლორული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, დიალექტური, ლექსიკოგრაფიული, ლიტერატურული...);

ე) აგებულებით, მასალებრივად ან სემანტიკურად პარალელური ლექსიკური ერთეულების მითითება ხევსურულიდან და სხვა ქართული დიალექტებიდან.

თუმცა ყურადღებას იქცევს ბატონი ალექსის მიერ საგანგებოდ შემუშავებული ის საგულისხმო პრინციპი, რომელიც მან თავისი „ხევსურული ლექსიკონის“ გამართვისას ოსტატურად მოიმარჯვა და ამით ეს ფასდაუდებელი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი ლექსიკოლოგიურ საქმეს ამსახურა. ამ მიზნითაა ჩართული სიტყვა-სტატიაში მეთაური სალექსიკონო ერთეულის **მორფო-ფონეტიკასა** თუ **სემანტიკასთან** დაკავშირებული ავტორისეული დაკვირვება, თვალსაზრისი ან ვარაუდი, რომელიც უმეტესწილად მრგვალ ფრჩხილებშია წარმოდგენილი, მაგალითად:

„**არმული** (←ალ-მური) ორთქლი, ბური, ბული“;

„**აო[დ]** - (←ავა[დ] ←ავად) ავად, სნეულად“; „**აოზირებ-ს** (←ავაზირებს) ჰკითხავს, რჩევას სთხოვს“; „**ხოზდაგ-ი** (← ხვასტაგი) საქონელი, ხვასტაგი;

„**ანა** (←ან რა) ხომ არაფერი; რაიმე ხომ არ“; „**არაად** (←არ რა-ად) არაფრად; რადმე არ(ა)“; „**არა** (←არ რა) არაფერი“; „**ას** (←არს ←არის) არის“; „**ასა?** (←არს +ა კითხვ.ნაწილაკი) არის?“; „**აღარა** (←აღარ+რა) აღარაფერი“; „**აღაროს** (←აღარ+როს) გვიან, დაგვიანებით“; „**ახან** (←რახან) როცა, როდესაც“;

„**არცრუ** (←არც სრუ ←არ/ც სრულ) სრულიად არა“; „**არცა[დ]** (←არ სად) არ სად, სადმე არ; არასოდეს, როდესმე არ...“;

„**ავ-[ა]-ჩავ-ავ-ჩაო-ს** (←ავ-ჩავა ←ავალ-ჩავალს) ადის და ჩადის, აივლის და ჩაივლის“; „**ავ-კა** (← ავ-კარგი) სიავე და სიკარგე“;

„**აჟე-ჯაჟე** (←აჟედ-ჩაჟედ) ოღრო-ჩოღრო, უსწორმასწორო“; „**ქვექვერ** (←ქვე-ქვე+რე) ოდნავ ქვემოთ“;

„**ათეკა** (←ათ ეკალი?) ბუჩქნარი, წვრილკლებიანი მცენარეა, იზრდება ხრიოკ ადგილებში“;

„**ზისვარი/ზისცვარი** (←სძის-ცვარი) რძე; ზისცვრობა; იაქსრის ჯვარში ადუღებული რძე მიაქვთ და სვამენ“;

„**წარბავს** (←ბაწრავს) ახვევს, კრავს (თოკით, ბაწრით)“; შდრ.: „**დაიწარბების** (←დაიბაწრების) – შეიკვრის, შეიხვევს; შეიკრავს, შეიხვევს“; „**დაწარბავს** (←დაბაწრავს) ბაწრით, წვრილი თოკით მაგრად შეახვევს, შეკრავს“;

„**აკვსება** (←ალ-ვსება) აღდგომა“;

„**ღმერთ-|ღ[ვ]თ-|ხმთ-|მხთ-|ხთ-**“; „**ხთ-იხ.**: ღმერთ-|ღ[ვ]თ-|ხმთ-|მხთ-|ხთ-“; და სხვა მრავალი.

ქართველი ლექსიკოგრაფის ამგვარი არჩევანი სავსებით გამართლებულია, რადგან ზემოაღნიშნული ლინგვისტური ინფორმაციით გაჯერებული „ხევსურული ლექსიკონის“ სალექსიკონო მასალა უდიდეს პრაქტიკულ სამსახურს უწევს როგორც ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკოლოგიაში მომუშავეს, ისე ქართული სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური განვითარების წარმატებულად კვლევის საქმეს. აქედან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონს“ სამეცნიერო კვლევის ღირებულებაც ენიჭება და, ამ მიმართულებით, ერთგვარი სხივმოსილი გზამკვლევის ფუნქციას იტვირთავს, დიდებულ წინამორბედთა – სულხან-საბა ორბელიანისა და ილია აბულაძის ლექსიკონების მსგავსად.

მეორე მხრივ, ქართული სიტყვის იმავე ლექსიკურ-სემანტიკური კვლევისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია „ხევსურულ ლექსიკონში“ შემონახული ძველქართული ლექსიკური ფონდი. წინასიტყვაობაში ბატონი ალექსი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს ხევსურული დიალექტის „თვალში საცემი არქაულობა: მისი გაჯერებულობა ძველი ქართულის ლექსიკით, **ჭ** ბგერის უცვლელად დაცვა ყველგან, სადაც იგი ძველ ქართულში იხმარებოდა, შემონახვა წართანინანი მრავლობითისა, ხოლმეობითის მწკრივთა რთული სისტემისა...“ (ჭინჭარაული, V).

ამის თვალსაჩინო მაგალითად გვესახება „ხევსურული ლექსიკონიდან“ ქართ. **ქორწილის** ისტორიული სემანტიკის დასადგენად მოხმობილი ხევს. **ქორწილი** „ქორწილი“ და მასთან „ხილულობის“ მოტივით გაერთიანებული:

ხევს. **ჭორცი** „გადატ.სისხლით ნათესავი“;

ხევს. **ჭორცნი** „შიშველი ტანი (ავთ. არაბ.)“;

ხევს. **ჭორციელი** „1. კაცი, ადამიანი (ჯვართ ენაზე); 2. მსუქანი, ლეშიანი“;

ხევს. **ჭოც**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე; **ჭოცილ**-ან „(თურმ.) იხოცებოდნენ“, ხევს. **ჭოცილობა** „სიკვდილიანობა“;

ხევს. **ჭრეწა** „წმენდა; გასუფთავება“;

ხევს. **ჭრილი** „წვრილი, წმინდა მტვერი (მიწისა, ფქვილისა..) იხ.საბა, ჩუბინაშვილი; ქართლ. ხრილი“;

ხევს. **ხოყანა** „ხალხი; შდრ.: **ცა და ხოყანა, ცა-ხოყანა** ცა და ქვეყანა; სამყარო“;

ხევს. **ქვეხოყანა** „ცრურწმენით: მიწისქვეშა, ავი სულე-  
ბის ქვეყანა“.

❖ **ჯორცი, ჯოცა, ჯრწნა:**

იყო ცდა ეტიმოლოგიური დაკავშირებისა: **ჯოც->ჯორც-** (აწ გარდაცვლილი ბატონი გურამ ბედომვილისა, მისივე ზეპირი გადმოცემით). **ჯოცა** ზმნის „მრავალთა კვლის“ სემანტიკის გათვალისწინებით, ამ დაკავშირების დასადასტურებლად უკვე წარმოვადგინეთ **ჯორცი, ჯოცა, ჯრწნა** და **ქორწილის** ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის ცდა, რომელშიც ასევე მოხმობილია შესაბამისი ქართველური ენებისა და დიალექტების, ტიპოლოგიური მასალა (იხ. ღლონტი). თუმცა ამ მასალას ამჯერად სარწმუნოდ შეავსებს ზემოაღნიშნული დიალექტური მონაცემები „ხევსურული ლექსიკონიდან“.

პოლისემიური ძვ.ქართ. **ჯორცი** („ცოცხალი სხეული“, „ცოცხალი სხეულის ნაწილი; კუნთოვანი, რბილი“, „არსება, ადამიანი“), ძველი ქართული წყაროების მოწმობით (აბულაძე; იმნაიშვილი; სარჯველაძე), შემდეგნაირად გადანაწილდება: ერთი მხრივ, მრ.რ. **ჯორცნი** „(ადამიანის) სხეული (ცოცხალი)“, – ვითარცა „შემადგენელი ნაწილი ღვთის ქმნილებისა, ადამიანისა“, მეორე მხრივ, მხ.რ. **ჯორცი**, – ვითარცა „სულისაგან განშორებული, გვამი, საჭმელი“ (რომაელთა მიმართ 14, 21). არცთუ იშვიათად ძვ.ქართ. **ჯორცი** მხოლობით რიცხვშია მაშინაც, როცა იგი აღნიშნავს „ხორციელს, სულდგმულს“ (1 პეტრე 1, 24) ან „ნათესავის“ სემანტიკას იძენს (აბულაძე 1973) და შემადგენელია საკრამენტული სემანტიკური წყვილისა – „ჯორცი და სისხლი (ქრისტესი)“ (იოანე 6, 55-56). უკვე XI საუკუნიდან მოკიდებული, მრ.რ. **ჯორცნი** უმეტესწილად თითქმის სრულადაა ჩანაცვლებული მხ.რ. **ჯორციით**.

რამდენადაც სიკვდილი („კვდომა“, „კვლა“), ანუ სულის ხორცთაგან გასვლა, იწვევს ხორცის მრავლობით რღვევას, შლას, ხრწნას („მიწად ხარ და მიწადცა მიიქცე“ – შესაქმე 3, 19), – ქართულ ენაში საგანგებოდ გამოიძებნა მისი რიცხვში მონაცვლე მორფოლოგიური ადეკვატი **ჯოცა, (და)ხოცვა** – სპეციფიკური სემანტიკით „მრავლის კვლა, კვდომა“. ამ მხრივ უღრესად საგულისხმოა შესიტყვებანი: ქართ. **ჯორცნი შეისხნა, ჯორც(შე)სხმული, ხორცს დაყრის**, ხევს. **ჯორცთ დახყრის** და სხვა, რომლებშიც რიცხვში მონაცვლე ზმნები –

**სხმა, (შე)სხმა, დაყრა** – ხრწნადი **ჯორცის** „მრავლობით არსებობის“ სემანტიკის დასტურად წარმოდგებიან.

ეს კი, თავის მხრივ, ადასტურებს, რომ „კვდომისა“ და „კვლის“ სემანტიკა აღმოცენდა არქისემიდან – \*,**ხორცის** მრავლობით შლარღვევა, **ხორცის ხრწნადობა**“. ამას თვალსაჩინოდ აჩვენებს უხვი სათანადო მონაცემები ქართველური ენებიდან და დიალექტებიდან:

ძვ. ქართ. **მოჯოცა** „აღფხვრა“, ძვ. ქართ. **აღჯოცა**, ქართ. **აღხოცვა** „აღმოფხვრა, მოსპობა“, „ამოწყვეტა, მოსვრა“;

მეგრ. **ხორცქ-** „გლეჯა, მოწყვეტა“ (**რ-**ს განვითარებით და მეტათეზით);

მეგრ.-ჭან. **ხოცქ-//ხროცქ-//ხროსქ-** „კვდომა ცხოველისა“;

ათინ. **ხოწ-** „ხორცი“ (**ც→წ**), მეგრ. **ხოწ-**უა „თლა“, მეგრ.-ჭან.

**ქოს-** „ხვეტა“ (**ვ→ქ**);

მეგრ. **ხირიწკ-** „ფხრეწა“, ქართ., ქართლ. **ხიწნა** „ძვლებიდან ხორცის მოცლა, წიწვნა“;

სვან. **ჰაც-/ჰეც/ჰც-**, ჰაც-ა „ნგრევა“, ლი-**ჰც-**ე „დანგრევა; განადგურება“;

ხევს. **ჯორცი** „გადატ.სისხლით ნათესავი“; ხევს. **ჯორცნი** „შიშველი ტანი (ავთ. არაბ.)“; ხევს. **ჯორციელი** „1. კაცი, ადამიანი (ჯვართ ენაზე); 2. მსუქანი, ლეშიანი“; ხევს. **ჯრეწა** „წმენდა; გასუფთავება“; **ჯრილი** „წვრილი, წმინდა მტვერი (მიწისა, ფქვილისა...), და სხვა მრავალი.

ამ მრავლისმეტყველ საანალიზო მასალასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წმიდა წერილში შემონახული ძველი ქართული ზმნა **გამოჯორცვა** „ძვლებისგან ხორცის აქნა, ათლა, ნაჭრებად“ და მისი უნიკალური მიმღებური ფორმა **გამოჯორცილი** „ძვლებისგან აქნილი, ათლილი, ნაჭრებად გამოცლილი ხორცი“ (ეზეკიელი 24, 4), შდრ.: ძვ.ქართ. **ჯოცილი** „დანაჯოცი, მონაჯოცი“ (სულხან-საბა) და ხევს. **ჯოცილ-**ან „(თურმ.) იხოცებოდნენ“, ხევს. **ჯოცილობა** „სიკვდილიანობა“ (ჭინჭარაული).

ეს მასალა, მთლიანობაში, უაღრესად საგულისხმოდ გვითითებს **ჯრწნა** ზმნის სავარაუდო სემანტიკურ განვითარებასა და წარმომავლობაზე ზმნიდან **ჯოც-**(**ვ**)-ა, მისი ხსენებული ამოსავალი სემანტიკით, კერძოდ:

\***ჯორც-**ი „მრავლობით შლა(დი), რღვევა(დი); ფხვრა(დი); მოკვდავი ხორცი“ →

\***ჯორც-**(**ვ**)-ა „მრავლის შლა, თლა, რღვევა, კვლა, კვდომა“ →

**ჯოც-**(ვ)-ა, „ხოცვა, (და)ხოცვა“ →

**\*ჯრც-** → **\*ჯრც-ნა** → **ჯრწნა** „შლა, რღვევა, ხრწნა“;

სადაც **ო-** ხმოვნის სრული რედუქცია (**\*ჯორცნა** „შლა, რღვევა“ → **\*ჯრც-ნა** → **ჯრწ-ნა** „ხრწნა“) განიხილება ომონიმის დაძლევის ფონეტიკურ საშუალებად (შდრ.: ძვ.ქართ. **ჰს-**ვა „გაღება“ და **ჰშ-**ვა „დაკეტვა“), ხოლო **ც** → **წ** გამოწვეულია **რ** და **ნ** სონანტთა ორმხრივი მეზობლობით: **ჯრც-ნა** → **ჯრწ-ნა**, შდრ.: **მართ-ო**დენ- → **მართო, (მ)ცოდნე** → **ცოტნე**; მეგრ. **ოხორმა** → **ოხორწა** „ქალი, ცოლი, დიასახლისი“ (ლომთათიძე, 7, 13, 15; ჩიქობავა, 125).

**ჯორცის, ჯოცის** და **ჯრწნის** წარმოდგენილი სავარაუდო ეტიმოლოგიური დაკავშირების თვალსაზრისით, საინტერესო დამატებით მტკიცებულებას გვაწვდის შესაბამისი უხვი ტიპოლოგიური მასალა:

სანსკრ. **krura** „გატყავებული; უმი, სისხლიანი“ → ბერძნ. **kreas** „საჭმელი ხორცი; ადამიანი (გადატ.)“;

ლათ. **tellus** „მიწა“ და ლიტვ. **tyras** „ჭაობი“; ძვ. ინდ. **talam** „დაბლობი“ → სლავ. **тло** „ფსკერი, საფუძველი“; ძვ. სლავ. **тилетн**, სლავ. **тлеть**, ძვ. რუს. **тля** „ღვინა, დაშლა“ და ძვ. სლავ. **тъло** „სხეული“; სლავ. **тереть** „შლა“ და ძვ. რუს. **(по)терати** „დაღუპვა, დაკარგვა“;

ლატვ. **trupet** „ღვინა, დანამცეცება“ და სლავ. „ბულგ. **труп** „ტანი; ხის ღერო, გვამი“ (ფასმერი 1971); ესპ. **tronco** „ხის ღერო; ტანი, ტორსი“, ესპ. **tro(n)zar** „მსხვრევა, ნგრევა, დანაწილება“ და ესპ. **tronzarse** „განადგურება, სიკვდილამდე მისვლა“, და სხვა (ფასმერი).

#### ❖ **ჯორცი** და **ქორწილი/ქორწინება**:

**ჯორცის, ჯოცისა** და **ჯრწნის** წარმოდგენილი ლინგვისტური მასალა ჩვენს ყურადღებას ბუნებრივად წარმართავს **ქორწინების** საეკლესიო წმიდა საიდუმლოსთან დაკავშირებული შესაქმისეული მისტერიისაკენ, კერძოდ, კაცობრიობის პირველშობელთა – ადამისა და ევას სამოთხისეული (ცოდვითდაცემამდე) ერთად მყოფობის პირველკურთხევისაკენ:

„დაუტეოს კაცმან მამად თვისი და დედად თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე ერთ **ჯორც**“ (შესაქმე 2,24);

„ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ **ჯორც**“ (მათე 19,6).

ვფიქრობთ, ეკლესიის წმიდა საიდუმლოთა სახელდების მაძიებელ ქართველ ტერმინშემოქმედს უცილობლად უნდა გაეთვალის-

წინებინა წმიდა წერილში აღბეჭდილი განმსაზღვრელი საკრამენტული შინაარსი: „**ოყენენ ორნივე ერთ ჯორც**“, უწინარესად კი მისი ორი უმნიშვნელოვანესი მხარე:

**1)** ღვთის ნებით შეუღლებულთა „**ერთ ჯორც**“ მყოფობა, მათი **ამქვეყნიური, ხორციელი ერთობა** სოფელსა შინა, შდრ.: „ამქვეყნიური ცხოვრების“ სემანტიკის მქონე ძვ.ქართ. პოლისემიური **ქუეყანა**, რომელიც ასევე ნიშნავს: „მიწა; დედამიწა; მსოფლიო; ხმელეთი; მხარე; სოფელი; მამული“ (აბულაძე, სარჯველაძე), და ხევს., გუდამაყრ., მოხ., ფშ. **ხოყანა, ქოყანა** „ქვეყანა“, ხევს. **კრილი** „წმინდა მტკერი (მიწისა, ფქვილისა...)“ (ჭინჭარაული; ღლონტი ალ.);

**2)** მეუღლეთა ღვთივკურთხეული ერთობის **წილხვდომილობა, ამქვეყნიური ზიარი წილმქონეობა**, რის გამოსახატავად ქართველმა ტერმინშემოქმედმა წმიდა წერილში საგანგებოდ მონიშნულ „**ერთ ჯორც**“ მყოფობასთან შეაწყვილა ქართული არქაული წარმოების სახელური **წილ**-ი (არაბული, 209), მნიშვნელობით: „ხვედრი, ის, ვინც წილად ხვდა, წილად ერგო; წილხვდომილი“ (სულხან-საბა; აბულაძე; სარჯველაძე; ქეგლი).

ასე რომ, მიღებული კომპოზიციით – **\*ერთ ჯორც(თ)-წილ-ი** → **ქორ-წილ-ი / ქორწინება** – ჩვენმა მაღლიანმა ტერმინშემოქმედმა ეკლესიის წმიდა საიდუმლოს მრჩობლი საკრამენტული შინაარსი „საიდუმლოდ“ აღბეჭდა: ღვთივკურთხეულ მეუღლეთა ზეგარდმო დამკვიდრებულ „**ერთჯორც მყოფობაზე**“ მიგვანიშნა და ამ მყოფობის „**ერთსულობის მაღლზე**“ დაგვაფიქრა (წმიდა იოანე ოქროპირი; დამასკელი; ლოპუხინი).

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართ. **ქორ-წილ**-ის სემანტიკურ-ეტიმოლოგიური განვითარება ამგვარად გვესახება:

**\*ერთ ჯორც(თ)-წილ-ი** „(ორის ) ერთხორც ყოფნა (ამქვეყნად)

**\*ჯორც-წილ-ი** → **\*ჯორ-წილ-ი / ხორ-წილ-ი** → **ქორ-წილ-ი**.

რაც შეეხება ფონეტიკურ გადასვლას **ჯ/ხ** ↔ **ქ** (**\*ჯორცწილი / ხორწილი** → **ქორწილი**), ხვესურულთან ერთად, სარწმუნოდ გვიმოწმებს ადმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა დიალექტებში შემონახული ფორმებიც: **ჯორწილი** ↔ **ქორწილი**, **ჯისიცი** ↔ **ქისიცი**, **ხოყანა** ↔ **ქოყანა**, **ქვიშქეთი** ↔ **ქვიშხეთი**, **ხუნძახი** ↔ **ქუნძახი** (ჭინჭარაული, ღლონტი ალ.; ჩიქობავა, 334); ასევე: ძვ. ქართ. **კცე** და **ქან**. **ხჩე/ქჩე** „მოხუცი“ (ჩიქობავა, 221-222; ქავთარაძე, 46-47); ძვ. ქართ. **წარ-ჯოცა** „დაწმენდა“ და **ქან**. **ო-ქოსუ**, მეგრ. **გო-ქოსუ** „წმენდა, დაგვა“ (ჩიქობავა,

222); ხოლო წინანუნისმიერი **ც**-ის დაკარგვას აღარაფერი უდგას წინ მკვეთრ **წ**-ის მეზობლობაში: \*ჯორც-წილ- → ქორ-წილ-.

საკუთრივ ტერმინი **ქორწინება** მორფოლოგიურად არის **და-ქორწინდება, დააქორწინებს** ზმნათა საწყისი. დადგენილია სონორთა ისტორიული ალტერნაციული ურთიერთმონაცვლეობა: **ქორ-წილ-ი** ↔ **ქორ-წინ-ი** → **ქორწინება** (არაბული, 312).

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**აბულაძე, 1972** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

**არაბული, 2001** – ავთანდილ არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, „ქართული ენა“, თბ., 2001.

**ახალი აღთქუმაი, 1995** – ახალი აღთქუმაი, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1995.

**დამასკელი, 2000** – დამასკელი, წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მაია რაფავამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისის სასულიერო აკადემია, თბ., 2000.

**ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები**, თბ., 1976.

**იმნაიშვილი, 1986** – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

**წმიდა იოანე ოქრობირი** – თარგმანებად მათეს სახარებისად, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა, წიგნი I, 1996; წიგნი II, 1996; წიგნი III, 1998.

**ლომთათიძე, 1996** – ქეთევან ლომთათიძე, სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრება (დაყრუება) ქართველურ ენებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996.

**ლოპუხინი, 1904-1907** – Толковая Библия, А. П. Лопухина, 1, Петербург, 1904-1907.



**მცხეთური ხელნაწერი** – თბ., 1981, 1982, 1983.

**სულხან-საბა** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ტ.-1991, II ტ.-1993.

**სარჯველაძე, 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

**ფასმერი, 1971** – Макс Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. III, Москва, 1971.

**ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი** – თბ., ტ. I, 2005; ტ. II, 2007.

**ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი** – თბ., 2009.

**ქელი, ტტ.:** V-1958, VI-1960, VII-1962, VIII-1964.

**ღლონტი, 1984** – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

**ღლონტი, 2011** – მედეა ღლონტი, **ხორცის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის (ხორცი, ხოცვა, ხრწნა და ქორწილი), „ეტიმოლოგიური ძიებანი VIII“, თბ., 2011, გვ. 76-92.

**ჩიქობავა, 1938** – არნოლდ ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

**ჩუბინაშვილი, 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

**ჭინჭარაული, 2005** – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბ., 2005.

## **ხ ა თ უ ნ ა   ყ ა ნ   დ ა   შ ვ ი ლ ი**

### **მრავალგზისობის კატეგორია ფერეიდნულსა და კახურში**

მრავალგზისობა ქართული ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა. არსებობს ერთგზის შესრულებული მოქმედება – **დაწერა** და მრავალგზის შესრულებული მოქმედება – **წერდა ხოლმე**. ძველ ქართულში ეს კატეგორია მორფოლოგიურად გადმოიცემოდა, ჰქონდა საკუთარი მწკრივები: I ხოლმეობითი, II ხოლმეობითი და III ხოლმეობითი. ახალ ქართულში მრავალგზისობა სემანტიკურად გადმოიცემა. ამ სემანტიკის გამოსახატავად ძირითადად გამოიყენე-

ბა უწყვეტლის მწკრივი და **ხოლმე** ნაწილაკი სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან. მრავალგზისობა სემანტიკურად ასევე გამოიხატება მყოფადის ხოლმეობითით.

ჩვენი ინტერესის სფეროა მრავალგზისობის კატეგორიის შესწავლა ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში. ვინაიდან ფერეიდნული დიალექტი კახურის განაყარია, ამიტომ ფერეიდნულის მონაცემებს შევადარებთ კახურს. ჩვენი საკვლევი მასალაა არნ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილი ტექსტები (არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. I; 2012, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე „ქართული დიალექტოლოგია“, 1961; დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული ტექსტები – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, 2012).

დავინტერესდით, არის თუ არა რაიმე განსხვავება მრავალგზისობის გადმოსაცემად დროის იმ ინტერვალში, როდესაც ეს ტექსტები ჩაიწერა. ფერეიდნულში მრავალგზისობის გამოხატვის რამდენიმე შესაძლებლობაა: ხოლმეობითის მწკრივები, ხოლმეობითის მწკრივებთან დართული **-ყე** ნაწილაკი – (ორმაგი გამოხატვა), **-ყე** ნაწილაკი სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან, უწყვეტლის მწკრივი.

ფერეიდნულში ხოლმეობითის მწკრივები ჩვენს საკვლევ მასალაში ყველგან დადასტურდა. მრავალგზისობა გამოიხატება: **I**. ხოლმეობითის მწკრივებით – ვითარება ძველქართულისებურია:

„ფული რო **აიკრეფის**, საუზმოს შამაიტანენ“ (არნ. ჩიქობავა, 230);

„ერთ კირას იმით საქმე ეგრე **იყვის**, რო კაცის მანაველი ვერ **გაიარის**“ (დიალ., 253);

„**შავკრით** ემჭვლები და ზეგ **დავადგით** ქობი“ (დ. ჩხუბ., 216);

„ერდგან არი რო ნადირი **გაიდის** იქითა, თხა, ბოტო, ესები **გაიდიან** და ეს მეთოფეები ჩადჯდებიან“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე, ლ.ბაკურაძე, 2017).

ამ მონაცემებს ვადარებთ კახურს. ირკვევა, რომ ამჟამინდელ კახურში აღარ გვხვდება მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვა, თუმცა XIX საუკუნეში ამ კატეგორიის ორგანული წარმოება ცოცხალია მთელ კახეთში. საილუსტრაციო მასალას მოვიყვანთ 1812 წლის აჯანყების დოკუმენტური მასალიდან:

„რაც იმათ **გარდარჩის** და ქვევრში **ჩავასხემდით** ისიც ქურდობით **აგვიხადიან**, რაც შეეძლებოდათ **წაიდიან** და რაც **დარჩის**, სულ მიწით **აღავსიან** და **წავგვიხდინიან**“ (კაკაბეთი, 59);

მოგვიანო ტექსტებში ხოლმეობითის მწკრივები ნაშთის სახით იყო შემონახული ქიზიყურ კილოკავში, თუმცა ეს მწკრივები უკვე აღარც ქიზიყურში გვხვდება. ორგანული წარმოება შეიცვალა აღწერითი წარმოებით.

**II.** ფერეიდნულში მრავალგზისობა ორმაგი წარმოებით გამოიხატება – ხოლმეობითის მწკრივთან ერთად ვხვდებით **-ყე** ნაწილაკიან ფორმებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, **-ყე** ნაწილაკი სხვადასხვა ფუნქციას გამოხატავს, იგი მიუთითებს ობიექტის მრავლობითობას, გამოხატავს ქვემდებარის მრავლობითობას, გამოიყენება თანდებულის ფუნქციით და ასევე გვხვდება **ხოლმე** ნაწილაკის მნიშვნელობით. ილუსტრაცია საკვლევი მასალიდან:

„ესეები **მოდიანყე** პირველად ჯაყჯაყს, შიას ქურთები, ღამით **დადგაიანყე** იქა“ (არნ. ჩიქობავა, 224);

„რაცღა დედაკაცი **იყვისყე** აჭუსში, **მაიტეხიანყე**, **წავიდიანყე**“ (დიალ., 253);

„ჩემ ბაბომა რო სურათი სეიჭოლასი **გამაიღისყე**, **დაიწყისყე** ტირილი, ძალიან **იტირისყე**, მეცა **ვიტირიყე**“ (დ. ჩხუბ., 238);

„ერთი ფეკი და ერთი ჯელი **შოუჯრისყე** და **დააგდისყე** დღელა ძოოს რო იმას არ აიღონ“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე; ლ. ბაკურაძე, 2017).

ამგვარი ვარიანტები ჩვენს საკვლევ მასალაში საკმაოდ ხშირია. ბოლო დროის ჩაწერილ ტექსტებში თანდათან უფრო მატულობს **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები. კახურ დიალექტში, გამოქვეყნებულ ტექსტებში, ასეთი ვარიანტები არ დასტურდება, თუმცა ვვარაუდობთ, რომ **იყვისყე** ფორმა ადრეული კახურისთვის არ უნდა ყოფილიყო უცხო და არაბუნებრივი. შესაძლოა ამ კატეგორიის ორმაგი გამოხატვის ფორმები დაიკარგა და შემდგომში უკვე მხოლოდ **-კე** ნაწილაკმა გადმოსცა მრავალგზისი მოქმედება. ეს ჩვენი ვარაუდია და ამის დადასტურებას ან უარყოფას ცალკე კვლევა-ძიება სჭირდება.

ძველ ქართულშივე შეინიშნება მრავალგზისობის ორმაგი გამოხატვის შემთხვევები: ხოლმეობითის მწკრივთან ერთად გამოყენებულია მრავალგზისობის ლექსიკური ერთეულები. ნიმუშს მოვიყვანთ „ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლების“ I ტომიდან (1963 წ.): „და **მრავალგზის მოვიდის** უბანსა ურიათასა ენისათეს ებრაელისა და გამოძიებისათეს კუართისა უფლისა“ (95).

ეს ფაქტი მიუთითებს იმას, რომ ხოლმეობითის მწკრივები ვე-

დარ გადმოსცემდა მრავალგზისობის კატეგორიას, ამიტომ ენამ გამოიყენა ლექსიკური საშუალებები. ეს გარდამავალი პერიოდია. შემდგომში ხოლმეობითის მწკრივები გაქრა და სალიტერატურო ქართულში კატეგორია მხოლოდ სემანტიკურად გადმოიცემა. დიალექტებშიც შესაძლოა ამასთან გვექონდეს საქმე. კახურში ანალოგიურად წარიმართა ენობრივი პროცესი. იყო ხოლმეობითის მწკრივები, შემდეგ ხოლმეობითის მწკრივებთან ერთად ლექსიკური ერთეულები (ხოლმე დასტურდება ხოლმეობითის მწკრივებთან: „ხანდახან ქარი **მაიტხამდის ხოლმე** ხი ტოტ და ზამპა **გაიციოდის**“ (დი-ალ., 213). ფერეიდნულში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხოლმეობითის მწკრივთან – **-კე** ნაწილაკი. მომდევნო ეტაპზე კახურში გვხვდება უწყვეტლის მწკრივი და **ხოლმე** ნაწილაკი სხვადასხვა მწკრივის ფორმებთან. ფერეიდნულში კი – **-ყე** ნაწილაკი ზმნის სხვადასხვა მწკრივებთან.

**III. -ყე და -კე** ნაწილაკები გამოხატავს როგორც მრავალგზისობას, ისე ობიექტის მრავლობითობასაც. ორივე ფუნქცია ივარაუდება ერთ მორფემაში, თუმცა უმეტესად **-ყე// -კე** ნაწილაკებისთვის მთავარი ფუნქცია მაინც ობიექტის ან სუბიექტის მრავლობითობის გამოხატვაა ზმნაში. ამ ნაწილაკებითა და სხვადასხვა მწკრივით გადმოცემული მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვა უფრო შეზღუდულია ფერეიდნულსაცა და კახურშიც:

ფერეიდნული: „მოჴლენ ის უფროსი მენადირეები, გასჩხრეკენ და **გოჴკრიანყე** დმეებსა ჯარს, **შაჯერებენყე** ერთმანეთში“ (დი-ალ., 255);

„ყორები **მოატანთყე** ბეჴრი ძივსა“ (დ. ჩხუბ., 218);

კახური: „**წამოულებდიკე**, რასაც უყიდიდი“ (ქ.დ.კ., ლ. ბაკურაძე; რ. ლანდია, 2017).

არის შემთხვევები, როდესაც **-ყე** გამოხატავს მხოლოდ მრავალგზისობას. ასეთი ფორმები უკვე იშვიათია ფერეიდნულში, ხოლო კახურში თითქმის აღარ ფიქსირდება, **-კე** მორფემოიდით ზმნაში თითქმის მხოლოდ მრავლობითობა აღინიშნება.

ფერეიდნული: „ეკითაყ ამბავი **მიჴკონდაყე**“ (დ. ჩხუბ., 219);

„წავალთყე, ნამაზს **ვიჴთყე** იქა“ (დ. ჩხუბ., 221);

„კაი ხალღია და რო გაბრაზებულნი არიან, ერთ ღრუბელი მარტყოფში **ამოაყე**“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე; ლ. ბაკურაძე, 2017);

„ინას ღამეს ახანძალს ინას **დაადებენყე**“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე; ლ. ბაკურაძე).

დიალექტური კორპუსის განთავსებულ მასალაში, რომელიც ბოლო პერიოდშია ჩაწერილი, დავადასტურეთ შემთხვევები, როდესაც შედგენილ შემასმენელთან ერთად ფიქსირდება **-ყე** ნაწილაკი, მანამდე გამოქვეყნებულ ტექსტებში ამგვარი შემთხვევები არ გავლინდა: „– მუშაობა **ემეზიაყე, მიწეზიაყე**, ბრინჯსა მთესავენ, ბრინჯი, თხილი, **ესეზიაყე, ზრეწეულიაყე, კაკალაყე**, ლეღვი, **ლეღვიაყე**“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, 2017).

კახური: „მამაჩემი **იტყოდაყე**: ბატონი ჩვენი წინა მხარში, გურჯაანში კყვანდაო“ (დიალ., 132).

**IV.** ამჟამინდელ კახურში მრავალგზისობა უწყვეტლის მწკრივით გამოიხატება:

„**დადიოდა** სოფელში, ვიზე რა იყო შაწერილი, იმა **აგრობდა**“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე; ლ. ბაკურაძე, დიალ., 2017);

ფერეიდნულშიც ფიქსირდება უწყვეტლის მწკრივი ამ ფუნქციის გადმოსაცემად:

„ოცი წლის წინ მე **მივდიოდი** იქითი დავიარო“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე; ლ. ბაკურაძე, 2017);

კახურისთვის **ხოლმე** ნაწილაკის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა:

„თუ კმელაანში ვთესამდით, მაშინ გრძელ მიწებში ანუელათ **ვხნამდით ხოლმე**“ (დიალ., 214).

**ხოლმე** ნაწილაკი ფერეიდნულში ერთ შემთხვევაში დავადასტურეთ, ეს სალიტერატურო ქართულის გავლენა უნდა იყოს, რადგან მათ უკვე აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ ურთიერთობა ქართველებთან: „ნიშნავს **ხოლმე**, წავალთ-მოვალთ“ (ქ.დ.კ., მ. ბერიძე; ლ. ბაკურაძე, 2017).

როგორც ირკვევა, კახურსა და ფერეიდნულში მრავალგზისობის გამოხატვა განსხვავებულად ფორმულირდა ენაში. კახურში პროცესი წარმართა ასე – იყო ძველი ქართულის მსგავსი ვითარება, მაგრამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა გაქრა. მრავალგზისობა ისე გამოიხატება, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში. ფერეიდნულში კი რამდენიმე დიალექტური სახესხვაობა თანაარსებობს – ხოლმეობითის მწკრივები, ხოლმეობითის მწკრივთან ერთად **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები, **-ყე** ნაწილაკით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედება, უწყვეტლის მწკრივი.

## გამოყენებული ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.

**დიალექტოლოგიური კორპუსი** – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტ. დიალექტური კორპუსი.

**კახეთის 1812 წ. აჯანყების დოკუმენტები, 1999** – კახეთის 1812 წ. აჯანყების დოკუმენტები, თბ., 1999.

**ჩიქობავა, 2012** – არნ. ჩიქობავა, შრომები, I, თბ., 2012.

**ჩხუბიანიშვილი, 2012** – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, თბ., 2012.

**ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები, 1963** – ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები, I, თბ., 1963.

## ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მ ე დ ე ა ს ა დ ლ ი ა ნ ი, ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

### ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება ჩოლურულ მეტყველებაში

ზედსართავი სახელი და მისი ხარისხის ფორმები სვანური ენის დიალექტების მიხედვით მეტნაკლებად შესწავლილია ენათმეცნიერთა მიერ (თ. ზურაბიშვილი, გ. მაჭავარიანი, ვ. თოფურია, რ. ჭკადუა, ა. ონიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, ზ. ჭუმბურიძე, ე. გაზდელიანი...), თუმცა ჩოლურული მეტყველების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა მსჯელობა შესაბამისი მასალის უქონლობის გამო.

საანალიზო მასალა, რომელიც ძირითადად ამოღებულია ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფელში საველე პირობებში მოძიებული ტექსტებიდან, ბუნებრივია, შედარებული იქნა როგორც ლაშხურ-ლენტეხურ, ასევე ზემოსვანურ დიალექტოლოგიურ შესაბამის მასალასთან, რის საფუძველზეც ჩოლურ-

რულმა აღნიშნული დიალექტებისაგან საკმაოდ განსხვავებული და მეტად საინტერესო სურათი აჩვენა.

დიდძალი მასალის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ჩოლურულ მეტყველებასაც, მსგავსად ზემოსვანურისა (ბალსზემოური და ბალსქვემოური) და განსხვავებით ქვემოსვანურისაგან (ლაშხურ-ლენტეხურისაგან), მოეპოვება ზედსართავი სახელის ოთხივე ხარისხის (**დადებითი, უფროობითი, აღმატებითი** და **ოდნაობითი**) ფორმა სხვადასხვა მაწარმოებელი აფიქსებითა (ე. წ. მარკერებით) და აღნიშნული დიალექტებისაგან განსხვავებული წარმოებით.

უნდა ითქვას, რომ **დადებით ხარისხს** ჩოლურულში, ისევე, როგორც სვანური ენის სხვა დიალექტებში, რაიმე განსაკუთრებული ხარისხის მაწარმოებელი არ გააჩნია (ანუ არამარკირებულია), რაც შეეხება **უფროობითი ხარისხის** ფორმებს, ისინი ჩოლურულ მეტყველებაში, ძირითადად, წარმოდგენილია მაწარმოებელი **ხო-** – **-ა** პრეფიქს-სუფისით, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც უფროობითის გამოსახატავად **-ილ** სუფიქსიც გამოიყენება. **აღმატებითი ხარისხის** მაწარმოებლად კი აქაც **მა-** – **-ა/ე** კონფიქსი დასტურდება. **ოდნაობითი ხარისხი**, რომელიც სხვა ხარისხებთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, წარმოების თვალსაზრისით მეტი ნაირფეროვნება ახასიათებს. მისი მაწარმოებლობა: **მე-** – **-ა/მი-** – **ა/მა-** – **-ა, ხო-** – **-არ-ა; ხო-** – **-ალ-ა** კონფიქსი, **მუ-**/**მე-** პრეფიქსი და **-არ-ა/-ალ-ა** სუფიქსი (შდრ. ქს. **სგელწარა** „მოსქელო“, **ზეგინწარა** „მომაგრო“, **ათუიარა** „მოცხელო“...)<sup>5</sup>.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმების სახით წარმოვადგენთ ზედსართავი სახელის ოთხივე ხარისხის (**დადებითი, უფროობითი, აღმატებითი** და **ოდნაობითი**) ფორმას ჩოლურული მეტყველების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ როგორც სვანური ენის სხვა დიალექტებთან საერთო, ისე საკუთრივ ჩოლურულისათვის დამახასიათებელი სხვაობანი.

ქართ.	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნაობითი
კარგი	<b>ხოჩა</b>	<b>ხოჩილ</b>	<b>მაჩწე</b>	<b>მაჩწწარა    ხოჩილწარა</b>
ცუდი	<b>ხოლა</b>	<b>ხოღწარა    ხოღრილ</b>	<b>მაღწწე</b>	<b>ხოღრილწარა</b>

<sup>5</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი ანალიზი იხ. ქვემოთ!

ქვეიანი	ქვეიერ	ხოქვეიერა	0	ქვეიერალა
დიდი	ხოშა	ხოშილ	მაშენე	მაშენარა    ხოში-ლარა
პატარა	ხოხრა	ხოხრილ	მატრენე	მატრენალა    ხოხრილარა
თეთრი	თუთენე	ხოთთუენა	მნთთუენა	მუთთუენ    მათთუენარა
შავი	მეშხე	ხომშხა	მამშხა	მემშხა    მეშხენარა    მეშხარა
წითელი	წერნი	ხოწრანა	მაწრანა	მეწრან    წერნიარა
ყვითელი	ყუითელ	ხოყუითლა    ხოყუითლა	მაყუითლა    მაყუითლა	ყუითლარა    მუყუითალ    მუყუითილ
მწვანე	წუანლ	ხოწუნილა    ხოწუანლა	მაწუანლა	წუანილარა
რუხი	ქურუხუ	ხოქურუხუა	მაქურუხუა	ხოქურუხუნლა
ჭრელი	ჭერელ	ხოჭრელა	მაჭრელა	მეჭრელა    ჭერლარა
გვიანი	გუიან	ხოგუიანა	მაგუიანა/ე	გუინდარა
სავსე	გუეში	ხოგუშილა	მაგუშილა	გუეშიარა
ღრმა	სკრდი	ხოწსკრდა	მანსკრდა	სკრდიარა
ნედლი	ზესყი	ხოზსყა	მაზსყა	ზესყინარა
მოკლე	მეკუშტი	ხოწკუშტა	მანკუშტა	მეკუშტარა
გრძელი	ჯრდი	ხოჯუტა    ხოწჯუტა	მწჯუტა	ჯრდიარა
თხელი	დგთხელ	ხოდთხლა    ხოდთხელა	მადთხლა    მადთხელა	მედთხელა    დგთხლარა
სქელი	სგელ	ხოწსგლა	მანსგლა	მეწსგლა    სგელარა
თბილი	ტეხდი	ხოტეხიდა	მატეხიდა	ტეხდიარა
ცივი	მეცხი	ხომცხა	0	მეცხინარა
ცხელი	ათუი	ხოითუა	მაითუა	ხოითუარა    ათუიარა
მსხვილი	მეგრე	ხოწგრა	მანგრა	მეგრალა    ხოწგრალა
წვრილი	ნეცინ	ხოწცინა	მანცინა	ხოწცინარა    ნეცინარა
ვიწრო	ნახუწი	ხოწხუწა    ხოწხუწა	მანხუწა    მანხუწა	ხოწხუწარა    ნახუწინარა
ფართო	მამრი	ხომმარა	0	მამრიალა
ძველი	ჯუთინელ	ხოჯუთინელა	მაჯუთინელა	ჯუთინლარა
სუფთა	წყელან	ხოწყელიანა	0	
მშრალი	ფუკუი	ხოფკუა	0	ფუკუინარა
მწარე	მწარ	ხომწარა	0	მწარალა



ტკბილი	მუჭხუბი	ხომჭხუბა	0	მუჭხუბინრა
მაღალი	კგლთხი	ხოკლათხა    ხოწკლათხა	მანკლათხა	კგლთხინრა
დაბალი	დამხალ	ხოწდაბლა	მანდაბლა	მეწდაბლა    ხოწდაბლანრა    დამხალნრა
ხმელი	ფფრი		0	ფფრინლა
მოხუცი	მეჩი	ხომა	0	მეჩინრა
მაგარი	ხგეი	ხოხგა	0	ხგეინრა
სველი	მეძღირ	ხოძღრა    ხოწძღრა	მანძღრა	მეძღირნლა
მჟავე	მეხიმ	ხომახმა	0	მეხიმნრა
გრილი	ქტეირ		0	ქტეირნლა
გამხდარი	მეჩხფე	ხოჩხფა    ხოწჩხფა	მანჩხფა	მეჩხფნრა
სუსტი	სტისტ	ხოსტსტა	მანსტსტა	სტისტნრა
მსუქანი	ლუგტარ	ხოლგტარა	მანლგტარა	ლუგტარნლა
მსუბუქი	აში	ხოაში	0	აშინრა
მძიმე	გტამი	ხოწგტამა	მანგტამა	გტამინრა
მწიფე	მეღ		0	მეღინრა
წყნარი	წყნარ	ხოწწყნარა	0	წყნარნლა
გიჟი	მიტურელ		0	მიტურელნრა
მღვრიე	ნარღტედ	ხოწღტრედა    ხოწნარღტედ	მანღტრედა	ნარღტედნლა
ახლო	ფწდია	ხოფდია	0	ხოფდინრა    ფწდინრა
მრუდე	სრიხ		0	სრიხნლა
ახალი	მახე	ხომახა	მახა	მახენრა...

წარმოდგენილმა პარადიგმამ აჩვენა, რომ ჩოლურულ მეტყველებაში ზედსართავ სახელთა უმეტესი ნაწილი, განსხვავებით ლამხურ-ლენტეხურისაგან, ოთხივე ხარისხს აწარმოებს: *დადებითს, უფროობითს, აღმატებითსა და ოდნაობითს*. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ქვემოვანური დიალექტები ხუთ უფროობით ხარისხში გაქვავებული – **ხომა** „უფროსი“, **ხოხტრა** „პატარა“, **ხოჩა** „კარგი“, **ხოლა** „ცუდი“, **ხოღრა** „უფრო ცუდი“ ზედსართავების გარდა, სხვა ზედსართავი სახელები აღმატებით ხარისხს ვერ აწარმოებენ (გაზდელიანი 2013:63), თუმცა ჩოლურული საპირისპირო ვითარებას აჩვენებს, იგი, ზემოსვანური დიალექტების მსგავსად, აღმატებით ხარისხს აწარმოებს **მა** – **ა/ე** პრეფიქს-სუფიქსით, რომელთაგანაც უფრო ბუნებრივი ჩოლურელი რესპონდენტე-

ბისთვის **მა-** – **ა** კონფიქსით ნაწარმოები აღმატებითებია. რაც შეეხება ოდნაობით ხარისხს, მისი მაწარმოებელი აფიქსებია: **მგ-** – **-ა/მი-** – **ა/მა-** – **-ა**; **მუ-/მგ-**; **ხო-** – **-არ-ა**; **ხო-** – **-ალ-ა**; **-არ-ა/-ალ-ა**, აღნიშნულ აფიქსთაგან ოდნაობითი ხარისხის ძირითადი მაწარმოებელი ჩოლურულშიც **-არ-ა/-ალ-ა** სუფიქსია, მაგრამ პარალელურად პრეფიქს-სუფიქსით და ოდენპრეფიქსით ნაწარმოები ფორმებიც დასტურდება. საინტერესოა, რომ ჩოლურული ოდნაობითისთვის ფუძედ იყენებს აღმატებითი ხარისხის ფორმებს (მაგ.: **მაჩენ-არ-ა** (← აღმატებითი ხარისხის ფორმა **მაჩენე** „ყველაზე უკეთესი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არ-ა** სუფიქსი), **მაშენ-არ-ა** (← აღმატებითი ხარისხის ფორმა **მაშენე** „ყველაზე დიდი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არ-ა** სუფიქსი), **მატრენ-ალ-ა** (← აღმატებითი ხარისხის ფორმა **მატრენე** „ყველაზე პატარა“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არ-ა** სუფიქსი...), რაც სხვა დიალექტებში არ შეგვიძინევიან. გარდა ამისა, ოდნაობითში ფუძედ დადებითი (მაგ.: **წვინარა** (← **წვინი** „წითელი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **წჳანილარა** (← **წჳანილ** „მწვანე“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ჭვრლარა** (← **ჭვრელ** „ჭრელი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **გუინდარა** (← **გუინდ** „გვიან“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **გუეშიარა** (← **გუეში** „სავსე“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **სვრდინარა** (← **სვრდი** „ღრმა“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ზესყინარა** (← **ზესყი** „ნედლი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **მეკუშტარა** (← **მეკუშტე** „მოკლე“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ჯრდინარა** (← **ჯრდი** „გრძელი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი)...) და უფროობითი (მაგ.: **ხოჩილარა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხოჩილ** „უკეთესი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ხოდრილარა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხოდრილ** „უარესი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ხოშილარა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხოშილ** „უფრო დიდი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ხოხრილარა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხოხრილ** „უფრო პატარა“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ხოქურუხუხლა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხოქურუხუხა** „მორუხო“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **არა** სუფიქსი), **ხოითარა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხოითარა** „უფრო ცხე-

ლი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **წრა** სუფიქსი), **ხონცინწრა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხონცინა** „უფრო წვრილი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **წრა** სუფიქსი), **ხონხუწრა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხონხუწა** „უფრო ვიწრო“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **წრა** სუფიქსი), **ხონდაბლწრა** (← უფროობითი ხარისხის ფორმა **ხონდაბლა** „უფრო დაბალი“ + ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი **წრა** სუფიქსი...) ხარისხის ფორმებიც არის გამოყენებული.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ხარისხის ნაკლულოვანი სისტემით ხასიათდებიან: ბალსქვემოური (ზოგჯერ) და ქვემოსვანური დიალექტები (გაზდელიანი იქვე:64), რასაც ვერ ვიტყვით ჩოლურულ მეტყველებაზე, რომელიც ამ საკითხშიც საგრძნობლად განსხვავდება ლაშხურ-ლენტეხურისაგან და აღმატებით ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით მეტ სიახლოვეს აჩენს ბალსზემოურ დიალექტთან, თუმცა წარმოების თვალსაზრისით ბალსზემოურისგანაც სხვაობს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**გაზდელიანი** 2013 – ე. გაზდელიანი, ზედსართავი სახელის ჯგუფები და ხარისხები სვანურში. – იკე, XLI, თბილისი, 2013.

## **ლილი შაყულაშვილი**

### **რამდენიმე ფონეტიკური პროცესისათვის ბორჯომის ხეობის მეტყველებაში**

ბორჯომის ხეობა წარმოადგენს **ზემო ქართლის** სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს. იგი მდებარეობს მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, სამხრეთ კავკასიის მთების ჩრდილოეთ და სურამის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე. აქ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდინარე მტკვარი არღვევს მესხეთისა და ახალციხე-იმერეთის ქედებს და თრიალეთის მთების ჩრდილოეთ კალთებზე ე.წ. ტაშისკარიდან გადადის ქართლის ველში.

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, მტკვრის ხეობა „არს დვირამდე ქართლისა“, მაგრამ მტკვრის შენაკადი ხევების აღწერას იგი ჭობისხევით ამთავრებს. ხეობის სოფელთა სიაც ჭობისხევით თავდება და დვირისხევის სოფლები იქ ჩამოთვლილი არაა. სამცხის აღწერა ქვაბისხევით იწყება და დვირისხევი არც აქ იხსენიება. დევი ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი არ იყო დარწმუნებული ამ სასაზღვრო ხევის კუთვნილებაში.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, დვირის ხეობის სოფლები ახალციხის ლივის აწყურის ნაჰიდემია შეტანილი.

როგორც ვხედავთ, დვირის ხევი მდებარეობს ქართლისა და ჯავახეთის გზაგასაყარზე. სწორედ ამიტომ, რომ აქ მცხოვრებთა მეტყველებაში ვაწყდებით როგორც ქართლური, ასევე ჯავახური მეტყველებისთვის დამახასიათებელ რიგ თავისებურებებს, თუმცა თავს იჩენს მათგან განსხვავებული ფორმებიც.

დვირისხევის ზემო წელზე განლაგებულია სამი სოფელი: საკირე, ტაძრისი და დგვარი. სწორედ ამ სოფლებში მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებებზე გავამახვილებთ ყურადღებას ჩვენს ნაშრომში.

განვიხილავთ დისიმილაციის, მეტათეზისისა და ბგერის დაკარგვის მოვლენებს.

## 1. დისიმილაცია

როგორც ცნობილია, ზოგჯერ ენაში ასიმილაციის საწინააღმდეგო მოვლენა იჩენს თავს. თუ ერთ სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერაა მოსალოდნელი, შეიძლება, რომ ერთი მათგანი გადასხვაფერდეს და სხვა ბგერად იქცეს, ეს იქნება დისიმილაცია – ამგვარად განმარტავს ა. შანიძე დისიმილაციას (შანიძე, 1980: 23).

არამ მარტივოსოვი ჯავახური დიალექტის ფონეტიკური ანალიზისას აღნიშნავს, რომ ხმოვანთა დისიმილაცია თითქმის ერთი ტიპობრივი მოვლენით ამოიწურება. ესაა რეგრესული ასიმილაციის შემდეგ მომხდარი ხმოვანთა განმსგავსება.

**აე** და **ოე** კომპლექსთა ცვლილების შედეგად მიღებული **ეე** დისიმილირდება. ე.ი. ფუძისეული **ე** ხმოვანი როდესაც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ **ა** ხმოვანს, ამის შემდეგ ხდება მათი დისიმილაცია: **აე>ეე>იე**, მაგ.:

თავკიდურა პოზიციამი: **დაე>დე>დიე**: დაემტვრა>დეენტვრა>დიენტვრა; დაეწვა>დეწვა>დიეწვა; დაემატა > დეემატა >

დიემატა; დაეწერა > დეეწერა > დიეწერა.... **გაე>გაეე>გიე:** გაეკეთებინა> გეეკეთებინა > გიეკეთებინა; გაემზადა > გეემზადა > გიემზადა; გაეპარა > გეეპარა > გიეპარა; გაება > გეება > გიება... **წაე > წაეე > წაეეე:** წაესხა> წეესხა> წიესხა; წაეყვანათ> წეეყვანათ> წიეყვანათ... **ჩაე>ჩაეე>ჩაეეე:** ჩაერია> ჩეერია > ჩიერია; ჩაეგდო> ჩეეგდო> ჩიეგდო... **გადაე > გადაეე > გადაეეე:** გადაეცეს>გადაეეცეს>გადაეეეცეს; გადაეხვია > გადაეეხვია> გადაეეეხვია.. ეს შემთხვევები დამახასიათებელია ჯავახური დიალექტისათვის.

ა. მარტიროსოვის თქმით, ანალოგიური პროცესი გვხვდება ე-სა და პრევერბისეული **ო** ხმოვნის შესაყართანაც; მაგ.: **მოე>მეე>მიე:** მოექცა > მეექცა > მიექცა; მოეკლა > მეეკლა > მიეკლა; მოერია > მეერია > მიერია; მოეწონა > მეეწონა > მიეწონა...

დასტურდება ფაქტები, როცა **იე**-ს მისაღებად არ არის საჭირო ასიმილაციის საფეხურის გავლა (ეე<იე). ამ შემთხვევაში დისიმილაცია დასტურდება უშუალოდ ზმნისწინისეული ე-სა და ფუძის თავკიდური ე ხმოვნის შეხვედრისას, ეს ხდება **შე**-პრევერბის მქონე ზმნებთან; მაგ: შეეტყობინა, შეეკრიფა, შეეკითხა, შეემზადა, შეემლო, შეესწარით (მარტიროსოვი, 1984: 21).

ჯავახურში შეინიშნება კიდევ ერთი ტიპის ხმოვანთა დისიმილაცია, როცა თანაბარი ღიაობის **ე** და **ო** ხმოვნის შეხვედრის დროს **ე** უფრო ვიწროვდება და ვიღებთ **იო**-ს; მაგ.: ურძიოდ მოვიდა; დიდი ძიობა (ძეობა). ამ რიგისაა აგრეთვე: კალუობა (კალოობა); ამიობაში (ამოობაში), ამიობაში მეზობელი გავგზავნეთ (მარტიროსოვი, 1984: 24).

„ოა და ოე ხმოვან კომპლექსები რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე იცვლებიან: → უა და უე. პროცესი უფრო შორს მიდის – როგორც პირველადი, ასევე დისიმილაციის საფუძველზე მიღებული **უა** და **უე** კომპლექსები იცვლება: უა>ვია, უე>ვие. ამ რიგის ცვლილება, როგორც წესი, დასტურდება ბოლოკიდურ პოზიციაში; ხოლო თავკიდურა პოზიციაში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია მხოლოდ ცვლილების პირველი საფეხური: მოაწყო> მუაწყო, მოადგა > მუადგა,.. მოემზადა > მუემზადა, მოეტანა > მუეტანა, გამოეგდო > გამუეგდო...

ბოლოკიდურა პოზიცია: პირველადი უა>ვია (ჭკუა>ჭკვია, მოატყუა>მოატყვია); ასევე: ოა>უა>ვია (გაათხოვა> გაათხოა> გაათხოა> გაათხოვია), დასაშვებია სხვა ფონეტიკური პროცესის თანაპოვნიერება (მოაგროვა > მოაგროა > მოაგროა> \*მოაგრვია>მეტათეხისით: მო-

აგვრია> ბგერის განვითარებით: მონანგვრია)... ანალოგიურად: პირველადი უე>ვიე (ძუძუები> ძუძვიები); ასევე: ათხოვეს> ათხოეს> ათხუეს> ათხვიეს, კალოები> კალუები> კალვიები // კალიები (ანუ: ოე > უე > ვიე). მსგავსი ცვლილებანი ხდება პირველადი უო და აგრეთვე **ოო** > **უო** კომპლექსების შემთხვევაშიც (გოგოობა> გოგუობა> გოგვიობა, მოატყუო> მოატყვიო.. (ჯორბენაძე 1989: 380).

ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ, როდესაც **უ** ხმოვნის წინ ბაგისმიერი თანხმოვანია, ამ შემთხვევაში დასტურდება ორი ნაირსახეობა: ა) არ ხდება ხმოვნის დაშლა: მოიპოვა> მოიპოა // მოიპუა; და ბ) ხმოვანი იშლება, მაგრამ იკარგება ვ: ორმოა> ორმოა > \*ორმეა > ორმოა... მსგავსივე ცვლილება ახასიათებს **უი** კომპლექსს: ტყული > ტყვილი, ბზუილი > ბზვიილი... ცვლილება, ჩვეულებრივ, არ ხდება, თუ წინამავალი თანხმოვანი ბაგისმიერია: ღმუის, ყმუის, ზმუის (ჯორბენაძე, 1989: 381).

შეიძლება ითქვას, რომ **დვირის ხეობის** მეტყველებას ხმოვანთა დისიმილაციის მსგავსი მაგალითები არ ახასიათებს. პროცესი მეორე საფეხურზეა გაჩერებული. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განსახილველ მეტყველებაში ხმოვანთა დისიმილაციის მხოლოდ ორი შემთხვევა დადასტურდა, ისიც იდიოლექტის დონეზე, მაგ.: „ღელე იწყება **ლაშიების** მალა, გორეებიდანა.“

როგორც ცნობილია, ქართულ სალიტერატურო ენაში ერთი ტიპის თანხმოვანთა დისიმილაცია მოქმედებს. ცნობილია, რომ ერთ სიტყვაში ორი **რ** ვერ ძლებს და ერთი მათგანი – ძირითადად მეორე, გადაიქცევა **ლ**-დ. ჩვენს მასალაში დასტურდება ამის რამდენიმე შემთხვევა, მაგ.:

„ერთი **არაფელი** არ გამოატანეს, სულ **არაფელი** ამ ჩემი ცოდვით სამსემა.“

„ეს **ბრიგადელი ცხრაჯელ** მეტ იპარანდა.“

ჯავახურში ცნობილ **რ-რ-რლ**-ს გარდა, დისიმილაცია მოუდის ბაგისმიერ და წინაენისმიერ სონორ თანხმოვნებს. ბაგისმიერ ბ-ს წინ ზოგიერთ სიტყვაში ამავე რიგის მ განიშგავსება და **მბ** კომპლექსის მაგივრად ვიღებთ **ნბ**-ს; მაგ.: გაიგო ანბავი, ყველას უანბა; რას ანბობ? შენ უანბე... (მარტიროსოვი, 1984: 25). ამგვარი შემთხვევა ჩვენთვის საინტერესო მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ.

დისიმილაციის კიდევ რამდენიმე შემთხვევაა:

მაგ.:**ლ-ლ-ნ-ლ**

**„ბუნულის** (ბულულის) დადგმა იყო, მიწოდება იყო სუ მე ვი-ყაი“.

### **მ-მ>მ-ნ ან მ-მ>მ-ვ;**

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხურ-ჯავახურში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა **მ>ნ** შენაცვლება, სადაც მ შესაძლოა პირველადი ან **ვ>მ**, **ზ>მ** პროცესის შედეგადაა მიღებული. **მ>ნ** ხდება მხოლოდ მაშინ, როცა **მ**-ს მოსდევს თანხმოვანი ან **მ** წარმოდგენილია პაუზის წინ, ბოლოკიდურა პოზიციაში (ჯორბენაძე, 1989: 382). ბორჯომის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში ვხვდებით:

„**სიმაგრმა** გამოუტანა.“

„ჩემი **მამანთილი** ადრე გარდაიცვალა.“

„ჩემი რძალი, ძმის ცოლი, დედამთილ-**მამანთილს** კუტ პურ მიაწოდებდა, ნაკლებ პურსა.“

„მთაში **მოინწყვრის** ეს ქართველები და ამოხოცეს.“

ბოლოკიდურ პოზიციაში **მ** ყოველთვის შენარჩუნებულია და ამიტომ თანხმოვნისა და პაუზის წინ, როგორც წესი, მის ნაცვლად გვაქვს **ნ**, ასევეა ბორჯომის ხეობის მეტყველებაშიც, მაგ.:

„ორმოცდაროი წლიდანა ორმოცდახუთ **წლანდინა** ხარები მყანდა.“

„იმის **მოსვლანდინ** არაფერი გატკინოთ ღმერთმა“.

ბოლოს მოყვანილ მაგალითში მომხდარია ორმაგი ცვლილება – ჯერ ფუძისეული **მ** ჩაანაცვლა **ნ** თანხმოვანმა, ხოლო ამ უკანასკნელის გავლენით მოხდა სრული პროგრესული ასიმილაცია და სრულად დაიმსგავსა **ს**. ნაცვლად იმისა, რომ გვქონოდა სიტყვა „მოსვლამდის“, ორმაგი ცვლილების შედეგად გვაქვს – „მოსვლანდინ“.

### **2. ბგერის დაკარგვა**

ბგერათა დაკარგვა ჰქვია ისეთ მოვლენას, როცა მოსალოდნელი ბგერა სრულებით აღარ მოიპოვება არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილას გადასმული და არც სხვა ბგერით შენაცვლებული (შანიძე, 1980:24). ბგერათა დაკარგვის შემთხვევები დაკავშირებულია უმთავრესად თავკიდურ, აგრეთვე ბოლოკიდურ მარცვალში თანხმოვანთ ჯგუფის გამარტივებასთან, რაც ხშირი მოვლენაა სხვადასხვა დიალექტებსა და, საერთოდ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში. ჯავახურში იკარგება უმთავრესად **რ**, **ლ**, **მ**, მჟღერი ხშული **გ**, **დ**, ყრუ ფშვინვიერი სპირანტი **ს**. რაც შეეხება **ვ**-ს, მისი გაუჩინარების ბუნებრივი ადგილია ლაზიალური ხმოვნების წინა პოზიცია (მარტიროსოვი, 1984: 38).

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თავმოყრილი თანხმოვანთა ჯგუფები **ბრმ**, **გრმ**, **ფრთ**, ჯავახურში და სხვა დიალექტებშიც მარ-

ტივდება სონორი **რ**-ს დაკარგვით და ვიღებთ ხშულთა **ბძ, გბ, ფთ** კომპლექსებს, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ბორჯომის ხეობის მეტყველებაც, მაგ.:

„კოჟრივით როა ასე **გაგმელებული**“.

„აეს სერი თითქმის კაი **გმელია**, სამი კილომეტრია“.

„მუშაობთ, შრომობთ, **ვიბძვით** სამშობლოთვინა“.

„გამოგვიდა, გამოასუფთავებდა დედაჩემი **ფთითა** ამ სკვებსა“.

**ზრდ** კომპლექსის გამარტივებს შემთხვევაში გვაქვს:

„ეხლანდელ **ახალგაზდობას** ურმებზე გამოუჭყეტიათ თვალები, უქნარები.“

ჯავახურში კი ეს კომპლექსი მარტივდება როგორც **რ**-ს, ისე **ზ**-ს დაკარგვით, მაგალითად, გვაქვს: ახალგაზდა, გაიზდა და ასევე – ახალგარდები, სარდო... მსგავსი პროცესი წარმოგვიდგება აგრეთვე **ხრჩ** თანხმოვანთა კომპლექსის შემცველ სიტყვაში **დახრჩობა**; მაგ.: დაახჩეს, სახჩობელა და ა.შ.

რ ხშირად იკარგება **რჩ**-ის შემცველ ზმნის პირიან ფორმებში სონანტ **გ**-სა და **მ**-ს მეზობლად; მაგ.: დავჩი, შევჩი, გვჩებოდა, დამჩება.

**რ**-ს გარდა, **ლ**-ს დაკარგვაც ზოგჯერ თავმოყრილ თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივებით არის გამოწვეული, ხშირად სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში, მაგრამ გვაქვს შემთხვევებიც, როცა **ლ** დაკარგულია სიტყვის თავშიც, მაგ.:

„იმ **კდისძირზე** ფარეხები იყო კოლმეურნეობის დროსა“.

„იმ სვანში რო წახვალ, გამოქვაბული **კდეები** არი“.

**ლ**-ს დაკარგვის შემთხვევა გვაქვს ასევე, მაშინ, როცა სახელი დაირთავს **-ში** თანდებულს, ან კიდევ კომპოზიტის ნაწილია; მაგ.: სახში, მუხში, სახ-კარი.

„წავედით, ჯარშიც ვიყათ, ყველგან მოვიარეთ, მოვედით ახლა **სახში** ვართ“.

ბოლოკიდური **ლ** აგრეთვე იკარგება უფორმო სიტყვაში **ს უ ლ**; მაგ.:

„**სუ** გაშვებულია ყველაფერი, აღარავინ აღარ თესანს“,

„საკირის ეკლესიაა, ჩვენი არის **სუ** ყველასი“.

„**სუ** სილა მიწა არი, როგორც ნაცარი ისე და დაარქვეს სანაცრეი“.

**ლ** იკარგება მეშველ ზმნაშიც **ხ ო ლ მ ე**, მაგ.:

„კანტორაც იყო **ხომე** და მე მოლარეთ-მოანგარიშეთა ვმუშაობდი“.



„მრავალი ტბებია, ჩვენ თითონ მათ ვაართ და ცხვარს ვაბანავებთ **ხომე**“.

ჯავახურში ფართოდ გავრცელებულია **მანის** დაკარგვის შემთხვევები. პირველ რიგში ეს სისტემურად გვხვდება სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, თანხმოვნების წინ არსებითსა და ზედსართავ სახელებში, აგრეთვე ზმნიზედებში (მარტიროსოვი, 1984:39).

ასეთივე ვითარებაა ამ მხრივ ბორჯომის ხეობის მეტყველებაშიც, დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა, მაგ.:

„**სხალი** გადაჭრა სხალი, აიმ სიმალლე იყო და მალლა დადგა თავითა.“

„თუ **სხვილი** იყო, ზოგში ათი ფიცარი ამოდიოდა, ათი ლარი უნა დეგეკრა სათითაო ფიცარზე“.

„წიგნშიც ვეძებდი, აბა თუ ვინმე არის ამ გვარისა, **თელი** წიგნი გვარებით არი და არც იქ გამოჩნდა არსადა“.

**სსუქანი** ვყოფილვარ, დაბალი,პატარაი, სუქანი ბაჯბაჯა“.

„ცოცხალი არ უნდა ვიყვე შვილო, ეს რო დამეკარქა იქიდან ვარ მე **კვდარი** დედა“.

„ერთი **ღვდელი** გვყავდა“.

„ეგე ჩრდილოეთით დათვი **თაი** უძახით.“

„ეს რო დამეკარქა იქიდან ვარ მე **კვდარი** დედა.“

„იმ **ხარესა**, ყაზახებს უძახდით სულა.“

„იმ სასაფლაოზე არიან **თელი** ჩვენი ხალხი დამარხულები.“

**მ** არა გვაქვს სიტყვის ფუძეში, იგი ხშირად მოკვეცილია კავშირებსა და ნაწილაკებშიც, მაგ.:

„მოიყვანა **თაფჯდომარემა** მანქანაი, ჩემი კარტოფილი კაი კარტოფილი იყო, მოიტანა სასწორი და აწონა“.

„ჩავედი რაიონის **ხენძღანელთანა** და არაფერი ყურადღება არ მომაქცია, მით უმეტეს ვეტერანი ვარ“.

„**რო** ახვალ სენის ბოლოზე, იქ არის წუმპეი და ასე ბეკი ძირში არის ცივი წყალი“.

„ბიჭი მეუბნევა, **რატო** არ მოდიხარო? – არ შემოდია მეთქი.“

„**ხო** გითხარი საკირეებში სახნავი არის.“

პირველი სუბიექტური ნიშნის **გ-** რომ **უ-**ს წინ იკარგება, ეს ბუნებრივია და სხვა კილოებშიც ჩვეულებრივია, მაგრამ ჯავახურის თავისებურება ის არის, რომ აქ იგი ხშირად შეიძლება სონორ **ნ-**ს (იშვიათად **ც-**ს) წინაც არ აღმოჩნდეს როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში. ასევეა ჩვენს საანალიზო მეტყველებაშიც, მაგ.:

„ვისაც არ ეცალა ხომე **ვეგზანებოდი**“.

**„მოურენდი** თუ არა ასე ციცხვსა, იმ წუთშივე ჩაწვებოდა ხომე“.

„მიწას ქვია ხიკოშვილები, იმათ **ეკუთნოდათ**.“

ფუძისეული **ვ** არა გვაქვს ხმოვანთა და თანხმოვან-ხმოვანთა შორის: ნეტაი, თიბა, დააღეინა, დამალა (დამალვა).

„წყალი უნ **დააღეინო**, უნა აჭამო“.

„ერთ **გადილის** ტრაქტორი და ზოგანა აქედანაჲ რჩება მოსახნავი“.

„თისლის სერის **ქვეით** გენა თათრები ცხოვრობდენ“.

„სანის პოზიცია ჯავახურში ისე არ არის შერყეული, როგორც ეს კახურ- ქიზიყურშია, მაგრამ მისი დასუსტების შემთხვევები აქაც გვხვდება.“

ფუძისეული **ს** იკარგება **ტ, წ, ჰ** თანხმოვნების წინ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში; მაგ.: ტუმარი, ტამბოლი,; წავლა, წავლობდენ; პილენძი, პარსეთი... (მარტიროსოვი, 1984: 41).

ასეთივე ვითარება გვაქვს ჩვენებით, უკუქცევით ნაცვალსახელებთან და ნათესაობითში დასმულ საზოგადო სახელებთან, რომელთაც დაერთვის სათანადო თანდებულები; მაგ.:

„ლადოს **მიწი** თავს ვეძახით“.

„რადაც დამსახურება გააქო და **იმითვინ** გიშვებენო.“

„ჯარში წამიყვანეს და მანამ ჩამოვედი მანამდისა აღარ დამხვდა **ო** კაცი“.

„**იმითანა, იმითანა** სიტყვას გეტყოდა რომა, მეორესა ვედარ დაუბრუნებდი.“

**ს**-ს დაკარგვა ასევე დაფიქსირდა ზოგიერთ ტოპონიმში: **კობიხევი, გუჯრიხევი, დათვი თავი, თისლი სერი, ხრამიხევი** და ა.შ.

რაც შეეხება ხმოვანთა დაკარგვას, ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი შემთხვევა, როდესაც იკარგება **ო** ხმოვანი; მაგ.:

„ორი გოგო მყავს შვილიშვილი, ჩამოვიდენ, რემონტი გააკეთეს, **თავანთ** ხელით იწვალეს“.

ხმოვნის დაკარგვის სხვა მაგალითები ვერ დავადასტურეთ, სამწუხაროდ.

## 2. მეტათეზისი

თანხმოვანთა გადასმა, ანუ მეტათეზისი ჩვეულებრივ სონანტებსა და ყრუ-ფშვინვიერ სპირანტებს შორის ხდება. გვხვდება დისტანციური, კონტაქტური და აგრეთვე მარტივი და საურთიერთო მეტათეზისის შემთხვევები (მარტიროსოვი, 1984: 30). მეცნიერს მო-

ჰყავს შემდეგი მაგალითები: დასტურდება **ლ**-სა და **რ**-ს შორის სა-  
ურთიერთო მეტათეზისის შემთხვევები შემდეგ სიტყვებში: მადრიე-  
ლი, მოასურიელა, ათვარიალამს, დარუსმულია და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეტათეზისის  
ყველაზე მეტი შემთხვევები **ვ** თანხმოდანზე მოდის, რომელიც, რო-  
გორც ცნობილია, ადვილად იცვლის თავის ძირითად სამყოფელ ად-  
გილს. ამ შემთხვევაში დასტურდება მარტივ დისტანციურ და კონ-  
ტაქტურ ბგერათა გადასმა; მაგ.:

**დისტანციური:** ხვახი გაუნაწილებიათ; გუთნი ჯვაჭი; გა-  
ტვიტლდა, თვაგის შვილი.

ამგვარი გადანაცვლების შედეგად პირველი სუბიექტური ნი-  
შანი **ვ**- ინფიქსად იქცევა დასავლური კილოების მსგავსად, მაგ.: მი-  
ნდა ნავხო; ქურდი ქალი ნავხეთ...

**კონტაქტური:** მავლით აკეთბს; სამხთო (<სამღლო<საღმო<  
საღმრთო) დაუკლა...

**ხს** კომპლექსთან დაკავშირებით კონტაქტურად ორგვარი  
ცვლილება ხდება: ხს>სხ და სხ>ხს; მაგ.: მესხიერება, დაისხნა... ხორ-  
ცი დასხილა (<დახსილა). ბგერათა გადასმის ცალკეული შემთხვევე-  
ბი ასეთია: ღურბელი, დაიზუკა, დააბლენა, დაბლენდა და სხვა.

ბორჯომის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში ამავე თანხმო-  
ვანთა გადასმა გვხვდება სიტყვაში **ძლიერ**-ი, მაგ.:

„**ძრიელი** ორჯელაც იყრიდა ხოლმე, იმრავლდებოდა მერე  
ამას ვყიდდით ამ ფუტკარსა“.

„ჩამოვედი მერე იქიდანა, **გავნაგბე** მუშაობაი, შრომაი“.

„**ძრიელ** მოეწონა.“

„**ძრიელ** იტანჯებო.“ და ა.შ.

გადანაცვლებულია **ზ** და **მ** შეკაზმა ზმნაში; მაგ.: შეკმაზა და  
შეჯდა.

ერთმანეთს ადგილს უცვლიან წყვილბაგისმიერი **ზ** და **მ**; მაგ.:

„**გამბული** ხერხია, სიგანითა ზოგი სამ სანტიმეტრიანია, ზოგი  
– ორიანია, იმით გახერხან.“

„ხარები დილიდან საღამონდე ხო **შემზულია**?! შუადღე მოვა,  
იმას საჭმელი ხო უნდა კაცო?“ და ა.შ.

კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბორჯომის ხეობის  
მეტყველებისთვის, უფრო ზუსტად კი ხეობის, რომელსაც პირობი-  
თად ჩვენ დვირის ხეობა ვუწოდეთ, დამახასიათებელია რიგი ფონე-  
ტიკური თავისებურებანი. კერძოდ, საანალიზო მეტყველება მეტა-

თეზისისა და ზგერის დაკარგვის თვალსაზრისით სიახლოვეს გვიჩვენებს ჯავახურ დიალექტთან, მსგავსია დისიმილაციის პროცესიც, მაგრამ ნაწილობრივ განსხვავდება კიდეც, რადგან ჯავახურისგან განსხვავებით ბორჯომის ხეობის მეტყველებაში არ დასტურდება ხმოვანთა დისიმილაცია, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საანალიზო მეტყველებაში დავადასტურეთ ხმოვანთა დისიმილაციის მხოლოდ ერთი მაგალითი, ისიც იდიოლექტის დონეზე და შეიძლება ითქვას, რომ დისიმილაციის პროცესი განვითარების მეორე საფეხურზეა გაჩერებული, რაც ჯავახურ დიალექტში უკვე განვითარების შემდეგ ეტაპს გვიჩვენებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბარნაბიშვილი, 1965** – ი. ბარნაბიშვილი, „ბორჯომის ხეობის მცენარეულობა“, თბ., 1965.

**ბატონიშვილი, 1941** – ვ. ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თამარ ლომოურის და ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

**ბერიძე, 1970** – გ. ბერიძე, „ქართული ენის ჯავახური კილო“, თბ., 1970.

**ბერძენიშვილი, 1985** – დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან“ (ქვემო ქართლი – თორი, ჯავახეთი), თბ., 1985.

**ლაზარიდი-ციციშვილი, 1955** – ა. ლაზარიდი-ციციშვილი, „ბორჯომის რაიონის საკურორტო რესურსები“, თბ., 1955.

**მარტიროსოვი, 1984** – ა. მარტიროსოვი, „ქართული ენის ჯავახური დიალექტი“, თბ., 1984.

**შანიძე, 1980** – ა. შანიძე, „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ. III, თბ., 1980.

**ჯიქია, 1958** – ს. ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თბ., 1958.

**ჯორბენაძე, 1989** – ბ. ჯორბენაძე, „ქართული დიალექტოლოგია“ თბ., 1989.

# ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე , მ ზ ი ა ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი

## ანალიზური წარმოება ქართული ენის სამხრულ კილოებში

აჭარულ დიალექტსა და ქართული ენის სხვა კილოებში მრავლად გვხვდება აღწერითი ფორმები: **იანლიში ქნა, საფა ქნა, ავჯობას იჯება, იდარე ქნა, ხევსი ქნა, შიქაეთი უყო, თოქას ვუზამ, ალიშვერიშ იჯება.** უცხო ენის ყაიდაზე აგებული გამოთქმები გამოვლენილია ფერეიდნულში, ინგილოურსა და ქართული ენის მესხურ-ჯავახურ დიალექტშიც. ფერეიდნული ირანის (ფერეიდანში), ხოლო ინგილოური აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ქართული ენის დიალექტებია.

მიუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლითურობისა, მასში გვხვდება სხვადასხვა ენის კალკი. იგი ენის ცვლილება-განვითარების მუდმივი თანამგზავრია. ბერძნულის ზოგი კალკი ენამ მიიღო და შეითვისა, ქართულში უამრავი ისეთი გამოთქმა შემოიჭრა რუსულიდან, რომლებიც არ შეესაბამება ჩვენი ენის ბუნებას. ფრაზების აგების პრინციპის სხვა ენიდან გადმოღება საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, სალიტერატურო ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქო-და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ანალიზური წარმოების შესახებ ლაზურში (ა. ჩიქობავა, ს. ჯიქია, ნ. მარი), აღწერილია ფორმები: **საჩივარი გაუკეთა, დაპატიყება გაუკეთა, ჯიუტობა გაუკეთა, პატიება გაუკეთა, მენავეობა გაუკეთა, ჩხუბი გაუკეთა, დაჯერება ქნა...** ს. ჯიქია კალკს მიიჩნევს თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობის დასტურად და წერს: „ლაზურში წარმოდგენილი თურქული კალკები, ისევე როგორც საერთოდ სხვა კალკებიც, სხვადასხვა ენაში, ვფიქრობ, მაინც მაჩვენებელია ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის შემოქმედებითი ღონისძიებებისა სამეცნიერო სფეროში. ამა თუ იმ ენიდან კალკირების პროცესი მაჩვენებელია ეროვნული კულტურისა და ენერგიისა, რაც უცხო სიტყვათა თუ გამოთქმათა ეროვნულ ფორმებსა და ეროვნულ მასალებში ასახვისას ვლინდება“ (ჯიქია1964: 255).

არნ. ჩიქობავა ფერეიდნულის მთავარი თავისებურებების განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ამგვარ ფორმებზე: „განსაკუთრებით ჩანს სპარსული გავლენა ფრაზების წარმოებაში: ხან სპარსუ-

ლი და ხან ქართული სიტყვა ქმნის ფრაზას, ხან ქართული და არასპარსული სიტყვები ალებული, მაგრამ ფრაზა მაინც სპარსულ ყაიდაზეა გამართული. მაგალითად, **თილიძანი ვქნათ** (ტელეფონით დავიძახოთ); **ვაჭრობა ვქნათ** (ვივაჭროთ); **ჯავახი ქენით** (პასუხი ქენით, უპასუხეთ); **თაძრა ვქენით** (შევეცადეთ); **ხოდაჭეზი ქნეს** (მადლობა გადაიხადეს); **შიქალი ვქნათო** (ვინადიროთ), ნამაი **კმა ქნეს** (კარგი სახელი დაიგდეს)“ (ჩიქობავა 2010: 2005).

მესხურ-ჯავახურის ძირითად სინტაქსურ მოვლენებში ამგვარ ფორმათა შესახებ მსჯელობისას ბ. ჯორბენაძე იმოწმებს არ. მარტიროსოვის მოსაზრებას, რომ აღნიშნულ დიალექტში დასტურდება თურქულის სინტაქსური კალკები: ამათ **ძალა უყვეს** (დაამალეს)...**თათბირი იქნეს** (ითათბირეს); **ბატონობა ქნა** (იბატონა)... და იქვე დასძენს, რომ „ამგვარი რამ უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში იჩენს თავს“ (ჯორბენაძე 1989: 395).

სამხრულ კილოებში უამრავი აღმოსავლური კალკია გავრცელებული, ნახევრადკალკებში გვხვდება არაბული, სპარსული და თურქული ლექსემები.

თურქულ ენაში აღწერითი წარმოება ფართოდაა გავრცელებული. რთული ან შედგენილი ზმნების სახელადი ნაწილი მეტწილად სპარსული ან, ზოგადად, აღმოსავლური სიტყვაა, ზმნური კი – თურქული. ესენია: **yardim** – დახმარება; **etmek-** გაკეთება, გაწევა; **olmak-** გახდომა (ჯიქია 1964:). ჩვენი მსჯელობის საგანია **ხეცო ქნა** ტიპის ფორმები.

ქართულში ამგვარ ფორმებს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა: უმრავლესობა მათ კალკებად მიიჩნევს, ზოგი გამიჯნავს კალკური ფრაზეოლოგიზმებისგან, ზოგიც კი – არა და მიმოხილულია **ხეხერის ადება, ემრის მიცემა** და მისთ. გამოთქმათა გვერდით **საქმეში არის, დანახული მყავს** და სხვა კონსტრუქციებს კი სხვაგვარი კვალიფიკაცია დასჭირდება. ჩვენი თვალსაზრისით, ყველაწაირი აღწერითი ფორმის ერთ სიბრტყეზე განხილვა მიზანშეუწონელია. კალკური ფრაზეოლოგიზმები (**ხათრის აშენება, ხეხერის მიცემა, სალამის აწევა, საფა ქნა, ჰელაქი გახდა, ეხიეთი გაწია** ფორმები) ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, გადაიხედება ცალკეული მათგანის ორიგინალურობაც.

„ძველსა და საშუალ სამწერლობო ქართულში ამ ტიპის კონსტრუქციების ასეთი ფართო გავრცელება გვაფარაუდებინებს, რომ ისინი სამხრულ მეტყველებაში არ უნდა წარმოადგენდეს კალკებს,

მით უმეტეს, თურქული ენისას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის კონსტრუქციათაგან ზოგიერთი ჯერ გაჩნდა ნათარგმნ ძეგლებში, შემდეგ კი ისინი საერთო ქართულმა ენამ შეითვისა და გააფართოვა მათი ხმარების არე“ (ფაღავა, ცინცაძე 2005:79). ანალოგიურ ფორმებზე, როგორც არქაიზმებზე აჭარულში, მსჯელობდა მ. ცინცაძე ჯერ კიდევ 1961 წელს.

მკვლევრებს მოჰყავთ მდიდარი მასალა ძველი და საშუალო ქართულის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლებიდან: **ყო ლოცვამ (სინ.), ყო აღწერამ (კოსტ.); ქმნა გოდება (შეს.), ლალაობა // ფიქრი // დიმი // პატრონობა ქნა (რუსუდ.); თათბირი ვქნათ, შრეტა ვერ შეუქმენ** (ვისრ.) (ფაღავა, ცინცაძე 2005: 78).

ჩვენი აზრით, აღმოსავლურიდან ნათარგმნ ძეგლებში ამგვარი წარმოება არაა ძნელი ასახსნელი, თუმცა მეტად საინტერესოა მათი პოვნიერება სახარებაში, ორიგინალურ ქართულ ტექსტებში: გვიბრძანე და **ვქმნათ ხევსი** (ლიმ. 28,1); მრავალნი **კურნებანი ყვნა** (მცხეთ. 36); რაჯამს **იქმოდე ქუელისსაქმესა**, ნუ ჰქადაგებ (მ. 6, 21); სხუათაცა **სასწულთა იქმოდა** მრავალთა (ხანძთ.13, 9); **შეიქმოდა** იგი მის თანა **ბილწებასა** (თეკლ. 110, 28); თუ გნებავს, **ვქმნეთ** აქა სამ **ტალავარ** (მ. 17, 4); ჩუენ **აღთქუმად გვიქმნიეს** (წარტყ. 10); **აქმნია** კზომ (კიმ. 1.51, 38); **იქმოდე ვენაქსა** ჩემსა (მ. 21, 28).

სახარების უძველეს რედაქციებში უხვადაა **ყოფა** ზმნურნაწილიანი რთული ზმნები: **ლოცვა-ყავთ, აღთქუმა-ყო, პატივ-უყო, დევნა-უყო, წყალობა-ყო, ხსენება-ყო, ძიება-ყო.**

სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი, რომ ქართულში ყველა სახის აღწერითი წარმოება ბუნებრივი მოვლენა ჩანს. იგი არ წარმოადგენს უცხო ენის გავლენის შედეგს (ვაშაკიძე 1993: 294).

მერყეობა აღწერით და ორგანულ ფორმებს შორის ძველ ქართულშივე დაიწყო. „აღწერითი წარმოება რიგ შემთხვევაში ახლად ჩნდება ძველ ქართულში. დაახლოებით X-XI საუკუნეებში კი ეს ფორმები ორგანული წარმოების საერთო ყალიბში მოექცა და შეიცვალა უნიფიცირებული წარმოებით (აღუთქვა, დაედევნა / განდევნა, შეიწყალა, მოიხსენა, მოძებნა) (ქავთარაძე, 1964:162).

მ. ფაღავასა და მ. ცინცაძეს მოჰყავთ მეტად საინტერესო მასალა „ვეფხისტყაოსნიდანაც“: „სპარსთა ვერა **ვიქმ** ინდოეთისა **ჰამასა**“ (537,2); „ამა საქმესა ვერა **ვიქმ** მე **განდობასა** სხვათასა“ (153,4); „კარგთა ყმათასა **ვიქმოდეთ** მოწმად ჩვენთასა **ხლებასა**“ (68, 3); „აქა მომ-

მართეთ ვინცაღა ჩემსა **იქმოდეთ ზველასა**“ (553,2); „ავდეგ ვცნა მათი ამბავი, **წარსლვა ვქმენ** მითვე წამითა“ (500, 2).

ხომ არაა სავარაუდებელი ამგვარ ფორმათა გამოყენება ლექსთწყობის გამო? რუსთველისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ამგვარი ფორმები, რომელთაც რითმისთვის ან მარცვალთრაოდენობისთვის გამოიყენებდა. ავიღოთ რამდენიმე მათგანი:

„იგი რა მოჰკლა, ეუბნე პატრონსა, ჩემსა **მამასა,**  
ჰკადრე თუ: სპარსთა ვერ **ვიქმ** ინდოეთისა **ჰამასა,**  
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ ერთსა **დრამასა,**  
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა **ტრამასა.**“

როგორც ვხედავთ, აქ რითმამ განაპირობა ამგვარ ფორმათა გამოყენება.

„დილას ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა,  
ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, **წარსლვა ვქმენ** მითვე წამითა“

**წარვედ** ზმნა აღნიშნულ ტაქტში არ გამოდგებოდა, რადგან 16-მარცვლიანი ლექსი არ გამოვიდოდა. როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე ზოგადადაც, შოთა რუსთველი ლექსთწყობის გამოიყენებს ძველსა და ახალ ფორმებს.

ამგვარ ფორმებს სხვაგანაც ვხვდებით: ფალავანმა **ყაბული არა ქნა** (ყარ.411); თქვენი პირის ქნა გაიგო, ცა გაუწითლდა სნეულსა (ვა-ჟა).

სულ სხვა ვითარებაა სამხრულ კილოებში. აქ ანალიზურ წარმოებას ფართო სარბიელი აქვს. შესაძლებელია დავუშვათ, რომ დღევანდელ სამწერლობო ენაში ორგანული ფორმებია გაბატონებული, საანალიზო ფორმები კი თურქულის თარგზეა აგებული. მათი სიჭარბე სამხრულ კილოებში ენათა კონტაქტებით აიხსნება.

**ქნა (გარდამავალი)** ზმნის მნიშვნელობებია: **გააკეთა, ჩაიდინა, მოიმოქმედა. ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა – ასიო. მადლი ქენი და მარული მოაყარეო (ქეგლ).** ის ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველი ზმნაა, რომელიც მიუთითებს ზოგადად კეთებაზე, ჩადენაზე, მოქმედებაზე. მისი სინონიმური **ყოფა** კი ყველაზე პროდუქტიული იყო რთული ზმნის ზმნურ ნაწილთაგან (ლოცვა-ყო).

**ყოფა // ქმნა** მონაცვლეობა უძველესი დროიდან დასტურდება ქართულში. რაც შეეხება ანალიზური ფორმების სახელად ნაწილს, ის სამხრულ მეტყველებაში მეტწილად უცხო სიტყვაა და გადმოცემულია საწყისითა და არსებითი სახელით (როგორც კონკრეტულით, ისე აბსტრაქტულით).



ძველი ქართულის ძეგლთა სხვადასხვა რედაქციაში ერთმანეთს ენაცვლება **იქმს // ჰყოფს // ჰზამს** ზმნები: მსგავსა ამათს მრავალსა **ჰყოფთ (იქმთ C)** (მრკ. 7, 13 DE); რასა **ჰზამთ (იქმთ C)** (მრკ. 11, 5 DE). **კეთილი ჰქმენ (კეთილი ჰყავ G)** (რუთ.3.10. BDS); **იყავ (იქმენ CB) უფალ** ძმისა შენისა (შეს.26, 29.0); მცირე და ბოროტ **იყენეს (იქმნეს CB)** წელნი ცხორებისა ჩემისანი (შეს. 47, 7 0).

**მერაყი ქნა** ბაღვმა (ჩვენებ. 91); ამაზე **მერაყი ქნა**, ჭკვიდან შეირეკა (იქვე, 41); **მერაყ ვიჯები**, ზამთარში **ხაზირობას იჯებიან** (ჩვენებ. იქვე); ბაბომ **ალიშვერიშ იქმოდა** (იქვე, 217); ეგერ თუ იმან **ჰევესი ქნა**, იმასნა წავჰყუე (იქვე, 217); **ასკრობა ვქენე** ახლო ხანში (იქვე, 218); ბაღვსა აჯერ **ასკრობა არუქნია**, ქალი რანა მუჟყვანო (იქვე, 356); გაყიდვისან შეცლია, **იანლიში უქნია** (იქვე, 229); მემლექეთში **თავრობა** ჩუენ **ვქნათო** (იქვე, 249); მოკდენამდე **ქალობა არ უქნიაო**, უთქუამან ასე იქევრებსა (იქვე, 259); ცამეტ წელწად სოფლის **მუხტრობა ვქენ** (იქვე, 268); **ჯესაეთი ვერ უქნიან** ანარცეთსა (იქვე, 328); მაღლი საქმე იქნა, **შუქური ვქნათ** (იქვე, 333); **ბადანა ქნეს**, ფურჩა ეილეს, ბოდა ეილეს (იქვე, 342); სვალი, **ბადანა ქნეს** და ბერბადი გახდა (ჩვენებ. 85); **იფთარიც იქ ქნეს** (იქვე, 342); ჭკუა თუ არ გაქ, **თოფზე ქენი**, ახლა ჩავარდი ჭკვაშია (იქვე, 356); აქა თუ **თოფზე არ ქენი**, იმ დუნიას გეტყვიან შენა (იქვე, 357); ისენი ბითევი **აფი ვქენი** (ინ); **საბრი უქნიან** მოსლამდინ (იქვე, 117); იმის **რაჰათი და ქნას** (იქვე, 114); 9 აპრილზე რომ გუჟჭირდა ქართველ ხალხსა, სამასი დაწკეპილი გურჯი შეეყარეთ და **თოფლანთი ვქენით**, რით მივეხმაროთ ჩუენ ძმებსაო (იქვე, 121); გუშინ **თემიზობა ვქენ** (ჩვენებ. 31); თვალეზმა **საფა ქნა** (ჩვენებ. 177); ჯერ **წელწადი არ ქნილა**, იშტე (იქვე, 115); იმის **რაჰათი და ქნას**, დავლაპარიკდეთ და შევტყობთ (იქვე, 114); ჭოროხი ხიდთან რომ **ჩხუბი ქნილა** რუსთან, მაშინ ის ბინზამი ყოფილა აბდულ-ეფენდი (იქვე, 122); ათათურქი რომ მოსულა ართვინში, **ჰედდა უქნიან** ართვინლებს (ჩვენებ. 210); აქეურ ჯარებს რუსისას **იესირათ უქნიან** (იქვე, 178); ხისიმობა არი, ბუსეფერმასარეცხი **გვიქენითო** (იქვე, 47); ჩემ ანამ ვესიეთი დიმიტია, **ვესიეთი ქნა** (იქვე, 23); **იდარეს ვერ იქ**; უსეინამ **მუსტალი ქნა** (იქვე, 103); **იდარეს ვერ იქ მაქაო** (ჩვენებ. 98); ჩვენ ევლოთ და **ზიარეთი ვქნათ** (ჩვენებ. 93); ჩუენც **საფა ვქენით** თეთრი პური (ჩვენებ. 97); ვაყენევით ორ-სამ დღეს... **შიქაეთი უყო**, ფესატობა (ჩვენებ. 77); კაცი **იდამი ქნესო** (ჩვენებ. 104); ჩვენც ევლოთ და **ზიარეთი ვქნათო** (ჩვენებ. 93); **ლენჩბერობა ვქენით** და მივალთო (ჩვენებ. 90); დილაზე ამდგარან ბეგები, **ხევისი უქნიან** და ჟდარან

ოდაში (ჩვენებ.108); ჩვენ დავკალით, **ზაჰმეთი ვქენით**, ხორცი შენნა მოხარშოვო (ჩვენებ. 112); **ყიამეთი'ნა იქნას** მაინც და რათ გვინდა შევნახოთო (ჩვენებ. 112); უწინ ხარებით **ვიქდით მოხნასა** (ჩვენებ. 329); ადრე ზროხის **თუჯრობა ვიჯებოდი** (ჩვენებ. 330); **გამგეობა** ნაილემა **უჯება** (კირნ.); ჩემ შვილი **შოფრობას იჯება** (აივაზფ.); დიდი **თოვლი იჯება** (იჯადი); **დუას იქმენ** (იქვე); აქ დეიძინებენ, **დუას იქმენ** (იოლ.); მე ვენახში **ლობიოს ვიქავ** (კირნ.); **სუნეთუჯობა იჯებოდა** (ქლასკური); ემიაშვილის **მიცემა არ ვიქთ** (იქვე); მე ბევრი **საზრი არ მიქნია** (შავშ.); **ხბო ქნაო, ხბოს იქს** (ჩაქ.); დილაზე **საუზმარ ვიქთ** (იქვე); მოიდა **დოსტობა ვქნათო** (სვირ.); არაბა **ყაზა ქნა** და მალევე წევდა; დურსუნ ბაბუაჲ ისამებდა, იმღერებდა, **ჭედვასაც იქდა** (ქობ. 185.); კაი ქალია, მივარებთან, **ჰელვა მიჯებიან** (კლარჯ. 263); სიძემ მოვა, **მაყრობა იჯებიან** (იქვე, 266); ბიჭიც მეგერ თავანიდან **ხრაკ-ხრაკ იჯება** (იქვე, 271); ბიჭ მალლა **ხმა უქნია** (იქვე, 271); მარადიდელი რძალიმყავან მეტი კაჲ **რძლობა იჯება** (კლარჯ. 949); თუ არ გაწვიმდა, **დუას იქმენ**, თან გაწვიმდება (კლარჯ. 950); **იდარე' ნა ქნა** (კლარჯ. 959); ზამთარში **ხაზირობას იჯებიან** (იქვე, 963); ბევრი მეიყრებიან, **ფერხულობას იქმენ**, ისამებენ (იქვე, 972); მკალი მოსულა, შუბლზე დააქდა კაცსა, **ნიშეთი უქნია**, აგერ მაზისო (იქვე, 994); ჰოლანდაიდან მოველ...**ქორწილი ვქენ** (იქვე, 1000); აუგუსტოში **დუგუნი'და ვქნა** (იქვე, 1002); ირმი ბემ **ხარბი უქნია** ასკერიო, ათათურქ (იქვე, 1004); ჩემი შვილი **შოფერობას იჯება** (იქვე, 1005); ძროხის ხორცი **ყაურმა ვიქდით**, მოვხრაკებდით (იქვე, 1005); ფაბრიკაში, **თესვე იჯებიან**, მაქინას (იქვე, 1013); **ზერხელე იქნა** დოქსან დოქუზში (იქვე, 1015); საქმეში ვერ შევდა, **კაზა ქნა** (იქვე, 1017); დედებმა **ქომურ იჯებოდენ** (იქვე, 1021); სოფელმა **აფი უზამეთ**, ჩავარდა ბილქერე კაცი(ინ.); **საზრსვიზამ** და საზრობით მაინც აფერი შეგეძლება (იქვე, 355); ამას ქვევით ლოცვა-მარხვის **ვესიეთსაც გიზამ** შენა (იქვე, 358); **თოქას არ ვუზამო**, ვერ მოვარჯულეთ (იქვე, 47); ანა-ბაბომ-თქვენ **მერხემეთი გვიზამეს** (ჩვენებ. 72); ბაბიობა გვიზამა, ძმობაც გვიზამა (ქობ. 188); ქორწილს რუმ ექცეოდით, რაფერ იყო? (ქობ. 185); წლის რუმ ვიყავ, მაშინ **ვექცეოდი ნადირობას** (ქობ. 201); ძიდან **ვიჯებით ყველ, ერბო ვიჯებით** (ტაო, 158); ჩვენსკენ **შობა** ველური **ვაზი-ადესამ** (ქობ.).

ამგვარი მაგალითი სხვაც ბევრია მუჰაჯირთა მეტყველებაში: ჰუქუმეთმა **მასალი ქნა**; იქ არ გუტტანიან რუსებ, **დიღგობა ვერ უქნიან**, წაკიდრულან, ეხანი ძახნა **მასალი ქნა** ისმეთ ფაშამ; არაბულად

მახნა ასწია ისმეთ-ფაშამ, ახლა თეკრენ იმახინ; ერმენებ გუუკეთებ-  
ბიან, **ხარბი რომ იქნას**, არ'ნა შამუშუშვას.

უქუმეთს უთქმია, გადავრობა'და იქნასო, ადგენ, გამეძეკენ. –  
იმფრათ **სიმინდი ქნა**, იმფათ ხაპი, იმფათ ლობიაჲ...?! ქესტანეფინა-  
რი სამი **სოფელი ქნა** ერთმა სოფელმა: ჩათახი, გოლჩუხური, ფიდან-  
ჯული. ყურძენის წვენიდან **ფაფას ვიქთ**.

აჭარული დიალექტისთვის ნიშანდობლივია: **ცოდვა ქნა**,  
**მადლი ქნა**, **ჭკვა ქნა**, **ლობიამ სხმა ქნა...ჭიჭვი ვერ ვქენი**.

ჯავახურში დასტურდება **ნაბრუნი ქნა**: „ნაბრუნი ქნა (მეორედ  
მიბრუნდა) და რაც დარჩენილი იყო, სუწაილო“ (ჯავახ.). „ბევრი ვე-  
ლაპარაკე, მარა აქეთკენ პირი არა ქნა“ ([www.nplg.gov.ge/gwdict/  
index.php?a=term&d=28&t](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t))...

წკრივში მონაცვლე ზმნა **ქმნა (ზმნა// შრომა)** იმერხეულში ყვე-  
ლა მწკრივში უცვლელი სახითაა წარმოდგენილი. **იქმენ**, **იქმოდა** და  
**იქმოდენ** ფორმები იხმარება ქართლურ კილოში. გვხვდებოდა ასევე  
ძველ ქართულშიაც (შანიძე 1973: 545); ქავთარაძე 1954: 36, 55).

**ქმნა ზმნას** საანალიზო მასალაში ენაცვლება **ყოფაც**: **იზარეთი**  
რატომ არ **მიყავ?** (ჩვენებ. 246); **აფი მიყავი** ცოდვები? (იქვე, 35); ტაიამ  
მუსაფირები წამუსახაო, **მუყდე უყავით** სახლშიო (იქვე, 196).

**ზოგ ზმნას არ უხერხდება ორგანული წარმოება**: **ასკრობა არ**  
**უქნია**; **შუქური ვქნათ**- მადლი შევწიროთ, მადლობა ვუთხრათ; **იფ-**  
**თარიც ქნა**; **აფი მიყავი** – ცოდვები შემინდე, მაპატიე; **იანღლიში უქ-**  
**ნია** – არასწორი, მცდარი; **შეცდომა მოუვიდა**; **შუაღამიხან ნიქაიცნა**  
**ქნან** (ჯვარი უნდა დასწერონ, ქორწინების რეგისტრაცია); **ყაზა ქნა-**  
**ავარია** გააკეთა. დღევანდელ ქართულში **მადლი ქნა**, **ცოდვა ქნა**, **ხე-**  
**ირი ქნა** ტიპის მაგალითებს არ უხერხდება ორგანული წარმოება.

სამხრული კილოები ანალიზურ წარმოებას მაშინაც ამჯობი-  
ნებენ, როცა ქართულში უკვე გვაქვს მისი ორგანული ვარიანტი:**მე-**  
**რაცი ქნა** – იმერაყა, **იდარდა**, **ალიშვერიშ იქმოდა** – ვაჭრობდა; **ჭევესი**  
**ქნა**- იხალისა; **ვესიეთი ქნა** – დაიბარა; **საფა ქნა** – მოისვენა; **რაჰათი**  
**ქნა** მოისვენა; **საბრი ქნა** – მოითმინა, **საბრს ვიზამ** – მოვითმენ; **ვიქ-**  
**დით მოხნასა** – ვხნავდით; **ზაჰმეთი ვქენით** – შევწუხდით, ვიზრუ-  
ნეთ; **გამგეობა უჯება** – უფროსობს, ხელმძღვანელობს; **შოფრობას**  
**იჯება** – მძღოლია; **ხაზირობას იჯებიან** – ემზადებიან; **დუას იქმენ** –  
ლოცულობენ; **ვექცეოდი ნადირობას** – ვნადირობდი; **საუზმარ ვიქთ**  
– ვსაუზმობთ; **ხარბი ქნა** – იომა; **დოსტობა ქნა** – იმეგობრა, დაუმე-  
გობრდა; **იდარე ქნა** – იყოფინა; **ჭედვას იქდა** – ჭიდაობდა; **ხრაკ-რაკ**

**იჯება** – იხრაკება; **კაი რძლობა იჯება** – კარგად რძლობს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ორგანული ფორმა გავრცელებული აქარულ დიალექტში.

მეტად საინტერესოა ორგანულ ფორმათა გამოვლენა: წუხელი **მიმუყდავეს** თქვენი **წასლა** (ჩვენებ. 198).

საანალიზო მასალაში ერთგან გამოვლინდა აღწერითი და ორგანული ფორმების მონაცვლეობა ერთსა და იმავე წინადადებაში: რამე არ **გიგვითემიზებია**, ყურბან ბაირამზენა **ვენათ თემიზობა** (იქვე, 116).

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ამგვარი ფორმები არ არის ახსნილი სინონიმით.

**ქმნა** ზმნა დაპატრონებია სხვა ზმნათა სემანტიკასაც: **ქმნა/ყოფა – გახდომა, შესრულება, მოყვანა, დარგვა, ნებართვა, დამუშავება, დატოვება**,

ა) **გარეცხვა: სარეცხი გვიქნა, სარეცხი ქნა** – გაგვირეცხა, გარეცხა;

ბ) **დარგვა//მოყვანა:ლობიოს ვიქავ – ლობიო მომყავს; ხზო ქნაო, ხზოს იქს;**

გ) **ნებართვა: მიცემა არ ვიქეთ – არ ვაძლევთ;**

დ) **გადახდა: დუგუნინ//ქორწილი ვქენ (გადავიხადე); ყაურმა ვიქდით;**

ე) **შესრულება, გახდომა: წელწადი ქნილა – წელიწადი გამხდარა, შესრულებულა;**

ვ) **გაკეთება: ჰელვა მიჯებიან – ხალვას მიკეთებენ;**

ზ) **მოპოვება, დამუშავება – ქომურ ვიქდით;**

თ) **დატოვება: ვესიეთი დიმიტია, ვესიეთი ქნა;**

ი) **გამოდება: ხმა უქნია – ხმა გაუღია.**

საგულისხმოა, ანალიზური წარმოების პირველი კომპონენტი ხშირად კონკრეტული (**ჰელვა, ხმა, ქორწილი, ლობიო**) აბსტრაქტული სახელი (**თავრობა, მუხტრობა, ასკრობა, თემიზობა, სუნეთჯობა, თუჯრობა, მუხტრობა**), ან საწყისია (**ფერხულობა, ხაზირობა**).

**ქმნა** ზმნა გვაძლევს სხვადასხვა ქცევის, აქტიურ და პასიურ, დიალექტურ და არქაულ ფორმებს: **ქნა// გააკეთა// უზამს// უყო//უზამა/ იჯება...**

**სტრუქტურული ანალიზი.** სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კალკირების დროს ნასესხებია წარმოქმნის პრინციპი, ელემენტა კომბინაცია. რაც შეეხება კალკში შემავალ ელემენტს

ტებს, ზოგჯერ ფრაზაში შემავალი პრედიკატული წევრი ქართულია (ზმნითაა გადმოცემული), ხოლო სახელადი თურქულიდან შემოსული სიტყვაა.

**შ. ფუტკარადესთან** გაანალიზებულია – „ამ დილაზე **წასლა ქნეს**“ (წავიდნენ); ალიმ **დუა ქნა და ამინი ქნეს** (ალიმ ილოცა და იმათ ღმერთს ასრულება სთხოვეს; ყოლი დღე **ზამ იჯება** (არ. **Zam – ამვირებს, ფასებს ამატებს**); **ყაფალთი ვქნათ** (არ. **kahvalti – საუზმე**). თუ დავაკვირდებით, ამ ტიპის აღწერით ფორმათა პირველი კომპონენტი ნასესხები სიტყვაა, თურქულში ისინი სპარსულიდან ან არაბულიდანაა შესული. ეს სიტყვებია: **Işaret, Mujde, Merhemet, Hediye, Idare, Badana, Tüccar, Lençiberi, Vesiyet, Affi** და მრავალი სხვა.

**Işaret** – ნიშანი, მინიშნება: **იშარეთი რატომ არ მიყავ?** (რატომ არ მანიშნე?);

**სპ. Mujde** – სიხარული, სასიხარულო ცნობა: **ქემალას თელი უქნია, მუყდე უყავით სახშიო** (იმ.);

ანა-ბაბომ თქვენ **მერხემეთი გიზამეს. Merhemet** – სიკეთე, სიმართლე, კეთილშობილება.

**ზაჯალასაც ჰედიე ექნება**; ათათურქი რომ მოსულა ართვინში, **ჰედია უქნიან** ართვინლებს (იქვე, ჩვენებ. 208). **ჰედიე – არ. Hediye-საჩუქარი**:

**არ. Idare** – მმართველობა, ხელმძღვანელობა, საარსებო საშუალება, მეოჯახეობა, ცხოვრების წარმართვა: კაცი უქალოთ **იდარეს ვერ იქ; იდარე'ნა ქნა**.

სოფელმა **აფი უზამეთ**, ჩავარდა ბილქერე კაცი. **არ. Affi: პატიობა**:

**Idam**: სასიკვდილო განაჩენი, სასჯელი – ხებერი მოვდა, 15 კაცი **იდაბი ქნესო**.

**თუჯრობა ვიჯებოდი: Tüccar – ვაჭარი; ლენჩბერობა ვქენი; Lençiberi** – მიწის მუშა, გლეხი;

**Badana – შეეთთრება, შეღებვა**. სოფლის სახლის **ზადანა ქნეს** (ინ); **ზადანა ქნეს**, სვალი, **ზადანა ქნეს**: შეღებეს, შეათეთრეს:

**არ. Tövbe** – სინანული, მონანიება, აღთქმა, ფიცი: ილოცე და **თოვბე ქენი**, არ გეიხსენო ქუფური; **თოვბე ქენი... თოვბე**:

აქვე უნდა დავასახელოთ **თოფლანთი ქნა – Toplantı** – კრება, შეკრება; **ალიშვერიშ იჯება – aliş-veriş** – ვაჭრობა, ყიდვა- გაყიდვა; **ყეზა ქნა – Kaza** – ავარია გააკეთა; **ვესიეთი ქნა // უზამა// დატია – Vesiyet – ანდერძი; ნიქაი ქნა – არ. Nikah** – ქორწინების რეგისტრაცია.

არ. **Helal** – შარიათით ნებადართული, კანონიერი, პატიოსანი შრომით შექმნილი, მართალი. **ჰალალის ქნა** – პატიება, მიტევება, შენდობა: **ჰელალი მიზამე** ერი კაკალი ვაშლიო; **ვერ გიზამ** ხელალსო (ქობ. ხალა).

ამრიგად, აჭარულ დიალექტსა და ქართული ენის სხვა კილოებში (კლარჯული, ტაოური, შავშური) მრავლად გვხვდება აღწერი-  
თი ფორმები: **იანღლიში ქნა, საფა ქნა, ხევის ქნა...** ასეთი გამოთქმები გამოვლენილია ფერეიდნულში, ინგილოურსა და ქართული ენის მესხურ-ჯავახურ დიალექტშიც. უცხო ენის ყაიდაზე აგებული სინ-ტაგმები ინტერდისციპლინური კვლევის საგანია. ნახევრადკალკებში გვხვდება არაბული, სპარსული და თურქული ლექსემები: **Işaret, Mujde, Merhemet, Hediye, Idare, Badana, Tüccar, Lençiberi, Vesiyet, Affi** და მრავალი სხვა.

ეს მოვლენა მეორეულია. ანალიზური წარმოება, როგორც ით-ქვა, ქართულისთვის არ იყო უცხო. XII საუკუნიდან ის ორგანული წარმოებით შეიცვალა, დაგვრჩა რამდენიმე გამონაკლისი, რომელ-  
თაც არ მოუხერხდათ ასეთი ვარიანტი (ცოდვა ქნა, მადლი ქნა). თა-  
ნაც, **ქმნა**, ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველი ზმნა, შეიცვალა უფრო კონკრეტული მოქმედების ამსახველი ზმნებით: **შესრულება, მოყვანა, დარგვა, ნებართვა, მოპოვება, დამუშავება, დატოვება, გარე-ცხვა, გამოღება და ა. შ.** სამხრულ კილოებში თურქულთან კონტაქტ-  
მა ენაში ხელახლა დაუთმო ასპარეზი აღწერით წარმოებას, თუმცა, როგორც ვთქვით, მისთვის ის უცხო არ იყო. ქართულის ოდინდელი თვისება გაღვივდა განსაკუთრებულ გარემოში. უცხო ენის გავლენა კარგად ჩანს ისეთ ფორმებში, რომელთა სახელადი ნაწილიც აღმო-  
სავლური სიტყვაა და აბსტრაქტული სახელია ან საწყისია. ქართუ-  
ლისთვის მაინცდამაინც არ იყო დამახასიათებელი ამგვარი ფორმე-  
ბის გამოყენება სახელად ნაწილად.

**ქმნა** ზმნა ასეთ წარმოებაში გვამღვეს სხვადასხვა ქცევის, აქ-  
ტიურ და პასიურ, დიალექტურ და არქაულ ფორმებს: **ქნა // გააკეთა // უზამს // უყო // უზამა // იჯება...** ეს მაჩვენებელია ეროვნული კულტურისა და ენერგიისა. საკითხის შესწავლა საინტერესოა ფსიქო-  
და სოციოლინგვისტიკის კუთხითაც.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**ზედგინიძე** – ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი.

**ვაშაკიძე, 1993** – ვაშაკიძე თ., ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, თბ., 1993.

**მარტიროსოვი, 1984** – მარტიროსოვი არ., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

**ნიჟარაძე, 1975** – ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ ბათუმი, 1975.

**ფალავა, ცინცაძე 2009** – ფალავა მ., ცინცაძე მ., კლარჯული მასალები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული VI. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი,“ ბათუმი, 2009.

**ფალავა, ცინცაძე 2005** – ფალავა მ., ცინცაძე მ., კალკების საკითხისათვის სამხრულ კილოებში (წინასწარი შენიშვნები), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული IV. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი,“ ბათუმი, 2005.

**ფუტკარაძე, 1993** – ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული“, წიგნი I, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993.

**ფუტკარაძე, 2016** – ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული“, წიგნი II. გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი, 2016.

**ქავთარაძე, 1964** – ქავთარაძე ივ., ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში იკე, ტ XIV. თბ., 1964.

**შანიძე, 1973** – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973.

**ჩიქობავა, 2010** – ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, შრომები I. თბ., 2010.

**ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე 2009** – ხახუტაიშვილი მზ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი,“ ბათუმი, 2009.

**ჯიქია, 1964** – ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ- შრომები ტომი 108. თბ, 1964.

**ჯორბენაძე, 1989** – ქართული დიალექტოლოგია I. გამომცემლობა „მეცნიერება“.

## **მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე**

### **ფონეტიკური პროცესები ტაოს ქართულში**

ისტორიული ტაოს შემადგენლობაში შედის ბევრი სოფელი, მაგრამ ქართული ენა მათგან მხოლოდ რამდენიმეში (ელიასხევში, ქობაგში//ქუაბაგში, წითლეკარში, ბინათში) არის შემორჩენილი (შემორჩენილი და არა გავრცელებული). ადგილობრივმა მკვიდრებმა იციან, სად, რომელ სოფლებში ცხოვრობენ ქართველები და ლაპარაკობენ ქართულად. „ქართულად ნამცოდნი პარხალი არ იქნებიან, პარხალი გურჯი არ არი“ – ამბობენ ისინი. ზოგიერთი მშობელი წარმომავლობით ქართველია, მაგრამ მათმა შვილებმა არ იციან ქართული. სოფელ გუდასხევის მკვიდრის სიტყვებია: „ი ბავში ქართული არ იცის, დედა, მამა ქართველია“. ზოგს ესმის ქართული, ნათქვამის შინაარსი, მაგრამ ლაპარაკი, გაბმული მეტყველება არ შეუძლია. „გეიგნებენ, ვერ ილაპარაკებენ“. იციან ზოგიერთი სიტყვა, მათი მნიშვნელობა, მაგრამ ფრაზაში ვერ იყენებენ, ამიტომ დანაწილებით ამბობენ: „მიხდება, ჰამა (=მაგრამ) უკანისვე ვერ უთქვია. და (=ან) გაბევრდება, და გააბლდება (=შემცირდება) გურჯული“.

ტაოს მკვიდრთა გადარჩენილ ქართულ მეტყველებაში გვხვდება ბევრი თავისებურება, რომელთაგან ზოგი არქაული ქართული ენისათვისაა დამახასიათებელი, ზოგი კი ქართული ენის სხვა კილოებისათვის არის საერთო.

ამჯერად განვიხილავთ ტაოური ქართულის ფონეტიკურ პროცესებს<sup>6</sup>.

**1. ასიმილაცია.** ტაოურში გვხვდება ხმოვანთა და თანხმოვანთა ასიმილაციის ყველა სახეობა: კონტაქტური და დისტანციური, პროგრესული და რეგრესული, სრული და ნაწილობრივი.

---

<sup>6</sup> ვიმოწმებთ ექსპედიციის დროს ჩაწერილ და ქ-ნ შ. ფუტყარაძის მიერ მოპოვებულ მასალას.



**1.1. ხმოვანთა ასიმილაცია.** ფართოდ არის გავრცელებული ზმნისწინის, ზმნის ფუძისეული ხმოვნებისა და გვარის, ქცევის პრეფიქსთა შეხვედრით გამოწვეული სრული რეგრესული ასიმილაცია – იცვლება სხვადასხვა ხმოვნის კომპლექსები:

**აე>ეე:** თავრობამ ქვეით ჩამეიყვანა, დეეხმარა (<დაეხმარა) (ელიასხევი); ნაწველით მე დეეეშველები (<დაეეშველები) (წითლეკარი); ოჯალი უნდა ეეშენებიეს (<აეშენებიეს)(ბინათი).

**იე>ეე:** პარხალი წყალ მეეტოლება (<მეეტოლება)(ჩვ.176).

**ეა>აა:** მაწონ შაყენებ (შეაყენებ)(ჩვ.175); ბევრი ზე(=მზე) რომ შაადგება (<შეადგება) (წითლეკარი); შაარყევ (<შეარყევ) თუთას (ჩვ.180); ჩუენ ძალიან შამაყარეს (<შემაყარეს)(ჩვ.173).

**ოა>აა:** გამათრევს (<გამოათრევს) იქიდანა (ქობავი); შექერ მაყრდ (<მოაყრი), ერბოს მასხამ (<მოასხამ) (ჩვ.180); მაახვიეს (<მოახვიეს) ხელზე (ჩვ.155); თუ აჩენ, გამააჩინე (<გამოაჩინე) (ჩვ.180).

**ეა>აა** და **ოა>აა** პროცესები შავშურსა და კლარჯულშიც გვხვდება (იხ. შავშეთი, 2011:401; კლარჯეთი, 2016:540).

აჭარულისათვის, ქობულეთურისათვის ასიმილაციის ეს სახეობა არ არის დამახასიათებელი.

**ოუ>უუ:** ქერი ყოფილა, მუუჭირა (<მოუჭირა) (ელიასხევი).

**ეუ>უუ:** მანქანაშუუსლელი (<მანქანაშოუსლელი<მანქანაშეუცვლელი) სოფელი, მგონი, არ არი (წითლეკარი); ახლა აკვანშიც თურქას აწავლიან, ოქულში არ შუუჭირდესო (<შოუჭირდესო<შეუჭირდესო) (ჩვ.181).

**აუ>უუ:** დეკაც ვერ გუუძლია (<გოუძლია<გაუძლია) და წუუყვანთან (წოუყვანთან<წაუყვანთან) (წითლეკარი); დუუსართეს (<დოუსართეს<დაუსართეს) ერთმანეთზე (ქობავი).

**ეუ, აუ** კომპლექსებში დამოწმებული სრული ასიმილაციის გვერდით გვხვდება პირველი საფეხურის ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებიც.

მემრე შოუტოლდებიან (<შეუტოლდებიან) მიორე ჭაღებიც (ჩვ.181); თავრობამ სახლი დოუდგა (<დაუდგა) (ჩვ.175); სახლი ქონებიან ვერ წოულიან (<წაულიან) (ჩვ.174); ჩოუფლავენ (<ჩაუფლავენ) მიწაში (ჩვ.179); თურქებ გოუგდიან (<გაუგდიან) ერმენები(ჩვ.175).

ტაოურში, ისევე როგორც მთელ სამხრულ მეტყველებაში, **აი, ოი** კომპლექსებში დისტანციური, ნაწილობრივი ასიმილაციის დროს იკარგება მასიმილერებელი **ი'** ხმოვანი.

*ველე* (<ვეილეთ<ავილეთ) მალაზაში (ბინათი); *მე არ დევნახე* (<დევინახე<დავინახე) (ბინათი); „*დევლალე*“ (<დევვილალე<დავილა-ლე) არა, „*მევლალე*“ (ჩვ. 177); დაჭკვიანდესო, აქ *მევევანეთ* (<მევიყ-ვანეთ<მოვიყვანეთ) (წითლეკარი).

ტაოურში რთული **გადა-** ზმნისწინისეული პირველი ხმოვანი ყოველთვის არ ასიმილირდება. აჭარულისაგან განსხვავებით ხშირად ასიმილაცია მოუდის მეორე ხმოვანს:

გულდაში ჩუყურია მარილი, სახლშინა *გადეიტანოს* (<გადაიტა-ნოს), სამდლეზე გადეიარა (ჩვ.174). იშვიათია **გედეი** (<გადეი<გადაი): *გედეიარ*, წითლეკარი გომოჩდება (ქობაგი); *ზემ გედეარა* (წითლეკა-რი); *გედეარე*, *გადმეარე*, *გადადი*, *გადმოდი* (ელეასხევი).

აჭარულში ბუნებრივია **გედეიტანოს**, **გედეიარა**.

ტაოურში იშვიათია შემთხვევები, როცა პროცესი ბოლომდე არ არის მისული - ასიმილაცია ნაწილობრივია:

ალარ *გეგიშვებენ* (<გაგიშვებენ), *სტუმარი იქნები* (ქობაგი); ვი-ტყვით, *გემიჯელდი* (<გამიხელდი) (ჩვ.173); *შემინდა*, *ასკერი*ნა *გემი-ჯღუროსნა* (ჩვ.174). შდრ.: ხუთასი ბინი დემირჩება (<დამირჩება) დღეში (ჩვ.172); ბერმა უთხრა, *დემილამდა*, ჩინი ალარ *დემირჩა* (ჩვ.175).

**გეგიშვებენ** ტიპის ფორმები კლარჯულსა და შავშურში ნორ-მაა (იხ. შავშეთი, 2011:224; კლარკეთი, 2016:539). ტაოურში ჭარბობს ასეთი – სრული ასიმილაციის ფორმები. აჭარულში ასეთი – ნაწი-ლობრივი ასიმილაციის შემთხვევები არ დასტურდება.

ტაოურს კლარჯულისა და შავშურისაგან განასხვავებს ფორმე-ბი, რომლებშიც რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი სრულად ემ-სგავსება მეორე - **მო-** ზმნისწინის ხმოვანს: გვაქვს **გომო** (<გამო), **წო-მო** (<წამო), **ჩომო** (<ჩამო), **შომო** (<შემო) ზმნისწინები.

**გომო:** *შარშან გომოველი* აქა (ჩვ.177); *ხუცეკარი გომოჩდება* (ჩვ.171); *მალა გომოჩდა სოფელი* (კუპრითი) (ჩვ.176); *ე იგერ გლ-მოჩდა მახათეთი* (ჩვ.171); *რით გომოთხარეს*, *არვინ იცის* (ჩვ.171); *იქ მოწულა კაცმა*, *აქ გომოდინდა*, *პარხალში* (ჩვ.176); *გედეიარ*, წით-ლეკარი *გომოჩდება* (ქობაგი).

**ჩომო:** *ქობაიადამ ჩომოველი* (ჩვ.176); *დოზერი რომ ჩომოვდეს*, *გაკეთეფს გზასა* (ჩვ. 172); *წყალი ჩომოდიოდა* (ჩვ.171); *აქედამ ჩო-მოვდენ* ისინი (ჩვ.172); *ჩომოსულა* ჯევში (ჩვ.171); *ეს ქარაფი არ ჩო-მოწვეს* ჩუენზედა (ჩვ.172);

**წომო:** *მე იქ ვერ წომოვალ* (ჩვ.171); *იქედამ წყალი წომოა*, *კოროხის აქეთ ჩომოა* (ჩვ.174); *წომო აქეთვე* (ჩვ.172).

**შომო:** *თქვენ შომოქვდე*, *არ გემინოდონ-მეთქი* (ჩვ.170).

ასეთი ცვლილება დასტურდება **სახელზმნებშიც**: *არაბის ყაზბ გომოჭირება უნდა* (ჩვ.179); *გათავდება გომოცხოზა* (ჩვ.177); *თოჯით და ნიჩბით გომოჭრილია გზა* (ჩვ.172); *ჩუენ იმ სოფლიდან გომოსულნი ვართ* (ჩვ.181); *ჩომოსლიხან ზემოდან ქვები აგორდა* (ჩვ.174).

ასეთი ფორმები მხოლოდ ტაოურში არის გავრცელებული, ქართული ენის სხვა კილოებში არ გვხვდება.

ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ ამ თავისებურებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ჭანურის გავლენაც. მკვლევარს მიაჩნია, რომ „ამ კუთხით ტაოს მეტყველების დეტალური შესწავლა ბევრ საინტერესო ფორმას გამოავლენს“ (ფუტკარაძე, 2016:295).

ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევებია:

*სარიგოლი გეძხრაკა* (<გაიხრაკა>)(ჩვ.183); *ამით წყალი აღარ წამედლოთ* (<წამოილოთ), *ღვინო წამედლეთ* (წითლეკარი); *მარცხნივ, ზომოთ* (<ზემოთ) *სოფელი ნავანევი* (ჩვ.173); შდრ.: *ზემო* ერევა გზები (ელიასხევი); *ოთხი მოზობელი* (<მეზობელი) *ერთათ ვართ* (წითლეკარი); *მოზობლები ბევრნი არიან* (ჩვ. 178); შდრ.: ასე დაწვირული ვართ *მეზობლები* (ბინათი).

ასიმილაცია ხდება **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში მრავლობითი რიცხვის **-ებ** სუფიქსის დართვისას: *ზემოთ ჩანს თეფხი* (<თაები) (ჩვ.174).

**1.1. თანხმოვანთა ასიმილაცია.** ხმოვანთა ასიმილაციასთან შედარებით თანხმოვანთა ასიმილაცია ფართოდ არ არის გავრცელებული.

**ხდ>ხტ/ხდა>ხთ** ასიმილაციის შედეგად **ხდ** კომპლექსში **დ** იქცევა ფშვინვიერ **თ** ან მკვეთრ **ტ** თანხმოვნად:

*თქვენ გურჯიჯას ვერ მიმხტარვარ* (<მივმხდარვარ) (ელიასხევი); *ლექები ვერ მივხთი* (<მივხდი) რა არი.

**ღჩ>ხჩ:** *ბახჩებია ამ თერეფში* (ელიასხევი).

**ბთ>ფთ:** *მივდივართ, ვსაქმოფთ* (ელიასხევი); *დიდამ ვაკე-თეფთ ყველი, ერბო* (ელიასხევი); *ხუთ თვეს აქ ვცხვორფთ* (წითლეკარი); *ჯორცი წყალში ვადუღეფთ* (წითლეკარი); *ახლა გავალთ, განახვეფთ* (ელიასხევი).

**ბს>ფს:** მეცხვერეები აძოვებენ თხედს (ელეასხევი); მოსულ ხუთშაფათს თოჯ-ნიჩაბი ასწიეთ (ჩვ.177).

**გწ>ქწ:** ჩვენი თავი მოქწონან (ჩვ.173).

**გც>ქც:** გზა მოქცონ მაგათ (ჩვ.177); ღმერთმა შვიდობა მოქცონ (ჩვ.177).

**ცდ>ზდ:** შიგან ორასორმოზდაათი კუამლი იქნება (ჩვ.170).

**1. დისიმილაცია.** ტაოურში დისიმილაცია არ არის ფართოდ გავრცელებული. დისიმილაციის შედეგად სხვადასხვაგვარადაა შეცვლილი ზედსართავი **პატარა: პატარა>პეტერა/პეტარე/პეტერე.**

პეტერად მული გათხოვილია (ელეასხევი); პეტარად ბიჭი აღმანიაშია (ელეასხევი); პეტარე ბავში ვიყავ (წითლეკარი); პეტერად ბალხი არი (წითლეკარი).

**აქა, მანდა** ზმნიზედებს ერთვის სუფიქსი **-ურ**, რომლის უ ვიწროვდება (**უ>გ**): **აქაური, მანდაური>აქავრი, მანდავრი.** დისიმილაციით მიიღება **აქევრი, მანდევრი:**

აქევრი დერებია (ჩვ.170); კაცები აქევრი გურჯია (ბინათი); მას მერე გავყარეთ აქევრობა (აქავრობა<აქაურობა)(წითლეკარი); მანდევრი გზა კად არ არი (გუდასხევი).

დისიმილაციაა მომხდარი სიტყვებში: **ძირედამ (<ძირიდამ), ლაპარიკი (<ლაპარაკი):**

ძირედამ არი ქუაბავი სოფელი (ჩვ.178); ჩვენი ლაპარიკი ერთმანებს არ უწყობა (წითლეკარი); გედგნებენ, ვერ ილაპარიკებენ (წითლეკარი).

დისიმილაციაა მომხდარი სიტყვაში **ლებიო: ლებილ (<ლობიო) დალეწავ, მოხარშავ (წითლეკარი);** შდრ.: მურლულემა იციან ლობილ (ჩვ.177).

თანხმოვანთა დისიმილაციის ნიმუშია **წვერნალი (<წვერნარი):** ეს დელე იქნება წვერნალში (გუდასხევი).

დისიმილაციითა და ბგერის დაკარგვით არის მიღებული **რაგლი: რაგვარი < რავარი < რავრი < რავლი: რუ რავლი, იცი? (წითლეკარი).**

სამხრულში გავრცელებულია **წრეელ/წრეელა (<წლეულ).** ეს ფორმა გვხვდება ტაოურშიც, მაგრამ დისიმილაციას ემატება ე-ს ჩართვაც: წრეულა (წრეულა<წლეულა) ორნივე გურჯი მოიღეს (ჩვ.173). შდრ.: წრეულა ბევრი დეიწვა (ბინათი).

**1. ბგერის დაკარგვა.** მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებული ჩანს ტაოურ ქართულში ბგერის დაკარგვა.

**1.1. თანხმობანთა დაკარგვა.** იკარგება უმეტესად თანხმობენ-ბი. თავკიდური **მ:** ჩვენი ჩაი წარუა(<მწარუა) (ელიასხევი); ზემ (<მზემ) გედეარა (წითლეკარი); იმ თას (<მთას) ბოწმინდა ქვია (ელიასხევი); კაჩკარის თიები (<მთიები) ეს არის (გუდასხევი); ქლიავიდამ ცოტა ჭავეა (<მჭავეა) (გუდასხევი); გზა გეიკეთა თავრობამა (<მთარობამა) (ჩვ. 173); ღმერთმა შვიდობა (<მშვიდობა) მოქცოს (ჩვ.170); იტყვის თავარი (<მთავარი); თავარმა (<მთავარმა) უთხრა მის კაცებს (ჩვ.175).

იკარგება ფუძისეული **მ:** ოცი წელი არ შეიქნა (ელიასხევი); გურჯიჯა ერთი ოქუმათი ნა შეიქნას (ელიასხევი).

**ნ:** ორმოზდაათი ჰანე მადც იქნება (ქობავი); შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლის **ნ:** ავიწყებთებს გურჯიჯასა (ჩვ.171); **კენ** თანდებულის **ნ:** მარჯვნივ გზა მიდის ქუაბისკე (ჩვ.172); მარჯუენისკე წავალთ (ჩვ.170).

ფუძისეული **რ:** იქი მაშინდა დეთიმი დავზი (ბინათი); არ კლენ და იმისთვინ იზდება (ელიასხევი).

თავკიდური **რ:** ძისგან (<რძისგან) ვიჯებთ ყველი.

**ვ:** იკარგება **ვიდ** და **პოვნ** ფუძეების ზმნათა ფორმებში: აქ სა'და გამოიდეს (<გამოვიდეს) (წითლეკარი); დიდი ლუარი ჩამოიდა (წითლეკარი); მამის დედიები როგორ ჩამოიდნენ? (ელიასხევი); ბევრი იპოეს ალთუნი? (ელიასხევი). შდრ.: იპოვეთ გურჯი ერზერუმში? (ელიასხევი).

ფუძის ბოლოკიდური **ვ** სიტყვაში **ხავშვი:** პეტერე ზავში ვიყავ (წითლეკარი).

**ქ:** ზმნის ბოლოკიდური თანხმობანია: დაჯე (<დაჯექ), რატონ არ ზიხარ? (წითლეკარი).

ტაოურშიც ხშირია **სწ** კომპლექსის **ს** თანხმობნის დაკარგვა.

ახლა აკვანშიც თურქჩას აწავლიდან (ჩვ. 171); აკვანში ქართულ იწავლიდენ წინწინ (ჩვ.171). შდრ.: მე ანამ მასწავლა გურჯიჯა (გუდასხევი), ცოტ-ცოტა დევესწავლეთ (ელიასხევი).

**ს** დაკარგულია დიალექტებში, სასაუბრო ქართულში გავრცელებული კომპოზიტის – **მისდღემჩი//მიდღემჩი** ამოსავალ ფორმაში **მისდღეში:** დედეკაცი – მიდღეში იმა ვიძახით (ჩვ.176).

**1.1. ხმოვანთა დაკარგვა.** იკარგება ხმოვანიც. **ო:** პირველ წელწად (<წელიწად) ხოფაში ვიყავ (ელიასხევი); აქ ოცდახუთ წელწად ვმუშაოვ (წითლეკარი).

იკარგება **ვნებიტის პრეფიქსი ი:** *აბლი ბეური შევქენით* (<შე-ვიქენით), *ავმძიმდით* (წითლეკარი).

**ი:** *დედა ნახვარი* (<ნახვეარი) *ავათ არი* (ელთასხევი); *ნახვარ საათში* ფეხით მიხვალ (ელთასხევი).

**ო:** *ონდორთ დაშინდე გვეთხვე* (<გვეთხოვე) (ბინათი); *თათმანსაც მოქსვენ* (<მოქსოვენ), *ყაითან მოქსვენ*, *ფეშტემალსაც მოქსვენ* (ჩვ.181); *ქუსლინა მოლქსვლ* წინდას (ჩვ.180). შდრ.: ხალ ხალ *მოქსლვენ*, *ჯეჯიმ მოქსვენ* (ჩვ.180).

ზოგჯერ იკარგება ორი ბგერა – **ვს** თანხმოვნები: *სახლი მავ* (<მაქვს) *ართვინ* (ბინათი).

**1.1. და** მარცვალი არის დაკარგული ტაოურის გავრცელებულ სიტყვაში **დეკაცი** (<**დედაკაცი**), ჯერ ხდება ასიმილაცია – **დედეკაცი**, შემდეგ იკარგება მარცვალი **დე:** *დეკაც ვერ გულუძლია*, *წულუყვანია დეკაცე*, *ვიპარიკოთ*, *აქ დეკაცი ყოფილა* (ქონავი).<sup>7</sup> შდრ.: *ქალებზე ჩვენ ვიტყვით დედეკაცები*, *გათხოვილს დედაკაცი ვეტყვით*.

შემდგომი ცვლილებით მიიღება **დიაცი: დედაკაცი>დეაკაცი>დაცი**. ივ. ქავთარაძე ამ ფორმას ადასტურებს მე-16 ს. ქართულ ისტორიულ საბუთში, მიაჩნია იგი **დ**-ს შემცველი მარცვლის ჰაპლოლოგიური დაკარგვის ნიმუშად (ქავთარაძე, 1964:119).

ფართოდაა გავრცელებული **უნდა** ზმნის ნაწილაკის ფუნქციით გამოყენების შემთხვევები. იკარგება მასში **უ, ნ** ან **უ, დ** ბგერები: *ჰალანა მორწყა* (ელთასხევი); *გურჯიჯა ერთი ოქუმათინა შეიქნეს* (ელთასხევი); *აქედანდა ჩევდე*, *მოკდედა: კაცი ევდა*, *ნამაზიდა ილოცოს* (ბინათი).

იკარგება მხოლოდ **უ** ხმოვანი: *მედა* (<მე უნდა) *ჩევდე* (წითლეკარი).

**1. ბგერის ჩართვა.** ბგერის დაკარგვის პარალელურად გვხვდება ბგერის ჩართვის შემთხვევებიც.

-**ნარ//ნალ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში ჩაერთვის **ვ** თანხმოვანი: **რუ – რუენალი:** *რუენალ უყვარს თოვლი* (ჩვ. 176); **ხე – ხევნარი:** *წუხელი ითოვლა*, *ფენა გაათეთრა ხევნარდ* (ჩვ. 171). **კლდე – კლდევნარი:** *მადლობა*, *ზმაო*, *ჩვენი კლდევნარი დუნია რომ ამსოი გიყუარან* (ჩვ.171).

-**ნარ** სუფიქსით წარმოებისას არსებით სახელებს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი ეცვლება: **აჟე: გზა>გზევნარი:** *ზემით გზევნარი ხა-*

<sup>7</sup> ამ სიტყვის შესახებ იხ. აგრეთვე ცინცაძე, ფალავა, 1998:15.

რაზურაია, გონჯია, ცუდი (ჩვ. 170); ამ გუჯუნარმა ამართვა სული (ჩვ. 172); გუჯუნარი ასე მოშლილი მგონებოდა, არ წამოვდოდი (ჩვ.170).

**თა (<მთა) – თევნარი:** თევნარი – ბევრი თაა (ჩვ.173).

სახელისაგან **თოვლი** ნაწარმოებ ზმნის ფუძეში შენარჩუნებულია სახელისეული **ლ:** აქ დიდი თოვლადება (ელიასხევი); წუხელი ითოვლს ფენა (ჩვ.171).

შენარჩუნებულია **ნ პოვნა** საწყისის შესატყვის პირიან ფორმაში: ჩემ დედეს ბათუმ ქალი უპოვნია (წითლეკარი); სუფთა სისხლიანი ქართველი აქ არ იპოვნება (ელიასხევი).

**დგ** ფუძის ზმნის კავშირებითი მეორის პირველი პირის ფორმაში მწკრივის ნიშნის **ე-ს** შემდეგ ჩაერთვის **ნ:** ახლა აქში დავდგნეთ (ელიასხევი).

**კიდევ** სიტყვაში **ვ-ს** მეტათეზისის შემდეგ ჩაერთვის **ნ:** კიდევნ თქვი, აბა! (ჩვ.170).

**თ:** შენ სახელი რა გუქვი (<გქვია)? (ელიასხევი). **თ** ამ ფუძის ზმნაში ჩაერთვის ქობულეთურ მეტყველებაშიც: თეთრი ყურძენი არი, რა სთქვი, აღარ მახსოვს (ფალავა, 2013: 19). **თ** თანხმოვნის წინ **ჭ** შეცვალა **ს** თანხმოვანმა: **ჭქვია>ჭთქვია>სთქვია**.

**მ** ჩაერთვის ზმნიზედაში **მერე:** მაშინ არ იყო სიძე, მერე გახდა (გუდასხევი). შდრ.: მას მერე გავყარეთ აქევრობა (გუდასხევი).

ბგერის ჩართვაში განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა მეტყველების ნაწილთა სხვადასხვა ფორმას დაერთვის ბოლოკიდური **ა** ხმოვანი. **ნაცვალსახელს:** ზემოდამ ფეხდაფეხ აღარვინა იარება (ჩვ.170); ჩუენ დავცინით იმათა (ჩვ.174); ასე ვიტყვით ჩვენა (ჩვ.174); ამა(ს) რას ეტყვით თქვენა? (ელიასხევი).

**ზმნას:** ქალებიც იყვნეს, კაცებიც იყვნეს (ჩვ.175); ასე თქუესა (ჩვ.174).

**ზმნიზედას:** ამბობდა გუშინა (ჩვ.174); გამათხოვს იქიდანა (ჩვ. 173).

**1. სუბსტიტუცია.** ტაოურში ხშირია სიტყვაში სხვადასხვა თანხმოვნის მონაცვლეობა, ამ შემთხვევათაგან ზოგიერთი გვხვდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

**მ/ნ:** ერთმანეთს ენაცვლება სონორი თანხმოვნები **მ-ნ:** რატონ წახველ მანდაო? (წითლეკარი); დაჯე, რატონ არ ზიხარ? (წითლეკარი).

**დ/ნ:** **სხედ** ზმნის ფუძეს ენაცვლება არქაული **სხენ**, რომელიც სხვადასხვა ფორმაშია დაცული:

სხენან და ბრუნვენ (წითლეკარი); ოთხ ადგილას ერთათ სხენან (წითლეკარი), ხალცი დამსხნარან ძველათ (ელეასხევი); აი ხოჯა არი, იმამიგ, დავსხნუ (წითლეკარი); ახლო აქ დავდგნეთ, დავსხნუ (ელეასხევი). შდრ.: ყველა ქართველი ერთათ დამსხდარი იყო (წითლეკარი).

**ნ/დ:** თანხმოვნების მონაცვლეობა **ჯდ** ფუძის ზმნაშიც: ახლა აქში ... დავჯნუ (ელეასხევი).

**ნ/დ** თანხმოვანთა მონაცვლეობის სხვა შემთხვევებია: ჩემი სახლი იქ არი, ჰაიდუ მიჯნუ (<მივიდეთ) (ბინათი); გეჯნუ(<გვედეთ) სახში (წითლეკარი); აქინამ (<აქიდამ) არი ერთი მასწავლებელი (წითლეკარი).

**ბ/ყ:** ხალცი (<ხალხი) დამსხნარან ძველათ (ელეასხევი).

**ბ/ღ:** ბევრი ხალდი (<ხალხი) იქნებოდა (ელეასხევი).

კლარჯულისაგან განსხვავებით, ტაოურ მეტყველებაში არეული არ ჩანს სხვადასხვა სემანტიკის სიტყვები: **ოჯადი** და **ოჯახი**. **ოჯადი** თურქულისაგან მომდინარეობს (ocak[gi]), აღნიშნავს **ბუხარს**: ოჯადში სადგამი დავდგამთ (ბინათი); ოჯადი ემუნებებს, ვერ ააშენეს (ბინათი)<sup>8</sup>.

**პ/ჯ:** აქ ჯაყელი-მაყელი არ არი (წითლეკარი); ანკესზე კედ ვაბამთ, კედზე ჯაყელი (ელეასხევი): **ჯაყელი<ჭაყელი<ჭიაყელი**.

**ძ/ზ:** თურქული ენის ზეგავლენით ტაოურში (ისევე, როგორც შავშურში) დასტურდება **ზ ძ** თანხმოვნის ნაცვლად (თურქულში **ძ** არ არის): თუალი ზებნის გურჯისტანიდან მოსულს (ჩვ.170); ესენი ზუელათ ყუელად ქართველი ყოფილა (ჩვ. 170); ზუელათ აქ ერმენები მუდარან (ჩვ.170); ღზის წყარომ ამაშენებია პარხალი (ჩვ.176).

**ტ/თ:** ზაფხულში მართში(<მარტში) ნისანდა მოვალთ (ბინათი).

**ს/წ:** თვის თანდებულში **ს** თანხმოვანს ენაცვლება **წ:** თუ ჩემ-თვინ გებევრება, წუ გამაჩენ (ჩვ.172); იმისთვინ იზდება (ელეასხევი); დედეს სულისთვინ ჭამევით (ჩვ.173).

**1. მეტათეზისი.** მეტათეზისის – ბგერათა გადასმის გავრცელებული სახეა სამხრულ კილოებში: **მღ>ღმ:** ამ სიღმერასაკით ნათქუამ სიტყვებზე ფერხულობენ (ჩვ.175).

ასევეა **ხს>სხ:** აბა, ვინ გუუსხნას (ბინათი); იმან გასხნა, ბოგანომა (ბინათი); მერე გედსხნა (ელეასხევი); ამ ტოიოტას ქარხანა გედ-

<sup>8</sup> კლარჯულში ამ სიტყვათა მნიშვნელობის შესახებ იხ. კლარჯეთი, 2016:543.



*სხნა თურქიეში (ელიასხევი); თქუნში მეტეები რამდენზე ისხნება ამ თვის (ელიასხევი).*

ტაოურშიც გადასმულია **ვ** რიცხვით სახელში **რვა**: *ორნი, ექუსნი, ვრანი, ბევრი მიდიოდეს (წითლეკარი); ათ და ვრა თუე იქ ვიმუშავე (წითლეკარი).*

**1. ბგერათა შერწყმა. ვეო**: ადგილის ზმნიზედაში **ქვემო, ვე** კომპლექსი შერწყმის შედეგად იქცევა **ო** ხმოვნად: *ქლმღ თერეფში გედევვართ (ელიასხევი); აქ ქლმოდამ არიან (წითლეკარი); ზამთარი ქლმღ ჩავალთ (წითლეკარი).*

**რ** თანხმოვნის დაკარგვას მოსდევს შერწყმა: *ბიჰო, შენ რას შობი? (ელიასხევი). შერები>შეები>შობი.*

**ევო**: სიტყვაში **კიდევ** შერწყმის შედეგად **ევო**: *კიდღ გოგოა, იყოს (ელიასხევი).*

**ოსც**: გვერდსა>გვერთსა>გვერცა: *აქ მოდი, ჩემ გვერცა (ელიასხევი).*

ნაშრომში გაანალიზებულია ტაოურ მეტყველებაში მეტ-ნაკლებად გავრცელებული ფონეტიკური მოვლენები ჩვენ მიერ მოპოვებული ჯერჯერობით მცირე მასალიდან, რომლითაც ტაოს სოფლებში შემორჩენილი ქართული სხვა სამხრული კილოების გვერდით განიხილება. ბევრი ენობრივი მოვლენით ტაოს ეთნიკურ ქართველთა მეტყველება შავშურისა და კლარჯულის ქართულთან არის ახლოს, ზოგიერთი თავისებურებით კი ქართული ენის სხვა კილოებთან აქვს საერთო.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

**კლარჯეთი, 2016** – ავტორთა ჯგუფი, მონოგრაფია „კლარჯეთი“, ბათუმი, 2016.

**ფაღავა, 2013** – ფაღავა მამია, ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით, ბსუ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული, VII, ბათუმი, 2013.

**ფუტკარაძე, 2016** – ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების ლინგვისტური ანალიზი, ბათუმი, 2016.

**ფუტკარაძე, 1993** – ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

**ქავთარაძე, 1964** – ქავთარაძე ივანე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIIIსს), ნაწილი I, თბ., 1964.

**შავშეთი, 2011** – ავტორთა ჯგუფი, მონოგრაფია „შავშეთი“, თბ., 2011.

**ცინცაძე, ფაღავა, 1998** – ცინცაძე მერი, ფაღავა მამია, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIIIსს), ბათუმი, 1998.

**მაია ბარამიძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, [baramidze.maia@yahoo.fr](mailto:baramidze.maia@yahoo.fr) T: 577 46 98 85.

**მერი ცინცაძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ემერიტუს-პროფესორი, [tsintsadze\\_meri@mail.ru](mailto:tsintsadze_meri@mail.ru) T: 557 53 52 34.

## როინ ჭიკაძე

### შავშური ნარატივი

ქართული ენის დიალექტების მეხსიერებამ შემოინახა უმდიდრესი ენობრივი საუნჯე. იოანე ზოსიმეს ნათქვამს პერიფრაზულად თუ გარდავთქვამთ, მართლაც, ენისმიერი ყოველი საიდუმლო, ანუ ენობრივი საგანძური დამარხულ არს, ე.ი. დაცული და შენახულია ქართული ენის დიალექტებში. ამიტომაცაა, რომ „დიალექტების საფუძვლიანი შესწავლა საწინდარია ეროვნული ენის უფრო ღრმად შეცნობისა, მისი ისტორიისა და განვითარების შინაგანი პოტენციის სრულყოფილად წარმოჩენისა“ (ჯორბენაძე, 1989, 5); ამასთანავე, დიალექტს, როგორც ეროვნული ენის ნაირსახეობას, „ახასიათებს თავისებური ენობრივი იმუნიტეტი, რაც განაპირობებს სამეტყველო თავისთავადობის შენარჩუნებას“ (იქვე, 40).

ამ საუნჯეს მოფრთხილება და ფიქსირება-ანალიზი სჭირდება. საერთოდაც, ფრიად საშურია „ქართული დიალექტური მეტყველების კიდევ უფრო ღრმა და გამოწვლილვითი შესწავლა, რადგანაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია გარკვეულ საფრთხეს უქმნის მათ თავისთავადობას“ (გოგოლაშვილი, 2015, 84).

განსაკუთრებით საშურია საქართველოს გარემოეკოლოგიური დიალექტების ჩაწერა-აღწერა-შესწავლა-დოკუმენტირება. ამის თაობაზე ჩვენებურების ქართულისადმი მიძღვნილ სტატიაში ჩვენც მივუთითებდით, რომ დროული თუ ტერიტორიული დისტანცია კიდევ უფრო ზრდის ამ დიალექტთა ენათმეცნიერული შესწავლის გადაუდებელ საჭიროებას (ჭიკაძე, 2015, 248).

ღირსსაცნობია, რომ ქართული ენის დიალექტების სისტემური მეცნიერული შესწავლა ფაქტობრივად დაიწყო შავშური კილოთი, როდესაც ნიკო მარმა 1904 წლის ზაფხულში იმოგზაურა შავშეთსა და კლარჯეთში (მარი, 2012) და უნიკალური ეთნოგრაფიული მასალის პარალელურად ჩაიწერა დიალექტოლოგიური ტექსტებიც, რომელთა ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტის გამოკვლევასთან ერთად გამოქვეყნდა 1911 წელს (ფაღავა, 2012, 7; გოგოლაშვილი, 2016, 46).

ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია შავშური დიალექტით მეტყველთა საუბრის მანერა. საამისოდ ვსარგებლობთ შავშური დიალექტის მასალებით, რომლებიც ჩაწერილია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ პროფესორ მამია ფაღავას ხელმძღვანელობით („შავშეთი“, მეორე გამოცემა, 2014 წ.).

ცნობილია, რომ დიალექტი მეტყველების ფაქტია, ზეპირი მეტყველება კი „ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მიმდინარეობს: (კვანტალიანი, 1990, 4); ამიტომაც დიალექტური ტექსტის ჩაწერის პროცესში ფრიად მნიშვნელოვანია დაკვირვება რესპონდენტთა საუბრის მანერაზე; იმავდროულად, ანგარიშგასაწევია მოსაუბრეთა ასაკი, სქესი, განათლების დონე, პროფესია, სოციალური მდგომარეობა... „სულ უბრალო დაკვირვებაა საჭირო და ნათლად წარმოჩნდება: თითოეულ ადამიანს ჩვენ არა მხოლოდ მისი გარეგნული იერითა და ქცევით გამოვარჩევთ სხვებისაგან, არამედ მისი მეტყველების მანერითაც, რაც ამასთან დაკავშირებულ ყველა მომენტს მოიცავს: ხმის ტემბრს, კილოს, ლექსიკას, მეტყველების ტემპს, აზრის გამოთქმის თავისებურებებს“ (ჯორბენაძე, 1997, 157).

შავშელთა საუბრის თემები უმთავრესად არის: საოჯახო საქმიანობა, ადათ-წესები, სარწმუნოება, მეურნეობა, სურსათ-სანოვანის მომზადება, ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი, სამხიარულო თუ სამგლოვიარო რიტუალები... საუბრისას იკვეთება „სწავლანი“ ეთნოკულტურული ტრადიციებისა თუ საყოფაცხოვრებო რიტუალები-

სა... ასეთ დროს ზეპირი მეტყველება ძალდაუტანებლად მიმდინარეობს და ბუნებრივად იყრის თავს ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი. ეს შესაძლებლობა კი ვლინდება ზეპირ მეტყველებაში. „ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო დაშორებულია დიალექტური მეტყველება სალიტერატურო ენისაგან, მით უფრო მეტია სტილურ ნაირსახეობათა არსებობის საფუძველი” (ჩხუბიანიშვილი, 2003, 226-227). ამ მხრივ, ცხადია, არც შავშურია გამონაკლისი, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინათ მოსწყვიტეს საკუთარ მიწა-წყალსა და მშობლიურ ენას; მიუხედავად ამისა, შავშეთ-იმერხევეში თავისთავადი მეტყველების ენობრივი იმუნიტეტი დღემდეა შენარჩუნებული.

გადავხედოთ შავშურ ნარატივს...

რესპონდენტთა საუბრისას ხელშესახებად ვლინდება მონათხრობის ზოგადდროულობა და ზოგადპერსონიფიცირება. მოსაუბრე დროის ყველა განზომილებას ერთად უყრის თავს; მისთვის დრო ზოგადია და დაუკონკრეტებელი:

ხეზე ემეში ამოდის, ცხვარას ებნევიან, თეთრი ცხვარაა... ცხვარას ეძახიან იმა... იმას ქი მოკრეფენ, მოხარშვენ და ძაღში მოხრაკვენ, დეშილი ხახვის ერთათ. დეშილი ხახვი იქ დათესვენ, 371.

ფხალ-ლობიო იციან აქა. ლობიოს ჩაყრი, ფხალსაც მოხარშავ, დაჰკეპავ, ჩაჰყრი, ფხალ-ლობია იქნება. გერმელი მოდის. ეჩოათ დაჰკეპავ, ეჩო გარცხი, ასეა, ჩაჰყრი, მავლებ იმასაც; გარცხი, ჩაყარე, დაკეპე. ერთი გუნდი გააკეთე, ჩაყარე, 469.

თაფლი მააქ, თაფლ იმა იჯება, იმას აკეთებს, იმას აკეთებს, თავისთვინაც აკეთებს, შენთვინაც აკეთებს, ფაჭა რჩება, ფაჭა. შავი ფაჭა არი. ფაჭა... მემრე ემეს იქ... ჯერ ფაჭას გაადნობ, გახდება ლისი, თექრენ გამოადინებ, გახდება ლისი... სანთელი იშტე, სანთელი გახდება. ჩვენ ლის ვებნევით. ჰოო,ჰოო, ერთია, ერთი, 372.

მოხმობილ კონტექსტში ზმნა-შემასმენლებით გამოხატულია არა იმდენად გრამატიკული დრო, არამედ განუსაზღვრელი დრო, რომელსაც ზოგადდროული მნიშვნელობა აქვს და მოქმედების ჩვეულებითობას (მრავალგზისობას) გამოხატავს, რაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში „ზოგადი აწმყო” სახელითაა ცნობილი. თუმცა შავშური დიალექტის მონაცემებიც ადასტურებს, რომ მოქმედების ზოგადდროულობა და ჩვეულებითობა შესაძლებელია გადმოიცეს როგორც აწმყო, ისე მყოფადისა და ნამყო დროის ფარგლებში. „ასე

რომ, ზოგადდროულობა და მოქმედების ჩვეულებითობა თითოეული დროის შიდასივრცულ განზომილებაშია საგულვებელი, რის მიხედვითაც გვექნება არა მხოლოდ **ზოგადი აწმყო**, არამედ **ზოგადი მყოფადი** და **ზოგადი ნამყო** (ჭიკაძე, 2012, 244).

როგორც საერთოდ სასაუბრო ქართულისათვის, ისე შავშელთა მეტყველებისათვისაც დამახასიათებელია დროის გადაწევის ფაქტორი, როდესაც მოსაუბრის ცნობიერებაში ისახება არა **ახსოლუ-ტური დრო** (მეტყველების მომენტთან მიმართება), არამედ **რელატიური** ანუ **ფარდობითი დრო** (ერთი მოვლენის მიმართება მეორესთან). ასეთი შემთხვევები ფიქსირდება წარსულისა და ახლანდელი დროის თანამიმდევრობისას, სადაც დრო წარსულში შემოსაზღვრულია, ხოლო აწმყოში – შემოუსაზღვრელი: აწმყოს მწკრივის ახლანდელი დრო გადატანილია წარსულში. ესაა აწმყო წარსულში, ანუ ნა-აწმყოარი ნამყო:

**წასხა** მეგერ ძალით სამი შვილი, ერთიც თავით – ოთხი. **შე-ჯდენ** ცხენებზე, **მიყავს**, 393. იქ რომ **იკითხა**, აქ ვერ **მუუგია**; **შედის**, ცარიელაჲ **გამოდის**, 392.

ასე რომ, დროის ფაქტორთან მიმართებით ცხადად დაჩნდება ადამიანის ზოგადი სივრცული აზროვნების კვალი, რაც თვალნათლივ დასტურდება შავშელთა ზეპირმეტყველებისასაც.

მიჩნეულია, რომ „ვალკე სიტყვათა და სიტყვათა ჯგუფის მრავალგზის გამეორება ხელს უწყობს რიტმიკული ჯგუფების წარმოქმნას” (ჟღენტი, 1963, 73). ამიტომაც ნათქვამის დამაჯერებლობისათვის მთხრობელი ხშირად მიმართავს ინფორმაციის ანაფორულ ელემენტებს: წინადადების წევრებისა და ფრაზების ინტენსიურ გამეორებას, მტკიცებით ნაწილაკებსა და შორისდებულებს, ასევე იყენებს ჩაკითხვის ხერხს...

**კაკალ** გაცოხნიან და **კაკალ** დაადებენ. **კაკალ** გაცოხნიდით და დავადებდით ქი, მალე გუუკეთიებდეს და მალე მორჩესო. **კაკალი**, **კაკალი** ყოფილა, **კაკლის** გული გაცოხნილი. **კაკალი** არ იცი?, 371.

კაკალი აქ არ არი ზათი, არ იჯება, მალათ ვართ-და... ვერ ასწრობს ზამთარ; **ხმარობენ** აქა, **ხმარობენ**; დემელებზე **ხმარობენ**, ჰამა ცოტა ბაჰალი არი, ბევრ არ **ვხმარობთ**; ტათლზეც **ხმარობენ**; ბევრ არ ვაკეთებთ, **ჰო**, 367.

დედამთილი **ფელჯი გახდა**, მიხვდები-და, იცით? **ფელჯი გახდა**, **ფელჯი** თავიდან-და, 368. **ახლა ზათი დაბერდა**, კიდენ, ადნი ისეა, ვერაფერი ვერ დეისწავლა, **ისე ახლა ზათი დაბერდა**, 368. **შარ-**

**შან თველზე ქი ჩაველი**, შარშანწინ არა. **შარშან თველზე ჩაველი**, 388. **რაგამ დუგუნი ქნა, პაწამ დუგუნი ქნა, ძველანდელი დუგუნი ქნა**, 471. ის **ადეთი არ არი** აქა, ნენი, **არ არი ადეთი**, 370.

საუბრის მანერას შესაბამისი ემოციური ელფერით მოსავს ინტონაციური მიმოქცევანი:

ემოციური შემახილი:

აქ იყო დუგუნი; **არაბა, არაბა, მილლეთი, მილლეთი**, 421. **არაბა, არაბა**, ქი, არ ეტეოდენ!, 423. არ წყენულობენ, ჰო? **არა, არა, არა**!, 375.

კითხვითი წინადადების ჩაკითხვითი ფორმა, როცა პასუხი შეკითხვაშივეა:

ბითევი სოფელში დეიარეთ, არა?, 400. ოცდაერთი წლის ვიყავი, არა?, 401. იყვენ თავისთვინ ისინი, აბა არ იყვენ?, 405. ჯინჭველმა გიკმინა, მეგანჯან, ჯინჭველმა?, 423.

ფაქტის აქცენტირებისას მოსაუბრე თავის დასმულ კითხვას თვითვე პასუხობს:

– შვილი? – ორი ბიჭი მყავს, 369.

შავშური დიალექტის მეხსიერებას კითხვით წინადადებაში შემოუნახავს ძველქართულისეული კითხვითი ნაწილაკი **ა**: იმას წამოყევია?, 439. ხალილად აქ არია?, 403. ყიშლები არია ცოტა ზემოთ?, 373. წეთილეთი აქეთა თერეფში რჩება, ველიქოა არია?, 457.

შავშელთა საუბრის მანერისათვის დამახასიათებელია დადასტურებით - მტკიცებითი **ჰო** ნაწილაკ-შორისდებულის ინტენსიური გამოყენება:

**ჰო, ჰო**, ჩვენ შინ ვართ. გვყავს **ჰო**, ოთხი ძროხა. ვწველავ-**ჰო**, აბა რად იქნება, 457.

ამის ქალიც ჩემი მულის ბაჯალა არი **ჰო, ჰო**, 370. ხომ ქართველი ვართ, **ჰო**!, 405.

ორი წელიწადი არ უუთავებია, იშტე, ახლაც უკლებენ და დანი, **ჰო, ჰო**, 370.

შავშეთისკენ ავლენ, **ჰო**, აქ არაბით მოვლენ, **ჰო**, მოვლენ, 423. ედდა იმაზე მიცემული მაქ კლიტე და ის უყურეგდებულეზს, **ჰო**, უყურეგდებულეზს, **ჰო**, 369.

დაბეჯითებული ნათქვამის დასადასტურებლად გამოიყენება მტკიცებითი კავშირ-ნაწილაკი **და**:

აემეგ უჰაზირებდა-**და**, მითხრა ქი, მე არ მცალიაო-**და**, შენ დოუმახე და შენ ასწავლეო, მე დმედ ვაკეთებო-**და**, 431. ალთუნ ემებენ, ბევრი ალთუნი არიან-**და**... ერთი კაცი ყოფილა-**და**, 471 ხოფი-

დან მოსულია, ნური ნენეა ერქვა-**და**, 422. დათესილია-**და**, იგი მაქ, ცოტა გვიან, არ გათბა-**და**, **430**. სოფელში არ დასახლებულა-**და**, იქიდან იქ გადმოუყვანია-**და...** იშტა, 431.

წინადადების ბოლო პოზიციის **და კავშირ-ნაწილაკი** ზოგჯერ იტევს შეწყვეტილი თხრობის საკონპენსაციოდ ნაგულისხმევ ამბავს; ასეთ პოზიციაში **და**-ს ადგილი და ფუნქცია განაპირობებს წინადადების ექსპრესიასა და ინტონაციურ შეფერილობას:

ძველი ბინა იყო **და...**, 417. არ გადავარდე, ძელი გატყდება-**და...**, 420. ასე არ გიხდებაო **და...**, 422. . იმათ ბიჭი არ ყოლიან-**და...**, ძმას დარჩება-**და...**, 422.

მსმენელის დასარწმუნებლად შავშელი აქცენტს აკეთებს ნათქვამის მთავარ კომპონენტზე, რომლის დაბეჯითებული განმეორებითაც მასზე სვამს ლოგიკურ მახვილს და განამხოლოებს:

იმას ცოლი არა ყავს, მ ო უ კ ვ და ცოლი, **მოუკვდა**, 397. გზა გეისხნება, გათოვლდება; ჰუქუმეთი **გ ა ხ ს ნ ი ს**, ჰოო, **გასხნის**, 436. ერდოღანი რ ი ზ ე ლ ი ა, **რიზელი**, 378. ა ე რ ე ლ ი ვარ, ნენი, **იერელი**, 412. ის დიდი ბუზები ფ უ ტ კ ა რ ს გვანან, ანი, **ფუტკარს**, 370. ჩითებზე **ლ ი ს ი** დასხმული გვაქ, **ლისი**, 372. ის თ ი ვ ა ზ ე მივა, **თივაზე**, 429. იმას ფ შ ნ ი ლ ს ჩააყრიან, **ფშნილს**, 370. ჩ ო ბ ა ს აუღებენ, **ჩორბას**, 370. სხვაზე მიცემული მაქ ჭალები, **ს ხ ვ ი ს თ ვ ი ნ**, ნენე, **სხვისთვინ**, 370. ყოდა შ ო რ არი, **შორ**, 410. ი მ ა უ კ ა ნ გურჯისტანი დაგვრჩა, **იმა უკან**, 406.

საერთოდაც, შავშური დიალექტისათვის ნიშანდობლივია წინადადების წევრთა განკერძოება-განმხოლოება:

ბაბოიც ხუჯუზი მყავდა, **ფინთი**, 368. მერჯიმეგის შორვას ვაკეთებთ, **კაკლებია წვრილი ზივებსავენ**, **წითელი**, 367. ლაზები ბილა ქართველები, ძმები არიან, **ძველისძველი**, 405.

ასეთ კონსტრუქციას მოსაუბრე იყენებს თქმულის დაკონკრეტებისა და განმარტებისათვის:

ცოლი ზეგნებიდან არი, **ციხიძირიდან**, 441. ჩემი ნენეა იქიდან იყო, **მაჭახელიდან**, 420. მიღეთი იქ იკითხავდა, **ოქულში**, 451. ჩემი მეზობელი იქიდან არი, **ჩიჯისხვეიდან**, 368. იქიდან გზა თაზე, **უბურ თაზე**, მივა, 410. ჩემ ბიჭმა მითხრა, **მეჰმედამა**, 406. ამისი დედამთილი ჩემ კაცისა და იყო, **ბაჯი**, 415.

მოსაუბრე განმარტებისას „მეტყველების წრის“ სიტყვარსაც მიმართავს:

იქა ხარის გზა იყო ძველათ, მარხილის გზა, იმას ჩვენც კლდეს **ვებნევით**, 410. ა, თისარტყელად, თისარტყელად, თი-სარ -ტყელად, „თისარტყელას“ **ვეტყვით**, 435. ეს ცხვირი... „კეხსაც“ **ვიტყვით...** ჩავარდნილ ალაგ „კეხ“ **ვეტყვით**, 434. დიდ სკამს სანდალიეს **ვეტყვით**, 366. ჩვენ სოფელ დანუხის **ეტყვიან**, ჩიხისხევი, 367. ზეინას **მი-მახიან**, ენჭული, ზეინაზად **მქვია**, 366. მოშოშთად სხალი არი, წარიად სხალი **ქვია**, 366.

შავშელები ღვთის მოშიშნი არიან და ცდილობენ დაიცვან წესი და „ადეთი“:

**ღმერთი** როდი დაგვიქნევს, თავეთ დაგვიქნევს, ჩვენ ვერ დევქნევთ, 373. ამიტომაცაა, რომ დალოცვის ფორმულებში **ღმერთი** დომინირებს:

**ღმერთმა** კად შვილები მოგცეს, გაცოცხლოს **ღმერთმა** მამის ოჯახზე, 426. **ღმერთმა** გაცოცხლოს, კარგა მაგარჩინოს, ყაზა-ბელას გადაგარჩინოს, 415. **ღმერთმა** დევლეთს ზარალი არ მისცეს, 422. **ღმერთმა** თეთრი მაზმით დაგაბეროს! **ღმერთმა** ერთ ბალიშზე დაგაბერონ! გაკეთდი, ინშალა, კარგობა მოგცეს! შენ დღეში სიმწარე არ დედნახე! **ღმერთმა** გაგიქაროს, რაცხა დერდი გაქო, 390.

მათ იციან, რომ „წყევლა სირცხვილია“, 426, მაგრამ მაინც იწყებლებიან: შენ დედა გალლეტილოო... **ღმერთმა** არ მიგიყვანოს, **ღმერთმა** სახელი ჩიგიძრინოს, წამოგიწყდა ყაფა..., 414. კარი გამოგვძრას, შენ გამოვსილო, 428. **ღმერთმა** არ გაგახაროს, შავ და უკულმა წადი! **ღმერთმა** აქვერი ღურბელი არ დაგანახვოს! კიწი ამოგივარდა!, 390.

დალოცვისა და წყევლისას შავშელები ღმერთს კი მიმართავენ, მაგრამ მათი ტრაგედია რწმენის გაორებაშია. გულმტკივნეულობს შავშელი: „ჩვენ თურქისაგან გარჩეული არ ვართ, თან გურჯი ვარ, თან მუსლიმანი ვარ“, 430.

წუხან შავშელები, რომ თანდათან დავიწყებას ეძლევა მშობლიური ქართული: „დაჩვევლი ვარ გურჯა, თურქა-და ხან-ხან ვურევ; ახლებ ცოტა ვერ დუულაპარაკნიან ჩვენსავებ, ისენი ბითევ თურქას ლაპარაკობენ და გურჯა ვერ დუულაპარაკნიან... ვერ ემე უქნიან, იწავლიან და ვერ დუულაპარაკნიან. ე, ჩვენ, ქიმი ოქულში, თურქა ოქულში დეიწავლიან; გურჯი ზათინ, ანა გურჯი, ბაბო გურჯი, ზათინ კითხვაც არ ვიცით“, 423.

ამრიგად, შავშელთა საუბრის მანერაში კოლორიტულად დაჩნდება ზეპირი მეტყველების რიტმულ-ინტონაციურ მიმოქცევანი და წინადადების მოდალური ნაირსახეობანი. შავშურის თავისთავა-



დი ენობრივი იმუნიტეტი დღემდე ინახავს ეთნოკულტურული თუ საყოფაცხოვრებო რიტუალების ამსახველ ლექსიკა-ფრაზეოლოგიას. მშობლიურ ძირებს მოწყვეტილი შავშური დიალექტის მეხსიერებაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულა ქართული ენის მადლმოსილების ცოცხალი სურათი.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**გოგოლაშვილი, 2016** – გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა და ამოცანები, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2016.

**გოგოლაშვილი, 2015** – გ. გოგოლაშვილი, საცნობლად თავისადაო, „მერიდიანი“, თბ., 2015.

**კვანტალიანი, 1990** – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, „მეცნიერება“, თბ., 1990.

**მარი, 2012** – ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, „მოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012.

**ჟღენტი, 1963** – ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა, „ცოდნა“, თბ., 1963.

**ფაღავა, 2012** – მ. ფაღავა, ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, „მოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012.

**ჩხუბიანიშვილი, 2003** – დ. ჩხუბიანიშვილი, დიალექტური მეტყველების ზოგი სტილური თავისებურების შესახებ, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, „ქართული ენა“, VIII, თბ., 2003.

**ჭიკაძე, 2015** – რ. ჭიკაძე, ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მოდელები ჩვენებურების ქართულში, საენათმეცნიერო მიუზანი, XXXVIII, თბ., 2015.

**ჭიკაძე, 2012** – რ. ჭიკაძე, აბსოლუტური და რელატიური დროის ურთიერთმიმართება, „ინტელექტი“, N2(43), თბ., 2012.

**ჯორბენაძე, 1997** – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, „ქართული ენა“, თბ., 1997.

**ჯორბენაძე, 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

**ჯორბენაძე, 1995** – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თსუ, თბ., 1995.

## ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### **ზოგი ომონიმის ისტორია ქართულში დიალექტების მონაცემების მიხედვით**

ომონიმია სალიტერატურო ენაში სხვადასხვა გარემოებითაა განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზია დიალექტური მონაცემები, ეს ეხება როგორც საკუთრივ დიალექტური ძირითადი ფონდისთვის დამახასიათებელ ერთეულებს, ისე ნასესხებ მასალას. ხშირ შემთხვევაში კი ამა თუ იმ კილოსთვის დამახასიათებელი თანამდევი ფონეტიკური პროცესების წყალობით შესაძლებელია ესა თუ ის დიალექტიზმი გარეგნულად დაემთხვეს სალიტერატურო ქართულის ლექსემას და მასთან შექმნას ომონიმური წყვილი. ჩვენ ამჯერად შევეხებით საშუალო ქართულში გამოვლენილ იმ ლექსემებს, რომლებსაც ომონიმური ცალები უჩნდება დიალექტური მონაცემების მიხედვით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის ომონიმები შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული, ანდა დიალექტთა გარკვეულ ჯგუფისთვის იყოს დამახასიათებელი და რიგ შემთხვევაში ლიტერატურულ ენაშიც იჩენდეს თავს. ასეთია, მაგ., **აბდარი, აბლი, ალაამი, ალაო, ალატი, ალმანი, ამალი, ამალა, არავი, აჯლა...**

#### **აბდარი:**

**I. აბდარი** სპარს. მეფის წყლის მწე – დ. და ნ. ჩუბ. არის მისი მოწამე თავად ღმერთი; კაცთაგან: მამასახლისი ბახუტა... *აბდარი* სულოა და სოფლის ქეთხუდები (სამ. IV, 298).

**II. აბდარი** (გურ.) ავდარი (ს. ჟდ.). ალიონზე *აბდარი* იყო (რაცხ. გურ.).

ცხადია, **რომ აბდარი** < ავდარი „ცუდი დარი, წვიმიანი ტაროსი“.

## **აბლი:**

**I. აბლი** ავლი (გურ. შარაშ.). სული შეუბერე, ვერ ხედავ, *აბლი* ყრია? აქ არ სვა თუთუნი, *აბლი* დეყრება. გაავსე ერთი მეშოკი *აბლით* და ერთი მეშოკი ნახშირით გაავსე (კირნ., სამხ., ცინცაძე, ფადავა). კარქი თუთუნი *აბლს* მეიგდებს. გადატ. *აბლივით* დაცვივდა ის დღეები და იმ დღეთა მოგონება (ფ. ხალ.) – (აჭ. ნიჟ.).

ამავე შინაარსისაა იმერხეულში დადასტურებული ფუძეგაორკვეებული *აბლი-აბლი* ფერფლი. ამ კუერსა *აბლი-აბლის* სული უდის (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

როგორც შენიშნავენ, გურულსა და აჭარულში ძველქართულისეული ამავე მნიშვნელობის **ავლის** ფონეტიკური ცვლილებების შედეგი უნდა იყოს **აბლი**, რომელიც **ავლ**-ისაგან სუბსტიტუციით არის მიღებული (კბილზაგისმიერ **ვ**-ს შეენაცვლა ზაგისმიერი **ზ**) (ცინცაძე, ფადავა, 1998, 176).

ვფიქრობთ, რომ ამავე სიტყვის მნიშვნელობის გადატანით მივიღეთ შინაარსი „ცოტა, მცირე“. *აბლი* შეარ და წითლეკარ ახუალ“ (ტ.); მურღულში „ცოტა“-ს იტყვიან, ჩუენ „აბლ“-სა ვიტყვით“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.).

**II. აბლი** „გაუგებარი, უთაური; თავდაბალი; პირუტები, („შეუწყინარი“) (ხევს. შან., ჭინჭ.). ორი ქალი *აბლი* ყავს (ტ., ჩვენ. ფუტკ.).

ეს ომონიმური ცალი კი საშუალ ქართულში დადასტურებულ „სიბრიყვის, სირეგვის“ მნიშვნელობის **აბლაობა**-ს უნდა უკავშირდებოდეს. ათასი ტარალობა და *აბლაობა* შემომაყუედრე (ვისრ. 266, 2).

**III. აბლი** საბავშვო თამაშის დროს, გათვლისას სახმარი სიტყვაა: **აბლი**, ბაბლი, ოქროს ტახტი...! (გ.-კახ. სახლთხ.). ვფიქრობთ, რომ **აბლი** < **მეხელი** „სახლის მორთულობა, საფენი“ – დ. ჩუბ. თავის მხრივ **მეხელი** < სპ. **მოხლ**.

## **ალამი:**

**I. ალამი** (არაბ.-სპ.) მომცრო დროშა, ან ნიშანი რამე შუბთა ზედა. **ალამი** საქართველოსი იყო წითელ-შავი (დ.და ნ. ჩუბ.).

ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და *ალამი* უბია (ვეფხ. 1607, 1). ქოს-*ალამნი* ჯეონისებრ მოდიოდეს (ვისრ. 293, ქვ. 2). ზედ ორის ქვეყნის იგავი, მაზე თავდახრით *ალამი* (დ. გურამ. 96, 239, 3). ანგარიში არ აიღებოდა დროშისა და *ალამისა* (რუსუდ. 345, ქვ. 9). მზეს წაუვიდა სინათლე, ვედარ იცნობდა *ალამსა* (შჰნ. II, 3681, 1).

ქეგლის მიხედვით: **ალამი**, დროშა, ბაირადი. დაინახა გაშლილი *ალამები* გამარჯვებული ხალხისა (ა. ყაზბ.). სამხიარულო *ალამი*

ჩემს ერში ავაფრიალო (ს. შანშ.). მეფის სასახლის კომპეზზე შავი ფრიალებს *ალმები* (ვაჟა).

თუშურშიც **ალამი** დროშა, ბაირაღია. – მეტაყ კარგაყი, რაყიოდ კარგაყი ალამ ხქონდე! (თუშ. ხუბ.). ამავე დიალექტში **ალამი** ნიშნავს ასევე დოღში გამარჯვებული ცხენის ჯილდოს. ჩალა რო დოღში რეულიყვ, იმას *ალამ* არ ასცდებოდ (თუშ. ცოც.). ხოლო ნაწარმოები სიტყვა **მეალმე** ნიშნავს პირს, ვისაც სადგინში ალამი აბარია. იგივე ადევნებს ცხენებს თვალს, რომელი მერამდენედ მოვიდა. **მეალმედ** უფროს კაც დაყყინან, ჭკვიანნ (თუშ. ცოც.). შდრ. **ალამდარი** ძვ. მედროშე. გაქრნენ ყველა ურდოები, მტრის მრისხანე *ალამდარი* (გ. ლეონ.). დასალოცად გამზადებულნი... ამ სადღესასწაულო კრებულს წინ მიუძღოდნენ *ალამდარის* გასწვრივ (ი. გრიშ.) – ქეგლ.

**II. ალამი** (არაბ. *ალამ* „ქვეყანა“) ბევრი. ყმაწვილიც თოფსა გაგდებდაო, – *ალამს* დაღლაღეს ჭარავანსაო (ხევს. თავისებ. 421, 222).

ამავე მნიშვნელობით „ჩვენებურების ქართულში“ იხმარება **ალემი**.

**ალემი** [არაბ.თურქ. *ალემ*] 1. სამყარო, 2. ხალხი, საზოგადოება. ერთ *ალემში* არიან მაგერესენი. (სტ.). იმდენ *ალემში* უთხრა მეგემ (სტ.). „*ალემის* შვილო, შენა!“ (ად.) (საგინებელი სიტყვები) (ჩვენ. ფუტკ.).

ასევე ზემოდასახელებული ომონიმის ცალად გამოიყოფა **ალამი** შემდეგ ფრაზეოლოგიზმში:

**III. ალამს ვერ (არ) მოუკლავს** შიმშილს ვერ დაუცხრობს, გასაძლომად სრულებითაც არ ეყოფა: მისანა მჭამელია [პირუტყვი], რომე ორმა გოდორმა ეკლის ფოთოლმა *ალამი* არ მოუკლა (იმერ. ქავთ. III). დასტურდება ზმნური ფორმაც: **დაალამება** შიმშილის ავადმყოფობა, ჭამის უნარს კარგავს. ყველ ვსლიკიდიტა-და წყალ ვსვიდით, არ *დავალმდენტ* – ყველს ვლოკავდით და წყალს ვსვამდით არ დავლამდით (თუშ. ცოც.). იხ. I. **ამალი**.

ერთი შეხედვით, ხევსურულში დადასტურებული რთული სიტყვის „**ალამ-სალამი**“ პირველი ნაწილი **ალამი** საკუთარი სახელის „**იერუსალიმი**“ ფონეტიკური ცლილებების შედეგადაა მიღებული.

**IV. ალამ-სალამი** იერუსალიმი. ...ხთის წესით, მდღლის წესით... *ალამ-სალამის* ნათლით... (ეთნ. სტემასპ. 21, 272) (ხევს. ჭინჭ.).

**ალაო:**

**I. ალაო** «ფქვილი დანოტიოებული» (საბა). 1. ჯერ გაღვივებული, შემდეგ გამხმარი და დაღერღილი პური, ქერი, სიმინდი, ხორბა-

ლი... ლუდის, არყის ან ბურახის გამოსახდელად – ეს რაღაც ნაწვიმი ჩანს, – უთქვამს ერთი ჯიშის ხორბალზე, – შეიძლება ალაო გამოვიდეს (გ. პაპუაშვი.). საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა... დამატებით გამოუმეგას... 480 ტონა ალაო («თბილ.»). ფიგურ. ჰაერში წვიმის ალაო ტრიალებდა (გ. გეგეშ.). 2. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი. **ღ ალაო პური** ასეთი ფქვილის პური (გული არ უცხვება). **ღ ალაოდ არის** საუბ. ცოტას აფრენს, ურიკინებს – თავში ალაოთ არი, – იცინის ვაჟა [მიხაზე] (მ. ელიოზ.).

ზემოდასახელებული მნიშვნელობით **ალაო** დიალექტებშიც დასტურდება **1. ალაოს** ეძახდნენ, იმას გააკეთებდნენ (ფშ. ცოც.). წამავე საწისქვილოდა, ალაო უნდა დავფქაო (ხევს. ჭინჭ.). ალაო ფქვილისა პურიც ლიჟ გამოდის – ალაო ფქვილისაგან პურიც ლიჟი (გულში გამოუმცხვარი) გამოვა (თუშ. ცოც.). თუ ხორბალი ნაწვიმია და მემრე ჩაჭურებული, იმისი პური ალაო გამოდის (ქიზ. მრეწ. III, II, 10).

დასტურდება **ალაო** სიტყვის შემცველი სინტაგმები **მზის ალაო, წყლის ალაო**. მარცვლეულის დაალაოებას იწვევს ორი მოვლენა: დანესტიანება და ჩახურება. ამ მიზეზით **ალაო** ორ სახელს ატარებს. **წყლის ალაო** – ნესტის, ნოტიოს, წვიმის მიზეზით გამოწვეული ალაო. **მზის ალაო** მზის მიზეზით გამოწვეული (გ. შატბ.). **მზის ალაო** – მზეზე ნაადრევად გამხმარი ნედლი ხორბალი. მზეზე რო ძალა მოსდის, **მზის ალაო** არის. პურს რო გამოაცხოვ, წოროწორო მიდის თონეში (მეგ.); **მზის ალაო** გამოვიდა, არაფერში გემო იმას არა აქ (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). **მზის ალაო** – მოთიბულ ყანას რომ უყურებს დიდხანს, **გაალოვდება** და თონეში რომ დააკრამ, აღარ გაჩერდება (ზ.-ქართლ. IV, II, 196).

**მზის ალაო** ერთ-ერთი სარეველა მცენარის სახელდებისთვისაც არის გამოყენებული. **მზის ალაო** სარეველა მცენარეა ერთგვარი, ამ სარეველიანი ხორბლის ფქვილის ცომი თონეზე კარგად არ მაგრდება და პური ხშირად ცვივა თონეში (ქართლ. გაჩ. XVII). სვანურში დადასტურებული თხელი ფაფის აღმნიშვნელი **ალააო** იგივე ზემოდასახელებული **ალაო** უნდა იყოს. **ალააო** თხელ ფაფას ჰქვია. თხელი და ნელთბილი (სვან. ლიპარტ.).

შდრ. ბერძნ. ალეტრა ფქვილი (ხორბლის).

**II. ალაო** დიდი სიცხე. აქანე დაჟდომა რავა შეილება ამ სიცხეში, ალაოა აქანე (საჩინ. შარაშ.). ამავ სიტყვასთან უნდა იყოს დაკავშირებული **ჰგლა** – პაპანაქება (სვან. თოფ., ქალდ.). შდრ. ბერძნ. ალეა სითბო.

**III. ალაო** ხვაი, ბარაქა, ნაყოფი. ზარმაცი კაცის მუშაობას ალაო არ ააქ, მიტოა იგი ღარიბი (გურ. ჯაჯან.). ჩვენი აზრით, ამ მნიშვნელობის **ალაო < ალაგი < ჰალი (არ.ჰალ)**. შდრ. **ალაგი** ძალი. მისი ქარი და **ალაგი** კაცსა ტვინსა და დამაღსა, თავსა და კეფასა შემოეჭიდების (იად. 246, 36). **ჰალი** (არ. ჰალ) ძალა, ღონე, შეძლება. „შენ რომ დიგინახავ, დაჰა ჰალი მომივა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

### **ალატი:**

**I. ალატი**, წისქვილის საფევილე კასრი – დ. ჩუბ.; **ალატა**, საფევილე ალა – საბა. ქეგლის მიხედვით **ალატი** იგივეა, რაც ალა I. ზოგი... ბორბალსა სინჯავდა სხვა – სარეკელას, ხვიმურს, **ალატს** და წისქვილის ქეგსა (ვაჟა). ის-ის იყო, უნდა დამდგარიყო, რომ ამ დროს მეწისქვილეს გამოეღვიძა, ნახა **ალატი** და შენიშნა, ფევილის მაგივრად მიწა იყო (ვაჟა). შენმა ცოლმა რომელ წისქვილშიც პირი გიქნას, იმ წისქვილის **ალატის** ძირი მენახოს გამომძვრალი (ვ. ჩორდ.).

ამავე მნიშვნელობით **ალატი** დასტურდება რიგ დიალექტში, როგორებიცაა, მაგ. ქართლური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, თუშური...

ბიგას ღვეზხარ **ალატშია**, აისრ გაგაქვ ცანცარია. – თავ ჳუმბურაჩი ჩაგიდევს, ფეწნი **ალატჩი** გესხნესა (ალ. ოჩ. 93, 28) – (ხევს.ჭინჭ.). „ბიჭუ, ციცილ ქოჯოი-დ გამოგაველ დეგ ალატი“ (თუშ. ხუბ.).

ამავე წარმომავლობისა ჩანს თუშურში დაფიქსირებული სიტყვებიც: 1. **ალატებზ** ოდ. მრ. წისქვილის მოსადევარი, მის გასამართად საჭირო რამეები. „ალატებ თუ მექნებ კი წისქვილის გამართებას რაჟიდ უნდ“ (თუშ. ცოც.). **ალატის ხეი** ხე საღორეში, რომელსაც ეყრდნობა წისქვილის ბორბალი, მასვე აბია ამოსაზიდი. „ამოსაზიდს რო სოლს შაჟტანვ, ალატის ხე მაღლ იყწევსა-დ საზედაო ერულსაც მაღლ ასწევს. წისქვილ გვრიშად (მსხვილად) დახეჟავს“ (თუშ. ცოც., ხუბუტ.). ამ სიტყვებთანაა დაკავშირებული ასევე **ალატი** „გოდორია ერთგვარი“ (მეგრ. ქობ.).

### **II. ალატი** მც. სოჭი (დ. ჩუბ.). **ალატი < ელატი**

ქეგლის მიხედვით **ელატი** [ბერძ. elatē] [Picea orientalis] ძვ. იგივეა, რაც აღმოსავლური ნაძვი. ეკალმუხისა ისარი **ელატის** მშვილდით მშვენიოდეს (ა. ჭავჭავ.).

**III. ალატი** წვრილი, სწორი და გრძელი ჯოხი. *ალატი* აილი შუნი დაახრელა (ინგ. ასრათ.). ბარჟ (ბარჯი) ორ გზელ *ალატი* (ლატანია) დაგრეხულ ვაზით გადნამზავ (გადაბმული) (საინგ. მრეწ. I, 127). შესაძლებელია, რომ ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილების წყალობით ამ მნიშვნელობის **ალატისთვის** ამოსავალი იყოს *ლატანი* წვრილი და გრძელი ძელი – საბა, დ. ჩუბ.

**ალმანი:**

**I. ალმანი** შუბი, ლახვარი – დ. ჩუბ.

**II. ალმანი** ფშ. საზღაური, რომელსაც იხდიდა იარაღის პატრონი, თუ მისი იარაღით ვისმე მოკლავდნენ ან დაჭრიდნენ – ქეგლი. „არც გავწირავ ქალს აქა, არც *ალმანს* მოგცემთ მისას (ბაჩანა) – ქეშიკ.

საზღაურის, გამოსასყიდის, ნაფასურის შინაარსის **ალმანი** ფშაურისათვისაა დამახასიათებელი. **ალმანი** (რაზ. =ჟყ.) „ვისაც იარაღი მოჰკლავდა ან დაჭრიდა, იმ იარაღის პატრონს უნდა ეზღო სისხლი, იარაღი გინდ სხვას სჭეროდა: ამ საზღაურს ჰქვია **ალმანი**“. სწორი ფორმაა **ალმანია** (ფშ. ხორნ.).

**ალმანი** მთის დიალექტებში მეტ-ნაკლები სემანტიკური გადაწვევით იხმარება. **ალმანი** მოჭ. მაგიერი. „შენს *ალმანზე*დ მამივიდა ჩხუბი – შენს მაგიერად, შენს თაობაზე, შენის გულითვის“ (შან.). **ალმანი, ალმანზე** – ოჯახი, მემკვიდრეობა რომ გაუნადგურდება ადამიანსა, მაშინ იციან თქმა: „იმი, ან იმათ *ალმანზე* აღარვინ დარჩაო (მოხ. ლუდუშ.). **ალმანი, ალმანობა** 1. ბარობა, ანაბარა. ცოლის მეტი იმის ალმანზე არც ვინ იყო. საცოდავი ბაღლის *ალმანობაზე* დარჩა ავადმყოფი ბებერი. 2. თაობაზე, შესახებ, დაკავშირებით. მაგის *ალმანობაზე* დღეის ამას იქით ჯმა არვინ ამიღას, თუ სიცოცხლე არ შაღბეზრებიაო (მოხ. ქავთ.).

შდრ. თურქ. **ალიმ** თურქ. საფასური

**ალმანის** ფონეტიკური ცვლილების შედეგად უნდა მიგველო ხევსურული **ალონია** და **ალვანია**. ჭრილობა თუ საუქმროში სჭირს და ფეხი დაუსახიჩრდა, „*ალონიასაც*“ აიღებს დაჭრილი დამჭრელი-საგან და საუქმროსაც“ აიღებს (ეთნ. მედიც. VIII, 88) - (ხევს. ჭინჭ.).

**III. ალმანი** (თ. ალმან) გერმანელი. *ალმანი* თურისთი მეიყუანა ერთი (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

**ამალი:**

**I. ამალი** ანაზდად შიმშილით მიბნედა – საბა, დ. ჩუბ.

ნაველისა ჭამა მომარჩენს და გარდამიგდებს *ამალსა!* (ქილ. 677, 13). ამათითა ჭამითა *ამალსაცა* ვერ მოიბრუნებენო (ქილ. 836, 17).

**ამალ-** ძირისაგან სამწერლო ქართულსა და დიალექტებში გვხვდება შემდეგი ზმნური ფორმები:

**დაიამლება** (ხევს. ქიზ.) შიმშილისაგან ძალ-ღონე გამოეღევა, დასუსტდება. თუ რძე არა აქვს, ბატკანი *დაიამლება* (<<დაილ.>>). **დაამლული, დაამლებული** ძალიან მოშივებული, მოწყურებული; შიმშილისაგან დასუსტებული. ბალახს არა უშავდა რა სამოვრად. ამ ადგილას კარგა ხანს იტრიალა *დაამლულმა* ცხვარმა (გ. ბუთხ.) – ქეგლ. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა მთიულურში, ფშაურში... მოხეურში კი **დაამლული** სენისაგან არაქათგამოცლილს ნიშნავს. ეგ ცხორი საყვალად აღარ გამადგება, ავამტყოფობისაგა *დაამლულია* (მოხ. ლუდ.).

დასტურდება **ამალ-**სიტყვიანი ფრაზეოლოგიზმიც: **ამალს მოიბრუნებს** მშიერი ოდნავ დანაყრდება და სულს მოიბრუნებს. „რო დშიან და ცოტად შედჭამს, ვიტყვით: *ამალი მაიბრუნაო*“ (ფარცხ., ქართლ. მენთ. XVII).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. გიგინეიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ 398-ე სტროფის მეორე სტრიქონის – „ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი **ამ ალსა**“, „**ამ ალსას**“ ნაცვლად სწორ ფორმად მიიჩნევს **ამალ-**სიტყვას. შდრ. ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი **ამალსა** (ვეფხ.).

ამასთან დაკავშირებით იგი შენიშნავს, როგორც უნდა იყოს **ამალ-**სიტყვის წარმოშობა, ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ ქართულში იგი უფრო „სურვილის“ მნიშვნელობითაა გავრცელებული, ოღონდ მნიშვნელობის მხრივ ორგვარი ნიუანსი მოეპოვება. ეს მნიშვნელობაა ფიქსირებული ს.-ს ორბელიანის ლექსიკონში და ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას „ქილილა და დამანაში“. მეორე მხრივ, **ამალი** სურვილსავე ნიშნავს „სიყვარულის, ტრფობის“ გაგებით, ოღონდ **სამალის** სახით შემოუნახავს ქართული მწერლობის ძეგლებს (გიგინეიშვილი, 1975, გვ. 41). შდრ. **ამალ** არაბ.-თურქ. სურვილი.

**II. ამალი** ზურგით ტვირთის მზიდავი მუშა. თ.-არაბ. ჰამალ/ამალი – დ. და ნ. ჩუბ. მიგვაჩნია, იგივე სიტყვა ოღონდ ფონეტიკურად ცვლილი უნდა იყოს **ამბალი** „მეკურტნე მუშა“ (ხუნდ. ფსევდ.) – გრიშ.

**III. ამალი** (ამალა) ამყოლები, ერთნაირი ხასიათის ამხანაგები. გურიაში ჩამევედი, ვერსა ვიშოვე *ამალი* (ფირ., გურ. ჯაჯან.). იხ. I. **ამალა**.



**IV. ამაღ** [აზ. ამაღ] ოინი, ხრიკი, ფანდი. მოლაჲ ჩემთან, მე ერ *ამალს* დაგაჩრვ (მოდი ჩემთან, მე ერთ ოინს გასწავლი); გაღვე (ვაჟუბი) მიდოდნენ იმასთან *ამლევ* დაასწავლეველა (ფანდების სასწავლად) (ინგ. ღამბ.).

**ამალა:**

**I. ამაღა** არაბ. საკუთრება; მხლებელნი – დ. ჩუბ.

*ამალით...* ავედით სალოცავად (ნ. ბარათ) – გოგატ.

ქეგლში მითითებულია **ამალა** 1. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები. ახალგაზრდა გიორგი... მთავარმართებლის *ამალაში* გადავიდა (გ. ქიქ.). მეფე გიორგიც გაეგება თავისი *ამალით* (ილია). [ყმაწვილმა] იქნება... სარასკირის *ამალაში* ამოყოს თავი (ჯ. მეხრ.). ფიგურ. არწივის *ამალიდან* დაეთხოვათ ყვაავი და ძერა (ვაჟა). 2. ირონ. ის პირნი, რომელნიც მუდამ თან დაჰყვებიან ვისმე, – ამყოლ-დამყოლი, ავანჩავანი. პირველ საათზე მობრძანდა... ლევან მელიქიშვილი თავისი *ამალით* (ილია).

ბ. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ძველ ქართულში გამოვლენილი არაა, არ დასტურდება არც ს. ორბელიანის ლექსიკონში და საშუალო ქართულის ძირითად ძეგლებში. მკვლევარი მითითებს ასევე მის არაბულ წარმომავლობაზეც (გიგინეიშვილი, 2016, 14).

მოხეურ დიალექტში კი გადატანით **ამალა** მრ. **ამალანი ნიშნავს** კოლექტიურად დამხმარე მუშახელს მშენებლობაში, ნადს: რომ დეეხმარებთან ერთი მეორესა, ხარჯს არ გასწევენ, მარტო ჰურს აჰმევენ, იტყუიან – *ამალანი* შახყარაო; *ამალანი* ხო არ გინდაო? მთელი *ამალაი* იყო და რაი გააკეთეს? (მოხ. ქავთ.).

**ამალობა** 1. ამალის შეყრა, ამალაში ყოფნა. *ამალობაჩი* ვიყავით. 2. ერთად, ჯგუფურად სიარული, ყაჩაღობა. ვერ მაიშალეს *ამალობა* (მოხ. ქავთ.).

**II. ამაღა** აივნის ბოძებზე გადებული მსხვილი ხე, რომელზედაც ეწყობა აივნის კოჭების თავები. დააყენებენ ბალკონის ბოძებს და ზეიდან დიდ კოჭ გადაადებენ, ემახიან ამალასა. მერე წინა კედლიდან *ამალამდინ* გადაზდებენ კოჭეფსა (კავთ.). აივნის ბოძებზე რო გრძელი ხე არი გადებული, ის არი *ამალაი* (ერთაწმ., აგრეთვე გარიყ., კაპრ., ხოვ. ქართლ. ლექსიკ.).

**ამალა** საცეხის სვეტების თავზე ჩამოცმული ზეძირკველი, რომელზედაც კავებია გადმოწყობილი (ქიზ. მენთ.). **ამალის ხე** აივნის ნაპირის ხე, რომელზედაც მანდალიონის თავებია დაწყობილი

(ფშ. ხორნ.). შესაძლებელია, რომ **ამალა** მომდინარეობდეს სიტყვა **მალი**-საგან „არს ერთი მხარე სართულისა სახლთასა“ (საბა, დ. ჩუბ.); ამ უკანასკნელისათვის კი საერთოქართველურისათვის აღდგენილია \*მალ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

შდრ. **ამალალი** აივნის შუბლის ხე. *ამალალი* არი აივნი ხე, გადებულია ბოძებზე და იმაზე კიდენ გაწყობილია აივნი კოჭები. აივნი კოჭეფს მეორე ხარე უდევთ გარე *ნალზე* (კავთ., ქართლ. მესხ.).

### **არავი:**

**I. არავი** 1. ჩრდილოთ-აღმოსავლეთის ქარი (დ. ჩუბ.). სამხრის ქარია თბილი (საბა).

მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი *არავი* (ვეფხ. 1513, 3). სცემდეს ბუკსა და ტაბლავსა, ქარი უქროდა *არავი* (შჰნ. I, 2012, 2).

**არავნი** სამხრეთის ქარი. შენით მქროლვენ სურნელების *არავნი* (ბეს. 174, 13). დაქრის *არავი* ჯოჯოხეთის, დაუცხრომელი (კ. გამს. თარგმ.). მძვინვარე ფიგურ. ღამე წყნარია და ჩემს გულში შფოთავს *არავი* (კ. გამს.).

**II. არავი** მავნე, გამთვალავი; არამი(?) „ისემც ლღვება, დნება, ჭკნება... შენი ავი... თვალთ შამამხედვარი, თვალთა მთვალავი, გულთან (?) *არავი*“ (იმ. გაჩ.). ჩვენი აზრით, **არავი** ფონეტიკური ცვლილებების შედეგად უნდა იყოს მიღებული უკვე ძველი ქართულიდან ცნობილი – „ფორიაქის, აოხრებულის, აკლებულის“ მნიშვნელობით „**იავარიდან**“, **ე.ი. არავი // < ავარი (საბა) < იავარი (ილ. აბ.)**.

### **აჯლა:**

**I. აჯლა** – ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის სადგომად გამართული ტახტი: როცა ნეფე-დედოფალი, ნათლია შედიან, *აჯლაზე*, *აჯლის* წინ ერბოთი სავსე ქოთანს დადგამენ (ჯავახ. ბერ., მარტ., მაისურ.) ეს სიტყვა **აჯილა** „საქორწილე ტახტის“ (საბა, დ. ჩუბ.) ფონეტიკური ცვლილებების შედეგად უნდა მიგვეღო. შდრ. **აჯილაკი** პატარა მაგიდა, ტახტის მაგვარი. „ჩემ განაყოფებიდან წამოვიღე ეს აჯილაკი, ისე მაგარია, ჩემ თორუნსაც ეყოფა“ (ჯავახ. ბერ.). ამავე შინაარსით საშუალ ქართულში გვხვდება **აჯი**, არაბ. სპილოს ძვალი, **აჯის ტახტი**, სპილოს ძვლის ტახტი – დ. ჩუბ. მაში *აჯის ტახტი* იდგა, მარგალიტის გვირგვინები იდგა (რუსუდ. 489, 38).

**II. აჯლა** ბედისწერა. ი კაცი თავი *აჯლით* მოკვდა (ჯავახ. მარტ.). ვფიქრობთ, რომ **აჯლა < აჯილა**. ქეგლის მიხედვით *აჯალი* „უკანასკნელი დღე დრო სიკვდილისა“ (ს. მენთ.). ბუდა თავის *აჯალს* არ გრძნობდა (პ. ჩხიკვ.). ხვასტაგის სხეულით დახუნძლული

ქუჩა აჯალის უკანასკნელ გზად იქცა («ცისკ.»). ვვიქრობთ, **აჯლა < სპ.-თურქ. აჯალი.**

**III. აჯლა** სალანძღავი სიტყვაა, ახმახ, ტლანქი გარეგნობის ქალზე იტყვიან. იმ **აჯლა ახმახ** ქიონიას, ტანს რომ ველარ ერევა, რა დავუშავე, მეზობლებში რომ გავულანძღივარ, – შესჩივლა ცირამ საბედას (მთარაჭ. ლობჯ.). **აჯლა** უზრდელი, თავისუფალი ხასიათის დაუკვირვებელი. აჯლა გოგო იყო თეკლე, მარა ცუდი ქალი არ გამოვიდა“ (მთარაჭ. რეხვ.). ვთვლით, რომ **აჯლა < არჯალი.** ქეგლის მიხედვით: **არჯალი** „ურცხვად ანჩხლი“ (საბა) – ავი, კაპასი. არც [ბესოს ცოლი] არის გულზე დასახატი, *არჯალია, არჯალი* (კ. კობ.). *არჯალი* რძალი შუბლშეკრული შეხვდა მაზლს (რ. ჯაფ.). შდრ. ამავე მნიშვნელობის თურქ. ერზელ.

ზემოგანხილული ომონიმური ცალეების მიხედვით ნათელია, რომ ქართულში ომონიმის ჩამოსაყალიბებლად ნასესხებ მასალასთან ერთად გადამწყვეტ როლს ასრულებს დიალექტური ფონეტიკური პროცესებიც.

### გამოყენებული ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, 1975** – ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, I, თბ., 1975.

**გიგინეიშვილი, 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა - მ), თბ., 2016.

**სამხ., ცინცაძე, ფაღავა 1998** – მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი, 1998.

**ა. სიხარულიძე, 2010** – ა. სიხარულიძე, ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი, თბ., 2010.

**ფენრიხი, სარჯველაძე, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

### წყაროები:

**აბულ.** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**აკ. ნიქ.** – შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აკარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**თ. ბაგრატ.** – თეიმურაზ ბაგრატონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960.

**ნ. ბარათ.** – გ. გოგატიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია, თბ., 1973.

**ვ. ბერ.** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ. 1912; თბ. 1986.

**ბერძნ.** – თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2012.

**ბესიკი** – ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურისა რედაქციით, თბ., 1962.

**გ.-კახ. სახლთბ.** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბ., 2003.

**ი. გრიშ.** – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბ., 1997.

**დ. გურამ.** – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბ., 1980.

**გურ. ჯაჯან.** – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.

**გურ. ჟღ.** – ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფ., 1936.

**ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

**ვისრ.** – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარია და მაგ. თოდუამ, თბ., 1962.

**ზ.-იმ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

**ზ.-ქართლ.** – იბ. საინგ. IV, II, 1987.

**თუმ. მრეწ. III, II** – მასალები საქართველოს შინამრეწველობის დაწვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად.ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად თბ., 1986.

**თურქ.** – Турецко-русский словарь. Авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубева и др., М., 1977.

**თუმ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, თუმური ლექსიკონი, თბ., 2002.

**თუმ. ხუბ.** – პ. ხუბუტია, თუმური კილო, თბ., 1968.

**იად.** – დ. ბაგრატონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1985.

**იმერ. გაჩ.** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

**იმერ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, თბ., III, 1963; IV, 1974.

**ინგ. ასრათ.** – ა. ასრათოვი, მასალები ინგილოური ლექსიკონისათვის, მაგნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., №2, 1978.

**ინგ. ღამბ.** – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.

**მთარაჭ. ლობჯ.** – დ. ლობჯანიძე, პაპაჩემის ლექსიკონი (მთის რაჭა, იშვიათი სიტყვა-თქმანი), თბ., 2014.

**მთარაჭ. რეხვ.** – შეადგინა გ. რეხვიაშვილმა, მთარაჭულ სიტყვათა ლექსიკონი, დიალექტოლოგიური კრებული, 1988, გვ. 55-79, თბ., 1989.

**მთ. კაიშ.** – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.

**მოხ. ღუდუშ.** – ი. ღუდუშაური, მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი თბ., 2011.

**მოხ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

**რაცხ. გურ.** – რაცხანაირ-გურული ლექსიკონი, სამეცნ. ხელმძღვანელი რ. ბერიშვილი, თბილისი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, 2001.

**რუსუდ.** – რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

**საზა** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბ., 1966; თხზულებანი, ტ. IV<sub>2</sub>, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1966.

**საინგ. მრეწ. I** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად.ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, 1976-1989 , ტ. I. თბ., 1976.

**სამ. IV** – ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972;

**საჩინ. შარაშ.** – ნინო შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბ., 2008.

**სპარს.** – Персидско-русский словарь. Составители М.Н. Османов, Д. Х. Дорри и др. т. I-II, М., 1985.

**სვან. ლიპარტ.** – ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოღურული კილო) თბ., 1994.

**სვან. თოფ., ქალდ.** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000. ფშ. მენთ.

**ფშ. ხორნ.** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

**ფშ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

**ქართლ. გარ.** – პ. გაჩეჩილაძე, ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

**ქართლ. ლექსიკ.** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალა) შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.

**ქართლ. მენთ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

**ქართლ. მესხ.** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალა), თბ., 2006.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950. ახალი რედაქცია, ტომი I, რედ. ავ. არაბული. თბ., 2007.

**ქეშიკ.** – ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969.

**ქიზ. მენთ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

**ქიზ. მრეწ.** – იხ. საინგ. ტ. III, ნაწ. II; თბ., 1986.

**ქილ.** – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი, მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1975.

**შან .** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბ., 1984.

**შაჰნ. I** – შაჰნამეს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულაძის გამოცემა, თბ. 1916.

**შაჰნ. II** – შაჰნამე ტ. II, ისტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით: კომენტარებით და ლექსიკონით, ტფ. 1934.

**შატბ.** – გ. შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, ტ. IV, თბ., 1975.

**ჩვენ. ფუტკ.** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

**დ. და ნ. ჩუბინ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984., ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

**ხეც. ჭინჭ.** – ალ. ჭინჭარაული, ხეცურული ლექსიკონი, თბ., 2005.

**ჯავახ. ბერ.** – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1982.

**ჯავახ. ზედგ.** – გ. ზედგინძე, ჯავახური ლექსიკონი, თბ., 2014.

**ჯავახ. მარტ.** – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

## **ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი**

### **დიალექტური ლექსიკა ლადო ასათიანის შემოქმედებაში**

ლექსიკა, რომელიც ლადო ასათიანის პოეზიაში გვხვდება, ძირძველი ქართული სიტყვებია, ერთდროულად – დიალექტური და სალიტერატურო ქართულის კუთვნილება, პოეტურ საბურველში გახვეული. ლადო თავის ძმას, გიორგი ასათიანს სწერდა: „ძველი ქართული მწერლობა ისწავლე, ის სჯობია ყველაფერს...“

ლადო ასათიანის ჩანაწერებიდან: „ერთი არჩეული პოეტი არა მყავს... რუსთაველზე არაფერს ვამბობ. მისი ლექსი ისე უნდა იკითხო ყოველ დილა-სადამოს, როგორც დილა-სადამოს კითხულობენ ბერები ლოცვას, და სძლისპირებივით უნდა ილიდინო ჯადოსნური სტრიქონები...“; „მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა. – რაფიელის „სამშობლო ხეცურისა“ ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმიო, შოვინიზმის სუნე უდისო. სულ სულელი ვუძახე; უნდა მეცემნა, ძლივს გამასწრო...“ „კარგი სიტყვებია: ლაჯანური, ლაბეჭინა, ლეხიდრისთავი, ლემკაში, ლალუმერა, ლეხიდარი, ლაილაში, ლარჩვალი, ლაჯანა, ლასხანა, ლახეფა, ლასურაში, – მთელი ლეჩხუმი...“

ამ ჩანაწერიდან (და მთელი მისი შემოქმედებიდან) ჩანს ლადო ასათიანის განსაკუთრებული დამოკიდებულება – სიტბო და

სიყვარული ქართული სიტყვისა და მშობლიური გარემოსადმი.

„გახსოვს ტყეები? ირიბად ხეზე დაკრული **თარჯები...** გახსოვს ღვინიან **შემოდევს** აივანზე რომ შემოდექ?...“ („ბარდნა“).

**თარჯი** 1. კუთხ. (იმერ.) სასაზღვრო ნიშანი, – სამანი. 2. კუთხ. (იმერ., გურ.) ნაჭდევი ხეზე საზღვრის ნიშნად... 3. ძვ. ზღუდე, გალავანი...“ (ქეგლ IV, 1955); **შემოდევი** შემოდგომა. შდრ.: **შემოდგომის, შემოდევის აზნაური** ცალმოგვი აზნაური, წვრილფეხა აზნაური“ (ბერიძე 1986); **შემოდექი** (გურ.) შემოდგომა“ (ღლონტი 1984).

„მზე მონადირე მეგონა, **სახუნდარს** მოფარებული“... („კოლხი-და“).

**სახუნდარი** 1. ადგილი, სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს... 2. ძვ. გარეულ ცხოველთა სადგომი, – ბუნაგი...“ (ქეგლ VI, 1960). შდრ.: „**სახუნარი** (ლექს.) ჩასაფრებული ადგილი... (მ. ალავ., 1). **სახუნდარი** (ქიზიყ.) ადგილი, სადაც ნადირობისას მსროლელები სხდებიან და ნადირს მათკენ ერეკებიან... (ს. მენთეშ.)“ (ღლონტი 1984).

„აგერ, დედაკაცს აუვსია **წიფხა** ხორბალით...“ („ცაგერის ბაზრობაზე“).

**წიფხა** „ცაცხვის ან თელის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი, ტკეჩით შეკერილი – ფქვილის, მარილის, ან მარცვლეულისათვის“, – ასეთი განმარტება ახლავს ლექსს სქოლიოში; „**წიფხა** კუთხ. (ლექს.) ცაცხვის ხის ქერქის ჭურჭელი (კალათივით), – ბოყვი (მნიშვნ. 2)...“ (ქეგლ VIII, 1964).

„აგერ წონიან ხელმეორედ ერთხელ აწონილს ყვითელ **ხალთე-ბით** ორ ბანაკად გაყოფილები...“ („ცაგერის ბაზრობაზე“).

**ხალთა** 1. ტყავის ტომარა, გუდა. შუბი ხალთაში არ დაიმალე-ბაო (ანდაზა). 2. თოფზე (ან დროშაზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე)... 3. კუთხ. (ლექს.) უსახელო წამოსასხამი თხის ტყავისა (მ. ალავ.)...“ (ქეგლ VIII, 1964).

„წამს აღრიალდა დევთა ლაშქარი: ვინ გვესტუმრაო ამ **წკვარამ** ღამით...“ („ფშავური ბალადა“).

**წკვარამი** კუთხ. (ქვ.-იმერ.) 1. „უფსკრული, ქვესკნელი“ (ვ. ბერ.)... // ხრამი, ღრმა ორმო... 2. უკუნეთი, ბნელი (ღამე...)... (ქეგლ VIII, 1964).

„წმინდად“ დიალექტური ლექსიკის გამორჩევა ლადო ასათიანის პოეზიაში ძნელი აღმოჩნდა, როგორც აღვნიშნეთ, ის ხშირად სალიტერატურო და ძველი ქართულის კუთვნილებაცაა:

„ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ, **დაფდაფითა** და **ბუკითა**, ახ-



ლა ყაყაჩო შემომხვდა, ლამაზი ქალის შუქითა. შემომხვდა, შემომანათა, **ჩინჩხლები** შემომაყარა, ალუჩა-ტყემლის შემოსვლა და გაზაფხული მახარა...“ („ყაყაჩო“).

**დაფდაფი** დასარტყამი საკრავი... **ბუკი** დიდი საყვირი (ხმარობდნენ ძველად, – ზეიმის დროს, განგაშის შემთხვევაში, ხალხის შესაყრელად) (ქეგლ III, 2015; ქეგლ I, 2007); **ჩინჩხალი**<sup>1</sup> „(გურ., იმერ., ლეჩხ., ფშ.) ნაკვერცხლებიანი მუგუზალი... (ა. ლლ.). ნაპერწკლები, წინწკლები, რომელსაც თავი ღვინო ისვრის. ნ. წინწკალი (ი. ჭყ.)... ნაპერწკალი... (მ. ალაგ., 2). მუგუზლის გაყრილი ნაპერწკლები (ვაჟა II, ა. შან.)“ (ღლონტი 1984); შდრ.: „**ჩინჩხალი** 1. იგივეა, რაც ნაპერწკალი. 2. წინწკალი, შხეფი“ (ქეგლ VIII, 1964).

„ჩვენ კიდევ პირდაპირ საფრთხეში ჩავვარდით, ჯიქურ დაგვეჯახა და ლაჯში დაგვხია მაგ ირმის გვერდით რომ **ქისონი** ტახია, თქვა ეს და **ბაღდათით** შეიკრა იარა, თავადმა მაღალმა, **ქვალულვაშიანმა**...“ („ნადირობის შემდეგ“).

**ქისონი** „თავგისფერი, რუხი, მუქ-ნაცრისფერი“, – ასეთი განმარტება ახლავს ლექსს სქოლიოში; შდრ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: „**ქისონი** კუთხ. (ლეჩხ.) ◊ **ქისონი შალი** ზოლ-ზოლად თეთრად და შავად შეფერადებული ქსოვილი (შალი) („შინამრეწვ.“) (ქეგლ VII, 1962). „**ქისონი** (ლეჩხ.) თავგისფერი (მ. ჩიქ.)“ (ღლონტი 1984). **ბაღდათი** ბაღდადი (მნიშვ. 3.) აბრეშუმის დიდი ხელსახოცი მამაკაცისა (იგოდნენ ძველად)... (ქეგლ II, 2010). **ქვალულვაშიანი**: **ქვალი** (ზ.-იმერ.) მომტრედისფრო, რუხი (ბ. წერეთ., ქეგლ)“ (ღლონტი 1984).

„რა კარგი იყო **ბარდნალა**, ბარდნალელების ბორანი, ვარდებიანი **ბარდნარი**, ბულბულთა **ნაამზორალი**, ჩემი **ხორგო** და მარანი, ჩემი ცეცხლი და **ღადარი**“... („ბარდნალა“).

**ბარდნალა** – პოეტური სახელია ადგილისა, სადაც პოეტი დაიბადა, რომელიც, სავარაუდოდ, სიტყვა ბარდანიდან მომდინარეობს. „**ბარდანი**-ი ბლომად დადებული თოვლის ფარტენები (შდრ.: ბარდნა, ბარდნის... **ბარდნა**: მსხვილ ფანტელებად თოვა... (ქეგლ II, 2010). **ბარდნარი** ბარდებით დაფარული ადგილი... (ქეგლ II, 2010). **ნაამზორალი**: **ამზორი** ძვ. კოცნა (ქეგლ I, 2007). **ხორგო** „კუთხ. (რაჭ., ლეჩხ.) „დიდი საწნახელი“ (ი. ჭყ.)... (ქეგლ VIII, 1964). **ღადარი** „ნაკვერჩხალი და ნაცარი ერთად“ (საბა); „**ღადარი**, **ღადარა/ე** (ხევს., გურ., აჭარ.) ნაკვერცხალი (ა. ჭინჭ. ...) ნაცარნარევი ნაღვერდალი (ს. ჟღ.). ღველფი (ი. მეგრ.)...“ (ღლონტი 1984).

ასევე, აკაკი შანიძის მთის კილოთა ლექსიკონში: „**ღადარი** თ.,

**ნაღვერდალი** ფშ. ნაკვერცხალი. **ღადარი** ფშ. ცხელი ნაცარი. ნ. თუთქარი, ღადრი... **ღადრი** მოკ., **ღადრუმი** კ., **ღადარი** თ., **ნაღვერდალი** ფშ. ნაკვერცხალი. „ღადრივით ღუს“ (მოკ.) (შანიძე I, 1984).

**ღადარი** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ომონიმებადაა: **ღადარი**<sup>1</sup> „ნაკვერცხალი და ნაცარი არეული“ (საზა), – ნაკვერცხლიანი ნაცარი...; **ღადარი**<sup>2</sup>, **ღადარა** [არაბ. **ღადდარ** „მოლაღატე“, „მატყუარა“] ძვ. „კაცი დაუნდობელი“ (საზა)... **ღადრად** დაუნდობლად. ...მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ღადრად (რუსთაველი) (ქეგლ VII, 1962).

არსებობს გამოთქმა **გულღადარა**, რომელიც როგორც **ღადარი** [**ღადარი**<sup>1</sup>, **ღადარი**<sup>2</sup>], ორი მნიშვნელობით დასტურდება (გულანთებული და გულბოროტი): მაგ.: ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) საკმაოდ ენამწარე და „ღადარა“ კაფიაში მხეჭაბუკ ორბელიანისადმი: „დამპალო ლეშო, თვალხენეშო, **გულღადარაო**, ეშმაკთ ბუდეო, ბეჭმრუდეო, კერპთა სადარო...“ – **გულღადარა** გულბოროტის მნიშვნელობითაა; შდრ.: „დიდი მადლობა... ჭემმარიტ უანგარო და **გულღადარა ქართველს**“ [ვებგვერდი „ჯვარ-პატიოსანთა საზოგადოება“] – აქ **გულღადარა** გულანთებულს ნიშნავს.

ვაჟა-ფშაველას პოემაში „ბაკური“ გვაქვს სიტყვა **გულხადარა**: „ჰრჩებოდა ჩვენი ქავ-ციხე **გულხადარას** და დიდოსა“ („ბაკური“), ალ. ჭინჭარაულის განმარტებით: „**გულხადარა** დალესტნის ზოგი ტომის ეპითეტია“ (ჭინჭარაული 1969).

აკაკი შანიძის მთის კილოთა ლექსიკონში ეს სიტყვა დადასტურებულია **გულჯადარა** ფორმით: „**გულჯადარა** (მხოლოდ ლექსში) მამაცი, გულდიდი. **გულჯადარა**, **გულჯადრეული** თ., ფშ. „ლეკების ტომია“ (შანიძე I, 1984); შდრ.: „**გულჯადარ-ი/ა** ლეკების ეპითეტია. [ღულელეებს] ლეკებ **გულჯადარეები** უწევლად მიუდიოდა (ხევს. პოეზ. 183, 17); [ლეკებს] **გულჯადარი** ხყავ ბელადი ალაზანს გამამჯდარია (ხევს. პოეზ. 211, 4); [ციხევ] მაგიდგეს **გულჯადარანი**, გადაგდის ცეცხლის ალიო (ალ. ოჩ. 43, 13) (შდრ.: ა. შან., ფშ., სტ. მენტემ.: **გულჯადარა**) (ჭინჭარაული 2005). ვფიქრობთ, სემანტიკური გადაწევით გახდა **გულჯადარა** [„მამაცი, გულდიდი“ > „გულბოროტი, დაუნდობელი, სასტიკი“] ლეკის ეპითეტის.

შეგვხვდა **თვალღადარაც**: „სადაც ნისლი ქარებმა მყინვარებში არწიეს, სადაც ბუდე მიუკრავთ თვალღადარა არწივებს...“ (ადამ ბეროშვილი, – ალვანელი. „ყაზბეგის სამშობლოში“); **თვალღადარა** ღადარივით მოელვარე, თვალებზრიალა, \*თვალნაღვერდალა – ვინც თვალებიდან ნაპერწკლებს, ნაკვერცხლებს ჰყრის... შდრ.: ალექსი

ჭინჭარაულის ხეცურული ლექსიკონი: „**ღადარ-ი** ნალვერდალი, ნაკვერცხალი. [ხარს] რქანი-ხქონ განზე გაშლილნი, **თვალნ უსხენ, როგორც ღადარი...**“ (ჭინჭარაული 2005).

ლადო ასათიანის ერთ-ერთ ლექსში ასეთი გამოთქმა – **საღადარე თვალები**:

„არ მომანათო **მაგ საღადარე თვალები**, ცეცხლით განაშუქარი, არ შემეკითხო რად შევადარე ნოეს ხუხულას შენი დუქანი...“ („ფიროსმანის დუქანი“).

**მაგ საღადარე თვალები** „ეგ დასაწვავი თვალები...“ [შდრ.: „რა ლექსი ზიდავს ამ **საღადარეს**, რა გულს არ დასწვავს და არ გადარევს...“ (ტ. ტაბ.)].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალექტური ლექსიკა, რომელიც ლადო ასათიანის პოეზიაში გვხვდება, სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაცაა, მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა „წმინდად დიალექტური“, სწორედ ასეთია სიტყვა **მალვალაკი** ლექსიდან „გულბათ ჭავჭავაძე“:

„გაჩაღებოდა **მალვალაკი თვალი** კახურში,  
და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი.  
თითქოს იტყოდა: „მასპინძელო, ეს რა კაცია,  
ქვევრებსა ნთქავდა და ჭინჭილამ ვით წააქცია!“

**მალვალაკი** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ გვხვდება, დიალექტური ლექსიკონების განმარტებით ის არის:

„**მალვალაკი** (რაჭ.) მაწუხებელი ადამიანი, მავნებელი; **მალვება** ვნება (ვ. ბერ.) (ლლონტი 1984) – ალ. ლლონტის განმარტება ვუკოლ ბერიძის ლექსიკონს ეყრდნობა. შდრ.: „**მალვალაკი** (რაჭ...) მაწუხებელი ადამიანი, მავნებელი; შდრ. **ყურ.: მალვება** ვნება“ (ბერიძე 1986).

ვუკოლ ბერიძეს დამოწმებული აქვს დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში დადასტურებული **მალვება** ფორმა „**მალვება** ვნება“ (ჩუბინაშვილი 1984), საყურადღებოა, რომ სულხან-საბას ლექსიკონში მოცემულია ზმნისპირიანი ფორმა: „**უმალვებს** შესამენს, თუ დაარისხებს“ ... **შესმენა** დაბეზლება“ ... **დარისხება** დაწყევლასავით“ ... (სულხან-საბა II, 1993); (სულხან-საბა I, 1991).<sup>9</sup>

არც გამოთქმა – ◊ **მალვალაკი თვალი** – გვხვდება, მაგრამ ზემოთხსენებულ დიალექტში ბაბო წერეთელს (ბ. წერეთელი 1938) აქვს დადასტურებული გამოთქმა: ◊ **მალური თვალი** (ზ. იმერ.) 1. მომაჯადოებელი, მაცდური თვალი; 2. ავი თვალი (ბ. წერეთ.) (ლლონტი

<sup>9</sup> დღევანდელი ქართულისათვის **მალვება**, **უმალვებს** სიტყვები უცხოა.

1984), რომელიც, ვფიქრობთ, სწორედ ლადო ასათიანის **მადვალაკი თვალის** შინაარსისაა. შდრ.: **მადვრიალა** (ლექს.) ბოროტი ადამიანი, ვინც თვალებს ნიადაგ აბრდღვიალებს... (მ. ალავ., 2). ◊ **თვალებს დაარისხებს** თვალებს რისხვით (ავად) დააკვესებს (ქეგლ III, 2015)[შდრ. საბა: **დარისხება** დაწყევლასავით“...(სულხან-საბა I, 1991)]; **დაკვესება** ცეცხლის გაჩენა... ნაპერწკლების გადმოყრა... ◊ **თვალების დაკვესება** თვალების დაბრიალება... დაახლოებით ამ-დაგვარივე შინაარსი აქვს, ვფიქრობთ, ლადო ასათიანის ლექსიდან ზემომოყვანილ ციტატას: „**გაჩაღებოდა მადვალაკი თვალი** კახურში, და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი...“ – ე. ი. – **გაჩაღებოდა მადვალაკი თვალი**... – ეშმაკურად უელავდა, მომაჯადოებელი, მაცდური თვალი კახურ ღვინოში მთვრალ ბახუსს და სუფრის ბოლოს ხითხითებდა... მორიგი მზაკვრული საქციელით გახალისებულნი...

**მადვალაკი** ქეთევან ძოწენიძის „ზემოიმერულ ლექსიკონშიც“ დასტურდება:

„**მადვალაკი** ჩუმი ეშმაკი, სხვისთვის ცუდის მდომი, შურიანი, მავნებელი. **მადვალაკი** არ იყო და ბოროტი არ უნდოდა არავისთვის (**ღორეშა**); **მადვალაკი** კაცი არ არი ისი (**ჯალაურთა**). (იხ. საბა : **მადვ. უმაღლებს**; ბერ.: **მადვალაკი**; მათს.: **მადვილაკი**)“ (ქ. ძოწენიძე 1974).

ეს სიტყვა შეტანილი აქვს ალ. კობახიძესაც თავის ლექსიკონში: „**მადვალაკი** მავნე, მავნებელი. ქვეშ-ქვეშა, გაიძვერა. დედა-ბუდიანა ეშმაკები არიან და **მადვალაკები** (იხ. ბერ., ძოწ., შდრ.: ქეგლ: **მაკვილაკი**)“ (კობახიძე 1987).

„**მაკვილაკი** ენამწარე, ავენა“ ... (ქეგლ V, 1958). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასევე დასტურდება სიტყვა **მახვილაკი** „მოსწრებული ენის პატრონი – ენამახვილი. „სად არის ჩემი მახვილაკი ხუმარა? აქ დამიძახეთ!“ (ი. მაჩაბ. თარგმ.)“ (ქეგლ V, 1958). შდრ. იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონი: „**მახვილაკი** 1. ლაპარაკში რომ კილოს გამოაბამენ, ხუმარა, კვიწარი, დასავლეთ საქართველოში „**მადვალაკი**“... 2. ხუმარა. „გარდაიცვალა საფრანგეთის მწერალი ადრიან დეკურსელი, რომელიც მეტად **მახვილაკი** და ოხუნჯი თანამშრომელი იყო „ფიგაროსი“ („ივ.“, 1892 წ., N189)“ (გრიშაშვილი 1997).

**მადვალაკსა** და **მადვება (უმაღლებს)** ზმნაში **მადვ-//მადლ-** ძირის გამოყოფა შესაძლებელი, უფრო ზუსტად – **ღ- [ღვ- // ღლ-]** ძირის, რომელიც, ვფიქრობთ, საერთო უნდა იყოს ზოგადად, ცეცხლის ბრწყინვალეობა / გიზგიზის სემანტიკის ამსახველ ლექსიკასთან (**ღ-**

**დარი, ღველფი, ნადვერდალი, ზრდღვიალი...)**<sup>10</sup>

ვფიქრობთ, ამავე ძირის შემცველია შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც:

**მაღია**<sup>11</sup> (ქართლ.) თვალთმაქცობის სწავლა (კირიონი); **მაღინ-დარა** (იმერ.) ოხუნჯი, ენაკვიმატი, მოსწრებული (ი. ქავთ.); ლაზღან-დარა, ღლაზუცა, ოხუნჯი; ენაკვიმატი, სიტყვამოსწრებული (ღია-ლექტ., 671); სიტყვამოსწრებული, ლაზღანდარა (ქ. ძოწ.); **მაღუნდარი** (ღეჩხ.) ჩუმი ეშმაკი, თოხუმი (მ. ალაფ., 1)“ (ღლონტი 1984).

ასევე, „**მაღუნდარი** ჩუმი ეშმაკი, თოხუმი (ნ.; შდრ.: **ღუღუე-ღა, ღურღუტი** ჩუმი და ეშმაკი კაცი, ქვეშ-ქვეშა (შდრ. ბერ.: **ღურღუ-მელა**); **თოხუმი** ეშმაკი ადამიანი“ (მ. ალაფიძე, 1). **ღურღუმელა** იგი-ვეა, რაც **ღურღაღიანი** (იხ. ბერ., შდრ. ძოწ.: **ღურთულა**); **ღურღაღიანი** გულჩახვეული, ჩუმ-ჩუმა, ქვეშ-ქვეშა“ (შდრ. წერ., ქავთ., ძოწ.: **ღურთა**) (კობახიძე 1987).

**ღუღუელა** კუთხ. (ღეჩხ.) **იხ. ღურღუმელა... ღურღუმელა** კუთხ. (რაჭ.) ქვეშ-ქვეშა (ვ. ბერ.). შდრ.: **ღურთა** (ქეგლ VII, 1962).

„**ღურთა** გადატ. გულჩახვეული, ჩუმი ეშმაკი, ქვეშ-ქვეშა... (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. იმერ., ქავთ., შდრ.: საბა, კირ. **ღურღუტი**, განმარტ. ლექს. **ჯღურთა, ქურუხა**)“ (ძოწენიძე 1974); **ღურთულა** იგივეა, რაც **ღურთა... (სვერი)**“ (ძოწენიძე 1974).

**ჯღურთა** და **ქურუხა** კი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის: „**ჯღურთა** კუთხ. (ქართლ.) მახინჯი, შეუხე-დავი კაცი. // გადატ. გულჩახვეული, გულღრმო, ბოროტი (შდრ.: **ღურთა**) (ქეგლ VIII, 1964); **ღურთა** კუთხ. (იმერ.) ◊ **ღურთა კაცი** გულჩახვეული, უჟმური, ჩუმ-ჩუმა (ბ. წერეთ.) (ქეგლ VII, 1962); **ქურუხა ძვ.** პირქუში, კუმტი, წარბშეკრული, გულმძიმე (ადამიანი). რარიგ ქურუხა ვიქნები, რომ შევიცვალო გუნება (ხალხ.) (ქეგლ VII, 1962).

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ნათელია, რომ **მაღვალაკი** არის: ჩუმი, ქვეშ-ქვეშა, თაღლითი, გაიძვერა, მაკვარანცხი,<sup>12</sup> ხუმარა, ეშმაკი კაცი... ◊ ეშმაკ[უნ]ები რომ დაუხტის თვალებში, სულ იმა-

<sup>10</sup> შდრ.: **მაღაღადურებელი** (გურ.) ცეცხლის ამაღუზგუზებელი. ნ. **ღაღადურ-რი... ღაღადური**<sup>2</sup> (გურ.) დიდი ცეცხლი; **გაღაღადურა** დიდი ცეცხლი გააჩინა (ალ. ღლ.). **ღადრუნი** (ხევსურ.) ცეცხლიანი ნახშირი (ალ. ჭინჭარ. 290). **ღაღაღა**<sup>1</sup> (ღეჩხ., ქიზიყ.) შუქვენა, ბწყინვალება (მ. ჩიქ.), ფერის ეღვარება, აგრეთვე ცეცხლისა და სხვა-თა ძლიერი ნათება (ს. მენთეშ.)“ (ღლონტი 1984).

<sup>11</sup> [მაღიობა? – ნ.ხ.].

<sup>12</sup> **მაკვარანცხი** (იმერ.) ეშმაკი, ცელქი; **ხელმაკვარანცხი** ქურდი, ხელმრუდი (ვ. ბერ.) (ღლონტი 1984).

ზე რომ ფიქრობს, ვის რა ავნოს...<sup>13</sup>

დასასრულ, ნაწყვეტი ისევ ლადოს წერილიდან (გიორგი ასათიანს): „ძმაო, გოგი! შენი ლექსი უშეცდომოდ დაიბეჭდაო, რომ მწერ, ესაა ბიჭო, უშეცდომოდ?! **წათების** მაგიერ – **წაქები** წერია, ნადული რომ დაგეწერათ, უკეთესი იქნებოდა, **წინმზრძოლის** მაგიერად – **წინზრძოლი**...“

წერილში ნახსენები ლექსი არის „ბასიანის ბრძოლა“: „დასცხეს ერთმანეთს ისრები და წაუშინეს **წათები**“... („ბასიანის ბრძოლა“).

**წათები: წათი** ძვ. საბრძოლო კეტი... **წაქები: წაქი** 1. კუთხ. (ქვ.-იმერ.) იგივეა, რაც შრატის... 2. კუთხ. (ზ.-იმერ.) იგივეა, რაც წურუქა... [**წურუქა** შრატის ნარჩენი ხაჭოა ამოღების შემდეგ...] (ქეგლ VIII, 1964). **წინმზრძოლი: წინამზრძოლი** „მეწინავე, პირველშემბმელი“... (სულხან-საბა II, 1993).

ეს წერილი ხაზს უსვამს, თუ რა სიფრთხილითა და ყურადღებით ეკიდებოდა ლადო ასათიანი ყოველ სიტყვას.

ერთ ლექსში ლადო ასათიანი ვაჟა-ფშაველას ათქმევინებს: „მჯერა, ამ დიად ბუნების კართან მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად!“ („ვაჟა-ფშაველას ნაამბობიდან“), – ვფიქრობთ, ამის თქმა თვითონ ლადო ასათიანსაც შეეძლო.

## გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**ალავიძე, 1938** – გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, ქართველურ ენათა ლექსიკა I, გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი; ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი; მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938.

**ასათიანი, 1986** – ლადო ასათიანი, რჩეული. მურმან ლებანიძის რედაქციითა და წინასიტყვით, თბ., 1986.

**ბერიძე, 1986** – ვუკოლ ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რა-

---

<sup>13</sup> ეს სიტყვა (**მადფალაკი**) დღესაც ცოცხალია ზემო იმერეთში: ამ დიალექტის წარმომადგენელს სოფ. ჯალაურთან (მანანა ჩაჩანიძეს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს) როცა ვკითხე, **მადფალაკი** თუ გაგიგია, ან თუ იცი, რას ნიშნავს-მეთქი, თვალები აუციმციმდა: „კი, როგორ არა: „თაღლითი, გაიძვერა, მზაკვარი, ეშმაკი, ◊ ტურაზე დამყნილი მელა... მაღიან ზემოიმერულია, – ცნობილი და ცოცხალი კი არა, უცოცხლესია!!! – ისიც კი არ ვიცი, სხვები ამბობენ თუ არაო...“

ჭულ თქმათა, ფოტოტიპური გამოცემა, თბ., 1986.

**გრიშაშვილი, 1997** – იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), თბ., 1997.

**კობახიძე, 1987** – ალექსანდრე კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.

**სულხან-საბა I, 1991** – სულხან-საბა I, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბ., 1991.

**სულხან-საბა II, 1993** – სულხან-საბა II, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბ., 1993.

**ქეგლ 1960-1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიკობავას საერთო რედაქციით, თბ., 1960-1964.

**ქეგლ II, 2010** – ქეგლ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, ახალი რედაქცია, ავტ. არაბულის რედაქტორობით, თბ., 2010.

**ქეგლ III, 2015** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, ახალი რედაქცია, ავტ. არაბულის რედაქტორობით, თბ., 2015.

**ღლონტი, 1984** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შედგენელი: ალექსანდრე ღლონტი, თბ., 1984.

**შანიძე I, 1984** – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, „მეცნიერება“, თბ., 1984.

**ჩუბინაშვილი, 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბ., 1984.

**ძოწენიძე, 1974** – ქეთევან ძოწენიძე, ზემოიძერული ლექსიკონი, თბ., 1974.

**წერეთელი, 1938** – წერეთელი ბ., გურული, ზემოიძერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, ქართველურ ენათა ლექსიკა I, გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი; ბ. წერეთელი, ზემოიძერული ლექსიკონი; მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938.

**ჭინჭარაული, 2005** – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.

**ჭინჭარაული, 1969** – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თბ., 1969.

შ ი ნ ა ა რ ს ი

- ა. ა რ ა ბ უ ლ ი – ფხოვური ლირიკის ზოგიერთი ენობრივ-პროსო-  
დიკული ნიშნისათვის.....3
- ბ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი – რამდენიმე ტოპონიმის განმარტებისათვის სა-  
მხრულ დიალექტებში.....6
- ს. ბ ე რ ი ძ ე – თანხმოვანთა დაკარგვა დაბა ასპინძის მცხოვრებთა  
მეტყველებაში.....11
- მ. ბ უ კ ი ა – საქონლის ასაკობრივი დიფერენციაციის ადმნიშვნელი  
სიტყვები მეგრულში.....21
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – ერთთემიან ზმნათა I სერიის ფორმათა  
წარმოების თავისებურებანი დიალექტებში.....28
- თ. ვ ა ჭ ა რ ა ძ ე – ნა- პრეფიქსიანი დერივატები დიალექტებში.....35
- მ. კ ა ჭ კ ა ჭ ი შ ვ ი ლ ი – დიგლოსია ჯავახეთის ენობრივი სიტუაცი-  
ის მაგალითზე.....39
- ი. კ ე კ ე ლ ი ა – აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის მართებული გა-  
აზრებისათვის (კამანი, ნაა, ტყაურუ, ტყვარჩელი).....49
- მ. კ ი კ ვ ა ძ ე – ერთი ლექსიკური ერთეულის (ჭამა) კონოტაციები  
ქართულში.....56
- ლ. კ ო ბ ა ი ძ ე – გიორგაძეთა გვარსახელის ისტორია-ეტიმოლოგი-  
ისათვის.....67
- მ. კ ო ბ ე რ ი ძ ე – დიალექტური ფორმები იოანე ქართველიშვილის  
„მემუარებში“.....73
- ლ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი – საკუთარ სახელთა ზოგიერთი მახა-  
სიათებელი ქიზიყურში.....82
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე – ზმნურ ფორმათა ზოგიერთი თავისებურებისა-  
თვის ქუთაისელ ებრაელებთან.....86
- ნ. მ გ ე ლ ა ძ ე, ბ. მ გ ე ლ ა ძ ე – ხატის (/ჯვარის) მიწები ტოპონიმიკა-  
ში და საეკლესიო მიწისმფლობელობის საკითხები განვი-



თარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.....	92
ბ. მ ე ლ ი ქ ი ძ ე – აწყვიტის ანთროპონიმიიდან („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით).....	106
ო. მ ე მ ი შ ი შ ი – ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნები ზმნის ფორმასთან ლაზურში.....	124
მ. მ ი ქ ა ძ ე – დიალექტიზმების მოსწავლეთა მეტყველებიდან აღმოფხვრის გზების შესახებ თანდებულის სწავლების დროს სკოლაში.....	129
ც. ნ ა რ ა კ ი ძ ე – ქართული ენის გავლენა ზანური ენის ლაზურ დიალექტზე.....	134
ბ. ნ ო დ ა ი დ ე ლ ი – ბერძნული ლექსიკისათვის აჭარულ დიალექტში.....	140
ბ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – ფრონეს ხეობის (ნაბახტევი, ბრილი) ონომასტიკური მასალები.....	146
ი. რ უ ს ა ძ ე – ლადო ასათიანი და პროფესორ მიხეილ ალავიძის „ლექსუმური ლექსიკონი“.....	151
ი. ს ა ლ ი ა – ქართული დიალექტური კორპუსის ელექტრონული ლექსიკონის შექმნის პროცესი და პრინციპები.....	154
რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე – ზმნური სიტყვაწარმოების ერთი ტიპისათვის ზემოიმერულში (ქეთევან ძოწენიძის სალექსიკონო მასალის მიხედვით).....	165
მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი – ელიზია თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ჩოლურულ მეტყველებაში.....	174
თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ს. ბ ე რ უ ლ ა ვ ა – ზმნის დიალექტური ფორმები გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით.....	181
მ. ფ ა ღ ა ვ ა – „გრძელი ხმოვნები“ ტაოურში.....	186
მ. ქ უ ქ ჩ ი შ ვ ი ლ ი – ჯავახური დიალექტის ლექსიკიდან (მარაზი).....	196
მ. დ ლ ო ნ ტ ი – „ხევსურული ლექსიკონი“ – ლექსიკურ-სემანტიკური გზამკვლევი.....	200

ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – მრავალგზისობის კატეგორია ფერეიდნულსა და კახურში.....	208
ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მ. ს ა დ ლ ი ა ნ ი, ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი – ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება ჩოლურულ მეტყველებაში.....	213
ლ. შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი – რამდენიმე ფონეტიკური პროცესისათვის ბორჯომის ხეობის მეტყველებაში.....	218
ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე, მ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი – ანალიზური წარმოება ქართული ენის სამხრულ კილოებში.....	228
მ. ც ი ნ ც ა ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე – ფონეტიკური პროცესები ტაოს ქართულში.....	239
რ. ჭ ი კ ა ძ ე – შავშური ნარატივი.....	249
ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ზოგი ომონიმის ისტორია ქართულში დიალექტების მონაცემების მიხედვით.....	257
ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – დიალექტური ლექსიკა ლადო ასათიანის შემოქმედებაში.....	270